კვირის პალიტრა

გზა

N42 (28(.-26/X.2005 ი 60 თ.

1168
2005

20 ქალი თვალი...

მილადა მაცაბერიძე
მაღალქუსლიან
ფეხსაცმელს
ტანის დასაყენებლად
იყენებს

ახალი ქართული
მძაფრსიუჟეტიანი
რომანი
ოქვეში

ემიგრანტები

— „თვისტომი" ნიუ-იორკში
10 ათას კაცს გააერთიანებს
„ამერიკის მოქალაქე მიხეილ
(მიკანო) ტვილდიანიც
სულით და გულით ქართველია"

თემა — დამლუპველი აზარტი ანუ სისხლი და „თავანი"



ქართველი რეჟისორის ფრანგული
ფილმი და ვის ბაბუაზეა
„ფესვები" გადალებული

„...რა ჭესია მომლერლების
ტელევიზიით დაცინვა?!"

სიახლე!

მხიარული „ატრაქციონი" თქვენი პატარებისთვის

ყველაზე საბავშვო ჟურნალი

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
№42 (280)
20 — 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
2005
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ“ ᲐᲜᲣ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲐᲓ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲕᲘᲩᲘᲕᲚᲝᲗ ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲨᲘ — ᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲔᲕᲠᲝᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ 6
ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ
ᲐᲗᲮᲔᲠ ᲣᲨᲠᲝ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ... 8
ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲘ
„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲚᲣᲑᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲩᲔᲮᲔᲑᲐ“... 9
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲐᲕᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ — „ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲛᲐᲠᲘᲐ“ 12
ᲙᲐᲓᲠᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ „ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ“ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲓᲐ „ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲐᲡᲐᲜᲐᲣᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲓᲜᲔᲜ... 15
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
„ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, „ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲘ ᲩᲐᲕᲮᲐᲓᲝᲗ“ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ“ ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲛᲐ 18
ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ
ᲠᲝᲛᲔᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲘᲛᲮᲔᲪᲔ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ 22
ᲰᲝᲑᲘ
ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐᲙᲣᲜᲗᲣᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ? 24
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 25
ᲒᲐᲠᲔᲛᲝ
ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲓᲐ „ᲩᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ“ ᲡᲐᲠᲬᲘᲐᲜᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ 26
ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ: ᲣᲨᲒᲣᲚᲘᲓᲐᲜ — ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲐᲛᲓᲔ, ᲙᲐᲘᲠᲝᲓᲐᲜ — ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲐᲛᲓᲔ... 27
ᲗᲔᲛᲐ
ᲓᲐᲛᲓᲣᲞᲕᲔᲚᲘ ᲐᲖᲐᲠᲢᲘ ᲐᲜᲣ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲓᲐ „ᲗᲐᲕᲐᲜᲘ“ 29
ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ 32
- ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲖᲔ 33

ᲢᲐᲫᲐᲠᲘ
ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲗᲣᲭᲛᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲢᲘ 34

ᲓᲐᲛᲓᲣᲞᲕᲔᲚᲘ ᲐᲖᲐᲠᲢᲘ

ᲐᲖᲐᲠᲒᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲓᲣᲞᲕᲔᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲪᲓᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲣᲚᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲛᲐᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲡ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲙᲐᲖᲘᲜᲝᲡᲐ ᲗᲣ ᲒᲝᲒᲐᲚᲘᲖᲐᲒᲝᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲡᲐᲮᲚᲡ-ᲙᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲚᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐᲪ ᲐᲒᲔᲑᲡ...

29

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲘᲛᲮᲔᲪᲔ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ...

„ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲘᲛ ᲪᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲝᲣᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲐᲗ ᲔᲡᲐ ᲗᲣ ᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐ ᲐᲜ ᲠᲐᲒᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲧᲘᲜᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲠᲐᲚᲐᲪᲐᲡ ᲥᲜᲘᲡ?! ᲡᲐᲠᲗᲝᲚᲘ, ᲠᲐ ᲬᲔᲡᲘᲐ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲗ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲧᲘᲜᲕᲐ?! ᲛᲬᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲠᲝ ᲐᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲭᲕᲘᲡ. ᲪᲣᲓᲘᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲘᲒᲝ.“...

22

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ „ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ“ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲓᲐ „ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘ“

„ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ — ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲠᲔᲖᲝ ᲔᲡᲐᲫᲘᲡ „ᲭᲔᲠᲘ“... ᲐᲡᲔᲗ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ 20 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲒ-ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ“...

15

„ᲞᲐᲚᲣᲪᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲐ“ ᲐᲜᲣ „ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲩᲘᲜᲝ ᲑᲘᲭᲘ“...

ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡᲐ, ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲜᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲣᲒᲖᲝ-ᲣᲙᲕᲚᲝᲓ ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ. ᲓᲐᲕᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘ, ᲠᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲡ? ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲣᲖᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲔᲗᲝᲨᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲮᲐᲚᲘᲩᲐᲖᲔᲪ ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲕᲚᲐ...

48

საგანძური

იარალის ჭედვას სიმღერა უხდება 35

შეამომწეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე 36

ასპარეზი

ქართველი, რომელიც მაიკლ ჯორდანს შეადარეს 37

ემიგრანტები

„თვისტომი“ ნიუ-იორკში 40

ადამიანი-ლეგენდა

ავიატორის სევდიანი ამბავი 42

ვარსკვლავი

მერიელ ჰემინგუეი: „მე ჩვენი ოჯახის ბოროტი ბედისწერა დავამარცხე!..“ 45

ბომონდი 46

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 48

სახე

„ჰალუცინაციები ჯერ არ დამწყებია“ ანუ „მინდა გავაჩინო ბიჭი“... 48

სპორტული მოზაიკა 50

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (დასაწყისი) 52

ბედისწერა

„ჩვენი ცხოვრება არსებობისთვის ბრძოლაა...“ 56

ავტო 58

მოდა

„ფართი“ ღია ცის ქვეშ, ფასდაკლებით „შეძენილი“ პრიზები და ფეიერვერკი 59

ჰოროსკოპი

კვირის (20-26 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

„თხელკანიანი“ ხართ თუ „სქელკანიანი“? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სჭირდება თუ არა ქალს დაკუნთული სხეული?

„დიეტა სწორ კვებას ჰქვია და არა შიმშილობას. დღეში 4-5-ჯერ მაინც უნდა ჭამოთ, მაგრამ ცოტ-ცოტა. უკეთესია, მირთვათ ისეთი საჭმელი, რომელიც ცილებს შეიცავს: თევზი, ხაჭო, კვერცხი და სხვა. მე სპორტული შეჯიბრების წინ, დაახლოებით ერთი თვე დიეტაზე ვიყავი, ნახშირწყლების შემცველ საკვებს საერთოდ არ ვილებდი და შედეგსაც მივაღწიე“.

24

ავიატორის სევდიანი ამბავი

გულთამპყრობელ ლეგენდარულ პიროვნებებს, რომლებიც მილიონობით ადამიანის ბედს განსაზღვრავენ, ხშირად საკუთარ სისუსტესთან გამკლავება უჭირთ. ახირებულ ადამიანთა შორის პირველობა ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ჰოვარდ ჰიუზს – კაცს, რომლის შესახებაც შარშანდელი კინოსეზონის ჰიტი, მარტინ სკორსეზეს გახმაურებული სურათი „ავიატორი“ მოგვითხრობს...

42

მერიელ ჰემინგუეი: „მე ჩვენი ოჯახის ბოროტი ბედისწერა დავამარცხე!..“

მსახიობი, რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნის, სრულიად გამორჩეული ბედის ადამიანია. მისი უნიკალურობის დასამტკიცებლად, მხოლოდ ერთი ფაქტიც საკმარისია – მერიელი ხომ უდიდესი მწერლის შვილიშვილია.

45

თქეში

– ჩანთა მოიგა! – ხელჩანთა კინაღამ მხრიანად წაჰგლიჯა ქალს უცნობმა, სწრაფად გახსნა და საფულე ამოიღო. მაგრამ როცა შიგ მხოლოდ ორად ორი ლარი და ხურდა ფული აღმოაჩინა, გაცოფებულმა, საფულესა და ჩანთასთან ერთად, დანაც გვერდზე ისროლა და ლანას გამეტებით წაუჭირა ყელში ხელი:

– დანარჩენი ფული სადღა გაქვს?.. დანარჩენი-მეთქი!

52

„ჩვენი კანტორის ხალხი მოდის" ანუ თბილისობა ქართულ-ევროპულად

ბედნიერია ქვეყანა და ერი, რომლის ხელისუფლებასაც ჭკუაც ჰყოფნის და ვაჟკაცობაც, გუშინ დაშვებული შეცდომა აღიაროს და დღეს, მის გამოსწორებას შეუდგეს. ჰოდა, სწორედ ასეთი არაა ჩვენი მთავრობა და პირადად ბატონი „მამაჩვენი"?!

მოაწყო შარშან თავისი პრეზიდენტობის პირველი თბილისობა. სულ ევროპულ ყაიდაზე ვითბილისქალაქეთ: ყარაჩოხელებს ჩოხის ნაცვლად, სმოკინგები ჩავაცვით, არღნის ნაცვლად, CD-ები დავატრიალეთ, ქართული სუფრის შუა გზაზე გადაშლის ნაცვლად, „შვედსკი სტოლი" დავდგით მერიასთან. მაგრამ აღიარა პრეზიდენტმა, შევცდი შარშან და მშიერიც დავრჩიო. ამიტომ უკვე შეუდგა ამ შეცდომის გამოსწორებას და იმედია, ამ შაბათ-კვირას საუკეთესო თბილისობის მომსწრენი გავხდებით.

უკვე მივიღე მოსაწვევი ბარათი, რომელშიც დაგეგმილ ღონისძიებათა ნუსხაც წერია:

1. აგრარული ბაზრობის საზეიმო გახსნა და მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო დახურვა;
2. მეორადი ევროპული საქონლის გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით „თბილისი — ევროპული ყაიდის ეროვნული ქალაქი";
3. ქორეოგრაფიული კომპოზიცია — „მიშიკო და მოცეკვავე შადრევანი";
4. ქართული პოლიტიკის ვარსკვლავების კონცერტი — „თბილისი 2005";
5. ბევრი მხიარული სიურპრიზი...

დამეთანხმებით, ამ პროგრამამ ისე გამიღიზიანა ცნობისმოყვარეობა, რომ ვეღარ მოვითმინე და კანცელარიაში გავიქეცი, სადაც უკვე დაწყებულიყო მთავრობის სხდომა. „მრგვალი მაგიდის რაინდები" თბილისობის ღონისძიებებზე ბჭობდნენ. ქუჩაში გაშლილ ბაზრობაზე ჩეკების ფულის ამკრების მოვალეობა ჩვენმა ზორბატანა სახელმწიფო მინისტრმა ითავა, კარგ ადგილებს ძვირად გავყიდი და ბიუჯეტს „გავასუქებო". ასევე, ძალიან მომეწონა საწნახლის იდეა: თურმე ქუჩაში დადგამენ უზარმაზარ საწნახელს; სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული გლეხები შიგ ყურძენს ჩაყრიან, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტი საკუთარი ფეხით დაწურავს. მართლაც ჩინებული იდეაა: აქეთ-იქით სიარული კი უყვარს და ბარემ საქმესაც გააკეთებს.

ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა შს მინისტრმაც. მართალია, ბევრი ილაპარაკა და მე ცოტა გავიგე (ალბათ შორს ვიჯექი), მაგრამ ასეთი აზრი გამოვიტანე: ეს იქნება ისტორიულ-თეატრალიზებული კომპოზიცია თბილისის დაარსების ლეგენდის მიხედვით: ცხენზე ამხედრებული პრეზიდენტი (ცხენის ნაცვლად გადაბმული ჰოლანდიური ავტობუსი იქნება), ჩამოივლის თავისუფლების მოედანზე; მას მხარზე (ავტობუსის სახურავზე) უზის შს მინისტრი, რომელიც თვალს მოჰკრავს კორუმპირებულ ჩინოვნიკს და უმალ დაედევნება. „მეფე შევარდენსა და მის მსხვერპლს" იპოვის ორთაჭალაში და ბრძანებს: „აქ დავაარსებ ახალ ციხესო"...

ძალიან დიდი კამათი მოჰყვა იმას, თუ ვინ იკისრებდა კორუმპირებული „ხოხბის" როლს და ბოლოს იმ დეპუტატზე შეაჩერეს არჩევანი, რომელსაც ისედაც აქვს საეჭვო კავშირები საბაჟო ტერმინალთან.

ეს პროექტიც რომ მოიწონეს, შემდეგ საკითხზე გადავიდნენ, ვინ რომელ სიმღერას შეასრულებდა ფესტივალზე „თბილისობა — 2005". ვინ სოლო სიმღერა აირჩია, ვინ ვერ გაბედა ამდენი და მეორესთან შეამხანაგდა და ასეთი საფესტივალო პროგრამა შედგა:

„შენი გულის ძგერა მესმის" — ჯანდაცვის მინისტრი; „ვიცი, რაზე ჩურჩულებენ შენი თბილი სახლები" — შს მინისტრი; „როცა ჩაქრება ჭადრებში ლამპიონების ნათება" — ენერგეტიკის მინისტრი; „მაპატიე შეცდომები" — პრემიერ-მინისტრი; „ამ სიმღერას გავყიდი, დაგახარჯავ ფულს" — სახელმწიფო მინისტრი და კონცერტს დახურავს საწნახლიდან ამოსული პრეზიდენტი სიმღერით „ახ, ნეტავი ერთად იყოს კიევი და თბილისი"...

P.S. — შენ არაფერს იმღერებ, ბიჭო?! — ჰკითხეს ბოლოს თბილისის მერს.

— მე თავი-კაცი ვიქნები. სტუმრები რომ გამოჩნდებიან, თქვენთან მოვალ და გეტყვით, ჩვენი კანტორის ხალხი მოდის და კაი რამე დაუკარით-მეთქი...

პროვოკატორი

რაზომ სცემენ მოსამართლეებს

— ოპოზიციის თქმით, მოსამართლეებს ჩინოვნიკები საკუთარ კაბინეტებში იბარებენ, მითითებებსაც აძლევენ და ფიზიკურადაც უსწორდებიან. რა კომენტარი შეგიძლიათ გააკეთოთ ამასთან დაკავშირებით?

ვალერი გელბახიანი, *პარლამენტის წევრი*:

— ამ ინფორმაციის გადამოწმება პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს დაევალა. თუმცა, არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ სასამართლო ხელისუფლება საქართველოში არ არსებობს. თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღიარა, რომ სასამართლოებს არ აქვთ ავტორიტეტი. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ პრეზიდენტიც შეაშფოთა: სააკაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან სასამართლო ხელისუფლების რეიტინგი საგანგაშოდ დაბალ ზღვარს მიუახლოვდა, პირადად გააკონტროლებს ამ სფეროს. პარლამენტი უნდა ჩაერთოს ამ პროცესში და ხელისუფლებამ არსებითად შეცვალოს სიტუაცია სასამართლო ორგანოებში. თუ მოქალაქეებს სიმართლის მიღწევის რწმენა დაეკარგათ, ასეთ შემთხვევაში ძნელია, ილაპარაკო საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაზე. ქვეყანაში, სადაც მოსამართლეს, ერთი მხრივ, ზემოდან წამოსული მითითებები აკრთობს, მეორე მხრივ კი, კანონიერი ქურდების ეშინია, მართლაც, ძირეული რეფორმაა გასატარებელი. თუმცა, რეფორმა არ უნდა იყოს ფასადური, რომლის შემდეგაც, კვლავ კორუმპირებული და შეშინებული მოსამართლეები გვეყოლება. რამდენადაც ვიცი, ხელისუფლება სასამართლო რეფორმის გასატარებლად ახალ საკანონმდებლო პაკეტს ამზადებს, რომელიც ევროპულ ქარტიასთან და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი. რაც შეეხება ჩინოვნიკების მხრიდან ფიზიკურ ანგარიშსწორებას, თუ ეს ფაქტი დადასტურდა, კონკრეტული პირები კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯონ. ჩინოვნიკმა მოსამართლე სცემოს — ეს შეშფოთებისა და განკიცხვის ზღვარს სცილდება. ■

„ქალბატონ სალომეს სურს, სამინისტრო საკუთარი ოფისივით მოაწყოს“

— შესაძლოა, საგარეო უწყებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის, მაგრამ ამავე დროს, იბადება კითხვა: უმრავლესობის ასეთი „ერთსულოვანი აფეთქება“ ობიექტურობის ფარგლებს ხომ არ სცილდება?..

ნიკა გვარამია, *უმრავლესობის წევრი:*

— უმრავლესობა ყოველთვის ასეთი ერთსულოვანი იქნება, როცა რომელიმე სამინისტროს მუშაობა არ დააკმაყოფილებს. საკანონმდებლო ორგანოს აკისრია საზედამხედველო ფუნქცია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ვინც საკუთარ თავს ამ უფლებაზე მაღლა დააყენებს და პარლამენტის დისკრედიტაციას შეეცდება, ის ყოველთვის დამარცხებული გამოვა. ქალბატონ სალომეს სურს, მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, სამინისტრო საკუთარი ოფისივით მოაწყოს და თანამდებობებზე ის დანიშნოს და მოხსნას, ვინც გაუხარდება. გარდა ამისა, მისი პოლიტიკური კურსი, ხშირ შემთხვევაში პარლამენტისა და პრეზიდენტის შეხედულება არ ემთხვევა, რამაც კონკრეტულ შემთხვევებში ძალიან მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანა. საგარეო საქმეთა სამინისტროში პროფესიონალი კადრების დეფიციტია, საქართველოს საელჩოებს უმძიმეს მდგომარეობაში უწევთ მუშაობა, დაშვებულია ინსტიტუციონალური შეცდომები. ევროინტეგრაციის კომიტეტს ზედმეტი დატვირთვით რომ არ ემუშავა, ეროვნულ უმცირესობათა ქარტიას კენჭისყრაზეც ვერ დააყენებდა. ტრანსასაზღვრო ხელშეკრულებას, რომლის რატიფიცირებაც ევროპის საბჭოს წინაშე აღებულ ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს, პარლამენტი ისევ უშედეგოდ ელოდება. ეს ან დაუდევრობაა, ან დანაშაული. მოხდება ისე, რომ ევროსაბჭოს მონიტორინგის მისია ჩამოვა, ჩვენ კი ვალდებულებები შესრულებული არ გვექნება. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით, სხვა უამრავი პრობლემაც არსებობს, რამაც გვაიძულა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დაგვეყენებინა. ■

„ჩვენ არ ვართ მკვდარნი“

— მეცნიერთა აღშფოთებას განათლების სამინისტროში უსაფუძვლოს უწოდებენ. თავად მეცნიერები კი მინისტრის გადადგომას მოითხოვენ. როგორ ფიქრობთ — პრეზიდენტი, მეცნიერთა მოთხოვნით, კახა ლომაიას შეელევა?

გრიგერ ფარულავა, *უნივერსიტეტის პროფესორი:*

— ჩვენ პრეზიდენტისგან მოვითხოვთ: განათლების შესახებ მოქმედი კანონების ძირეულ შეცვლას, „საქართველოს მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონის“ ამუშავებას, უნივერსიტეტისთვის რეალური ავტონომიის მინიჭებას და იმ ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელიც მეცნიერებით დაკომპლექტდება და განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობას შეისწავლის. საქართველოში ინგრევა მეცნიერება, უნივერსიტეტი და აკადემია, ცუდი დღე ადგას ქართულ სკოლას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩანაფიქრია, ჯერ ლაფში ამოგვსვაროს, ცუდი იარლიყი მოგვაკეროს, რომ შემდგომში ადვილად მოხდეს განადგურება, მოსპობა. ეს მოძრაობა დაიწყო მაშინ, როდესაც მინისტრმა გამოაცხადა: ჰაგიოგრაფიული ტექსტები, მკვდარი ტექსტებიაო. მაშინ საზოგადოებამ ხმა აღიმაღლა? შეშინდნენ და უკან დაიხიეს. შემდეგ, ლომაიამ მოგვახსენა: — მერე რა, რომ ეს ჩვენი ისტორიის ნაწილია? ისტორიაში იმდენი ნაგავია, არ ვიცით, სად გადავყაროთო!.. შეიძლება, ამ სიტყვების მთქმელს ჩააბარო საპატრონოდ ის, რასაც განათლება და მეცნიერება ჰქვია?! მას შემდეგ, მეთოდურად, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართულ უნივერსიტეტზე ლაფის დასხმა, პროფესორები კორუმპირებულებად გამოაცხადეს, მეცნიერებს საბჭოური გადმონაშთები უწოდეს. შეიძლება, ჩვენი რეაქცია დაგვიანებულია, მაგრამ გაერთიანება შედგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვართ მკვდარნი. ■

ღია კარის დღე თვითმმართველობის არჩევნებამდე

— ახალი ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარედ დავით ზურაბიშვილის დანიშვნა „ნაცმოძრაობის“ წევრთა გადმობირებაზეა გათვლილი. თუმცა, როგორც ჩანს, უმრავლესობის წარმომადგენლები არ ჩქარობენ...

დავით ბერძენიშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— ჩვენ არავის გადმობირებას არ ვცდილობთ. ეს იმისთვის იქნება უკეთესი, ვინც დემოკრატიულ ოპოზიციას შეუერთდება. „რესპუბლიკელები“ და „კონსერვატორები“ რევოლუციური წარმომავლობის პოლიტიკური ძალები ვართ. ჩვენ უფრო მეტი რამ გვაერთიანებს, ვიდრე განგვასხვავებს და რაკი რევოლუციური ხელისუფლება არ ვარგა, ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული რევოლუციური ოპოზიცია უნდა არსებობდეს. ახალი ფრაქციის შექმნაზე მუშაობა ორი-სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბოლო პერიოდში, პარტიულების გარდა, უპარტიო დეპუტატების, სახელიანი და წესიერი ადამიანების ამ ფრაქციაში გაერთიანების პერსპექტივაც გაჩნდა. ახალი ოპოზიციური ფრაქცია არ იქნება მხოლოდ ორი პარტიის გაერთიანება — ჩვენთან იქნებიან უპარტიო დეპუტატებიც. ბუნებრივია, თანამშრომლობა გვექნება „მემარჯვენე ოპოზიციასთანაც“. ერთ პარტიად ჩამოყალიბებაზე ლაპარაკი არ არის, თუმცა თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ალბათ, ერთ ბლოკად გაერთიანდებით და ეს საქართველოსთვის დემოკრატიული ალტერნატივა იქნება. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ გაერთიანებით და სხვა თანმდევი კომპონენტების ერთობლიობით, თვითმმართველობის არჩევნებზე ხელისუფლება ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მანამდე კი, ახალი ფრაქციის კარი, ყველა წესიერი ადამიანისთვის ღიაა. ■

სეირნობა, სადაც ერთმანეთს ესვრიან, ჭრიან და შპრიცებს ფანტავენ

— თქვენ ფიქრობთ, ოპერის დაბინძურება საკმარისი საფუძველია საიმისოდ, რომ მერიის მიერ შემოღებული „სახალხო სეირნობა“ გააუქმონ?

დავით საყვარელიძე, *ოპერისა და ბალეტის თეატრის გენერალური დირექტორი:*

— შეიძლება, თავის დროზე რუსთაველის გადაკეტვა კარგი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ეს იდეა მოძველდა და დამახინჯდა. რაც დრო გადის, უფრო და უფრო იცვლება იმ ადამიანთა წრე, რომელიც სეირნობის სურვილს ავლენს. თავიდან მთელი ქალაქი აქ იყო, გარეუბნებიდანაც მოდიოდა ნაკადი, ყველას მოსწონდა ეს სანახაობა. დღეს რუსთაველზე მოდიან გაუგებარი „წარმონაქმნები“, რომლებიც შარდის გუბეებს, უცენზურო წარწერებს, შპრიცებსა და დაჭრილ ბილბორდებს ტოვებენ. ზამთრის პერიოდში ნორმალური ადამიანი ქუჩაში დიდხანს ვეღარ ძლებს. დაეხეტებიან მხოლოდ ნასვამები ან ნარკოტიკით გაბრუებულები. ორივე შემთხვევაში, საფრთხე ექმნება, როგორც თეატრს, ასევე საზოგადოებასაც. ისინი ჩხუბობენ, ერთმანეთს ესვრიან, ჭრიან, პატრულს არ ემორჩილებიან და ყოველივე ამის გაკონტროლება ძალიან ძნელია. შეიძლება, მერიიდან გვითხრან — თუ დააბინძურებენ — დაალაგეთ, თუ მინებს ჩაამტვრევენ — განაახლეთო, მაგრამ თეატრი ხომ კულტურის ძეგლია! თანაც, ყოველი ასეთი სეირნობა-გართობის შემდეგ, იმდენი სამუშაოს ჩატარება გვიწევს, აღარაფრად ვვარგივართ. არადა, ქართველ მსმენელს რომ თავი დაანებო, იმდენი უცხოელი მოდის, უხერხულია, გაბინძურებული, გაუბედურებელი თეატრი დაახვედრო. თუ სათანადო უწყებები ამ იდეას ბოლომდე ვერ შეელევიან, იქნებ, ზამთრის პერიოდში მაინც გამოვაცხადოთ „შესვენება“ და გაზაფხულს დაველოდოთ?! ■

„სტიქიით დაზარალებულებს ვერ ეხმარებიან, 46 მილიონი კი გართობაში დაიხარჯა“

— თქვენ აწარმოებთ კონტროლს სტიქიის სალიკვიდაციო-სარეზერვო ფონდში არსებული სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით. კონკრეტულად რა თანხები გამოიყო და რით ეხმარებიან დაზარალებულებს?

ნინო ლომჯარია, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:*

— სახელმწიფოს მხრიდან სტიქიით დაზარალებულთა დახმარება, ნულის ტოლფასია. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა შედეგების ლიკვიდაციისთვის საჭირო თანხის 0,01% გაიღო, მთავრობის ფონდიდან 2 მილიონ 900 ათასი ლარი გამომიყვეს. სინამდვილეში, გაცილებით მეტი იყო საჭირო. სახელმწიფოს ზარალი არ დაუთვლია, ჩვენ დავიანგარიშეთ — იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ხელში ჩაგვივარდა. რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი — ამ რეგიონების შესახებ ადგილობრივი ადმინისტრაციებისგან გვაქვს მონაცემები, სადაც სამჯერადი სტიქიის შემდეგ, მინიმუმ 14 მილიონის ზარალი დაფიქსირდა. გამოდის, რომ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები ამის მეოთხედსაც ვერ აღწევს. ამის შემდეგ, კიდევ რამდენიმე წყალდიდობა და მეწყერი დაფიქსირდა. სტიქიური პროცესები დღემდე გრძელდება. თუმცა ამის შეჯამებას რაღა აზრი აქვს — სარეზერვო ფონდში თანხა აღარ არის. პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების ერთობლივი გადახარჯვა 46 მილიონს შეადგენს. ეს ფული არამიზნობრივად — საზეიმოგასართობი ღონისძიებებისთვის იხარჯებოდა, მაშინ, როცა ათასობით ადამიანი თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი! სტიქიას რომ თავი დავანებოთ, თბილისში მცირე სეისმური ბიძგებიც კი საკმარისია, რომ ნახევარი ქალაქი უსახლკაროდ დარჩეს. ■

„ვაკის რაიონში მცხოვრებ დევნილებს რუსეთის საელჩო რუსეთის მოქალაქეობას სთავაზობს“

— თუ ყაზბეგის რაიონში რეალურად მიმდინარეობს რუსული პასპორტების გაცემა, რატომ არ ფლობს ამ ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლება?

კოტე გაბაშვილი, *საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ყაზბეგის რაიონში ადგილობრივმა გამგეობებმა გაართულეს საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციის პროცედურა. ამ ფონზე კი, რუსეთის საელჩო ყაზბეგში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის შეფარულ პასპორტიზაციას ახორციელებს. მოსახლეობას თბილისში, რუსეთის საელჩოში იბარებენ და რუსეთის მოქალაქეობას აძლევენ. ჩვენ ამ პროცესს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვაპროტესტებთ და ამ დროს, როგორც ირკვევა, იგივე, ლიახვის ხეობაში, ყაზბეგის რაიონსა და თბილისშიც კი მიმდინარეობს. არსებობს ინფორმაცია, რომ ვაკის რაიონში მდებარე ყოფილ ტურბაზაში მცხოვრებ დევნილებს რუსეთის საელჩო რუსეთის მოქალაქეობას სთავაზობს. პასპორტიზაციის ეს პროცესი, რუსეთის მხრიდან შეფარული აგრესიის კიდევ ერთი გამოვლინებაა. სამწუხაროდ, ყაზბეგის რაიონის ადგილობრივ ადმინისტრაციაში სერიოზული პრობლემები არსებობს. კარგად არ მუშაობს არც სამოქალაქო რეგისტრაციის სამსახური. საზღვრისპირა რაიონში არსებული ეს მდგომარეობა შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად, უნდა გაარკვიოს, რამდენად შორსაა წარსული ეს პროცესი, კონკრეტულად, რას სთავაზობენ ქართულ მოსახლეობას და, რაც მთავარია, სასწრაფოდ აღკვეთოს რუსული პასპორტიზაცია. გარდა ამისა, გაირკვა, რომ რუსულნომრიან ავტომანქანებს საზღვრის ადვილად გადმოკვეთა შეუძლიათ და რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფლად მოძრაობენ... კანონი ყველასთვის ერთია, რუსული ნიშნების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებაზე შესაბამისი რეაგირებაა საჭირო. ■

სოფო ჯაფარიძე პროექტის დირექტორთან მანანა კობახიძესთან ერთად (მარცხნივ)

როდის ვიჩივლოთ სტრასბურგში

რა საქმეებს იხილავს ევროსასამართლო

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ საქართველოში 1997 წლიდან არსებობს და აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელებას ემსახურება. ეს ორგანიზაცია, გარკვეული თვალსაზრისით, შუამავალია საქართველოს მოქალაქეებსა და ევროსასამართლოს შორის. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ევროსასამართლოში ჩვენს ქვეყანას მოსამართლე მინდია უგრეხელიძე წარმოადგენს და აქედან გაგზავნილი ყველა საქმის განხილვაში მონაწილეობს. რა შემთხვევაში შეუძლია საქართველოს მოქალაქეს მიმართოს ევროსასამართლოს, რა სახის სამართლებრივი დარღვევები გვხვდება ჩვენს ქვეყანაში და რამდენი „ქართული“ საქმე განიხილა ევროსასამართლომ — ამის შესახებ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ სამართლებრივი ასისტენტი სოფო ჯაფარიძე მოგვითხრობს.

ემა ტუხიაშვილი

— ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია რამდენიმე პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა, სტრატეგიული სამართალწარმოების პროექტი (დირექტორი — მანანა კობახიძე), რომელიც ჩვენს ქვეყანაში ევროსასამართლოს პრეცედენტებისა და საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას ემსახურება. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია სოციალურად დაუცველ ფენებს უფასო იურიდიულ კონსულტაციებს უწევს.

— სამართალწარმოების თვალსაზრისით, ძირითადად, რა პრობლემები დგას ყველაზე მწვავედ ჩვენს ქვეყანაში?

— ცნობილია, რომ 1999 წლის მაისში, საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა გახდა და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიკაციის შემ-

დეგ, იკისრა ვალდებულება, დაიცვას აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. მიუხედავად ამისა, ხშირად ხდება ამ უფლებების დარღვევა. ჩვენი პროექტის ძირითადი მიზანია, რომ სასამართლოებმა გაითვალისწინონ საერთაშორისო პრაქტიკა, ევროსტანდარტები და ევროპრეცედენტები. ჩვენში ძირითად პრობლემად დღემდე რჩება სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება. რა თქმა უნდა, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, მაგრამ ეს უფლება არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური ნიშნის მატარებელი — მთავარია, არა სარჩელის შეტანა სასამართლოში, არამედ პრაქტიკული შედეგის მიღება. ჩვენში ხშირად ხდება, რომ პიროვნებას ხელში უჭირავს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კანონის შესაბამისად უნდა აღსრულდეს, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, მისი რეალიზება ვერ ხერხდება, მაგალითისთვის, ერთ ფაქტს გიამბობთ. რამდენიმე წლის წინ „საქენერგო 2000“-ის თანამშრომლები კომპანიისგან სახელფასო დავალიანების დაფარვას მოითხოვდნენ. სასამართლომ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო. მაგრამ შეიქმნა აღსრულების პრობლემა, იმ მიზეზით, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ის კომპანია, სადაც სახელმწიფოს წილი 50% და მეტია, არ ექვემდებარება არც იძულებით აღსრულებას, არც აუქციონს და არც ყადაღას. აღნიშნულმა გარემოებამ ჩვენს ორგანიზაციას საკონსტიტუციო სარჩელის იდეა უკარნახა. მივმართეთ სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს და მან ზემოთ მოყვანილი ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

— არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ასახელებენ უკანონო პატიმრობის მაგალითებს...

— უკანონო პატიმრობის შემთხვევა დღესაც მრავლადაა, თუმცა აღნიშნულის ნათელი ილუსტრაციაა თენგიზ ასანიძის საქმე, რომელმაც ქვეყნის შიგნით სამართალი ვერ იპოვა და საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს მიმართა. ამ უკანასკნელმა ასანიძის საქმეში დარღვეულად ცნო კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც პირადი უსაფრთხოების უფლებას უზრუნველყოფს. და საქართველოს თენგიზ ასანიძის სასარგებლოდ 150 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ საქმეს ჩვენი ორგანიზაციიდან უძღვებოდნენ ადვოკატები — ლია მუხაშავრია და მაკა გიოშვილი. სხვათა შორის, იმ საქმეების უმეტესი ნაწილი, რომლებიც საქართველოდან ევროსასამართლოში განსახილველად იგზავნება, სწორედ კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას ეხება. აქვე გეტყვით, რომ ჩვენი ორგანიზაცია ასევე იცავდა სულხან მოლაშვილის ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში. საქმე ეხებოდა არაკონსტიტუციურ ნორმას — პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ — ანუ მოსამართლის ბრძანება ბრალდებულისათვის პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. ჩვენ დავასაბუთეთ, რომ აღნიშნული ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და ევროპის კონვენციის მე-6 მუხლების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა და მივაღწიეთ იმას, რომ ახლა ადამიანს უფლება აქვს, მის წინააღმდეგ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება გაასაჩივროს.

— კიდევ რა ნორმების დარღვევას ხვდებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ევროკონვენციას?

— ევროკონვენციით გათვალისწინებულია სიცოცხლის უფლება, ჩვენში კი ამ უფლების დარღვევა არაორგანიზებული, არაპროფესიონალურად დაგეგმილი სპეცოპერაციების დროს ხდება. სიცოცხლის უფლება პირდაპირ მოითხოვს სამართალდამცველებისგან მსგავსი ღონისძიებების გატარებისას, ყველა შესაძლებლობა იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ არ მოხდეს ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფა. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი სამართალდამცველები ხშირ შემთხვევაში, არ ერიდებიან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. გარკვეული პერიოდის წინ, ქუთაისში, ავტომობილის გამტაცებლების წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაცია, როდესაც დაშავდა შემთხვევით გამვლელიც, იმ ტერ-

მაგალითისთვის, ერთ ფაქტს გიამბობთ. რამდენიმე წლის წინ „საქენერგო 2000“-ის თანამშრომლები კომპანიისგან სახელფასო დავალიანების დაფარვას მოითხოვდნენ.

ევროსასამართლოში სულ 44128 განაცხადი შევიდა, მაგრამ დასაშვებობის ეტაპი მხოლოდ 841-მა საქმემ გადალახა...

— ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია. ხშირად არაორდინარულ საქმეებზეც გვიწევს მუშაობა. მაგალითად, გვაქვს საქმე, რომელიც ეხება პაციენტსა და კერძო კლინიკას შორის წარმოქმნილ დავას. პაციენტი გულის არეში ჩივილებით ერთ-ერთ კლინიკაში მივიდა, სადაც მას გულის მანკის დიაგნოზი დაუსვეს და ურთულესი ოპერაციის შემდეგ ხელოვნური სარქველი ჩაუდგეს, რის გამოც მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა მაქსიმუმ 15 წლით განისაზღვრა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, პაციენტმა გამეორებითი სამედიცინო კვლევა ჩაიტარა და აღმოჩნდა, რომ ჩივილები გულის არეში ჩიყვით იყო გამოწვეული. სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს სამართლებრივი გზით ეს ადამიანი და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ექიმებისგან.

— დაბოლოს, იქნებ განმარტოთ, საქართველოს მოქალაქეს რა შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ევროსასამართლოს?

— თუკი პიროვნება თვლის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, რის გამოც მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, მას უფლება აქვს მიმართოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს. აღნიშნული უფლების განსახორციელებლად აუცილებელია სხვა კრიტერიუმთა დაკმაყოფილებაც, კერძოდ, ამოწურული უნდა იყოს ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება და არ უნდა იყოს გასული 6 თვე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან. თუ შარშანდელ მონაცემებს გადავხედავთ, ევროსასამართლოში სულ 44128 განაცხადი შევიდა, მაგრამ დასაშვებობის ეტაპი მხოლოდ 841-მა საქმემ გადალახა... აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ორგანიზაციის თვითმიზანი სულაც არ არის, ევროსასამართლოში საქართველოდან გაგზავნილი საქმეების რიცხობრივი რაოდენობის ზრდა. ჩვენი მიზანია, ისე მოწესრიგდეს ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, რომ აღარ არსებობდეს სტრასბურგში საქმეების გაგზავნის საფუძველი. ამ გზით საქართველოს რეპუტაციასაც გავუფრთხილდებით და ქვეყნის ბიუჯეტსაც მნიშვნელოვნად დავზოგავთ. ■

ათჯერ უფრო გმირები...

5 ოქტომბერს, საერთაშორისო მასწავლებლის დღე აღინიშნა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსულ 69 წარმატებულ პედაგოგს საჩუქრები და ფულადი ჯილდოები გადასცა. სამწუხაროდ, დედასაქართველომ ვერ შეძლო შრომა დაეფასებინა გალის ქართული სკოლის პედაგოგებისათვის, რომლებიც მართლაც გმირობის ფასად ასწავლიან ყმაწვილებს მშობლიურ ენას. მათი დედაქალაქში მოწვევა ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული და არცთუ უსაფრთხოა თავად პედაგოგებისათვის.

ყველა მასწავლებელი გმირია, მაგრამ აფხაზეთისა და შიდა ქართლის (კერძოდ, დიდი ლიახვის ხეობის) პედაგოგები ათჯერ გმირები არიან. ისინი ყველაზე მეტად ჰგვანან ლადო ასათიანის ლექსის ქალებს, სამშობლოს დასაცავად ისე რომ არიან აღმართულები, „ვით ფოლადის ფარები“.

ჩვენ მასწავლებლის დღე მივულოცეთ ქურთის თემიდან ჩამოსულ მშობლიური ენისა და ლიტერატურის პედაგოგს — **თინათინ ძვრივიშვილს** და ცხადია, დიდი ლიახვის ხეობაში შექმნილ სიტუაციაზე ვკითხეთ:

ლელა ჯიყაშვილი

— ეს ორი წელია, მართლა გაგვიჭირდა და გადავიღალეთ. შარშან თამარაშენის სკოლა დაზიანდა, რომელიც წელს უკვე აღადგინეს. ქურთის სკოლაშიც მინები ჩაიმსხვრა. აქედან სამხედრო ნაწილები იყვნენ ჩამოსულები. ჩვენი სკოლის ეზოში დაიღუპა ერთ-ერთი მათგანი — მერაბ ფილიშვილი. ძეგლიც დავუდგით სკოლის ეზოში, ყვავილებით ვამკობთ ყოველდღე. შარშან ფიზკულტურის დარბაზში გაკვეთილი მიმდინარეობდა, როცა ტყვიები დაუშინეს სკოლას. ბავშვებმაც მიიღეს მცირე დაზიანებები.

— რამდენი ბავშვია თქვენს სკოლაში?

— 200 მოსწავლე გვყავს. ქურთიდან არც ერთი ოჯახი არ გახიზნულა. ყველანი ადგილზე ვართ.

— თქვენ რამდენი შვილი გყავთ?

— სამი ვაჟი მყავს.

— როცა მდგომარეობა იძაბება, ბავშვები მაინც არ გამოგყავთ სამშვიდობოს?

— შარშან, როცა მართლა საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, ყველა ბავშვი გამოვიყვანეთ. მე ერთი წუთით არ დამიტოვებია ხეობა, არც გამოვსულვარ. ბავშვები ჩემს მეუღლეს გამოვატანე, ჩემს მშობლებთან ჩაიყვანა ქარელის რაიონში და დაბრუნდა. ომს არ უმოქმედია ჩემზე ისე, როგორც ხეობის დაცლამ იმოქმედა.

— თქვენ რა უშიშარი ბრძანებულხართ!

— ომის დროს გავთხოვდი, შემოვლითი გზით ჩავედი ქურთაში. თქვენ რომ იცოდეთ, რა ხეობაა დიდი ლიახვის ხეობა, მიხვდებით, რომ მისი სიყვარული ბევრს აგატანინებთ.

— თქვენი მოწაფეები როგორ ეგუებიან მძიმე რეალობას?

— თქმა არ უნდა, ნერვული სისტემა დარღვეული აქვთ ბავშვებს. ახლა რომ გამვლელმა ოსებმა ორი ქართველი დაჭრეს ერედვში, ჩვენს ხეობაზეც იმოქმედა. ბავშვებმა საოცარი სევდით მითხრეს პირველსავე გაკვეთილზე: მასწავლებელო, გზები ჩაკეტილია. წარმოიდგინეთ, რა ძნელია, როცა ბავშვებს გზაზე გავლისაც კი ეშინიათ.

— სკოლას რამდენად აქცევენ ყურადღებას დედაქალაქიდან?

— სასწავლო პროცესი ჩვენთან არ შეჩერებულა, ჩვენმა მოსწავლეებმაც ჩააბარეს ეროვნული გამოცდები, მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი. ხშირად გვაკითხავს ქალბატონი მარინა ჟვანია (პროექტ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ავტორი), კომპიუტერებიც შემოგვიტანეს. ჩვენი მინისტრი ალექსანდრე ლომაია ერთხელ არ შემოუშვეს ხეობაში, მეორედ მაინც შემოვიდა. ყველაზე მეტად სახელმძღვანელოები უჭირთ ბავშვებს. პატარა ლიახვის ხეობას გამოუჩნდა კეთილისმყოფელი გორიდან, ბავშვებს წიგნები შეუძინა, ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთი ქველმოქმედი არ გვყავს. მხოლოდ პირველკლასელებმა მიიღეს ჩანთები, წიგნები.

— არაქართველი მოსწავლეები და მასწავლებლებიც გყავთ სკოლაში?

— გვყავს და ძალიან კარგი ურთიერთობაც გვაქვს. ჩემი მეუღლე მეგობრობს ოსებთან, ცხინვალში რომ ცხოვრობენ. გვაქვს მისვლა-მოსვლა. მშვიდობა ყველას გვინდა. თქვენ ჩამოდით ჩვენს ხეობაში, ნახეთ, როგორი კარგი ხალხი ცხოვრობს. მაგრამ ერთსაც ვიტყვი: უკვე ისეთ დღეში ვართ, ერთი პატარა ინციდენტი რომ მოხდეს, იძულებულები ვიქნებით, ყველანი წამოვიდეთ. ჩვენი ხეობა უზომოდ გვიყვარს, მაგრამ დავიღალეთ... ჩვენი შემოვლითი გზის ყველა კუთხე-კუნჭული იციან ოსებმა, ჩვენმა ჟურნალისტებმა ყველაფერი უჩვენეს ტელევიზიით. ოსებსაც აქვთ შემოვლითი გზა, მაგრამ მისი მდებარეობა იქ მცხოვრებლებმაც არ ვიცით. ხომ შეიძლება, ჩვენც უფრო წინდახედულები ვიყოთ. ვინც წამოვა, გამოასწრებს, ჩვენ ვრჩებით...

უკვე ისეთ დღეში ვართ, ერთი პატარა ინციდენტი რომ მოხდეს, იძულებულები ვიქნებით, ყველანი წამოვიდეთ. ჩვენი ხეობა უზომოდ გვიყვარს, მაგრამ დავიღალეთ...

მკურნალობა გარანტიით!

თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, სებორეა, თმის ბუდობრივი ცვენა (ამდის თმა), სოკო, ფსორიაზი, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. იაპონური აპარატით ვაკეთებ მასაჟს. *მჭედლიძე, ბეგაშვილი*

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, II სტომატოლოგ. პოლიკ. ოთ. 28 ☎ 39-39-51; 893-91-89-17; 35-32-62

მკურნალობამდე და შემდეგ

„ყველა დროს თავისი ალუბლის ბაღი აქვს, რომელიც შემდეგ იჩეხება...“

რეჟისორმა გიორგი მარგველაშვილმა, თავისი მასწავლებლისა და დიდი მაესტროს — მიხეილ თუმანიშვილის განუხორციელებელი ოცნება რეალობად აქცია და კინომსახიობის თეატრის სცენაზე ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ დადგა. მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთ ურთულეს ნაწარმოებად აღიარებულ პიესაზე მუშაობა მთელი ორი წელიწადი გრძელდებოდა...

ემა ტუხიაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობის თეატრის ცენტრალური შესასვლელი კარი საგანგებოდ მხოლოდ პრემიერის დღეს გაიღება. მანამდე, შენობაში შეღწევა თეატრის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი კარიდანაა შესაძლებელი. 30 წლის იუბილეს კინომსახიობის თეატრი მხოლოდ პრემიერით კი არა, განახლებული შენობითაც ხვდება. პირველი, რაც თვალში მოგვხვდება, თეატრალური კოსტიუმების გარდერობია. საინტერესოა, რომ გარდერობს შუშის კედლები აქვს, ამიტომ დაკვირვებით შეგიძლია შეათვალიერო ყველა ის სამოსი, რომლითაც მსახიობები უკვე გინახავს ან მალე ნახავ სცენაზე. აშკარაა, რომ პირველ მწკრივში „ალუბლის ბაღის“ კოსტიუმებია გამოფენილი: XX საუკუნის სტილში შეკერილი და ბისერით გაწყობილი კაბა, შავი ფრაკი და მამაკაცის ძველებური შტიბლეტები... დერეფნის ბოლოში, ვიღაც აფიშებზე ზრუნვითაა დაკავებული, ადმინისტრაციაში მოსაწვევების გაგზავნაზე ლაპარაკობენ, სცენიდან კი ებრაული მუსიკის ჰანგები ისმის. „ჩუმად!!! მიმდინარეობს რეპეტიცია!“ — გვაფრთხილებს კულისების კარზე მოთავსებული წარწერა. რა თქმა უნდა, მოთხოვნას ვემორჩილები და ისე ფრთხილად ვაღებ კარს, რომ იქ მყოფი ვერც ერთი მსახიობი ვერ მამჩნევს. მსახიობები ნერვიულად მიმოდიან, იმეორებენ ტექსტს, ქორეოგრაფიულ ილეთებს... სარეკვიზიტო მაგიდაზე მიმოფანტულია ნივთები, რომლებსაც მსახიობები პიესაში გამოიყენებენ. იატაკზე კი, რამდენიმე ძველებური ჩემოდანი დგას — „ალუბლის ბაღის“ მთავარი გმირის, რანევსკაიას სამშობლოში ჩამობრძანებისა და გამგზავრების ძირითადი ატრიბუტი. კულისებიდან დარბაზში გადავდივარ... იქ, სადაც ცოტა ხანში, აპლოდისმენტები იქუხებს, ბატონი რეჟისორი და რამდენიმე მსახიობი იმყოფება. „ისეთი რეაქცია უნდა გქონდეს, როგორიც ჩვეულებრივ, ნორმალურ ადამიანს ექნებოდა და არა ისეთი, როგორიც მსახიობს“, — ამბობს გოგა მარგველაშვილი. დეკორაციებიდან, სცენის შუაგულში ჯერჯერობით მხოლოდ საუკუნოვანი კარადა დგას, რომელიც დროდადრო, პიესის გმირებს ბავშვობას ახსენებს... თბილისში შემოდგომაა, კინომსახიობის თეატრის სცენაზე კი, „მაისი დგას და ალუბლის ხეები ყვავიან“...

— ბატონო გოგი, რამ გადაგაწყვეტინათ „ალუბლის ბაღის“ დადგმა?

— პიესის აქტუალურობამ...

— არ გქონდათ იმის შიში, რომ გენიალურად აღიარებული პიესა შესაძლოა, სათანადოდ ვერ წარმოგეჩინათ სცენაზე?

— მსგავსი შიშის ფაქტორი ყოველთვის არსებობს. წინასწარ არავინ იცის, როგორი იქნება ესა თუ ის ნაწარმოები, გარდასახული სპექტაკლში. შესაძლოა, მაქსიმალურ შედეგს მესამე, მეოთხე ან სულაც, მეათე სპექტაკლზე მიაღწიო. ეს ისეთი მაგიაა, სადაც შედეგი მხოლოდ გარკვეული პროცესის შემდეგ შეიძლება იქნას მიღწეული.

— როგორი განცდა გეუფლებათ, როდესაც ფიქრობთ, რომ „ალუბლის ბაღით“ მიხეილ თუმანიშვილის ოცნების ახდენა მოახდინეთ?

— უდიდესი პასუხისმგებლობაა...

გია აბესალაშვილი, *პიშჩიკის როლის შემსრულებელი:*

— ყველა როლზე მორგება რთულია — არა აქვს მნიშვნელობა, პატარაა ეს როლი თუ დიდი. ამ შემთხვევაში, პიესაც თავისებურია და ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. ზედმეტს ვერაფერს დაამატებ და ვერც გამოაკლებ რამეს. მოგეხსენებათ, რომ ბატონი მიშა თუმანიშვილიც დგამდა „ალუბლის ბაღს“. მაგრამ იქ გამვლელის როლი მქონდა, პიშჩიკს კი, აწ გარდაცვლილი მსახიობი, რეზო იმნაიშვილი განასახიერებდა.

— პრემიერამდე რამდენიმე დღე დარჩა. ღელავთ?

— ამ დროს, ნებისმიერი მსახიობი ღელავს. ზოგს შესაძლოა, გარეგნულად არ ეტყობა, მაგრამ ყველა ნერვიულობს.

რუსუდან ბოლქვაძე, *შარლოტას როლის შემსრულებელი:*

— თუმანიშვილისეულ „ალუბლის ბაღში“ მეც ვთამაშობდი. მაშინაც და ახლაც შარლოტა ვიყავი. მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა, რომ მსახიობებს ერთი როლიდან მეორეზე გადასვლა მოუხდათ — მაგალითად, ნინელი ჭანკვეტაძე ადრე თუ რანევსკაიას შვილს — ანიას ასახიერებდა, ახლა თავად რანევსკაიას როლს ასრულებს. სამწუხაროდ, ჩვენ გვერდით აღარ არის თაზო თოლორაია, რომელიც ლოპახინის როლს ასრულებდა...

— შარლოტა თუ შეიცვალა ამდენი წლის განმავლობაში?

— რა თქმა უნდა, შეიცვალა. უნდა გითხრათ, ბატონმა მიშამ პირველად ამ პიესის როლები 1983 წელს გაანაწილა და ორჯერ, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიუბრუნდა „ალუბლის ბაღს“. მე ორჯერვე შარლოტა ვიყავი. ამიტომ აღარ გამკვირვებია, როდესაც გოგამაც ეს როლი შემომთავაზა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ უკვე 15 წელია, ამ როლზე ვფიქრობ, არადა, სულ ოთხი წინადადება მაქვს მთელი სპექტაკლის განმავლობაში სათქმელი. თუმცა, პიესა საკმაოდ რთულია, ლაკონიური და ამავე დროს, ძალიან ღრმად შინაარსიანი. ალბათ, თუმანიშვილისეული შარლოტა სულ სხვანაირი იქნებოდა, გოგას კი თავისი ხელწერა და დამოკიდებულება აქვს. ამას რომ თავი დავანებოთ, ამასობაში, ჩვენი ცხოვრებაც შეიცვალა, საზოგადოებაც, ეპოქაც, საუკუნეც, პოლიტიკური ფორმაციაც კი შეიცვ-

თბილისში შემოდგომაა, კინომსახიობის თეატრის სცენაზე კი, „მაისი დგას და ალუბლის ხეები ყვავიან“...

ალა. როგორ შეიძლებოდა, შარლოტა არ გამოცვლილიყო?! თუმცა, ისიც უნდა ითქვას — შარლოტა ხომ კლოუნია, კლოუნები კი, თითქმის არ იცვლებიან...

— სასცენო კოსტიუმი როგორ მოირგეთ? ხომ არ გიჭირთ გრძელი საწვიმრის ტარება?

— კოსტიუმს დიდი დატვირთვა აქვს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მსახიობს პატარა როლი აქვს და გინდა, რომ მეტი მოცულობა შესძინო შენს პერსონაჟს. ამიტომ თავდაპირველად, ძალიან ვიჭირვეულე ამ კოსტიუმის გამო... გოგა ამ სპექტაკლს უკვე მეორე წელია დგამს და ესკიზები კოსტიუმებისთვის კიდევ უფრო ადრე იყო შექმნილი... მართალია, ცოტა მიჭირს ასეთი გრძელი საწვიმრით გადაადგილება, თუმცა ვიცოდი, რომ გოგა რაღაც არაბანალურს, არასტანდარტულს და განსხვავებულს შემომთავაზებდა. მაგალითად, წინა სპექტაკლზე მუშაობისას, აკორდეონზე დაკვრა მასწავლა...

— პრემიერის წინ ღელავთ?

— მე ფაქტობრივად, ამ ბოლო დროს გავაქტიურდი, რადგან მხოლოდ ახლა გამოიკვეთა შარლოტას ფუნქცია ამ სპექტაკლში. გოგამ ჯერ მთლიანი სპექტაკლი ააგო და როგორც საკაზმი კერძს, ისე მიუსადაგა ჩემი გმირი პიესას. მოკლედ, შარლოტას მარილისა და წიწაკის ფუნქცია აქვს და ღმერთმა დამიფაროს იმისგან, რომ ან გადავამლაშო, ან კიდევ ცხარე მომივიდეს, ამიტომ ძალიან ვღელავ პრემიერის წინ.

თინათინ კორძაძე, *ვარიას როლის შემსრულებელი:*

— „თავისუფალი თეატრის“ მსახიობი გახლავართ და ბატონმა ავთო ვარსიმაშვილმა გამიწია რეკომენდაცია გოგა მარგველაშვილთან. ჩემთვის დიდი პატივი და სიამოვნება იყო მუშაობა ისეთ მსახიობებთან, როგორებიც არიან: ნინელი ჭანკვეტაძე, რეზო თავართქილაძე, გია აბესალაშვილი, გია როინიშვილი და ა.შ. რაც მთავარია, ეს ჩემი დებიუტია ამ თეატრში. პრემიერამდე სულ ცოტა დრო რჩება, ამიტომაც ძალიან ვღელავ და ეს ბუნებრივიცაა. შესაძლოა, პრემიერამდე რამდენიმე უძილო ღამე გაატარო, ან წინ და უკან იარო და ხმამაღლა იმეორო შენი ტექსტი, რაც უცხო თვალით საკმაოდ უცნაური სანახავია...

მაია გელოვანი, *ანიას როლის შემსრულებელი:*

— მე ბატონი გოგი მარგველაშვილის მოსწავლე გახლავართ, ჩემი პირველი როლი სწორედ ამ თეატრში შევასრულე. თუმცა, მითამაშია „სარდაფში“, სამეფო უბნის თეატრში, „თავისუფალ თეატრში“...

გია როინიშვილი, *ლოპახინის როლის შემსრულებელი:*

— ბატონი მიშას დადგმაში მეც ვთამაშობდი, ოღონდ — მაშინ ტროფიმოვს ვასახიერებდი...

— ლოპახინს როგორ მოერგეთ?

— *(იცინის)* მაგას მაყურებელი ნახავს... ერთი კია, რომ ეს არის ახალი სოციალური ფენა საქართველოში — ლოპახინები: ის გლეხია, გაჭირვებული ოჯახიდანაა გამოსული, მაგრამ მიაღწია იმას, რომ გავლენიანი ფიგურა გახდა.

— როლში უკეთ შესასვლელად, ალბათ, რეალურ ლოპახინებსაც დაესესხეთ რამეს, ხომ?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს რეალური ადამიანები ლოპახინის პროტოტიპები არიან, თუმცა ის განწყობილება, ბუნება თუ ხასიათი, რომლითაც ისინი გამოირჩევიან, მართლაც გამოყენებული მაქვს ჩემს პერსონაჟში.

— ამ პიესაში რომელიმე ფრაზას ხომ არ გამოარჩევთ?

— „დრო გადის, ბატონებო, დრო...“

— ლოპახინის ნივთები უკვე გაქვთ თქვენს საგრიმიოროში?

— დიახ. ეს გახლავთ ლოპახინის პორტსიგარი, „პერსტენი“ და მაჯის საათი. ეს ის ატრიბუტებია, რომლებიც ჩემს პერსონაჟს ყოველთვის სჭირდება. აქვეა ჩემი პერსონაჟის კოსტიუმები.

— თქვენ რა განწყობილება გაქვთ პრემიერამდე ცოტა ხნით ადრე?

— ვცდილობ, არ ვინერვიულო, და საქმე ვაკეთო. მე თვითონ პრემიერის ყურება არ მიყვარს: ეს ხომ სპექტაკლი არ არის. მირჩევნია, მაგალითად, ჩემი კოლეგების მე-19 ან მე-20 სპექტაკლი ვნახო, სადაც მსახიობები უკვე კარგად გრძნობენ თავს. პრემიერა კი ნიშნავს: ბევრ ნერვიულობას, ღელვას — მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ჩეხოვს... სხვათა შორის, სულ იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ მიიღებს ქართველი მაყურებელი ჩეხოვს. ამბობენ — ჩეხოვის პიესები არ არის ქართველებისთვის დაწერილიო. მაგრამ თუ კარგად გადაიკითხავთ „ალუბლის ბაღს“, აღმოაჩენთ, რომ „ალუბლის ბაღია“ ჩვენი სამშობლო. მართალია, ჩემი გმირი მთელი პიესის განმავლობაში ამბობს, რომ ალუბლის ბაღი უნდა გაიჩეხოს, მაგრამ მას უყვარს თავისი სამშობლო, ხვდება, რომ ამ ფორმით ეს ბაღი ნაყოფს ველარ გამოიღებს... ჩემი გმირი საღად მოაზროვნე რეფორმატორია, რომელიც სხვებსაც მოუწოდებს განახლებისკენ. ყველა დროს თავისი ალუბლის ბაღი აქვს, რომელიც შემდეგ იჩეხება; მერე მოდიან ახალი ადამიანები და ახალ ალუბლის ბაღს აშენებენ... ■

სანგარეოა, რომ გარდერობს შუშის კედლები აქვს, ამიტომ დაკვირვებით შეგიძლია შეათვალიერო ყველა ის სამოსი, რომლითაც მსახიობები უკვე გინახავს ან მალე ნახავ სცენაზე

კრიმინალური სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ავტომობილების გატაცების პრობლემა ჩვენს ქვეყანაში კვლავ აქტუალურად დგას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი საავტომობილო დაცვითი მექანიზმი, ხალხში გავრცელებული ე.წ. „სიგნალიზაცია“. კომპანია "MUL-T-LOK Security Products"-ის წარმომადგენლობა საქართველოში, მძღოლებს ისეთ დაცვით სისტემას სთავაზობს, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული, ხოლო ამ პროდუქციის მწარმოებელი კომპანია, დაცვითი სისტემების უმსხვილეს მწარმოებელთა ხუთეულში შედის.

"MUL-T-LOK" – მძღოლების სიმშვიდის გარანტი

კახა კვაშილავა, *კომპანიის საინსტალაციო ოფისის მენეჯერი:*

— უკვე 30 წელია, რაც ისრაელის კომპანია "MUL-T-LOK Security Products" წარმატებით მოღვაწეობს მსოფლიოს უმსხვილეს ბაზრებზე. კომპანიას საკუთარი წარმომადგენლობები აქვს გერმანიასა და ჩინეთში. აღნიშნული კომპანია აწარმოებს ავტომობილის გადაცემათა კოლოფის ჩამკეტ მოწყობილობას და ავტომობილის მფლობელს აძლევს სიმშვიდის გარანტიას. აქვე მინდა გითხრათ, რომ კომპანია ყოველწლიურად აუმჯობესებს მის მიერ წარმოებულ პროდუქციას და დაცვის ხარისხის გარდა, დამცავი სისტემის დიზაინის დახვეწაზეც ზრუნავს. ახლა უკვე არსებობს MVP-50 და MVP-52-ის ტიპის ჩამკეტები, რომლებიც შესანიშნავად ერწყმის ნებისმიერი მოდელის ავტომობილის დიზაინს. ჩვენ გახლავართ კომპანია "MUL-T-LOK Security Products"-ის დისტრიბიუტორები ამიერკავკასიაში და უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში მათი პროდუქცია მხოლოდ მას შემდეგ შემოვიტანეთ, რაც შევისწავლეთ ისრაელისა და რუსეთის ბაზარი. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული კომპანიის პროდუქცია ამ ბაზრებზე დიდი ნდობითა და პოპულარობით სარგებლობს.

— ახლა უშუალოდ დამცავი მოწყობილობის მუშაობის მექანიზმი აგვიხსენით, თუ შეიძლება.

— დამცავი მოწყობილობა ავტომობილის იატაკზე სულ რამდენიმე ჭანჭიკით მაგრდება; ისინი ისე ერწყმის მოწყობილობას, რომ სპეციალური ხელსაწყოს გარეშე მათი მოხსნა-მოშვება ფაქტობრივად, შეუძლებელია. დამცავი ხელსაწყო შედგება ნაწილობრივ ტიტანის მასალისგან დამზადებული ღერძისგან, რომელიც გადაცემათა კოლოფის ბერკეტის (იმავე „რიჩაგის“) მთავარი ჩამკეტი მექანიზმია. ტიტანის მასალა აქ შემთხვევით არ მიხსენებია: ამ ლითონისგან დამზადებული ღერძის გადახერხვა ფაქტობრივად, შეუძლებელია. დამცავი მექანიზმის — იმავე ბლოკილატორის (ეს მისი საერთაშორისო სახელწოდებაა) კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია, ინდივიდუალური კოდის მქონე გასაღები, რომლის დუბლიკატის დამზადება, ამ კოდის ჩიპის გარეშე, წარმოუდგენელია. საერთოდ, ყველა დამცავი მექანიზმის ინსტალაციის შემდეგ, თითოეული ავტომობილის მძღოლს 3 ასეთ გასაღებს ვაძლევთ. მაგრამ თუ ის სამივეს დაკარგავს, მის ჩიპს — ანუ გასაღების კოდს — ვაგზავნით ისრაელში და იქ, ჩვენი კომპანიის სათავო ოფისში მისი მანქანის დამცავი მექანიზმის სარგო გასაღებს დაგვიმზადებენ.

— როდესაც "MUL-T-LOK"-ის დამცავი სისტემები შემოგქონდათ, ალბათ, ქართველი გამტაცებლების ხასიათის თავისებურებების გათვალისწინებასაც ცდილობდით...

— უნდა ვაღიარო, რომ ავტომობილების ქართველი გამტაცებლები ძალზე ჭკვიანები არიან, ამიტომ სპეციალურად ჩვენი მომხმარებლისთვის დამცავ მექანიზმს (რა თქმა უნდა, სათავო ოფისის ნებართვით) რამდენიმე დეტალი დავუმატეთ. მაგალითად, თუ რუსეთში ბლოკილატორი მხოლოდ ორი ჭანჭიკით მაგრდება, საქართველოში მის დასამაგრებლად ოთხს ვიყენებთ. ალბათ, ამითაც არის გაპირობებული, რომ საქართველოში ჯერ არ დაფიქსირებულა ფაქტი, რომ გატაცებული ყოფილიყო "MUL-T-LOK"-ით აღჭურვილი ავტომობილი. მთავარია, რომ თავად მძღოლმა არ გამოიჩინოს დაუდევრობა და დამცავი მექანიზმი შესაბამისი ღერძით ჩაკეტოს. მეტსაც გეტყვით: ჩვენი დაკვირვებები ცხადყოფს, რომ მძარცველი უკვე აღარც კი ცდილობს იმ ავტომობილის გატაცებას, რომელსაც ჩვენ მიერ დაყენებული დამცავი მექანიზმი აქვს.

— დღეს, დროს ოქროს ფასი აქვს. რამდენი ხანია საჭირო დამცავი მექანიზმის ჩასაკეტად და გასახსნელად?

— ჩვენ ისიც გავითვალისწინეთ, რომ მძღოლებისთვის ამ მექანიზმის დამონტაჟების პროცედურაც გაგვიიოლებინა და თბილისში უკვე ორი საინსტალაციო პუნქტი გავხსენით: ერთ-ერთი, ავტომობილების ახალი ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეორე კი — ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარეობს. მექანიზმის დამონტაჟების პროცესი 2-4 საათი გრძელდება. რა თქმა უნდა, დამცავი მექანიზმის შემქმნელებმა მომხმარებლის მოთხოვნებიც გაითვალისწინეს და მისი ექსპლუატაციაც მაქსიმალურად გამარტივეს. ასე რომ, ბლოკილატორის ჩასაკეტად და გასაღებად მაქსიმუმ 10 წამია საჭირო.

— თქვენ ბრძანეთ, რომ რუსეთისა და ისრაელის ბაზარი შეისწავლეთ. ამ პროდუქციის შემოტანისას, ქართველი მომხმარებლის სოციალური დონე თუ გაითვალისწინეთ?

— რა თქმა უნდა. კომპანია "MUL-T-LOK"-მა, საქართველოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მისი პროდუქცია საქართველოში ოფტიმალურ და მისაღებ ფასად შემოიტანა. მაგალითად, თუ მოსკოვში ასეთი ბლოკილატორის ინსტალაცია დაახლოებით 400 დოლარი ჯდება, ჩვენთან სრული სერვისის ღირებულება 330-დან 400 ლარამდე მერყეობს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ინსტალაციას ახორციელებს სპეციალისტი, რომელმაც ისრაელში, "MUL-T-LOK Security Products"-ის ცენტრალურ ოფისში გაიარა სპეციალური სასწავლო კურსი.

საინსტალაციო ოფისის მისამართია: ავტომანქანების ახალი ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, მშენებარე ამერიკის საელჩოს გვერდით.
T: (99532) 45-18-18; 899 64-64-50
სათავო ოფისი: 0160 თბილისი, გამსახურდიას გამზირი №41
ტელ/ფაქსი: (99532) 38-28-38
ელ ფოსტა: iss@iss.ge
www.iss.ge

საშინელი მკვლელობის ყველაზე შემზარავი ვერსია

„ჩემი ქალიშვილის მკვლელი მისი ქმარია“

შესაძლოა, ახლო მომავალში, ერთ-ერთ ყველაზე საშინელ, დღემდე ბურუსით მოცულ, გაუხსნელ მკვლელობას აეხადოს ფარდა. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი აქვს შვილმოკლულ დედას, რომელიც ადვოკატის დახმარებით ამ დღეებში, გენერალურ პროკურატურაში საჩივრის შეტანასა და მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით შემზარავი ვერსიის შესახებ განცხადების გაკეთებას აპირებს. „საშინელი დანაშაული მოხდა და დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ვინც არ უნდა იყოს, მან პასუხი უნდა აგოს ჩემი შვილის მკვლელობისთვის. გაუბედურებული დედა, მივმართავ სამართალდამცველებს, ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთონ ამ საშინელი დანაშაულის დაფარვის მცდელობა და არ დაუშვან, რომ ეს საქმე, როგორც გაუხსნელი, წლობით იდოს თაროზე“, — აცხადებს მოკლულის დედა ლ. ბ-შვილი (ქალბატონის სახელსა და გვარს სრულად, მისივე თხოვნით, არ ვაქვეყნებთ. დაზარალებულისა და მისი ადვოკატის თქმით, საქმეზე ძიების ოფიციალურად განახლებამდე, მოსალოდნელი გართულებებისა და საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ასე უმჯობესი იქნება. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ინიციალებით დავაფიქსირებთ დანარჩენ პირთა ვინაობასაც).

მეგი ცანავა

საქმე 2003 წლის 2 აპრილს, თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მომხდარ მკვლელობას ეხება. მოკლული, თბილისელი, 29 წლის მ. ბ-შვილი გახლდათ. მკვლელის ვინაობა დღემდე გაურკვეველია. თუმცა, როგორც დაზარალებული ქალბატონი აღნიშნავს, დამნაშავე მხოლოდ ოფიციალურად არ სახელდება და მას არავინ აპატიმრებს, სინამდვილეში, სამართალდამცველებისთვის მისი ვინაობა ცნობილია. *„ყველაფერი ისე ჩანს, თითქოს, ქალიშვილი გაურკვეველ ვითარებაში მომიკლეს. გამოძიებამ თავიდანვე განგებ აიღო ასეთი გეზი. თუმცა, საქმის მასალებს რომ ჩახედოთ, იქ გაურკვეველი არაფერია. დამნაშავე აშკარად იკვეთება. ძალიან მიჭირს ამის აღიარება და დაჯერება, მაგრამ ყველაფერს მაინც ამ ყველაზე შემზარავ და წარმოუდგენელ ვერსიამდე მივყავარ: ჩანს, რომ დამნაშავე სხვა არავინაა, თუ არა ჩემი სიძე...“* — აცხადებს დაზარალებული. თუ რამ მიიყვანა მოკლულის დედა ამ შემზარავ დასკვნამდე, ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი, მომხდარი ფაქტის ოფიციალურად დაფიქსირებულ დეტალებს გადმოგცემთ.

გამოძიების მასალების მიხედვით, მკვლელობის მომენტში, შემთხვევის ადგილზე მ. ბ-შვილის გვერდით ერთადერთი ადამიანი — მისი მეუღლე, დ. ლ-შვილი იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ მოკლულის ქმარი 1987 წლიდან მოყოლებული, შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, ერთხანს კი, სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის მოადგილეც გახლდათ. 2002 წლის აპრილიდან, ის კადრების განკარგულებაში იმყოფებოდა. მ. ბ-შვილზე 1989 წელს დაქორწინდა და მას შემდეგ, მთელი 14 წლის მანძილზე, ისინი ერთად ცხოვრობდნენ. შეეძინათ ვაჟი, რომელიც იმ დროისთვის, როცა მკვლელობა მოხდა, 12 წლის იყო. ქმარი ცოლზე ბევრად უფროსი გახლდათ, მაგრამ როგორც ახლობლები აღნიშნავენ, ასაკობრივი სხვაობა მათ ურთიერთობას ხელს არ უშლიდა. მოკლულის დედაც აღნიშნავს, რომ მის სიძეს მეუღლე თავდავიწყებით უყვარდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა: დაზარალებულის თქმით, ბოლო წლებში, ქალიშვილი სულ უფრო ხშირად იყო განერვიულებული და ნაღვლიანი, ამის მიზეზს არ ამხელდა, მაგრამ დედა ხვდებოდა, რომ შვილი ქმარზე ეჭვიანობდა. როგორც ის ამბობს, ბოლოს, ქალიშვილი გამოუტყდა კიდეც იმაში, რომ მას ქმარი ღალატობდა და ამის გამო ოჯახში ხშირი კონფლიქტი ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ გამოძიების მასალებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ოფიციალური ცნობების თანახმად, 2003 წლის 2 აპრილს, ცოლ-ქმარი თავიანთი ავტომანქანით, დიღმის მასივიდან შინისკენ მიემგზავრებოდნენ. გზაში მანქანა გაფუჭდა. ცოლ-ქმარი გადავიდა. სწორედ ამ მომენტში, უეცრად, მათ უკან უცნობმა მამაკაცმა ჩაირბინა. გაისმა გასროლის ხმა. ცოლმა შეშინებული სახით შეხედა ქმარს, შემდეგ ქუჩა სირბილით გადაჭრა და მოპირდაპირე მხარეს, ბორდიურთან წაიქცა... ქმარი მას მაშინვე დაედევნა და როცა გრძნობადაკარგულ ცოლს დაადგა თავზე, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და საშველად ხალხს უხმო. მ. ბ-შვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, რადგან ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა ძალზე მძიმე აღმოჩნდა. მომხდართან დაკავშირებით პოლიციასაც აცნობეს. სამართალდამცველებმა მაშინ **დ. ლ-შვილი** მოწმის სახით დაჰკითხეს:

„2003 წლის 2 აპრილს, საღამოს, დაახლოებით 20.40 საათზე, ჩემი საკუთარი ავტომანქანით, „ვაზ 21011“-ით მეუღლესთან ერთად ნათესავთან მივედი, დიღმის მასივში. იქ მხოლოდ 10 წუთი გავჩერდით, პირად საქმეზე დავილაპარაკეთ და წამოვედით. მეუღლე მანქანაში, წინა სავარძელზე დაჯდა. კორპუსის ეზოდან რომ გამოვდიოდი, სანაპიროზე, მარჯვენა მხარეს მანქანა ჩამიქრა. შევეცადე, მანქანის მიერ აღებული ინერციით დამექოქა ძრავა, მაგრამ არ დაიქოქა და მანქანა ბორდიურთან გაჩერდა. ჩავაქრე ფარები და კვლავ შევეცადე დაქოქვას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. გადავედი მანქანიდან, ავხადე კაპოტი და მანქანას მარჯვენა მხრიდან მივუდექი, რათა „კლემებზე“ წყალი დამესხა. ამ დროს, ჩემმა ცოლმა ოდნავ შეაღო წინა კარი და მითხრა — მგონი, უკანა კარია ღიაო. ვუთხარი — დაკეტე-მეთქი. გადმოვიდა და დაკეტა. თუმცა, მანქანაში აღარ ჩამჯდარა, ჩემთან მოვიდა და მკითხა — რას შვრებიო? სწორედ ამ მომენტში, ვიღაც მამაკაცმა გაირბინა ჩვენ უკან. თვალი რომ შევავლე, ის უკვე შუა გზაზე იყო. მისი გარბენის დროს, გასროლის ხმაც გავიგონე, ჩემგან მარცხენა მხრიდან. შევხედე მეუღლეს. მას გაკვირვებული სახე ჰქონდა. მინდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ამ დროს, მან ზურგის მხრიდან შემომიარა და გაიქცა; ჩვენს მანქანას წინ ჩაურბინა და მარჯვნივ, მტკვრის მხარეს გადავიდა. მეც გავყევი სირბილით. მაგრამ ზუსტად იმ მომენტში, დიღმის მხრიდან გლდანის მიმართულებით, დიდი სიჩქარით მოდიოდა ავტომანქანა „ნივა“. მას ვერ გადავუსწარი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ნივამ“ გაიარა, დავინახე, რომ ჩემი ცოლი წაქცეული იყო. მივვარდი ცოლს, გადმოვაბრუნე და მაშინ ხელით სისველე ვიგრძენი. მივხვდი, რომ მას ტყვია მოხვდა. ავტეხე ყვირილი, ხალხს ვთხოვდი შველას. იქვე, მაღაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ბიჭი იდგა. ჩემს დასახმარებლად წამოვიდნენ. მე თავის მხრიდან ავწიე ჩემი მეუღლე ხელში, იმ ბიჭებმა — ფეხების მხრიდან და ასე მივიყვანეთ იგი ჩემს მანქანამდე. ერთ-ერთმა გააღო მანქანის უკანა კარი და შემაყვანინა მეუღლე სალონში. მე საჭეს მივუჯექი. ერთი ბიჭი გვერდით დამიჯდა, მეორე კი — უკანა სავარძელზე დაჯდა; მას ჩემი მეუღლის თავი ეჭირა. ამ დროს, მანქანა ისევ არ დაიქოქა; მაშინ ვიღაცები მოაწვნენ მანქანას და როგორც იქნა, ძრავა ამუშავდა. სასწრაფოდ წავედი საავადმყოფოსკენ. საავადმყოფოში შესასვლელი კარი დაკეტილი დაგვხვდა. მანქანა განგებ დავაჯახე კარს და ისე გავაღე. მივედით ბავშვთა რესპუბლიკურში. საავადმყოფოს წინ დავიწყე ყვირილი, ექიმებს ვუხმობდი დასახმარებლად. შენობიდან იმ მომენტში, ახალგაზრდები გამოვიდნენ. როცა ნახეს,

რა დღეშიც ვიყავი, შებრუნდნენ შენობაში და ექიმი და ექთანი გამოიყვანეს. ექიმმა ჩემს ცოლს რომ დახედა, მითხრა — აქვე, 200 მეტრშია სხვა საავადმყოფო და იქ მიიყვანეო. ამჯერად ჩემი მანქანის საჭესთან სხვა დაჯდა, ზუსტად არ მახსოვს, ვინ. მე უკანა სავარძელზე მოვთავსდი და მეუღლის თავი დავიჭირე. ახალგაზრდები მოაწვნენ მანქანას, დაიქოქა, მაგრამ იქვე, ეზოში, გასასვლელთან კვლავ ჩაქრა. ახალგაზრდები ისევ მოაწვნენ და ასე, როგორც იქნა, მივაღწიეთ საავადმყოფომდე. ჩემს ყვირილზე ექიმები გამოვიდნენ, მაგრამ ჩემი ცოლი საავადმყოფოში აღარ შეიყვანეს, რადგან ის უკვე გარდაცვლილი იყო...“

ჩვენებაში ნახსენები ახალგაზრდების ვინაობა უცნობი დარჩა. დ. ლ-შვილს მათთვის სახელები და გვარები არ უკითხავს. მან ისიც აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილზე, გასროლამდე, რაიმე კონფლიქტი ან ჩხუბი არ შეუნიშნავს, არ დაუნახავს არც საეჭვო პირი, ვისთვისაც სავარუდოდ, უცნობ მამაკაცს უნდა ესროლა. მოკლულის ქმარი ამბობს, რომ მას არც ის დაუნახავს, კონკრეტულად იმ მამაკაცმა ისროლა თუ არა. ასევე ვერ შეძლო მისი გარეგნობისა და ტანსაცმლის დეტალურად აღწერა. საგულისხმოა სხვა მოწმეების ჩვენებებიც. ისინი ძირითადად, იქვე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეები არიან. არც ერთ მათგანს სროლის ან რაიმე ჩხუბის ხმა იმ საღამოს არ გაუგონია.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე, გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მუხლით აღიძრა. დანაშაულში ეჭვმიტანილი გამოძიებას არ ჰყავდა. დ. ლ-შვილის მიერ ნახსენები უცნობი მამაკაცის ვინაობის დადგენა ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, რადგან ოფიციალური ცნობებით, დიღმის ტერიტორიაზე მკვლელობის დღეს არანაირი სხვა შემთხვევა — ჩხუბის, დაჭრის ან მსგავსი დანაშაულის ფაქტი არ დაფიქსირებულა, არც გასროლის მოწმე ან „უცნობის“ მნახველი ჩანდა ვინმე, დ. ლ-შვილის გარდა. სამართალდამცველებმა დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო, ბალისტიკური, ფიზიკო-ტექნიკური და ბიოლოგიური ექსპერტიზები. პოლიციამ შემთხვევის ადგილზე მასრა იპოვა, მაგრამ ტყვიის გულას, როგორც ამბობენ, ვერსად მიაგნო. სამართალდამცველთა თქმით, გასროლა „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან მოხდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე შემავალი და გამომავალი ცეცხლსასროლი ჭრილობები დააფიქსირეს, განსაზღვრეს ტყვიის ტრაექტორიაც, აღწერეს შინაგანი ორგანოების დაზიანებები, დაადგინეს სიკვდილის მიზეზი. ექსპერტების დასკვნების შემდეგ, დ. ლ-შვილის ჩვენებამ ბევრი ეჭვი წარმოშვა.

ლ. ბ-შვილი, მოკლულის დედა:

„ამ ამბავმა თავზარი დამცა და სრულიად გამანადგურა. გაუბედურებული დედა ვიყავი და პირველ ხანებში, ფაქტებს რეალურად ვერ აღვიქვამდი. ვიცოდი, რომ ჩემი შვილის მკვლელობის ერთადერთი მოწმე ჩემი სიძე იყო. ამაში საეჭვო არაფერი დამინახავს და ყოველი მისი სიტყვის მჯეროდა. თავადაც დათრგუნვილი ჩანდა მომხდარის გამო და მეუბნებოდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რათა დამნაშავე დასჯილიყო. მასთან ერთად, მისი მეგობარი ქალბატონი (როგორც ჩემი სიძე დღემდე ირწმუნება, ისინი ნათესავები არიან, თუმცა, მათი ურთიერთობა ყოველთვის საეჭვოდ მეჩვენებოდა და თავის დროზე ყოველივე ეს ეჭვს ბადებდა ჩემს ქალიშვილშიც) აქტიურობდა. ორივე ერთად მპირდებოდა, რომ უახლოეს მომავალში დააჭერინებდნენ მკვლელს. მათი იმედი მქონდა კიდეც, რადგან ორივენი სამართალდამცავ სისტემაში მუშაობდნენ. ჩემი სიძე წლების მანძილზე შს სამინისტროს თანამშრომელი და ერთ დროს თანამდებობის პირი იყო, ის ქალბატონი კი, მაშინაც და დღესაც, ქალაქის პროკურატურაში ერთ-ერთი განყოფილების პროკურორი გახლავთ. აქედან გამომდინარე, დანაპირებიც რეალური მეჩვენებოდა. საქმე თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში აღიძრა. დაიწყო გამოძიება. დრო გადიოდა და ვხედავდი, რომ საქმე წინ არ მიიწევდა. ჩემი შვილის მკვლელობის გახსნის სურვილს ვერავის ვატყობდი. ბოლოს, თავად დავინტერესდი ძიების მასალებით. დაზარალებული ვიყავი და ვიცოდი, რომ ამის უფლება მქონდა. ექსპერტიზების დასკვნებს გავეცანი, რის შემდეგაც, უამრავი კითხვა გამიჩნდა. გამომძიებლებს ვთხოვდი, აეხსნათ და გამოერკვიათ საქმეში არსებული წინააღმდეგობები. მეთანხმებოდნენ, მპირდებოდნენ, მაგრამ ჭეშმარიტების დასადგენად, რეალურად არაფერს აკეთებდნენ. აშკარა გულგრილობა და უმოქმედობა გამოიჩინეს. როგორც შემდეგ მივხვდი, ესეც მიზანმიმართულად ხდებოდა, მათ ძიების ჩიხში შეყვანა და საქმისთვის სულ სხვა მიმართულების მიცემა თავიდანვე დაგეგმილი ჰქონდათ. დ. ლ-შვილის ჩვენებები გამოძიების მიერ გაზიარებული იყო, თუმცა, საქმეში დაფიქსირებული ბევრი დეტალი ეწინააღმდეგებოდა მის სიტყვებს. ამ წინააღმდეგობების ახსნას ის ყოველთვის თავს არიდებდა. მივხვდი, რომ ჩემი სიძე ცრუობდა მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით“.

დავით მუსიაშვილი, დაზარალებულის ადვოკატი:

„აღსანიშნავია, რომ გამოძიება ფაქტობრივად, არც ჩატარებულა. საქმეზე მოწმის სახით დაჰკითხეს მოკლულის მეუღლეც, ასევე, მისი ნათესავი ქალბატონი — ქალაქის პროკურატურის თანამშრომელი, ვისთანაც, როგორც თავად დ. ლ-შვილი ამბობს, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე შეიარა; აგრეთვე, შემთხვევის ადგილის მიმდებარე კორპუსების მცხოვრებნი. თუმცა, არც ერთი მოწმე კრიტიკულად არ დაუკითხავთ. ვერსია, რომელიც დ. ლ-შვილმა გამოძიებას შესთავაზა, ცალსახად იქნა გაზიარებული და უტყუარად მიჩნეული. მისი ჩვენება კრიტიკულად არ შეუფასებიათ საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში. მკვლელობა საღამოს საათებში მოხდა, მაშინ, როცა შემთხვევის ადგილის მახლობლად მცხოვრებ პირებს არ ეძინათ. მობინადრეების განმარტებით, იმ საღამოს, გასროლის ხმა არ გაუგონიათ და ამას ადგილი რომ ჰქონოდა, აუცილებლად გაიგონებდნენ. არც ჩხუბის ფაქტი შეუნიშნავს ვინმეს. დ. ლ-შვილი ჩვენებებში ამბობს, რომ გასროლის მომენტამდე გაიგონა აჩქარებული ნაბიჯის ხმა, რომელიც სირბილს წააგავდა. ფეხის ხმის მოახლოებასთან ერთად, გაიგონა გასროლის ხმაც; შემდეგ, მისმა მეუღლემ, რომელიც მის გვერდით იდგა, შემოუარა ბორდიურთან გაჩერებულ ავტომანქანას წინა მხრიდან, გადაირბინა გზის სავალი ნაწილი, დაახლოებით 12-15 მეტრი და მხოლოდ მაშინ წაიქცა გზის მეორე ნაპირთან. აქვე აღსანიშნავია, მოკლულის სხეულზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნის მიხედვით, ტყვიის გულამ მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანოები დააზიანა, ჭრილობა სასიკვდილო იყო. დაზიანებული გახლდათ გული, ფილტვი, ღვიძლი და კუჭი. ექსპერტების თქმით, ასეთი დაზიანებების მიღების შემთხვევაში, დაჭრილი უმალ წაიქცეოდა, 12-15 მეტრის მანძილის გარბენას კი, თანაც ტრასაზე — მოძრავ მანქანებს შორის — ვერაფრით შეძლებდა. ამასთანავე, დ. ლ-შვილის მიერ აღწერილ ვითარებაში, დაჭრილის ასეთი მოქმედება არალოგიკურად უნდა ჩაითვლოს. გაუგებარია, სად და რისთვის გარბოდა მოულოდნელად დაჭრილი მ. ბ-შვილი, მაშინ, როცა იმ მომენტისთვის „უცნობი მამაკაცი“ უკვე გაქცეული და თითქმის თვალს მიფარებული იყო. ლოგიკურად, დაჭრილს შველა გვერდით მდგომი მეუღლისთვის უნდა ეთხოვა, ის კი, ამის ნაცვლად, ჩვენების მიხედვით, მისგან გაიქცა და რატომღაც გზის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა. ასეთი არალოგიკური და რეალობასთან შეუსაბამო ჩვენება დაბნეულობისას შეთხზულ ამბავს უფრო ჰგავს. როცა დ. ლ-შვილი დაიკითხა, მკვლელობა ახალი მომხდარი იყო და შესაძლოა, ის დაბნეულიც გახლდათ, მაგრამ ფაქტების გამოგონება რაში დასჭირდა, ეს სხვა საკითხია. თუმცა, წინააღმდეგობა მხოლოდ ამ ერთი დეტალით არ ამოიწურება. ყველაზე დიდი შეუსაბამობა, რაც დ. ლ-შვილის ჩვენებასა და ექსპერტიზის დასკვნებს შორის ფიქსირდება, იარაღიდან გასროლის ფაქტს ეხება. დ. ლ-შვილის ჩვენების მიხედვით, მის ცოლს უცნობმა მამაკაცმა მაშინ ესროლა, როცა ეს უკანასკნელი გარბოდა. აქედან გამომდინარე, მორბენალსა და მ. ბ-შვილს შორის დაშორება სროლის მომენტში, სულ მცირე, ერთი მეტრი მაინც იქნებოდა. მით უმეტეს, დ. ლ-შვილის ჩვენებიდან გამომდინარე, უცნობი სავარაუ-

დოდ, სხვას მისდევდა და ის იარაღს მის ცოლს ახლო მანძილიდან არ დაუმიზნებდა. ჩანს, რომ მ. ბ-შვილი შემთხვევით დაიჭრა და მას სხვისთვის გამიზნული ტყვია მოხვდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა კი ამას აშკარად ეწინააღმდეგება: დასკვნის მიხედვით, ტყვია მიბჯენითაა ნასროლი. მიბჯენით სროლის კვალი დაფიქსირდა მოკლულის ტანსაცმელზეც. სხეულში შეღწეული ტყვია მიმართულია ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ. შემავალი დაზიანება დაფიქსირებულია მარცხენა ბეჭის მხარეს, გამომავალი კი — მუცლის არეში. ასეთი ტრაექტორიით დაზიანებას მ. ბ-შვილი მისი ქმრის მიერ აღწერილ ვითარებაში ვერანაირად ვერ მიიღებდა. აქედან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ დ. ლ-შვილი ცრუობს. იმის გამო, რომ ის რეალურ ფაქტს მალავს. ჩნდება მკვლელობის სხვა ვერსია: როგორც დაზარალებული — მოკლულის დედა ამბობს, ბოლო პერიოდში, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. ისინი ხშირად ჩხუბობდნენ. ამის მიზეზი კი, ცოლის ეჭვიანობა გახლდათ. ის ფიქრობდა, რომ ქმარი მას ღალატობდა. შესაძლოა, შემთხვევის დღესაც გამეორდა ჩხუბის სცენა, სწორედ მაშინ, როცა დ. ლ-შვილი, ნათესავის, პროკურორი ქალბატონის სახლიდან გამობრუნდა. იქიდან წამოსულ ცოლ-ქმარს შორის მანქანაში უსიამოვნო საუბარი შედგა. ქმარი ცოლის ეჭვებს უარყოფდა, ის კი მაინც ჯიუტად იმეორებდა თავისას. არ არის გამორიცხული, რომ ნერვებაშლილმა ქმარმა მეუღლის გასაჩუმებლად და დასაშინებლად ამოიღო იარაღი, რომელსაც ბოლო დროს ატარებდა და გაღიზიანებულმა და წონასწორობადაკარგულმა, გვერდით სავარძელზე მჯდომ მეუღლეს ზუსტად მარცხენა ბეჭზე (ზურგის მხრიდან) მიადო ლულა. ამ მომენტში, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. შესაძლოა, გაბრაზებულმა, სასხლეტს განზრახ გამოჰკრა ხელი; შესაძლოა, გასროლა გაუფრთხილებლობითაც მოხდა — მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მძღოლმა ჩხუბის მომენტში ცალი ხელით საჭე ვერ დაიმორჩილა, მანქანა დაამუხრუჭა და ძლიერი ბიძგის დროს, ინსტინქტურად დააჭირა სასხლეტს თითი. ასეთ შემთხვევაში, ტყვია ზუსტად იმ მიმართულებას მიიღებდა, რომელიც ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე დაფიქსირეს. ტყვიის ტრაექტორია, შემავალი და გამომავალი დაზიანებები ამ მდგომარეობას შეესაბამება, მორბენალი პირისგან ნასროლს კი არაფრით ჰგავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საეჭვოდ გაუჩინარდა ტყვიის გულა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, პოლიციამ მასრა ამოიღო, გულა კი — არა. თუმცა, იგი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაკარგულიყო. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ტყვიის გულამ გაიარა მ. ბ-შვილის სხეული და გამოაღწია გარეთ. ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით კი, გარდაცვლილის ტანსაცმელზე — კერძოდ, მაისურსა და ჯემპრზე — აღინიშნება მხოლოდ ტყვიის შემავალი დაზიანება. საქმეში წარმოდგენილია შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტოსურათი, სადაც მ. ბ-შვილი ასვენია ავტომანქანის უკანა სავარძელზე. ფოტოდან ჩანს, რომ მას მაისურიც და ჯემპრიც ჩატანებული აქვს შარვალში, რომელიც ქამრით აქვს შეკრული. ასეთივე მდგომარეობაში უნდა გადაესვენებინათ ის ექსპერტიზის ჩასატარებლად. ტყვიის გულა, რადგანაც მან ტანსაცმელში ვერ გამოაღწია, მაისურსა და სხეულს შორის უნდა ჩარჩენილიყო. ჩნდება კითხვა — როგორ უნდა დაკარგულიყო იგი? ხომ არ ჰქონდა ადგილი მის გადამალვას დაინტერესებული პირის მიერ? ნაპოვნი ტყვიის მასრა ნასროლია „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის იარაღიდან. იგი გზის სავალ ნაწილზე იპოვეს. დ. ლ-შვილის ჩვენების მიხედვით, მისი ავტომანქანა იდგა ბორდიურთან, მტკვრის სანაპიროზე, კორპუსების მხარეს, პირით დიდუბის ხიდისკენ. პიროვნება კი, რომელმაც თითქოს, მის ცოლს ესროლა, მანქანის უკანა მხრიდან მორბოდა, დიდუბის ხიდის მიმართულებით. „სტეჩკინის“ და „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან გასროლისას, ტყვიის მასრა ყოველთვის მარცხნიდან მარჯვნივ ვარდება. ამ შემთხვევაშიც მასრა უნდა დავარდნილიყო არა მარცხნივ — გზის სავალ ნაწილზე (სადაც იპოვეს), არამედ მარჯვნივ — სკვერის მხარეს. ფაქტია, რომ ტყვიის გულა განგებაა გადამალული, არარეგისტრირებული იარაღის მასრა კი, შემთხვევის ადგილზე მოგვიანებითაა დაგდებული; კარგად ვერ გათვალეს და დ. ლ-შვილის ჩვენებისთვის შეუსაბამო ადგილას დაგდეს. გულას გადამალვის ფაქტი კი იმას მოწმობს, რომ გასროლა მოხდა რეგისტრირებული იარაღიდან და გულას დამნაშავის ვინაობის გამოაშკარავება შეეძლო. ამ წინააღმდეგობების გამორკვევისა და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, არაერთხელ მივმართეთ გამოძიებას — დაენიშნა ექსპერტიზები, როგორც მიკრონაწილაკების (მ. ბ-შვილის ტანსაცმელზე), ასევე დ. ლ-შვილის კუთვნილ ავტომანქანაზე. მოკლულის ქმარი მიუთითებს ჩვენებაში, რომ მან საავადმყოფოს დაკეტილი კარი მანქანის დაჯახებით გააღო. თუნდაც მისი ვერსიის გადამოწმების მიზნით იყო საჭირო ექსპერტიზის ჩატარება: მანქანაზე დაჯახების კვალი აუცილებლად დარჩებოდა. როგორც ჩანს, ამას სინამდვილეში, ადგილი არ ჰქონია, რადგან ავტომანქანა, მკვლელობის შემდეგ, უგზო-უკვლოდ გაქრა. დ. ლ-შვილმა თქვა, რომ ის გაყიდა, რადგან მომხდარის შემდეგ, ამ მანქანას ვერ ეგუებოდა. გამოძიება მანქანის პოვნით აღარ დაინტერესებულა“.

ლ. ბ-შვილი, დაზარალებული:

„წინასწარ გამოძიებას მე მივეცი ჩვენება, სადაც კარგად ვახასიათებდი ჩემს სიძეს. მაშინ წარმოუდგენლად მეჩვენებოდა მისი ხელით ჩემი შვილის მკვლელობა. შემდეგ, როცა ყველაფერი გავაანალიზე, პროკურატურაში საჩივრის შეტანა გადავწყვიტე. ეს ჩემმა სიძემაც შეიტყო. ცოტა ხანში, შვილიშვილი მომიგზავნა. ბავშვმა მითხრა — მამაჩემს თუ დააჭერინებ, იცოდე, თავს არ ვიცოცხლებ, ახლავე წავალ და თავს მოვიკლავო. ჩემი შვილიშვილი მოზარდია. ისეთ ასაკშია, მართლაც ვიფიქრე, თავს რამე არ აუტეხოს-მეთქი. ბავშვის სიტყვებმა ძალიან ამაფორიაქა და გადავწყვიტე, უარი მეთქვა საჩივარზე. ვხვდები, რომ სიძე შვილიშვილით მემუქრება. უნდა, ბავშვი საზღვარგარეთ გაგზავნოს და არასდროს მანახვოს. ეს ამბავი ძალიან მაწუხებს და თან იმის გამო ვიტანჯები, რომ ჩემი შვილის მკვლელი დაუსჯელი და თავისუფალია“.

დაზარალებული აცხადებს, რომ მას ყველაზე ნაკლებად სურს, დამნაშავე, მისი სიძე იყოს. სამართალდამცველებს ის ძიების განახლებას, ობიექტურობასა და სიმართლის გარკვევას სთხოვს.

მომხდართან დავავშირებით კომენტარისთვის დ. ლ-შვილსაც დავუკავშირდით. გვითხრა, რომ კატეგორიულად არ ეთანხმება სიდედრის საჩივრის შინაარსს და დღესაც იმ პოზიციაზეა, რომელსაც წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აფიქსირებს. სატელეფონო საუბრისას, ისიც აღნიშნა, რომ არ სურს, მომხდართან დაკავშირებით სტატია გამოქვეყნდეს, რადგან მის მიმართ ყოველგვარი ეჭვი უსაფუძვლოა და ამის დაფიქსირება მის პირად ცხოვრებაში ბევრ უსიამოვნებას გამოიწვევს. ეჭვების საფუძვლიანობის საკითხს მომავალში, ალბათ, პროკურატურა გაარკვევს, ჩვენ მხოლოდ მხარეების პოზიციებს ვაფიქსირებთ. მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით კომენტარზე უარი გვითხრა პროკურატურის თანამშრომელმა ქალბატონმაც, რომელსაც დ. ლ-შვილი თავის ჩვენებაში მოიხსენიებს.

დავით მუხიაშვილი:

„საქმეზე ძიების განახლებითა და ობიექტური გამოძიებით, მოკლულის ქმარი თავად უნდა იყოს დაინტერესებული, თუკი ის არაფერს მალავს. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი კაცი იბრძოლებს ახალგაზრდა ცოლის, მისი ერთადერთი შვილის დედის მკვლელის დასასჯელად და მასზე შურის საძიებლად. საინტერესოა, გამოძიებამ დაზარალებულად რატომ ცნო მოკლულის დედა და არა ქმარი? როგორც ჩანს, სამართალდამცველების მხრიდან მის მიმართ თავიდანვე გაჩნდა ეჭვი, რომელიც შემდეგ, დაინტერესებულმა პირებმა, საქმეში ჩარევისა და მასალების გაყალბების გზით აღკვეთეს. სხვათა შორის, ჩანს, რომ არც თავად დ. ლ-შვილს გამოუთქვამს პრეტენზია დაზარალებულად არცნობის შესახებ. საქმისადმი ასეთი გულგრილი და ზერელე დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, გარკვეულ ეჭვებს ბადებს“.

საჩივრის შეტანას გენპროკურატურაში ადვოკატი ამ დღეებში აპირებს. თუ რა გამოხმაურება და შედეგი მოჰყვება ამას სამართალდამცავთა მხრიდან, მომავალი გვიჩვენებს. ■

თბილისში ახლახან დამთავრებული კინოფესტივალის — „პრომეთეს“ ერთ-ერთი პრიზი მიენიჭა გელა ბაბლუანის ფილმს სახელწოდებით „13“, რომელიც მანამდე, ვენეციის კინოფესტივალზე გრან-პრით — „ოქროს ლომით“ აღინიშნა. რადგან ახალგაზრდა რეჟისორი სასწრაფოდ საფრანგეთში გაემგზავრა, გადავწყვიტეთ, მამამისს — ცნობილ რეჟისორს, თემურ ბაბლუანს გავსაუბრებოდით. ბატონი თემური ახლა, საფრანგეთის კულტურის სამინისტროს მიერ გამართულ კონკურსში გამარჯვებული სცენარის მიხედვით იღებს ფილმს. როგორც მან გვითხრა, ამინდის ჭირვეულობამ ბევრი რამ შეაცვლევინა — მაგალითად, ის, რომ გადაღება, სვანეთის ნაცვლად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიმდინარეობდა...

ქართველი რეჟისორის „ფრანგული“ ფილმი და „პარადოქსი“, რომელსაც ფასანაურელები სვანების დაბნეულობით ხსნიდნენ...

ეკა ლომიძე

— როგორც უცხოელს, არ გაგიჭირდათ საფრანგეთის სახელმწიფო უწყების მიერ ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობა?

— ასეთ დროს, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მთავარია, შენი სცენარით დაინტერესდეს რომელიმე ფრანგული კინოსაწარმო, რომელიც მას სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსზე გაგზავნის. თუ სცენარს მოიწონებენ, შეიძლება, ფილმის გადაღებაც მოინდომონ. სცენარი მრავალ პარამეტრს უნდა აკმაყოფილებდეს: მოწონება უნდა დაიმსახუროს, ამასთანავე, საინტერესო იყოს კინოვარსკვლავებისთვისაც... მოკლედ, მთელი დავიდარაბაა ფილმის გადაღებამდე, ყველაფერი რეჟისორის გარეშე ხდება.

— თქვენს ფილმს რომელი სტუდია იღებს და რაზე გვიამბობს იგი?

— ფილმს კინოკომპანიები — „ასტრადა“ და „ემკა-2“ გადაიღებენ. შინაარსი კი, ასეთი იქნება: ოთხი ფრანგი შემთხვევით მოხვდება საქართველოს ერთ-ერთ მთიან რეგიონში. ეს სვანეთში უნდა მომხდარიყო, ადგილებიც შერჩეული მქონდა, მაგრამ წყალდიდობების გამო, სვანეთში ასვლა ვეღარ შევძელით. ამით ბევრი რამ დაკარგა ფილმმა და იძულებული გავხდით, ალტერნატივა გამოგვენახა. გავწიეთ ფასანაურისკენ, მაგრამ იქაც გვარიანად შეგვშალა ხელი უამინდობამ და ამიტომ გადაღება ჯერაც არ დაგვიმთავრებია. სვანეთიდან ფილმს მხოლოდ ავტობუსი შერჩა, წარწერით — „სვანეთი“. ფასანაურელები ამ წარწერას რომ ხედავდნენ, მხრებს იჩეჩდნენ და „პარადოქსს“ სვანების დაბნეულობით ხსნიდნენ...

— ვინ მონაწილეობს ფილმში?

— სტანისლას მერავი, სილვი ტესიუ, პასკალ ბონარი — ყველანი, საფრანგეთში ცნობილი მსახიობები არიან. საკმაოდ რთულია სამივესთან ურთიერთობა, მაგრამ მათი პროფესიონალიზმი გვიიოლებს მუშაობას. ფილმში ქართველი მსახიობებიც თამაშობენ: ლევან უჩანეიშვილი, გივი სიხარულიძე (ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს). მინდოდა, გუჯა ბურდულსაც ეთამაშა, მაგრამ პროდიუსერებმა თქვეს უარი, ზოგიერთი პარამეტრის გამო. სამაგიეროდ, ვიპოვეთ შესანიშნავი კაცი — მიშა ნადიბაიძე. იმდენად ნიჭიერია, რომ გაგიჭირდება, არაპროფესიონალი უწოდო. საოცრად მეტყველი სახე აქვს, რომელიც ძალიან უხდება მის დრამატულ როლს. ფილმში სხვა არაპროფესიონალებიც თამაშობენ: ლევან ჯაფარიძე და შალიკო ჭირიქაშვილი, რომელიც გოდერძი ჩოხელის ფილმებშია გადაღებული.

— ვიცი, რომ ფილმში თქვენი ქალიშვილი, ოლღაც თამაშობს. მართალია, არ გიყვართ შვილებზე ლაპარაკი, მაგრამ რადგან აქ არ არიან, იქნებ, ორიოდე სიტყვა გვითხრათ მათზე.

— გელამ თბილისის კინოფესტივალამდე, ვენეციაში ორი პრიზი აიღო: „ოქროს ლომი“ და კინოკრიტიკის პრიზი. სამუშაო რეჟიმის გამო, ძალზე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. სხვათა შორის, „13“ (რომელიც მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია) პირველად თბილისში ვნახე, ფესტივალზე.

— მოგეწონათ?

— არა უშავს. მაგ ფილმში პატარა სიმბოლური როლი მაქვს. სულ 2 წუთი ვჩანვარ კადრში. ვერ ვიტყვი, რომ ჩემსა და მის ფილმებს შორის რაიმე მსგავსებას ვპოულობ. ისე კი, რომ აღმოვაჩინო, არ მეწყინება (ეღიმება)...

— აპირებს თუ არა საქართველოში ფილმის ფართო მაყურებლისთვის წარდგენას?

— ეს დამოკიდებულია იმ კინოკომპანიაზე, რომელსაც ფილმი ეკუთვნის. ძალიან უნდოდა, რომ ფილმი მეგობრებსა და ახლობლებს ენახათ და ძლივს დაითანხმა ფილმის პატრონები. მხოლოდ ერთხელ ჩვენების უფლებით გამოატანეს. დასანანია, როცა შენს ნამუშევარს ის ხალხი ვერ ნახულობს, ვინც განსაკუთრებით ძვირფასია შენთვის. მგონია, რომ ფილმის გადაღება თუნდაც, მხოლოდ საყვარელი ადამიანებისთვის საჩვენებლად ღირს.

— შესაძლებელია, თქვენც შეგექმნათ ანალოგიური პრობლემა?

— არ ვიცი, ჯერ დავამთავრო ფილმის გადაღება და ვნახოთ, რა იქნება. მე უფრო ის მაწუხებს, რომ უამინდობის გამო, ფილმში ძალზე ბევრი რამ შევცვალე.

— მაინც როგორი ხასიათის იქნება თქვენი ფილმი — კომერციული, კლასიკური თუ ინფორმაციული?

— თუ კარგია ფილმი, ის კომერციულიც არის. ესთეტიკიდან კომერციამდე ერთი ნაბიჯია. არსებობს განსაკუთრებული ფილმები — მაგალითად, რეზო ესაძის „ჭერი“ კომერციული არ არის, მაგრამ ძალზე საინტერესოა კინოხელოვანთათვის. საფრანგეთში დიდი მოწონება ხვდა წილად და რომ არა ტექნიკური ხარვეზები, შარშან ვენეციის ფესტივალზე წაიღებდნენ. ასეთ ფილმებს 20 წელიწადში ერთხელ იღებენ. ისეთი ფილმები კი, რომელთაც რაღაც ღირებულება აქვს, ყოველთვის არის მეტ-ნაკლებად კომერციული. ამიტომაც მიჭირს კინოს კომერციულად და არაკომერციულად დაყოფა.

— ამბობენ, რომ კომერციული კინოს ჯადოქრები, ამერიკელები არიან.

— ამერიკელებმა იციან კარგი კინოს გაკეთება. კინოს აქვს ორი მნიშვნელოვანი ამოცანა — რა და როგორ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ოსტატურად შეასრულებ მოთხოვნას — როგორ. საამისოდ კინოს სფეროში დიდი ცოდნა და კულტურა უნდა გქონდეს. ამერიკელებს ორივე აქვთ. ამიტომაც, ძალიან კარგად იღებენ ფილმებს. შეიძლება, ვინმეს არ მოსწონს ამერიკული კინო, მაგრამ მე მისი თაყვანისმცემე-

ტვინს თუ დახმარება სჭირდება...

ჯეოვიტი

თანამედროვე ცხოვრების ტემპი ყოველდღიურად მატულობს, ხოლო მისი დაწევა წლების მანძილზე სულ უფრო რთულია. თითქოს, ახალგაზრდობასთან ერთად მიდის რეაქციის სისწრაფე და მახვილგონიერებაც. გულს ნუ გაიტეხთ - დღეისათვის ექიმებმა უკვე იციან, თუ როგორ დაეხმარონ ასეთ ადამიანებს.

ჩვენ ხშირად გვავიწყდება თარიღები, ტელეფონის ნომრები, ვაცდენთ მნიშვნელოვან შეხვედრებს და ვთვლით, რომ ამის მიზეზი გადაღლილობაა. როგორც ცნობილია, ადამიანის ტვინი შესაძლებლობების მხოლოდ 10%-ს იყენებს. გონებრივი დატვირთვა - ვარჯიში უფროა ტვინისთვის, ვიდრე მნიშვნელოვანი დეტალების დავიწყების მიზეზი. სხვა საქმეა, როცა ტვინი „ჟანგბადით შიმშილს" განიცდის - არ იღებს „საწვავის" საკმარის რაოდენობას პროდუქტიული მუშაობისთვის. სწორედ ამ შემთხვევაში გვიწევს დავთმოთ ერთი, იმისათვის რომ დავიმახსოვროთ მეორე, ხოლო საპასუხოდ, არასასურველ პირობებში წარმოიშობა სხვა უსიამოვნო სიმპტომებიც - თავის ტკივილი, ინტელექტის დაქვეითება, გაღიზიანება.

ჟანგბადის ნაკლებობის ძირითადი მიზეზი - ასაკობრივი ცვლილებებია, პირველ რიგში კი - ათეროსკლეროზი. როდესაც ტვინის სისხლძარღვების კედლებში ლაგდება ქოლესტერინი, ვითარდება ათეროსკლეროზული ფოლაქი, სისხლძარღვი შეცვლილი სტრუქტურით ვერ უზრუნველყოფს ტვინის ჟანგბადით მომარაგებას. ტვინის „ჟანგბადით შიმშილი" უკვალოდ არ ქრება: ქვეითდება მეხსიერება, შრომისუნარიანობა; დროთა განმავლობაში ვითარდება ენცეფალოპათია და ასაკობრივი გონებასუსტობაც (მარაზმი) კი. სისხლის მიწოდების უკმარისობა საფუძვლად უდევს, ისეთ მძიმე დაავადებას, როგორიცაა იშემიური ინსულტი. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ტვინის ჰიპოქსიის პირველივე სიმპტომებისას იმ პრეპარატების მიღებამ, რომლებიც აუმჯობესებენ ტვინის სისხლით მომარაგებას, შესაძლოა თავიდან აგვაცილოს მეხსიერების დარღვევები.

უპირველეს ყოვლისა, სრულფასოვნად უნდა ვუზრუნველვყოთ ტვინის სისხლით მომარაგება და შესაბამისად, ჟანგბადით.

უკანასკნელ წლებში, შემუშავებულ და პრაქტიკაში გატარებულ იქნა პრეპარატები, რომლებსაც ამის უნარი გააჩნია. ტვინისთვის სისხლის მიწოდების ერთ-ერთ ასეთ ბუნებრივ კორექტორს წარმოადგენს **„DHA ომეგა-3 ნეურომინზი"**:

- ეფექტურად არეგულირებს ქოლესტერინისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონეს სისხლში (ქოლესტერინის რთული ეთერების გახსნის ხარჯზე);
- აწესრიგებს სისხლძარღვოვანი ეპითელიის სტრუქტურას;
- ხელს უწყობს ანტიაგრეგატულ ეფექტს;
- აუმჯობესებს თავის ტვინის მიკროცირკულაციას.

საბოლოო შედეგი - ტვინისათვის ჟანგბადის შეუფერხებელი მიწოდება და ნერვული უჯრედების დაცვა ნგრევისაგან.

„DHA ომეგა-3 ნეურომინზი" - კარგად ათვისებადი პრეპარატია, არ გააჩნია გვერდითი ეფექტები, არ ურთიერთქმედებს სხვა პრეპარატებთან; შექმნილია ბუნებრივი სუბსტრატებისგან.

„DHA ომეგა-3 ნეურომინზი" - გახდის თქვენს ცხოვრებას ნათელს, მეხსიერებას - მტკიცეს, ხოლო აზროვნებას - სწრაფს.

თავის ტვინის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ბუნებრივი სტიმულატორია - **„მემორი კომპლექსი"**, რომლის ეფექტური მოქმედებაც განპირობებულია, მის შემადგენლობაში შემავალი გინკგო ბილობას ექსტრაქტით, ასევე B ვიტამინების კომპლექსით, მიკროელემენტებით (მათ შორის სელენი) და ფოსფოლიპიდებით.

ორივე პრეპარატის კომპლექსური მიღება უაზუნველყოფს ტვინს არა მარტო ჟანგბადით, არამედ ყველა აუცილებელი ელემენტითა და ვიტამინით, რითაც იცავს მას ნაადრევი დაბერებისგან, ენცეფალოპათიისა და რაც მთავარია, ინსულტისგან.

სანამ **„DHA ომეგა-3 ნეურომინზით"** და **„მემორი კომპლექსით"** მკურნალობას გადაწყვეტდეთ, სასურველია უარი თქვათ ისეთ მავნე ჩვევებზე, როგორებიცაა მოწევა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, რომ აღარაფერი ვთქვათ ნარკოტიკებზე; სწორად იკვებეთ და ისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

კომპანია **„ჯეოვიტი"** გთავაზობთ ტვინის გამაჯანსაღებელ პროგრამას. ეს პროგრამა ითვალისწინებს სპეციალისტის უფასო კონსულტაციას, რომელიც თითოეულ პაციენტს ინდივიდუალურად შეურჩევს მკურნალობისა თუ პროფილაქტიკის კურსს.

გთავაზობთ ნეკროლოგიურ კონსულტაციას, ასევე მნიშვნელოვანი ფასდაკლების კუპონს: თავის ტვინის, ხერხემლის, შინაგანი ორგანოების სპირალურ პომოგრაფიულ გამოკვლევაზე ქალაქის წამყვან სპეციალისტებთან.

„ჯეოვიტი" მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.41
ასევე დავით ტატიშვილის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ცენტრი „ნაუტილუსი", მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.78
აფთიაქები თამარაშვილის ქ.№1, თამარ მეფის გამზ.№19
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია: 29-20-91
899 10-99-20; 899 14-35-56.
ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „ციბა". ტელ: 5-13-45.



კინოს აქვს ორი მნიშვნელოვანი ამოცანა – რა და როგორ

ძალიან უნდოდა, რომ ფილმი მეგობრებსა და ახლობლებს ენახათ და ძლივს დაითანხმა ფილმის პატრონები. მხოლოდ ერთხელ ჩვენების უფლებით გამოატანეს. დასანანია, როცა შენს ნამუშევარს ის ხალხი ვერ ნახულობს, ვინც განსაკუთრებით ძვირფასია შენთვის. მგონია, რომ ფილმის გადაღება თუნდაც, მხოლოდ საყვარელი ადამიანებისთვის საჩვენებლად ღირს.

— შესაძლებელია, თქვენც შეგექმნათ ანალოგიური პრობლემა?

— არ ვიცი, ჯერ დავამთავრო ფილმის გადაღება და ვნახოთ, რა იქნება. მე უფრო ის მაწუხებს, რომ უამინდობის გამო, ფილმში ძალზე ბევრი რამ შევცვალე.

— მაინც როგორი ხასიათის იქნება თქვენი ფილმი — კომერციული, კლასიკური თუ ინფორმაციული?

— თუ კარგია ფილმი, ის კომერციულიც არის. ესთეტიკიდან კომერციამდე ერთი ნაბიჯია. არსებობს განსაკუთრებული ფილმები — მაგალითად, რეზო ესაძის „ჭერი“ კომერციული არ არის, მაგრამ ძალზე საინტერესოა კინოხელოვანთათვის. საფრანგეთში დიდი მოწონება ჰქონდა წილად და რომ არა ტექნიკური ხარვეზები, შარშან ვენეციის ფესტივალზე წაიღებდნენ. ასეთ ფილმებს 20 წელიწადში ერთხელ იღებენ. ისეთი ფილმები კი, რომელთაც რაღაც ღირებულება აქვს, ყოველთვის არის მეტ-ნაკლებად კომერციული. ამიტომაც მიჭირს კინოს კომერციულად და არაკომერციულად დაყოფა.

— ამბობენ, რომ კომერციული კინოს ჯადოქრები, ამერიკელები არიან.

— ამერიკელებმა იციან კარგი კინოს გაკეთება. კინოს აქვს ორი მნიშვნელოვანი ამოცანა — რა და როგორ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ოსტატურად შეასრულებ მოთხოვნას — როგორ. საამისოდ კინოს სფეროში დიდი ცოდნა და კულტურა უნდა გქონდეს. ამერიკელებს ორივე აქვთ. ამიტომაც, ძალიან კარგად იღებენ ფილმებს. შეიძლება, ვინმეს არ მოსწონს ამერიკული კინო, მაგრამ მე მისი თაყვანისმცემელი ვარ.

— ევროპელები დიდი ხანია წუხან იმის გამო, რომ ამერიკულმა კინომ ევროპული დაჩაგრა. რას ფიქრობენ ამის შესახებ ფრანგები და რას ფიქრობთ თქვენ?

— ევროპაში უმეტესად, მცირებიუჯეტიან ფილმებს იღებენ. ხშირად, მსახიობები და ტექნიკოსები ჰონორარებს არ იღებენ, მაგრამ რომელიმე კინოკომპანიასთან დებენ ხელშეკრულებას, სადაც მითითებულია, რომ მხოლოდ მოგების შემთხვევაში აიღებენ ჰონორარს. არსებობს ისეთი მცირებიუჯეტიანი ფილმებიც, რომელთა გადასაღებად, ნაკლები თანხა რომ დაიხარჯოს, გადაღებისთვის ხელსაყრელ ადგილებს ეძებენ. ამერიკელებს კი იმხელა ბიუჯეტი აქვთ ფილმებისათვის, რომ სადაც უნდათ, იქ ააშენებენ დეკორაციებს. ამიტომ, როცა დაჩაგვრაზე ვლაპარაკობთ, ბიუჯეტი არ უნდა დაგვავიწყდეს, თორემ, ამერიკული ფილმის სტილი სხვაა და ევროპული — სხვა. ამერიკისთვის კინოზე უკეთესი კომერციის საშუალება თითქმის არ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგ ფილმებს არ იღებენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ — მათ შესანიშნავად იციან, როგორ გააკეთონ კარგი კინო.

— ალბათ, ფესტივალ „პრომეთეს“ მიადევნეთ თვალი. რას ფიქრობთ ჟიურის არჩევანზე?

— მინდა, ჩემს ქალაქში ბევრი კარგი ფესტივალი ტარდებოდეს და მეტი მონაწილე მიიზიდოს. სამწუხაროდ, „პრომეთეს“ სათანადოდ ვერ მივადევნე თვალი. სულ ორი ფილმი ვნახე: ჩემი ვაჟის გადაღებული და ლევან თუთბერიძის „გასეირნება ყარაბაღში“. საინტერესო ფილმია. ლევანი ძალიან კარგი რეჟისორია.

მან მხოლოდ 4 ქართული სიტყვა იცის, მაგრამ თავისი ტემპერამენტითა და პლასტიკით ქართველია. ვერაფრით განასხვავებთ ჯგუფის ქართველი წევრებისგან

— ისევ თქვენს ფილმს დავუბრუნდები. თქვენ მუშაობთ ფრანგ ოპერატორთან ერთად, რომელიც წარმოშობით ქართველია. როგორ აღმოაჩინეთ ტარიელ მელიავა?

— უნდა ამერჩია ან ცნობილი ბერძენი ოპერატორი, რომელსაც 100 ფილმი აქვს გადაღებული, ან — ტარიელი, რომელიც გარდა იმისა, რომ შესანიშნავი ოპერატორია, კარგი ადამიანიც არის. მან მხოლოდ 4 ქართული სიტყვა იცის, მაგრამ თავისი ტემპერამენტითა და პლასტიკით ქართველია. ვერაფრით განასხვავებთ ჯგუფის ქართველი წევრებისგან. ტარიელი საქართველოში 25 წლის წინ ჩამოსულა მამასთან ერთად. გუგული მგელაძის ფილმი „ფესვები“ მის ბაბუაზეა გადაღებული... ■

დასანანია, როცა შენს ნამუშევარს ის ხალხი ვერ ნახულობს, ვინც განსაკუთრებით ძვირფასია შენთვის...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სიყვარულს პირველად ქალი ამხელს

არ არის საჭირო, „შარვალი ჩავხადოთ“ კაცებს ანუ როგორი სიყვარული იციან კახელებმა

დღევანდელ „გზავნილებს“ ჩემი მისამართით გამოთქმული საყვედურით დავიწყებ და საჩივრით დავამთავრებ. „მარი, ვფიქრობ, „გზავნილები“ არ არსებობს და ყოველი ამბავი, შენი ფანტაზიის ნაყოფია. მაპატიე, ნ.“ — აი, ასეთი მესიჯი მივიღე ერთ-ერთი მკითხველისგან. მინდა, ამ კომპლიმენტისთვის მადლობა გადავუხადო. კომპლიმენტი სად არის? უბრალო არითმეტიკას მოვიშველიებ და ახლავე აგიხსნით: „გზავნილები“ თავისი არსებობის 27-ე თვეს ითვლის. ყოველთვიურად 4 სტატია, საერთო ჯამში გახლავთ — 108. თითოეულ სტატიაში 5-6 ვრცელი და 50-მდე მოკლე მესიჯი იბეჭდება. ესეც გავამრავლოთ და მივიღებთ — 649 ვრცელ და 5400 მოკლე მესიჯს, რომლებიც ერთმანეთს არაფრით ჰგავს. გენიოსი ვყოფილვარ, თუკი ამდენი ამბის გამოგონება შევძელი... ახლა უშუალოდ დღევანდელ თემაზე გადავიდეთ. როგორც ჩანს, საკმაოდ მტკივნეულ საკითხს შევეხეთ, რადგან ქალების ასეთი ერთსულოვანი შეტევა მამაკაცებზე ჯერ არ მახსოვს... მამაკაცებო, დღევანდელი „გზავნილებიდან“ დაწვრილებით შეიტყობთ, თუ რას ფიქრობს კაცობრიობის სუსტი ნახევარი თქვენზე. სიმართლე გითხრათ, მეც გაოცებული დავრჩი მათი გულახდილობით. მიუხედავად ჩემი თანაგრძნობისა, ვალდებული ვარ, ყველა მესიჯი შეულამაზებლად მოგაწოდოთ.

მარი ჯაფარიძე

სიტყვა „მატრიარქატის“ მნიშვნელობა ალბათ, ყველასთვის ცნობილია. დარწმუნებული ვარ, მამაკაცების უმეტესობა ამ სიტყვის გაგონებისას ძრწის და არ უნდა, გაიხსენოს, რომ ოდესღაც იყო დრო, როცა მამაკაცი იყო „დედაკაცი“ და — პირიქით... მაგრამ სად გავექცევით ისტორიულ სინამდვილეს? მარტო იმის წარმოდგენა რად ღირს, თუ როგორ ქორწინდებოდა სოფლის „ვაჟკაცი“ დედაკაცი მორცხვად თავდახრილ მამაკაცზე... შემდეგ „ჩამოჰკრა უბედურების ზარმა“ და ყველაფერი თავდაყირა დადგა. დამყარდა პატრიარქატი და რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ქალთა და მამაკაცთა უფლებების გათანასწორებაზე, კაცები დაკავებულ პოზიციას აღარ თმობენ და მიაჩნიათ, რომ სიყვარულის ახსნა, ოჯახის შექმნა, „მსხვილმანი“ თუ წვრილმანი გადაწყვეტილების მიღება და სატრფოს ფანჯრის ქვეშ სერენადის აუღერებაც, მათი პრეროგატივაა.

სერენადა ჭინკების შესრულებით

„ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვეთ, 3 წლის წინ მოხდა. მაშინ 23 წლის ვიყავი და ცოტა მიქროდა კიდეც, მაგრამ შეყვარებული ადამიანი ხომ იცით, ვერ საზღვრავს, სწორად იქცევა თუ არა. ერთ მშვენიერ დღეს, ინგლისურის შესწავლა გადავწყვიტე და გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებებს გადავხედე. რამდენიმე ნომერზე დავრეკე, მაგრამ არჩევანი ერთ ქალბატონზე შევაჩერე, რომელსაც ძალზე თბილი და სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ფასზეც მოვრიგდით და დავიწყე კვირაში სამჯერ ქალბატონ სოფიკოსთან გაკვეთილებზე სიარული. პირველსავე დღეს, კარი მისმა შვილმა გამიღო. ჩემ წინ უნაკლო გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. მაშინვე მომეწონა. ბუნებრივია, არ გამჭირვებია, დამედგინა, ცოლიანი იყო თუ არა, რამდენი წლის იყო, საცოლე თუ ჰყავდა და ა.შ. მერაბი ისე შემიყვარდა, რომ ინგლისურის გაკვეთილზე სულ ფრენა-ფრენით დავდიოდი. ქალბატონი სოფიკო სკოლაში მუშაობდა. ვიცოდი, რომ გაკვეთილების დამთავრებისთანავე შინ მოიჩქაროდა, კერძო გაკვეთილის ჩასატარებლად და თუ დათქმულ დროზე ადრე მივიდოდი, შინ მხოლოდ მერაბი დამხვდებოდა. რამდენჯერმე სპეციალურად, მთელი საათით ადრე მივედი. მერაბი ღირსეულ მასპინძლობას მიწევდა ხოლმე დედის მოსვლამდე. ასე მოვახერხე მასთან დაახლოება. თვითონაც კარგად ხვდებოდა, რომ გულში ჩამივარდა, მაგრამ არ იმჩნევდა. საერთო მეგობრები გამოვძებნეთ, ხშირად ვკონტაქტობდით. თავიდან, თითქოს მისი მხრიდანაც ვგრძნობდი სიმპათიას, მაგრამ მერე და მერე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ ილუზია იყო. ერთ დღეს, გაკვეთილზე მისულმა, თავზარდამცემი ინფორმაცია შევიტყვე: ქალბატონმა სოფიკომ მითხრა — საბერძნეთში მივდივარ, ამის გამო გაკვეთილებს ვეღარ ჩაგიტარებო. მართლაც, მოკლე ხანში გაემგზავრა. მერაბი კი შინ მარტო დარჩა. ხან აქედან მოვუარე, ხან იქიდან, მაგრამ ვერა და ვერ ვუთხარი პირდაპირ, მიყვარხარ-მეთქი. თავის დაბადების დღეზე რომ არ დამპატიჟა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი მოწადინება ამაო იყო. მას სახლში სტუმრები ჰყავდა. მე კი ბოღმისგან ვსკდებოდი. ჩემს დაქალებს დავურეკე, ჩემთან დავპატიჟე და მერაბის დაბადების დღე აღვნიშნეთ. კარგა ბლომად სასმელიც გეახელით და კარგად გამოვთვერით. მერე ავიჩემე — წავიდეთ და მერაბს სერენადა ვუმღეროთ-მეთქი. გოგონებიც ამყვნენ. გიტარას ხელი წამოვავლეთ და ღამის 3 საათზე მერაბის ფანჯრებს მივადექით. იქვე, ბორდიურზე ჩამოვსხედით და სულ „დამწვრებისა“ ვიმღერეთ. შენობაში თითქმის ყველა ფანჯარაში სინათლე აინთო. ნამძინარევი სახეები გვიმზერდნენ და თავებს გაოცებით აქნევდნენ. მერაბის ფანჯრები კი უიმედოდ იყო ჩაბნელებული. არ ვიცი, რამდენი საათის განმავლობაში ვმღეროდით (თუ ვბღაოდით) 4 გოგო, მაგრამ იქიდან რომ წამოვედით, კარგად იყო გათენებული. შინ მივედი თუ არა, მაშინვე დავიძინე. ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ყურმილში მერაბის სასიამოვნო ხმა გავიგონე. ჯერ მომიკითხა, მერე კი მითხრა — ახლა მოდი და ჩემს მეზობლებს ბოდიში მოუხადეო. — რისთვის-მეთქი? — რისთვის და მთელი ღამე ჭინკების ხმით რომ ჩხაოდით ჩემს ეზოში და ხალხს მოსვენების საშუალება არ მიეცით, იმისთვისო... თავი ძალზე დამცირებულად ვიგრძენი და ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ წამში შემეძულებინა... ახლა ამ სისულელეზე მეცინება, მაგრამ სამაგიეროდ, ინგლისური ენა და ჭკუა ერთად ვისწავლე. მივხვდი, რომ მამაკაცს არასოდეს უნდა გაუმჟღავნო პირველმა სიყვარული. თუ ჩემი მწარე გამოცდილება ვინმეს გაკვეთილად გამოადგება, მოხარული ვიქნები. კარგად“.

ყველაზე გრძელი გზაც კი, პირველი ნაბიჯით იწყება. ამიტომ, თუ გადაწყვეტთ, რომ პირველი ნაბიჯი თქვენ გადადგათ და მამაკაცს სიყვარულში გამოუტყდეთ, მზად იყავით ნებისმიერი შედეგისთვის. თუმცა, იქნებ, არსებობს სერიოზული მიზეზი, რომლის გამოც, ძლიერი სქესის წარმომადგენელი თავს იკავებს პირველი ნაბიჯის გადადგმისაგან...

„ჩემი სიყვარული მართლა ბრმაა...“

„ჩემს ბავშვობაში, მეზობლად ახალი ოჯახი გადმოვიდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი ერთადერთი ვაჟი, რომელიც ჩემზე 2 წლით უფროსი გახლდათ და უსინათლო იყო. მზის სხივსაც კი ვერ ხედავდა. როდესაც პირველად ეს ბიჭი დავინახე, გული დამიმძიმდა. მაშინ მე 8 წლის ვიყავი, ის — 10-ის. ჩვენი ოჯახები ძალზე დაახლოვდნენ. მე კი, სკოლიდან გამოვიდოდი თუ არა, მაშინვე დათოსთან შევრბოდი. დაველაპარაკებოდი, ახალ ამბებს მოვუყვებოდი, შემდეგ, შინ მივდიოდი, ვმეცადინეობდი და საღამოს, დაძინებამდე ისევ დათოსთან ვიყავი. საერთოდ აღარ მივდიოდი არც მეგობრებთან, არც ეზოში სათამაშოდ. დათოს მასწავლებელი შინ აკითხავდა. კარგად სწავლობდა, ხშირად მთხოვდა, მისთვის წიგნი წამეკითხა... ასე გავიზარდეთ. ხელიხელჩაკიდებული დამყავდა ყველგან. სადაც მივდიოდი, თან მიმყავდა. ყველა ჩემს მეგობარს იცნობდა, მათთან ერთად მხიარულობდა, საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა და თბილი, კეთილი ადამიანი იყო. მისი ერთადერთი ნაკლი უსინათლობა გახლდათ. 17 წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ დათო თავდავიწყებით მიყვარდა, მის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმომედგინა. ვგრძნობდი, რომ მასაც ვუყვარდი, მაგრამ არაფერს მეუბნებოდა. მან სკოლის დამთავრებისთანავე ჩაბარა უნივერსიტეტში. წერითი გამოცდები ზეპირად ჩაბარა და ჩაირიცხა. ლექციებზე დედამისს დაჰყავდა, დედა უკითხავდა სახელმძღვანელოებს და დათო კურსიდან კურსზე გადადიოდა... მეც სტუდენტი გავხდი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, კარგად მესწავლა, რადგან დათოზე გათხოვებას ვაპირებდი და უსინათლო ქმრისა და ოჯახის რჩენა მე დამეკისრებოდა... ერთ საღამოს დათოსთან ერთად ვსეირნობდი. ბნელოდა. უეცრად, დათოს მოვეხვიე და ვაკოცე. შემდეგ თავი მის მკერდში ჩავრგე და ტირილ-ტირილით ავუხსენი სიყვარული. გაოგნებული იყო. ვერც იმას ახერხებდა, რომ ხელები მოეხვია, ვერც სიტყვის თქმას ბედავდა. იდგა და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა..

კარგა ხნის განმავლობაში აღარ სურდა ჩემი ნახვა. დედამისი გააფრთხილა, მე და მაკამ ვიჩხუბეთ და შინ არ შემოუშვაო... არ მოვისვენე, დედამის ვემუდარე, დამალაპარაკეთ-მეთქი. ერთ საღამოს, როცა მარტონი ვიყავით, ძალზე სერიოზული საუბარი გაიმართა ჩვენ შორის. მან ნათლად დამანახვა ყველა ის სირთულე, რომელიც ჩვენს ერთად ცხოვრებას მოჰყვებოდა. მე კი დაჟინებით გავიძახოდი, — მიყვარხარ და შენთან ერთად არაფრის მეშინია-მეთქი. ბოლოს, რომ ვერაფერი შემასმინა, გამოტყდა, რომ მასაც ვუყვარდი. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. როდესაც ჩვენს ოჯახებს ჩვენი გადაწყვეტილება ვაცნობეთ, ორივე მხარე შოკში ჩავარდა. კარგად მქონდა გაცნობიერებული, თუ რაოდენ რთულ გადაწყვეტილებას ვიღებდი, მაგრამ არაფერს შევუშინდი. ახლა 2 შვილი გვყავს. უფროსი — გიორგი უკვე 21 წლისაა, უმცროსი — მარი კი — 19-ის. მე და დათოს ძველებურად გვიყვარს ერთმანეთი და ბედნიერებიც ვართ. მე რომ მას სიყვარულში პირველი არ გამოვტყდომოდი, დათო ვერასოდეს გაბედავდა ამ ნაბიჯის გადადგმას. ხშირად ვხუმრობ — ჩემი სიყვარული მართლაც, ბრმაა-მეთქი, მაგრამ გარწმუნებთ, ბევრი თვალხილული მამაკაცი ვერ შეედრება მას. არასოდეს მინანია, ასეთი ადამიანის გვერდით რომ ვცხოვრობ. პატივისცემით, მაკა“.

ბავშვები არ არიან ძუნწები, მაგრამ სამაგიეროდ, საკმაოდ გონებამახვილები არიან. ამიტომ, თუ ბავშვი ფოჩიან კანფეტს განწდით, მაშინვე ნუ ეცდებით, თვალდახუჭულმა იტაკოთ პირში, რადგან პატარა ეშმაკუნამ შესაძლოა, ქაღალდში გახვეული ქვა შემოგაპაროთ... ამით იმის თქმა მინდა, რომ გაითვალისწინეთ — სასურველი ფორმა შესაძლოა, ხშირად არასასურველ შინაარსს ფარავდეს...

„რატომ ჰქვია კუკური?..“

„ამ 4 წლის წინ, ზაფხულში სოფელში, ბებიას ვესტუმრე. უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და „ვალმოხდილი“, დასვენებისთვის ვიყავი განწყობილი, მაგრამ ვინ გაცალა?! ორ დღეში ჩემი ბიძაშვილი, კობა ჩამოვიდა და თავისი ძმაკაცი, კუკურიც ჩამოიყვანა თან. სახელმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ — კუკური ისეთი გარეგნობის ბიჭი იყო, იშვიათად თუ გეყოლებათ ნანახი ასეთი ლამაზი და ვაჟკაცური ტიპი. რამ დაარქმევინათ მის მშობლებს ასეთი სახელი, არ ვიცი... მოკლედ, ეს ჩვენი კუკური დანახვისთანავე თვალში მომივიდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ ჭერქვეშ მთელი 2 კვირა გავატარეთ, მასთან დაახლოება ვერ მოვასწარი: ჩემი ბიძაშვილი დილიდან შუაღამემდე დაატარებდა აქეთ-იქით, ხან სად მიდიოდნენ, ხან — სად. ვეხვეწებოდი, მაგრამ თან არ მივყავდი. შუაღამემდე ეზოში, ჰამაკში ვიწექი ხოლმე, რომ თვალი მაინც შემევლო მისთვის. მერე ვახშამს გავუმზადებდი და შეჭამდნენ თუ არა, მაშინვე დასაძინებლად მიდიოდნენ. კუკურის ტელეფონის ნომერი საგულდაგულოდ ჩავიწერე და იმედებს თბილისში ჩამოსვლაზე ვამყარებდი. ვფიქრობდი — დავურეკავ, დაველაპარაკები, შევხვდები და შევაბამეთქი. თან ჩემი გარეგნობის იმედიც მქონდა, რადგან მშვენიერი გოგო ვიყავი და ბიჭი ვერაფრით დამიწუნებდა. დიდი ამბით ველოდი, როდის დაიწყებოდა სწავლა, რადგან კუკურიც უნივერსიტეტში სწავლობდა და იქაც ხშირად მოვახერხებდი მის ნახვას. მით უმეტეს, რომ ერთ ფაკულტეტზე ვსწავლობდით, ოღონდ, ის 3 კურსით წინ იყო. რომ არ გავაგრძელო, უამრავი ვურბინე ამ ჩვენს კუკურის გარშემო, ბევრი ვიხტუნავე, მაგრამ მისი სიყვარული ვერ დავიმსახურე. მერე ვიფიქრე — როგორც ჩანს, მას ჰგონია, ჩემი ბიძაშვილის პატივისცემის გამო ვექცევი ასე თბილად-მეთქი და გადავწყვიტე, პირდაპირ, დაუფარავად მეთქვა, რომ მიყვარდა. ავდექი და არც ვაცივ, არც ვაცხელე — დავიმარტოხელე და მივახალე, მიყვარხარ-მეთქი. სიმართლე გითხრათ, გაოცება ვერ შევნიშნე. იმავე საღამოს შინ დამირეკა. ძალზე გამიკვირდა, მაგრამ თან უზომოდ გამიხარდა. მერე დავიწყეთ შეხვედრები. რაც უფრო ხშირად ვკონტაქტობდით, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ძალზე ამპარტავანი, უგემოვნო, უინტელექტო და უზრდელი იყო. ნელ-ნელა, მის მიმართ ინტერესი დავკარგე. ეს უფრო მეტად მას შემდეგ მოხდა, რაც ასეთი რამ მითხრა — შენი ბიძაშვილი ჩემი ძმაკაცია, ამიტომ უფლება არ მაქვს, მის ნათესავს ვაწყენინო; რადგან გიყვარვარ, უფლებას გაძლევ, ჩემ გვერდით იყო და ჩემთან ურთიერთობის სურვილი მოიკლაო, — ღმერთო, დიდებულო! ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა!.. დამამადლა თავისი თავი და ისე გამოდიოდა, მადლობა უნდა გადამეხადა მოწყალებისთვის. ბოლოს, ავდექი და „დავახვევინე“. მაგრამ უკვე თვითონ აღარ მშორდებოდა, ლანდივით დამდევდა და სიყვარულს მეფიცებოდა. ვერ მივართვი. იმ ლამაზი გარეგნობის მიღმა მახინჯი სული ყოფილა და ასეთი ადამიანი არაფერში მჭირდებოდა“.

ჩვენ, ქალები ვწუწუნებთ, რომ მამაკაცები მშიშრები და გაუბედავები არიან და სწორედ ამიტომ ვერ ახერხებენ სიყვარულის ახსნას, რომ ყველაფერი ჩვენი თავში სახლელია და თუ ცოტა არ „ვუჯიკეთ“, ისე არაფერი გამოდის, მაგრამ აბა, სად სცალიათ კაცებს სიყვარულის ასახსნელად? ისინი ხომ ცხოვრების ნახევარს ლოგინში ატარებენ, ხოლო მეორე ნახევარს იმაზე ხარჯავენ, რომ ამ ლოგინში ვინმე შეიტყუონ!.. თანაც, ნამდვილი სიყვარულის ფასს ბევრი მათგანი ძალზე გვიან ხვდება. ასე რომ არ იყოს, არც ამ მესიჯს გამოგიგზავნიდა ბატონი ლევანი.

„მიყვარხარ და შენთან მინდა...“

„უკვე 40 წელს გადავცილდი და დღემდე, ერთ ქალს მივტირი. ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მეორე კურსზე ვიყავით, როცა ჩემი ჯგუფელი გოგოსგან გადამეტებული ყურადღება ვიგრძენი. ნია ძალიან მორიდებული გოგო იყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ მას თავდავიწყებით ვუყვარდი. მე კი გავურბოდი, თავს ვარიდებდი და ყოველნაირად ვცდილობდი, მასთან ერთად ისეთ სიტუაციაში არ მოვხვედრილიყავი, რომ სიყვარული აეხსნა. თუმცა, ის ისეთი მშვიდი და მოკრძალებული გოგონა იყო, რომ ამას ალბათ, ვერასოდეს გაბედავდა. გარეგნობითაც კარგი გოგო იყო, ვერაფერს დაუწუნებდით. ახლა იტყვით, მაშ, რა ჯანდაბა დაგემართა, რომ ასეთი კარგი გოგოს სიყვარულზე უარს ამბობდიო?!. რა და... ცოლის მოყვანას არ ვაპირებდი. ჯერ მხოლოდ 19 წლის ვიყავი და ვფიქრობდი, რომ დაოჯახება ძალიან ნაადრევი იყო. თანაც, მას ხომ სხვანაირ ურთიერთობას ვერ შევთავაზებდი!.. მე კი ქალების სამყაროს დაპყრობის დონჟუანისეული გეგმა მქონდა შემუშავებული და ყოველ ქვედაბოლოს დავდევდი, რომლის ქვეშ ხელის შეყოფის უფლებასაც მაძლევდნენ. გოგონები აქეთ დამდევდნენ. ის კი არა, 30 წლის ქალი მყავდა გადაკიდებული და მოსვენებას არ მაძლევდა. ეს ამბავი მაშინ ხდებოდა, როცა საბჭოთა კავშირი მყარად იდგა ფეხზე. სტუდენტები მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, დრო როგორ გაგვეტარებინა, არც პოლიტიკური მოძრაობა გვაწუხებდა და არც ოპოზიციონერობა გვხიბლავდა. მამაჩემს საკმაო ფული და ქონება ჰქონდა და დახარჯვაში ხომ უნდა მივხმარებოდი!.. ერთი სიტყვით, ნია ჩემთვის ზედმეტ ბარგად მიმაჩნდა. 4 წლის განმავლობაში, ხშირად დამინახავს ცრემლი მის თვალზე და კარგად ვიცოდი, რომ ეს ჩემ გამო ხდებოდა. მე კი შეუვალი ვიყავი... დავამთავრეთ უნივერსიტეტი, კარგი სამსახურიც ვიშოვე მამიკოს წყალობით

და ისევ ქეიფსა და დროს ტარებას მივყავი ხელი. ნია სულ დამავიწყდა. წლები უცებ შემომადნა ხელში და უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ უკვე 35 წლის გავხდი. 4 განუყრელი ძმაკაცი მყავდა. ერთ-ერთი დაგვიქორწინდა და როცა შვილი შეეძინა, ყველანი მაშინ დავფაცურდით, ცოლების მოყვანა გადავწყვიტეთ. მიშკას შვილმა ჩვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა და მანამდე თუ დავცინოდით — როგორ მოგატყუა ქალმა, რომ დაქორწინდი-თქო? — ახლა უკვე მთელი სერიოზულობით ჩვენც დავიწყეთ ოჯახზე ფიქრი. მივიხედ-მოვიხედე და ჩემ გარშემო საუნის ბოზებისა და ქმრების მოღალატე ცოლების გარდა ვერავინ აღმოვაჩინე. სწორედ მაშინ გამახსენდა ნია. მისი ამბავი გავიკითხე და აღმოჩნდა, რომ ის ისევ გასათხოვარი იყო, ოღონდ — საზღვარგარეთ ცხოვრობდა. დავადგინე მისი კოორდინატები, დავურეკე, ჩავაკითხე კიდეც ევროპაში, მაგრამ ცივი უარი მივიღე. ამხელა გზა გავიარე, დიდი თანხა გავიღე, ის კი შეხვედრაზეც ვერ დავითანხმე... ახლა ისევ უცოლოდ ვარ. ნიაც გასათხოვარია და თბილისში დაბრუნდა რამდენიმე თვის წინ. სწორედ თქვენი საშუალებით მინდა, ორიოდ სიტყვა ვუთხრა მას: „ჩემო ნია, იმედია, ამ მესიჯს წაიკითხავ. გთხოვ, ერთხელ მაინც შემხვდი და შენთან დალაპარაკების საშუალება მომეცი. უფრო მეტს მოგიყვები, ვიდრე ჟურნალში შევძელი. ნეტავ, გამომტყდომოდი სიყვარულში — მაშინ სირაქლემის როლს ვეღარ მოვირგებდი და „ვითომ არაფერი ვიცის“ პოზიციას ვეღარ დავიკავებდი... გაიგე, რომ მიყვარხარ და შენთან მინდა... ლევანი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებსა და უკვე ტრადიციად ქცეულ „საჩივრის სვეტს“ გადავხედოთ.

„კომუნისტურ-პაპუასური მენტალიტეტის დრო წავიდა“

„დღეს (20 ოქტომბერს) ჩემი დაბადების დღეა. თუ ეს მესიჯი დაიბეჭდა, ცალ ხელში ჭიქას ავიღებ, მეორეში — „გზას“ და რესტორანში მეგობრებთან ერთად განსაკუთრებულად შევსვამ „გზავნილების“ სადღეგრძელოს. ბოლო 2 თვეა, ყველა ნომერში იბეჭდება ჩემი მესიჯი. ამით ჩემს პატარა, ჟურნალისტურ ჭიას ვახარებ. სულით მწერალი ვარ, პროფესიით — მათემატიკოსი, რეალურად კი — მუსიკის მასწავლებელი და ყვავილების დიზაინერი. ხომ მაგარი შეხამებაა?! მაგრამ რას იზამ, ცხოვრებაში უფრო უცნაური ამბებიც ხდება. ჟურნალისტობის აუხდენელი ოცნება კი მაინც არ მასვენებს და როცა ჩემს გზავნილს ჟურნალში ვკითხულობ, უზომოდ ბედნიერი ვარ. რუსიკო, ქუთაისი“.

„ეჰ, მარი, რა აზრი აქვს, მესიჯი რომ გამოგიგზავნო? მაინც არ გამოაქვეყნებ; რატომ მჩაგრავ? გემუდარები, დამიბეჭდე, რა! ოზურგეთელო გიორგი კ-ძე, ვერ გიტან. დროთა განმავლობაში მიხვდები, როგორი უგულო ხარ. ხატია“.

„ჩემი აზრით, ქალი კარგად უნდა დაფიქრდეს, ვიდრე ბიჭს რამეს ეტყოდეს. სწორედ დღეს ვაპირებდი, ჩემი გრძნობის შესახებ მეთქვა ადამიანისთვის, რომელიც ჯერ კიდევ ერთი საათის წინ უზომოდ მიყვარდა, მაგრამ ვიდრე რამეს ვეტყოდი, საუბრის დროს, მისმა ერთმა უხამსმა სიტყვამ ყველაფერი შეცვალა. არ გეგონოთ, მე მაკადრა რამე. არა, უბრალოდ წამოროშა რაღაც. იმავე წამს მივხვდი, რომ არც ისე ძალიან მყვარებია. მის მიმართ ყველანაირი სიმპათია გამიქრა“.

„შარშან ერთი ბიჭი სიგიჟემდე შემიყვარდა. გრძნობა პირველმა მე გავუმხილე. დავიწყეთ შეხვედრები და ყოველ წუთს ვაგრძნობინებდი, რომ მასზე ვაფრენდი. ცოტა ხნის შემდეგ კი გამომიცხადა, არც არასდროს მყვარებიხარ და არც ახლა მიყვარხარო. ეს ამბავი ძნელად გადავხარშე და მტკიცედ გადაწყვიტე, მისთვის სამაგიერო გადამეხადა. ვცდილობდი, მისი დანახვისას ისე მოვქცეულიყავი, ვითომ არც არაფერი მომხდარა. მე ნელ-ნელა დავივიწყე, მაგრამ ახლა მას შევუყვარდი და საშინლად იტანჯება. ნინუცა, ქუთაისი“.

„სიყვარული უნდა გაამხილოს მან, ვინც დარწმუნებულია, რომ შეყვარებულია. კომუნისტურ-პაპუასური მენტალიტეტის დრო წავიდა. მამაკაცი“.

„სტუდენტობის დროს, კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე დავდიოდი. ჩემი მასწავლებელი ზურა შემიყვარდა. გაკვეთილს რომ მიხსნიდა, არაფერი მესმოდა. მხოლოდ მასზე ვფიქრობდი. გადიოდა დრო და სწავლის ვადაც ამოიწურა. ის კი ვერაფერს ხვდებოდა. ძალზე განვიცდიდი, რადგან დასავლეთში უნდა წავსულიყავი. სულ ვტიროდი, ჩემი მამიდაშვილი კი მაწყნარებდა. ბოლოს, დავწერე დიდი წერილი, სადაც სიყვარულს ვუხსნიდი და ვეუბნებოდი, რომ მის გარეშე მოვკვდებოდი. ეს წერილი ჩემს მამიდაშვილს გავატანე ადრესატთან. ზურა წერილის პირველსავე სტრიქონებიდან მიმხვდარა, როგორი შინაარსი ექნებოდა მას და ჩემი მამიდაშვილის თვალწინ დაუხევია. — მე ცოლიც მყავს და პატარასაც ველოდებიო, — უთქვამს. თურმე, ცოლიან კაცს ვეფიცებოდი სიყვარულს. ახლა ამ ამბავზე კარგად ვხალისობ... ნამდვილი სიყვარული კი უკვე ვიპოვე. სიყვარულიც თვითონ ამიხსნა და ბედნიერიც ვარ, მთელი ჩემი ოჯახით“.

„მე და გიოს ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ ვბედავდით გამხელას. ავდექი და ისევ მე გავბედე. აბა, ეს გოგოს საკადრისი საქციელია?.. თათული“.

„დიდი ბოდიში, მარი, ღამის პირველ საათზე რომ გიმესიჯებ, მაგრამ „გზავნილების“ კითხვას ახლა მოვრჩი და სურვილი გამიჩნდა, რამე მომეწერა. ძალიან „იგრიხებიან“ ქართველი მამაკაცები — ევროპელები ვართო, მაგრამ სინამდვილეში საშინელი აზიატები არიან და უამრავი სულელური „წიკი“ აქვთ. ერთ-ერთი ის არის, რომ ჰგონიათ, სიყვარულის მოსაპოვებლად პირველი ნაბიჯი სწორედ თვითონ უნდა გადადგან. მომკალით და არ მესმის, რატომ არ შეიძლება, პირველად ქალი გამოტყდეს საკუთარ გრძნობაში. ცხოვრებაში ერთადერთხელ გადავაბიჯე საკუთარ პრინციპებს და ერთ დროს ჩემთვის ძვირფას ადამიანს ვაგრძნობინე, რომ ჩემთვის ბევრს ნიშნავდა, სანაცვლოდ კი ირონია და დაცინვა მივიღე. მაშინ დავრწმუნდი, რომ ყველა კაცი უნდა გააწამო და თავი დაიფასო. მეტის ღირსები არ არიან“.

„არა, არა... მე სიყვარულის ზღვაშიც გამიცურავს, მაგრამ არასდროს მითქვამს — მიყვარხარ-მეთქი. რატომ?.. გოგონებო, საკუთარი თავი დააფასეთ. კი არ უნდა უთხრათ, არამედ უნდა აგრძნობინოთ! სიტყვა „მიყვარხარ“ უნდა მოანატრო და აოცნებო. თუ ეს სიტყვა შენს ბაგეთაგან მოისმინეს, „ტრფობაშეფერებულები“, იოლად გატკენენ გულს“.

„ჩემთვის ეს გრძნობა რომ ვერ შეემჩნიათ, ამისთვის ათას სისულელეს ჩავდიოდი. გამხელაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ძალზე მრცხვენოდა, რომ შემიყვარდა და ამას საგულდაგულოდ ვმალავდი. ეს ის კომპლექსია, ალბათ, ჩვენს ქართულ მენტალიტეტს რომ ახლავს და მშობლებიც ბავშვობიდანვე გვინერგავენ. მას შემდეგ 15 წელი გავიდა. ახლა სასწაული რომ მოხდეს და ის დრო დაბრუნდეს, ალბათ, ისევე გამიჭირდებოდა მეთქვა, რომ მიყვარდა და ველოდი, რომ ის სულელი ბავშვი აღარ ვარ, უაზროდ რომ ვტკენდი გულს, რომ ძალიან მენატრება...“

„ძალიან მიყვარს გიორგი. თვითონ კი არაფერს მეუბნება. ახლა ნაჩხუბრები ვართ. მე ვერ ვბედავ, პირველი გამოვუტყდე სიყვარულში, რადგან ერთხელ თქვა — ვერ ვიტან, გოგო ბიჭს სიყვარულს რომ უხსნისო... თვითონ ხმას არ იღებს. მის ოჯახს კი შეყვარებულები ვეგონეთ... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე...“

„მე ის ქალი ვარ, რომელმაც პირველად გაამხილა სიყვარული. იცით, რა მიპასუხა ჩემმა „ბებერმა ტინეიჯერმა“? — სიყვარულის არა გამეგება რაო! ჰოდა, მერე ვიდექი და იმას ვუხსნიდი, რა არის სიყვარული... მიმაჩნია, რომ ქალმა არ უნდა გადადგას ეს ნაბიჯი პირველმა, მაგრამ მაინც არ ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი, რადგან ის უსაზღვროდ მიყვარს“.

„კარგა ხანია, მესიჯი აღარ მომიწერია და ძალიან მომენატრეთ ყველანი. მარი, დიდი სიყვარულით მოგიკითხავთ შენც და „გზის“ ყველა აქტიურ „მგზავნელსაც“... ჩემი აზრით, გოგომ არაფრით არ უნდა გაამხილოს თავისი გრძნობა პირველად. ეგ მამაკაცის მოვალეობაა და სულაც არ არის საჭირო, ასეთი ქცევით კიდევ ერთხელ „ჩავხადოთ შარვალი“ კაცებს... მაკა“.

„ერთმა ჩემმა მეგობარმა გოგონამ ბიჭს სიყვარული აუხსნა. მან კი უთხრა — თუ მართლა ასე გიყვარვარ, მერიის წინ დადექი და მთელი ხმით დაიყვირეო... ამ დეგენერატმაც დიდხანს არ ახვეწნინა. ადგა და დაიყვირა. როცა გოგონა ღრიალს მორჩა, ბიჭმა მიახალა — შენნაირი გოიმებისთვის დრო არ მაქვსო...“

„გურჯაანელო ზვიად ზ-შვილო, გაიხსენე 2000 წლის სექტემბერი. ქეიფი და „ვალსი“... მერე დაგაკარგე. 2 დღის წინ კი, ისანში გნახე. მიყვარხარ. გთხოვ, მარის საშუალებით დამიკავშირდე. ეკა, გურჯაანი“.

„ბაჩო ქართულის გამოცდაზე გამომიტყდა სიყვარულში. სიხარულისგან ისე ავფორიაქდი, რომ ძლივს ჩავამთავრე წერა, მაგრამ ცოტა ხანში მეც რომ გამოვუტყდი სიყვარულში, ცივად მიპასუხა — შენგან სწორედ ამის გაგონება მინდოდაო. არადა, პირველ სიყვარულს ისე ველოდი... ბაჩომ კი ისეთ დღეში ჩამაგდო, მთელი საკაცეთი შემაძულა. მარიკა“.

„ერთი ბიჭი მომწონდა და სულ ვეპრანჭებოდი. მასაც სიგიჟემდე შევუყვარდი, რას აღარ აკეთებდა, რომ გავეცანი. მე კი უკვე აღარ მაინტერესებდა. მესიჯებზე პასუხსაც კი აღარ ვუგზავნიდი. ის ძალიან

სიმპათიურია, კეთილი და ზრდილობიანი, ამიტომ გოგოები მასზე გიჟდებიან... მე რომ ყურადღება არ მივაქციე, ალბათ, ამან გაახელა და შევუყვარდი. ცოტა ხნის წინ კი, რაღაც შარში გაეხვია და დაიჭირეს. ძალიან ვინერვიულე. ვიცი, ძალიან უჭირს. ისიც ვიცი, რომ მართალია და მალე გამოუშვებენ. დედამისმა მთხოვა, დაურეკე, გაუხარდებაო. მე კი არ ვიცი, რა ვქნა. მასთან ხომ არასოდეს დამირეკავს!..“

„ეჰ, მარი, ნინიკომ რომ სიყვარული ამიხსნას, ეს ჩემი ოცნებაა... ავდგები და მე ავუხსნი — ნინიკო, მიყვარხარ და გთხოვ, „გეპეიში“ რომ შემოხვალ, შემამჩნიო. მარნეული“.

„როცა სიყვარულს პირველად ქალი ამხელს, კაცი ამით სარგებლობს და ცდილობს, ლოგინში შეიტყუოს. მოტყუებული ქალი კი ნებდება და შემდეგ ნანობს. მეც ამის მსხვერპლი ვარ.. მარი“.

„პირველმა რომ გავუმხილო სიყვარული, მერიდება. არადა, როგორ შემიყვარდა! სულ მასზე ვფიქრობ და ვოცნებობ. მინდა, ჩემი სიმპათია ვაგრძნობინო, მაგრამ არ გამოდის. კაცებო, მოდით, ისევ თქვენ აგვიხსენით სიყვარული. კოლია, მიყვარხარ! ყველას გასაგონად ვაცხადებ...“

„ღიპუცა“, ისეთი ცინიკური გახდი, უკვე ველარც კი ვხვდები, რა მიყვარდა შენში. თავს არასოდეს ვაპატიებ, რომ შემიყვარდი. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა. ერთ დროს კი მზად ვიყავი, შენთვის თავი გამეწირა. ეს ყველაფერი უკვე დამთავრდა! სიყვარულზე წარმოდგენა დამაკარგვინე. „გზავნილებს“ თუ შევჩივლებ გულისტკივილს, თორემ შენთან ლაპარაკი არ ღირს, ისე შეიცვალე. ვიცი, წაიკითხავ; იცოდე, მიყვარდი, ძალიან მიყვარდი... ახლა კი მხოლოდ ვიტანჯები“.

„არ მომწონს და არ ვარ იმის მომხრე, რომ გოგო მიქანდეს და პირველმა აუხსნას ბიჭს სიყვარული. ევროპელებს და ამერიკელებს თავში ქვა უხლიათ. ქართველები ვართ და არ გვიხდება... ეს ვიცი, მაგრამ ის არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე ახლა: პიროვნებამ, რომელიც კარგად მიცნობს, გამიმჟღავნა, რომ ძალიან ვუყვარვარ. მე კი, ძველი ტკივილისა და იმედგაცრუების შიშით, მას ამ თემაზე საუბარი ავუკრძალე. ისიც დგას და მოთმინებით დუმს... მე კი დღითი დღე უფრო მიყვარდება... მიყვარდება... მიყვარდება... ახლა რა ვქნა? გამოვუტყდე?.. ეს ფიქრი მტანჯავს და ვის გავუმხილო, თუ არა „გზავნილებს“?!. „პარასკევა“. მაპატიე, რომ ასე გვიან გწერ მესიჯს“.

„თუ ქალი სიყვარულს ამხელს, ეს კაცმა დიდ ბედნიერებად უნდა ჩათვალოს და მთელი ცხოვრება ხელისგულზე უნდა ატაროს, რადგან ქალებს სოციალურმა პრობლემებმა კარგა ხანია, სიყვარული დაავიწყა. ცოლად ფულიანებს მიჰყვებიან და როცა გაჭირვებას თავს დააღწევენ, მერე არც სიყვარულის გარეშე რჩებიან და საყვარელს იჩენენ... მე თავისუფლად შემიძლია, კაცს სიყვარული გავუმხილო, რადგან სახლიც მაქვს, მანქანაც და ფულიც. რომც არ ვუყვარდე, ვინ მეტყვის უარს?! სადღა შერჩათ მაგდენი ღირსება და თავმოყვარეობა ქართველ კაცებს?! სწორედ ამ მიზეზით საქართველოში სულ ერთი და იგივე ქალები თხოვდებიან... ინო“.

„თუ ვინმე ძალიან გიყვარს, უნდა უთხრა ამის შესახებ, თორემ, ეს წუთი შესაძლოა, აღარასოდეს გამეორდეს. ცხოვრება ძალზე ხანმოკლეა საიმისოდ, რომ გათვლებისთვის დავხარჯოთ. ანა“.

„ლევან ლ-ია, ძალიან მომწონხარ. შენი პიროვნებით მოვიხიბლე. სიყვარულს არ გიხსნი, მაგრამ სიმპათიას გიმჟღავნებ. თიკოს ამბავი დაივიწყე, რა! დაქალებმა გამიჩალიჩეს და ახლაც მერიდება, როცა ვიხსენებ. ამ მესიჯს თუ წაიკითხავ, შენც დამიმესიჯე. ჯული, აბასთუმანი“.

„არ დაიჯერო, მიგატოვე, ღმერთია მოწმე, სულ ფიქრით ვთელე უშენობის მკრთალი მირაჟი, წუხელ სიზმარში შენი ლამაზი თვალები ვკოცნე, მომენატრე და შეგაწუხე წუხელ სიზმარში... ხომ სერიოზული ლექსია?.. იცით, ვის ეძღვნება? ხან ვის და ხან... ვის“.

„ჩემზე 16 წლით უფროსი მამაკაცი შემიყვარდა. მართალია, სიყვარულში პირველად თვითონ გამომიტყდა, მაგრამ მეც სიგიჟემდე მიყვარს და მას არ სჯერა. ნუთუ არ შეიძლება, მიყვარდეს? ზაზა, საქვეყნოდ მინდა გითხრა, რომ მიყვარხარ. თუ მომატოვებ, თავს მოვიკლავ. შენი სოფო“.

„როცა ჩემს ქმარს, დიმას სიყვარული ავუხსენი, მან უკვე ისედაც იცოდა, რომ მიყვარდა. მინდა, კიდევ ერთხელ გავუმეორო, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ნინო ანუ ცოლი“.

„მინდა, ისეთი რამ გაგიმხილოთ, რასაც ვერავის ვეუბნები. ჩემს მეგობარს, ვისაც ძმაკაცად ვთვლი, მგონი, ვუყვარვარ. ვერც მიმხელს და ვერც ისვენებს. ძალიან ვნერვიულობ და უზომოდ მეცოდება. თოკა, მაპატიე, რომ შეგიყვარდი. „ბლანდინკა“.

„მინდა, ქალებს ვურჩიო, რომ არასოდეს აუხსნან სიყვარული კაცებს. მე რომ გავბედე და ასე მოვიქეცი, რად გინდა?! დავრჩი მუცელგაბერილი. მერე, იმ ვაუბატონმა ჩემი მუცლის ამბავი რომ გაიგო, თავი გაიგიჟა — ჩემი არ იქნებაო. ვითომ, ტრასის ბოზი ვყოფილიყავი. სხვაზე არანაკლები „ნაგიჟარი“.

„ო-ოო, მართალია, პირველად მე არ გამოვუტყდი სიყვარულში, მაგრამ იმდენი ვეკეკლუცე, რომ თავი შევაყვარე და მთელი კვირა მდია, რომ სიყვარული აეხსნა. მერე მისმა ძმამ დაგვაშორა ერთმანეთს და შემრჩა მხოლოდ ბედნიერი ერთი თვე... ეს ამბავი 5 წლის წინ, კახეთის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. ასეთი სიყვარული იციან კახელებმა, მაშ, ასეა!“

„გზავნილები“ ყველაზე მაგარი რუბრიკაა მსოფლიოში. მე მგონი, ცუდი არაფერია იმაში, თუ სიყვარულს პირველი ქალი გაამხელს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სწორედ თქვენი საშუალებით ავუხსნა სიყვარული დათო კირკიტაძეს. დათო, მინდა იცოდე, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. ნეტავ, იცოდე, რამდენჯერ დამისველებია ცრემლით შენი სურათი... რამდენჯერ მინატრია წვიმის წვეთად გადაქცევა, რომ შენს სახეს ერთხელ მაინც შევხებოდი... ვიცი, რომ სხვასაც უყვარხარ, მაგრამ ჩემსავით — არავის. აი, ასე! გამოვტყდი სიყვარულში...“

„ჭირი ეცეს ჩემს ქმარს! თავიდანვე ასე ხელით სათრევი რომ იყო, იმიტომ გავხდი იძულებული, რომ სიყვარული ამეხსნა. თვითონ ამას ვერასოდეს მოიფიქრებდა და რომ არა ჩემი მოწადინება, დღემდე უცოლოდ იხეტიალებდა გზააბნეული. ოჯახის შექმნაც მე გადავაწყვეტინე და ლამის იქით დავაორსულე კიდეც. რას იზამ, ამ ცხოვრებაში ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია. ახლაც მე უნდა შევახსენო: — ჭამე, ადექი, დაწექი, ჩაიცვი, წადი, მოდი... ეს რა ჯოჯოხეთში ჩავვარდი, რა მინდოდა? ვერ გავყევი იმ კაცს, ვინც აქეთ მიხსნიდა სიყვარულს და კუდში დამდევდა?! მაგრამ უტვინო რომ იქნები ქალი, მეტის ღირსი ხარ სწორედ. გოგოებო, გაითვალისწინეთ ჩემი გამოცდილება. თუ კაცს სიყვარულის ახსნა არ შეუძლია, ისეთი კაცი რაში უნდა გამოიყენოთ?“

საჩივრის სვეტი

„ერთი ბიჭი მიმესიჯება. უკვე 50 მესიჯი მომწერა. დამანებოს თავი, თორემ, ჩემს ქმარს ვეტყვი! თიკო“.

„საცოდავი ქუთაისელი ხალხის სახელით მინდა, ვუჩივლო ქუთაისის ენერგოკომპანიას, რომელმაც ჯერ ზამთარი არ დამდგარა და უკვე ჩაგვაბნელა. შუქი უკვე სანატრელი გაგვიხდა. ვზივარ ამ სიბნელეში და თავში შავბნელი აზრები მიტრიალებს. ჩვენ, საწყალ ქუთაისელებს ერთადერთი გასართობი — ტელევიზორი გვქონდა და ისიც აღარ გვაქვს. ესაა ცხოვრება? მერე კიდევ გაიკვირვებენ — რას გარბის ეს ხალხი თბილისშიო?!.“

„მარი, იქნებ, შენ გააგებინო ჩემს ქმარს, რომ მუშაობა დღისით უნდა და არა ღამით. მთელ ღამეებს კომპიუტერთან ატარებს, დღისით კიდევ სძინავს. უთხარი რამე, იქნებ შენ მაინც დაგიჯეროს ჩემმა „ღამურა“ ქმარმა. ის არქიტექტორია და ამბობს, — ღამით უკეთ ვმუშაობო... დიდი პატივისცემით, თეო“.

„საჩივარი შემომაქვს, მარი... იქნებ წაიკითხოს ჯანდაცვის მინისტრმა ან ვისაც ეს საკითხი ეხება და ყველა თეთრხალათიანს არ მისცეს ნება, კერძო სახლებსა და გარაჟებში სტომატოლოგიური კლინიკის გახსნისა. საღი კბილი ამომიღეს, ღრძილები დამიზიანეს და თავი მაგარი პროფესიონალები ჰგონიათ. ასე ხომ მეც ჩავიცვამ თეთრ ხალათს და ექიმს დავირქმევ...“

„მარი, შეგვეშვი, რა! ისიც არ ვიცი, ვისთან უნდა გიჩივლო, მაგრამ თუ ვინმე არსებობს, ვისაც შეუძლია, დაგსაჯოს, მის საყურადღებოდ ვაცხადებ — მოგვაშორეთ მარი, თორემ ჯერ იმით გავკოტრდი, „გზის“ ყოველ ნომერს რომ ვყიდულობ, მერე იმით, მესიჯებს რომ ვწერ და ვგზავნი. მერე კიდევ ნამდვილი ნევროზი ავიკიდე, რადგან, თითებზე ვითვლი ხუთშაბათამდე დარჩენილ დღეებს, რომ რაც შეიძლება მალე ვიყიდო ჟურნალი და მაშინვე „გზავნილებს“ ვეცე... ეს ნარკოტიკივითაა — წაიკითხავ და კიდევ და კიდევ გინდა... მოკლედ, ასე, მარი: შენ გიჩივი იმისათვის, რომ „გზავნილების“ „ლომკა“ მაქვს. გკოცნი, ნინო“.

რაღა დაგიმალოთ და... ასეთი სასიამოვნო საჩივარი ჯერ არ მიმიღია. მინდა, ნინოს და ყველა ჩვენს მკითხველს მადლობა გადავუხადო... თქვენ რომ არ იყოთ, არც „გზავნილები“ იარსებებდა. დღეს ამით დავამთავროთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ — სიყვარულმა ასაკი არ იცის. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა ასაკში გეწვიათ დიდი სიყვარული და როგორი დასასრული ჰქონდა მას. მე კი მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

■

მომღერალი თამუნა ამონაშვილი თურმე ძალიან ხელმარჯვე ყოფილა. უყვარს ის, რაც მოდაშია. ყველაზე კარგად შარვალში გრძნობს თავს. ატარებს დიდი ზომის ბეჭდებსა და საყურეებს.

რომელ ჟურნალს კითხულობს თამუნა ამონაშვილი, რას ნიშნავს სიმხეცე მუსიკაში და რატომ არ უყვარს მოწყვეტილი ყვავილი

ეკა მინდაძე

— ადამიანის გემოვნების ჩამოყალიბებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად და რა დონის ოჯახში იზრდება. თუმცა, არსებობს ადამიანთა ისეთი კატეგორიაც, რომლებიც ძალიან უბრალო ოჯახის შვილები არიან, მაგრამ საკუთარ თავზე ბევრს მუშაობენ, რომ დაიხვეწონ.

— ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო...

— ამბობენ, მაგრამ ყველა დაობს. რამდენი ადამიანიც არის, იმდენნაირი გემოვნებაა. ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ცხოვრებას არ ჩამორჩეს, მაგრამ შეუძლებელია ყველას ერთი აზრი ჰქონდეს. მაგალითად, ჩემში დიდ აღფრთოვანებას იწვევს ყოველწლიური სიახლე. მოდა ახალისებს სულსა და გულს. მიზიდავს ყოველი სიახლე მოდაში — თუნდაც, ის ძველი, რომელიც ახლებურად იმდენად ლამაზად შემოდის, რომ ხშირად, გაკვირვებულიც ვარ: შეიძლება, ამ სტილის სამოსი ადრე რომ მენახა, ვერ წარმომედგინა, თუ ოდესმე ჩავიცვამდი...

— გემოვნების ჩამოსაყალიბებლად განმსაზღვრელი რა არის?

— გემოვნების ჩამოსაყალიბებლად უამრავი რამ არის საჭირო. უმთავრესია, სულიერი საზრდო. ზოგისთვის ეს შეიძლება, მოდა იყოს, ზოგისთვის — კერვა, მუსიკა, თეატრი, კინო, ხატვა, ცეკვა და ასე შემდეგ. ადამიანი დაჯილდოებულია უამრავი ნიჭით და თვითონაც არ იცის, როდის რა იჩენს მასში თავს. მაგალითად, პოლ გოგენმა 40 წლის ასაკში დაიწყო ხატვა. შეიძლება, გავიდეს დრო და მეც აღმოვაჩინო რაიმე ნიჭი საკუთარ თავში: ალბათ, არსებობს რაღაც მხარე, რომელიც ჯერ არ ვიცი, მაგრამ ეს ადრე რომ აღმომეჩინა, დიდი მიღწევები მექნებოდა. ჯერჯერობით, ჩემში მე აღმოვაჩინე ნიჭი მუსიკის სფეროსა და დიზაინში...

— მნიშვნელოვანია თუ არა გემოვნებისთვის წიგნის კითხვა?

— რა თქმა უნდა. პირადად მე, თითეული წიგნის დამთავრების შემდეგ კარგა ხანს ვრჩები იმ სამყაროში და იმ წიგნიდან მიღებული ემოციებით დატვირთული განვაგრძობ ცხოვრებას.

— თუ გახსოვს, რომელმა წიგნმა მოახდინა პირველად შენზე დიდი შთაბეჭდილება?

— პირველად, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება და ემოცია ჯეკ ლონდონის „ზღვის მგელმა“ დამიტოვა.

— ამჟამად რას კითხულობ?

— არაფერს. 3 კვირის წინ, პაულო კოელიოს წიგნის კითხვა დავასრულე. მას შემდეგ, არაფერს ვკითხულობ, თუ არ ჩავთვლით ყოველდღიურ პრესას და ჟურნალებს. ძალიან მიყვარს რუსული ჟურალი „7 დნეი“.

— ქართულ ჟურნალებს არ კითხულობ?

— არა. ქართულ ჟურნალს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვკითხულობ, თუ იქ ჩემი ინტერვიუა დაბეჭდილი.

— შენი აზრით, „გემოვნებიანია“ თუ არა ქართული ესტრადა?

— იყო პერიოდი, როცა მე და ჩემი თაობის მომღერლებმა ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ იმისათვის, რომ ქართული სიმღერა წინა პლანზე წამოგვეწია. მოვახერხეთ კიდეც, რუსული და უცხოური სიმღერის დაჯაბნა და ქართული სიმღერის წინ წამოწევა: სადაც არ უნდა შესულიყავი, ყველგან ქართული სიმღერა ისმოდა. დღეს კი კვლავ ჩაიძირა და დაითრგუნა ქართული სიმღერა. ამაში დიდი წვლილი პრესას და ტელევიზიას მიუძღვის: ტელევიზიიდან რასაც „ჩაგირახუნებენ“ თავში, იმას იმეორებ — მთელ მსოფლიოში ასეა. ის ადამიანები მეცოდებიან, ვინც თავიანთ შოუს ვიღაცების ლანძღვით „ამდიდრებენ“. ხშირად დამწყვეტია გული იმ ცინიკური სიტყვების გამო, რომლითაც მოუხსენებიათ ესა თუ ის მომღერალი. როგორ შეიძლება დაცინვა ან რატომ უნდა დასცინო ადამიანს, რომელიც რაღაცას ქმნის?! საერთოდ, რა წესია, ტელევიზიით მომღერლების დაცინვა?! მესმის, რომ უამრავი არაპროფესიონალია, მაგრამ დრო ამას თავად განსჯის. ცუდიც საჭიროა იმისთვის, რომ კარგის ფასი გაიგო...



რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერი კარგად გამომდის. რეზის ჩემ მიერ შემწვარი კვერხიც კი ძალიან გემრიელი ეჩვენება

დღეს საქართველოში ბევრია ნამდვილი მომღერალი, თუმცა არაპროფესიონალიც ძალიან ბევრი გვყავს. არ შეიძლება, ყველა ერთ ქვაბში მოხარშო...

— რა სტილის მუსიკა გიყვარს?

— მიყვარს სოული და პოპი. არ მიყვარს როკი — ანუ ვერ ვიტან მუსიკაში სიმხეცეს. აქედან გამომდინარე, როკი ჩემთვის ძალიან მძიმე მოსასმენია.

— რა ასაკიდან დაიწყე დამოუკიდებლად ჩაცმა?

— დამოუკიდებლად ჩაცმის სურვილი მე-6 კლასიდან გამიჩნდა. ბავშვობაში პრენტენზიული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ რამდენიმე ტანსაცმელი ამოჩემებული მქონდა. ძალიან მიყვარდა ჟაკეტი, რომელსაც ლამაზად ამოქარგული ყვავილები ჰქონდა. მახსოვს, როგორც კი ამ ჟაკეტს ჩამაცმევდნენ, მაშინვე ვხვდებოდი, რომ სტუმრად მივდიოდით... სკოლის პერიოდში — დაახლოებით მე-6 კლასში — როცა საკუთარ თავზე ფიქრი დავიწყე, ავიღე ორი ჩხირი, ვიყიდე ძაფი და შევუდექი ქსოვას. ძალიან მინდოდა, კერვაც მესწავლა. რა თქმა უნდა, თავიდან, არც ერთი არ გამომივიდა და უამრავი ძაფი და ქსოვილი გავაფუჭე. დღეს ბედნიერი ვარ, რომ ვაკეთებ იმას, რაც მე სრულიად მაკმაყოფილებს.

— შენთვის თუ შეგიკერავს ან მოგიქსოვია რაიმე?

— რა თქმა უნდა! არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ თითქმის ყველა ჩემი მეგობრისთვის შემიკერავს და მომიქსოვია. გარდა ამისა, მათ ჩემ მიერ გაკეთებულ სამკაულებსაც ვჩუქნი.

— ახლა რა სტილის სამოსს ამჯობინებ?

— ყველანაირს. მაგრამ მთავარია, იცოდე, სად რა უნდა ჩაიცვა. რომ ვიყო ბანკირი ან ოფიციალური პირი, სულ კლასიკურად ჩაცმული ვივლიდი, მაგრამ დავიტანჯებოდი. მიყვარს თავისუფალი ჩაცმა. განსაკუთრებით კარგად ვგრძნობ თავს შარვალში.

თუმცა, ყველა ჩემი მეგობარი მეუბნება, რომ კაბაც ძალიან მიხდება, მე მაინც შარვალი უფრო მიყვარს, რადგანაც ძალიან პრაქტიკულია.

— სად ყიდულობ ტანსაცმელს?

— ძირითადად, თბილისის მაღაზიებში. თუ უცხოეთში მომიწია წასვლამ, რა თქმა უნდა, იქაც მიყვარს რამე განსხვავებული ტანისამოსის შეძენა. ვერ ვიტყვი, რომ მაღაზიების ხშირი სტუმარი ვარ. ეს ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ ბოლო დროს, უფრო მეტად, ჩემი ხელით შეკერილი და მოქსოვილი მაცვია. შემიძლია შევიკერო, რაც მინდა. სხვათა შორის, არაერთი პალტოც მაქვს შეკერილი. წვეულებაზე უფრო დიდ აღფრთოვანებას ჩემ მიერ შეკერილი

საერთოდ, რა წესია, ტელევიზიით მომღერლების დაცინვა?! მესმის, რომ უამრავი არაპროფესიონალია, მაგრამ დრო ამას თავად განსჯის

კაბა ტოვებს, ვიდრე მაღაზიაში ნაყიდი...

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯვრისწერაზე, ავთო ცქვიტინიძის მიერ შეკერილი კაბა გაცვა. კიდევ ვის ნამუშევარს იცვამ?

— რა თქმა უნდა, ავთოს ნამუშევარს ხშირად ვიცვამ. ჩვენ მეგობრები ვართ და როცა რაიმეს ვქმნი, ყოველთვის მას ვუჩვენებ ხოლმე. მიხარია, როცა ავთო ჩემს ნამუშევარს დადებითად შეაფასებს. ავთოს გარდა, ვიკერავდი მაკა ასათიანთან. ძალიან მომწონს თამუნა ინგოროყვას ნამუშევრებიც.

— ფეხსაცმელს იკერავ თუ ყიდვას ამჯობინებ?

— არა, ფეხსაცმლის შეკერვას ყოველთვის ყიდვას ვამჯობინებ. იშვიათად ხდება, რომ შეკერილი ფეხსაცმელი ზუსტად მოგაჯდეს. არადა, თუ მე ფეხზე დისკომფორტს განვიცდი, საშინელ ხასიათზე ვდგები. ამიტომ ყოველთვის თავს ვარიდებ ფეხსაცმლის შეკერვას.

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად რას გამოარჩევ?

— ძალიან მიყვარს დიდი ზომის სამკაულების ტარება. ვგიჟდები დიდ ბეჭდებზე, პატარა და თხელ ბეჭდებს, რომლებიც არ ჩანს, ფაქტობრივად, ვერ ვხმარობ. ძალიან ბევრი ჩემ მიერ შექმნილი ბიჟუტერია მაქვს, მაგრამ უფრო მეტად, ოქროს ვატარებ.

დავიტოვე მხოლოდ 2 დიდი სათამაშო...

— სუნამოს ხშირად იცვლი?

— საკმაოდ. თუმცა, არსებობს ისეთი სუნამო, რომელსაც მესამედ ვყიდულობ — ეს გახლავთ „ენჯელ შლესერი“.

— როცა რაიმეს იძენ, ხარისხს ანიჭებ უპირატესობას თუ ფასს?

— იცი, რა, საერთოდ, ყველაფერი ხარისხიანი ძვირი ღირს — ეს აქსიომაა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ფასს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. შეიძლება, ძვირად ღირებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანი გაცილებით უგემოვნოდ გამოიყურებოდეს, ვიდრე — იაფფასიან ტანისამოსში.

— შენი და მეუღლის გემოვნება თუ ემთხვევა ერთმანეთს?

— რა თქმა უნდა. რეზიკოს ჩემი ყველაფერი მოსწონს, დაწყებული პიროვნებიდან, დამთავრებული გემოვნებით. ალბათ, ეს სიყვარულის ბრალია: როცა ადამიანი გიყვარს, მისი ყველაფერი მოგწონს.

— მამაკაცში ყველაზე მეტად რას ვერ ეგუები?

— ვერ ვიტან ბინძურ და ფეთხუმ მამაკაცებს. რაც არ უნდა თანამედროვედ ეცვას, თუ მას ჭუჭყიანი ფეხსაცმელი აცვია და წვერგაუპარსავია, ჩემში ანტიპათიას იწვევს. მირჩევნია, ადამიანს უბრალოდ ეცვას და სუფთად, ვიდრე დალაქავებული და მოდური ტანისამოსი.

— მუდამ ფორმაში ყოფნას როგორ ახერხებ? დიეტაზე ხარ თუ ვარჯიშობ?

— მე მთელი ცხოვრება ვვარჯიშობ. ბოლო დროს, შეიპინგზე არ დავდივარ, მაგრამ სახლში თითქმის ყოველდღე, 20 წუთს ვუთმობ ვარჯიშს. რაც შეეხება დიეტას — არასოდეს დამიცავს. ვფიქრობ, დიეტა სულისა და ხორცისთვის სიმწარეა. ადამიანს თუ ჭარბი წონა არ აქვს, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დაიცვას დიეტა.

— ეს ბინა შენი გემოვნებით გაქვს მოწყობილი?

— რა თქმა უნდა. მაგრამ უფრო ძირფესვიანად ჩემი გემოვნებით იმ ბინის მოწყობას ვაპირებ, რომელსაც ე.წ. „ვარსკვლავების სახლში“ ვიშენებ.

— ყვავილებს შენ თვითონ უვლი?

— რა თქმა უნდა. მე და დედას ძალიან გვიყვარს ქოთნის ყვავილების მოვლა-პატრონობა. არ მიყვარს მოწყვეტილი ყვავილი, რომელიც 2 დღეში ჭკნება.

— ეს დიდი სათამაშოები შენია?

— კი. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა დიდი, რბილი სათამაშოები. ამიტომაც უამრავი რბილი სათამაშო მქონდა. ამ ბოლო დროს, თითქმის ყველა გავაჩუქე. დავიტოვე მხოლოდ 2 დიდი სათამაშო. ისინიც იმიტომ მაქვს, რომ ღირსშესანიშნავ პერიოდში მაჩუქეს...

— სამზარეულოშიც თუ ხარ ხელმარჯვე?

— ნაწილობრივ. ამ საქმეში დედა მეხმარება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერ ვამზადებ კერძებს, პირიქით — რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერი კარგად გამომდის. რეზის ჩემ მიერ შემწვარი კვერხიც კი ძალიან გემრიელი ეჩვენება. ვაკეთებ გემრიელ მაკარონს და ჩახოხბილსაც...

— გასულ ზაფხულს სად დაისვენეთ?

— თურქეთსა და მუხათწყაროში.

— საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად, რომელი მოგეწონათ?

— თავისებურად თითქმის ყველა ქვეყანა ლამაზია, მაგრამ ყველზე მეტად ისრაელი მომეწონა.

— დაბოლოს, რა სიახლეა შენს ცხოვრებაში?

— ამჟამად ვმუშაობ ალბომზე. ახლო მომავალში, კლიპის გადაღებასაც ვაპირებ. ვნახოთ, რა იქნება.

ძალიან ბევრი ჩემ მიერ შექმნილი ბიჟუტერია მაქვს, მაგრამ უფრო მეტად, ოქროს ვატარებ

ᲛᲘᲚᲐᲓᲐ ᲛᲐᲪᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘᲗ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲓᲐᲙᲣᲜᲗᲣᲚ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ ᲒᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲘᲗ ᲘᲤᲐᲠᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲚᲐᲓᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ. „ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘ ᲥᲐᲚᲣᲠᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲝᲠᲛᲝ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲭᲝᲜᲔ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ, ᲢᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ... ᲗᲣ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲚᲝᲗ“... — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲙᲣᲜᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ, ᲛᲘᲚᲐᲓᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘ, ᲜᲐᲖᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲘᲡᲐᲡ, ᲒᲐᲔᲦᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲐ — ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲔᲒᲝᲜᲔᲝ?..

ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐᲙᲣᲜᲗᲣᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ?

ᲚᲘᲙᲐ ᲥᲐᲧᲐᲘᲐ

— ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲐ. ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠᲗ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲕᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑ ᲠᲣᲡᲣᲚ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲣᲨᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ, ᲗᲣ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲠᲝᲘᲡ Ს�წᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑ.

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘᲗ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲣ�გᲘᲐ?

— ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘ ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲗ. ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲕᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲡ, ᲮᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘ, ᲛᲔᲕᲐᲠᲯᲘᲨᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, Ს�პᲝᲠᲢᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ, ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲓᲘᲝᲓᲘ.

— ᲛᲐᲨᲘᲜ Ს�პᲝᲠᲢᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘᲗ?

— ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲣᲤᲝᲠᲛᲝ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲠᲝᲪᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲕᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲘ, ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲘᲛ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲦᲬᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ. ᲗᲐᲜ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔᲪ ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲨᲘ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ, ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲜᲐᲪᲕᲚᲔ.

— ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ, ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲗ, ᲐᲠᲐ?

— ᲓᲘᲐᲮ, ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲐᲕᲘᲦᲔ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ.

— ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ?

— ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 1987 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ.

— ᲠᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲐ ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ?

— ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘᲐ. ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢ ᲓᲐ ᲓᲘᲓ ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲡ, ᲛᲙᲐᲪᲠ ᲠᲔᲚᲘᲔᲤᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘ. ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ. ᲑᲝᲓᲘᲤᲘᲢᲜᲔᲡᲘ ᲙᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲘ, ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲠᲔᲚᲘᲔᲤᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ — Ე.Ი. ᲥᲐᲚᲛᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲥᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲐ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲜᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲕᲘ ᲢᲐᲜᲘ. ᲔᲡ Მ�გᲝᲜᲘ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲔᲡ. Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲔᲜ.

— ᲗᲣ ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲥᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲰᲒᲐᲕᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ?

— ᲥᲐᲚᲡ ᲙᲣᲜᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲣᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐᲗ. ᲗᲣᲛᲪᲐ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ...

— ᲔᲘ. ᲔᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲪᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲐ?

— ᲙᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ — ᲐᲠᲐ. Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲐᲖᲘᲘᲡ ᲥᲕᲧᲜᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲤᲐᲡᲔᲡ ᲑᲝᲓᲘᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲙᲝᲭᲚᲔᲑᲗ... ᲗᲣ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲗ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲚᲝᲗ...

— ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲪᲮᲕᲛᲐ ᲘᲛᲐᲢᲐ, ᲐᲡᲔᲐ?

— ᲙᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲖᲐᲠᲛᲐᲪᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲛᲝᲓᲘᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲡᲣᲥᲜᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ — ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲘᲮᲕᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲣᲤᲝᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ (ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐᲡ ᲙᲣᲜᲗᲘᲡ ᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ), ᲠᲝᲛ ᲜᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲕᲘ ᲢᲐᲜᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ. ᲛᲡᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲮᲝᲕᲔᲜ — ᲬᲝᲜᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝ.

— ᲛᲔᲠᲔ, ᲔᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ?

— ᲬᲝᲜᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ, ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲑᲔᲑᲡ ᲡᲕᲐᲛᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 20 ᲙᲘᲚᲝ ᲓᲐᲘᲙᲚᲝᲡ.

ᲛᲐᲦᲐᲚᲥᲣᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲩᲐᲪᲛᲐ, ᲒᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲧᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ...

ეს კი აკრძალულია. თვეში შეიძლება, მაქსიმუმ 5 კილო დაიკლო ისე, რომ შეინარჩუნო ჯანმრთელობა. ამის საშუალებას სიმძიმეებით ვარჯიში გვაძლევს.

— ვარჯიშის პარალელურად, საჭიროა თუ არა მკაცრი დიეტის დაცვა?

— დიეტა სწორ კვებას ჰქვია და არა შიმშილობას. დღეში 4-5-ჯერ მაინც უნდა ჭამოთ, მაგრამ ცოტ-ცოტა. უკეთესია, მირთვათ ისეთი საჭმელი, რომელიც ცილებს შეიცავს: თევზი, ხაჭო, კვერცხი და სხვა. მე სპორტული შეჯიბრების წინ, დაახლოებით ერთი თვე დიეტაზე ვიყავი, ნახშირწყლების შემცველ საკვებს საერთოდ არ ვიღებდი და შედეგსაც მივაღწიე.

— სპორტული შეჯიბრება ახსენეთ...

— თბილისში ჩატარდა ჩემპიონატი ბოდიფიტნესში ამიერკავკასიის თასზე, მაგრამ ვინაიდან მთელ რეგიონში ერთადერთი ქალი ვარ, ვინც ამ სპორტს სერიოზულად მისდევს, ამიტომ გამარჯვებულიც და დამარცხებულიც მე ვიყავი. შეჯიბრებას უფრო სანახაობის სახე ჰქონდა.

— როგორ ეჯიბრებიან სპორტსმენები ერთმანეთს?

— ბოდიფიტნესში ქალი აჩვენებს 4 პოზას: ფრონტალურად, უკნიდან, მარცხნიდან და მარჯვნიდან. იგი გამოდის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, ლამაზი საცურაო კოსტიუმით, ბიჟუტერიით. ქალს სხეული, კანი, თმა — კარგად უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული — ანუ ყველაფერი ფასდება ვიზუალურად, ისევე, როგორც ეს სილამაზის კონკურსებში ხდება, ოღონდ — აქ გამოდიან ნავარჯიშევი ქალები და არა ბუნებისგან სილამაზით დაჯილდოებულნი. ბოდიფიტნესის შეჯიბრებაზე გამოსული ქალის სილამაზე, მისივე ძალისხმევითაა შექმნილი, ამიტომ უფრო მეტად უნდა დავაფასოთ მისი შრომა.

— რისთვისაა საჭირო მაღალი ქუსლები?

— მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა, ტანის დასაყენებლად არის საჭირო...

— ახლა ბოდიბილდინგის შეჯიბრებაზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.

— სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრების დროს, 7 პოზას უჩვენებენ. მერე, მუსიკის თანხლებით გამოდიან სცენაზე. ეს საოცრად ლამაზი სანახაობაა.

— გყავთ თუ არა ისეთი მოსწავლე, რომელიც სპორტის ამ სახეობებს გაჰყვება?

— ჯერჯერობით, არა. იმიტომ, რომ იციან — შედეგის მიღწევას ბევრი შრომა სჭირდება, ამას კი ვერ შეძლებენ. ზოგს უნდა, იცის, რომ შეძლებს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რადგან შედეგის მისაღწევად, შრომის გარდა საჭიროა დრო, კარგი კვება და ფული...

თვეში შეიძლება, მაქსიმუმ 5 კილო დაიკლო ისე, რომ შეინარჩუნო ჯანმრთელობა...

— მამაკაცებს თქვენი კუნთების ხომ არ ეშინიათ?

— არა, პირიქით — უკვე ზედმეტ ყურადღებასაც აღარ მაქცევენ. ჩვეულებრივ, ცხოვრებაში კუნთი არ მიჩანს, უბრალოდ, კარგი ტანი მაქვს და ამის გამო კომპლიმენტებს ვიღებ ხოლმე...

— როგორც ვიცი, ბოდიფიტნესში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა...

— გაბაფხულზე, იალტაში ტარდებოდა ევროპის ჩემპიონატი, რომლისთვისაც საკმაოდ კარგად მოვემზადე. მიწვევაც მივიღე. აზერბაიჯანის ბოდიბილდინგის ფედერაციის პრეზიდენტმა მითხრა, საპრიზიორო ფორმაში ხარო, გამარჯვების შანსიც დიდი იყო, მაგრამ დაფინანსებაზე უარი მითხრეს.

— რა თანხა იყო საჭირო?

— მხოლოდ მგზავრობის თანხა მჭირდებოდა... სპონსორებისთვის აპრილში გავმართეთ შოუ, ეს თვითონ გვთხოვეს, მათ პიარზეც ვიზრუნეთ. თავიანთი გაინაღდეს თუ არა, დაფინანსებაზე უარი გვითხრეს...

— დაბოლოს, რას ნიშნავს თქვენთვის ბოდიფიტნესი?

— ეს ჩემი საყვარელი პროფესია და სპორტის სახეობაა. მე 36 წლის ვარ და ბოდიფიტნესი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ყოველთვის კარგ ფორმაში ვიყო. ■

ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲦᲐᲛᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲨᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲒᲔᲜ ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲔᲑᲘ?

ა) დღისით;
ბ) ღამით;
გ) მხოლოდ გამთენიისას.

2. ᲡᲐᲓ ᲫᲠᲘᲐᲜ ᲫᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲣᲚᲡ?

ა) საფრანგეთში;
ბ) ჰოლანდიაში;
გ) დანიაში.

3. ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲘᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲗᲐ ᲩᲐᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲓᲐ...

ა) ...ქათამი;
ბ) ...ინდაური;
გ) ...ღორი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 61-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ბევრ ქვეყანას ველური ბუნების მოყვარული ტურისტებისგან დიდი შემოსავალი აქვს. ტურიზმის ეს სახეობა საკმაოდ ძვირად ღირებულია. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა უამრავ დამსვენებელს იზიდავს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ველური ბუნების ჭვრეტა ანიჭებთ სიამოვნებას. საქართველოს ველური ბუნება ბევრისთვის არის საინტერესო, განსაკუთრებით კი, ფრინველთა სამყაროს მოყვარულთათვის, რომლებსაც გადამფრენი ჩიტების სანახავად თითქმის მთელი მსოფლიო აქვთ მოვლილი. სამწუხაროდ, წელს ეს საშიშია, რადგან როგორც ცნობილი გახდა, აღმოსავლეთიდან შემოსულ ფრინველებს შეიძლებოდა ფრინველის გრიპიც შემოეტანათ. ვესაუბრებით ზოოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ალექსანდრე აბულაძეს.

ველური ბუნების საშიშროება

და „ჩიტების ტურიზმის“ სარფიანი პერსპექტივა

ლელა ჯიყაშვილი

— საქართველოში დღეს 380-მდე ფრინველის სახეობაა რეგისტრირებული, თუმცა ეს მონაცემები მოძველებულია. ფაუნის ინვენტარიზაცია (სამეცნიერო ტერმინია და აღწერას ნიშნავს) თავიდან უნდა გაკეთდეს და დადგინდეს, სინამდვილეში რა არის შემორჩენილი საქართველოში. საზოგადოდ, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება გავლენას ახდენს ფლორასა და ფაუნაზე. ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო იქნება. ზოგიერთი იშვიათი სახეობა, რომელიც საქართველოს „წითელ წიგნში“ არის შეტანილი, ამჟამად გამრავლებულია. ეს იმის წყალობაა, რომ დღეს პესტიციდებს აღარ იყენებენ. ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტირების შეჩერებამ კი ერთი ნაკრძალი შემოგვინახა. მართალია, ხევსურეთში სანაკრძალო რეჟიმი არ არის, მაგრამ რაკი იქ რკინიგზა არ შევიდა, ბუნება ხელუხლებელი დარჩა. სამწუხაროდ, ახლა სხვა სირთულის წინაშე აღმოვჩნდით. ნავთობისა და გაზსადენის პროექტირება და ექსპლუატაცია რა ცვლილებებს გამოიწვევს ფაუნაში, მალე გავიგებთ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, თრიალეთის ქედსა და კოლხეთის ჭაობებში, რამდენიმე ეკოსისტემა უკვე დაზიანდა.

— კერძოდ, რა მოხდა, ფრინველის რომელიმე სახეობა გადაშენდა?

— პროცესი ახლა დაიწყო, მოსალოდნელია ცვლილებები. გაისად უკვე შევძლებთ შედეგების შეფასებას. ბუნება ჯაჭვია, ერთი რგოლის ამოვარდნა ჯაჭვის გაწყვეტას ნიშნავს. ყველაფერი ეს, უკვე მოხდა ევროპაში, კანადაში, იაპონიაში, ჩინეთში და ა.შ. მათ თავის დროზე ბევრი სახეობა დაკარგეს, ახლა კი აღდგენას ცდილობენ, ბევრს ვეღარც კი აღადგენენ. მაგალითად, ევროპულ როჭოს *(კავკასიური როჭოც არსებობს, ჩვენი ენდემია. — ავტ.)* მხოლოდ ევროპის ჩრდილოეთში თუ ნახავთ.

— კიდევ ერთი ახალი საშიშროება გვემუქრება, — ფრინველის გრიპი. ჩვენ თუ გვემუქრება დაავადებული ფრინველების სტუმრობა?

— ფრინველის გრიპი გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, ალტაის მთებსა და ყაზახეთში. უკიდურესი წერტილი ფრინველის გრიპის გავრცელებისა არის ჩრდილოეთ ყაზახეთი. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მოსალოდნელი იყო, რომ ფრინველის გრიპი შავ ზღვამდე გავრცელდებოდა. ჯერჯერობით, არც ერთი ამის დამადასტურებელი სიმპტომი არ არსებობს. რუსეთში მხოლოდ ერთი ლაბორატორიაა — მოსკოვში, რომელიც ვერ ასწრებს სინჯების დამუშავებას. უამრავი საერთაშორისი პროგრამაა ჩართული ამ პროექტში. ახლა რუსეთში 6 ექსპედიცია მუშაობს: ალტაიში, ბაიკალის ნაპირებზე, ჩუკოტკაზე, ირკუტსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქებში. სეზონის დამთავრების შემდეგ შედეგებს შეაჯამებენ. ფრინველთა საიმიგრაციო გზა საქართველოზეც გადის. ჩვენ აღმოგვიჩენია ხოლმე ყაზახეთში დარგოლილი ფრინველი ოზურგეთში, აჭარაში, პალიასტომის ტბაზე. რაც შეეხება დახოცილ ფრინველს, ალბათ, ისინი მოწამლულებიც არიან. უკრაინაში ხომ დიდძალ შხამქიმიკატებს იყენებენ. მადლობა ღმერთს, საქართველოში მსგავსი რამ არ ხდება. ევროკავშირმა 1963 წლიდან აკრძალა შხამქიმიკატები, მაგრამ ბულგარეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, იუგოსლავიაში ისევ გამოიყენება.

— ამას წინათ, ტელევიზიით ვიხილეთ დღევანდელი ჩერნობილი თავისი თევზებით, ფრინველებით. რადიაცია არ მოქმედებს ფაუნაზე?

— რასაკვირველია, მოქმედებს, მაგრამ, მაგალითად, ფრინველი ლაპლაკი სახლების სახურავებზე ბუდობს. თუ კატასტროფამდე ჩერნობილში 20 წყვილი იყო, ახლა 200-ია. მთელი ეს ტერიტორია ამოვარდნილია სამეურნეო ცხოვრებიდან, ფაქტობრივად, ნაკრძალია. ამან განაპირობა ლაპლაკის გამრავლება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია.

— საქართველოს დავუბრუნდეთ. ჩვენთან რომელი სახეობაა დღეს გადაშენების ზღვარზე?

— სვავი, ორბი, ფასკუნჯი... ადრე ამიერკავკასიაში კარგად იყო განვითარებული მეცხვარეობა, — მილიონ-ნახევარი ცხვარი გვყავდა. ახლა რუსეთის საზღვრები დაკეტილია, ზამთრის საძოვრები ყალმუხეთში, დაღესტანში დავკარგეთ. ამიტომ ცხვრის სულადობაც შემცირდა. ამან იმოქმედა ნეკროფაგების სახეობებზე (ფრინველებზე, რომლებიც დაცემული ცხოველით იკვებებიან). კიდევ კარგი, ბატკანძერი გადაურჩა განადგურებას, შეიცვალა ძირითადი საკვები და გარეულ ცხოველებზე გადავიდა. 70-იან წლებში 25-30 წყვილი სვავი გვყავდა, ახლა 7-8 წყვილია.

— როგორც ამბობენ, ტურისტებს ხშირად აინტერესებთ ფრინველთა პოპულაციების ნახვა.

— დიახ. ეს პოპულარული გართობაა. აფრიკაში, ავსტრალიაში, ანტარქტიდაშიც დადიან ტურისტები. მათ „ბერდვოჩერებს“ ეძახიან. პირველი „ბერდვოჩერები“ 1982 წელს ჩამოვიყვანეთ მოსკოვის საერთაშორისო ონტოლოგიის კონგრესიდან. ერთკვირიანი ტური მოვაწყვეთ ლაგოდეხის ნაკრძალში. დაიბეჭდა კიდეც ამის ამსახველი მასალები ევროპულ და ამერიკულ ჟურნალებში. საქართველოში არსებობს ე.წ. „ძაბრის ყელი“, სადაც შემოდგომაზე უამრავი ფრინველი გადის, აქ სამიგრაციო გზა შევიწროებულია 2 კილომეტრამდე. ამიტომ ერთი კვირის განმავლობაში აქ ნახევარი მილიონი ფრინველი შეიძლება ნახოთ. ეს გზა იწყება როსტოვთან, მოჰყვება აზოვის აღმოსავლეთ ნაპირს და გადმოდის კოლხეთის დაბლობზე, აფხაზეთის გავლით. ყველაზე ცნობილი „ბოთელ ნეგა“ (ძაბრის ყელი) ისრაელშია — ეილატის მიდამოებში, ეს „ბერდვოჩერების“ დედაქალაქია. ამით ირჩენს თავს ეილატის მოსახლეობა. მათ აეროპორტში 10 წუთში ერთხელ ეშვება თვითმფრინავი. მგზავრების უდიდესი ნაწილი სწორედ „ბერდვოჩერები“ არიან.

— საქართველოს თუ შეუძლია მიიღოს შემოსავალი ტურიზმის ამ სახეობის განვითარებით?

— რა თქმა უნდა. არიან კიდეც საქართველოში ამის მესვეური არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ ჯერჯერობით, ადგილობრივი მოსახლეობა არ არის დაინტერესებული ამ სახის ტურიზმის განვითარებით.

— საქართველოში რომელი ფრინველების სანახავად ჩამოდიან?

— ჩამოდიან კავკასიური როჭოს, დიდი კოჩობისა და წითელმუცელა ბოლოცეცხლას სანახავად. ყველა მათგანი კავკასიის ენდემია და შავი ზღვის სანაპიროდან კასპიის ზღვამდეა გავრცელებული. კავკასიური როჭო არის რუსეთშიც, აზერბაიჯანშიც, თურქეთშიც, მაგრამ ამ ენდემის სამი მეოთხედი საქართველოშია. ესე იგი, სამჯერ ნაკლებ დროში შეგვიძლია ვაჩვენოთ ტურისტს კავკასიური როჭო. სამწუხაროდ, „ბერდვოჩერების“ მისაღებად ჩვენ შესაფერისი პირობები არ გვაქვს. არადა, უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობა. როცა სარეკლამო ბუკლეტს ადგენს კაცი და წერს, რომ აქვს ოთხვარსკვლავიანი, კომფორტული სასტუმრო, ამით ვერც მოიზიდავს და ვერც გააკვირვებს უცხოელ ტურისტს, მაგრამ, როცა ორიგინალურ ფლორასა და ფაუნას სთავაზობ ტურისტს, სულ სხვა საქმეა.

■

დავით კირკიტაძე — თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატების“ პირველი მოადგილე და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის წევრი გახლავთ. მისი სახე ხშირად ჩანს პატრიოტულ ბანაკებში, ძეგლების დასუფთავებისა და სხვა აქციების დროს და ეს მისი ოპონენტებისთვის გაუთავებელი კრიტიკის საფუძველიც ხდება...

დავით კირკიტაძის მარშრუტები: უშგულიდან – სერსოფამდე, კაირომდან – ბრიუსელამდე...

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო დავით, თქვენ მიმართ ერთმნიშვნელოვნად დადებით ან არაორაზროვნად უარყოფით დამოკიდებულებას აქვს ადგილი. თქვენი აზრით, რითია ეს გამოწვეული?

— მინდა, თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ პოლიტიკოსობა მძიმე ხვედრია, რაც თავიდან ბოლომდე გაცნობიერებული მაქვს. ჩვენ, ქვეყნის საკეთილდღეოდ ბევრი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმაც გვიწევს. შეიძლება, ბევრს მიაჩნდეს, რომ რეზერვისტობა, სტიქიური უბედურების დროს მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა, პატრიოტულ ბანაკებში სიარული, ეკლესიების დასუფთავების აქციებში მონაწილეობა დეპუტატის საქმე არ არის, არც სპორტული ღონისძიებების მოწყობას მიიჩნევენ პარლამენტარის საქმედ. მაგრამ ჩემი აზრით, ეს სასიკეთო საქმეა. ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობისთვის თუ ვინმე გამკიცხავს, ყურადღებას არ მივაქცევ. არც ერთ შემთხვევაში არ ვპოზიორობ და არც იმ პოლიტიკოსების რიგს მივეკუთვნები, რომელიც თავიანთ რეიტინგზე და საზოგადოებისთვის თავის მოსაწონებლად მუშაობს. ასეთებს მხოლოდ საკუთარი იმიჯი ადარდებთ და ქვეყანაზე საერთოდ არ ფიქრობენ. როცა პოლიტიკოსი ხარ და ძალაუფლების სტრუქტურას განეკუთვნები, ბუნებრივია, კრიტიკაც იქნება. როცა ჩემს გვარს მრავალ ბრუნვაში ატრიალებენ, ვცდილობ, მოვისმინო და გავაცნობიერო, რაც მეტ-ნაკლებად გამომდის. ორი წლის წინ, შეიძლება, კრიტიკაზე სხვა რეაქცია მქონოდა... ყოველ შემთხვევაში, როცა გადავწყვეტ, რომ ჩემი ადგილი პოლიტიკაში აღარ არის, იმდენს ნამდვილად აღარ მოვითმენ, რასაც დღეს ვითმენ.

— პოლიტიკის გარდა, თქვენი თავი სად უფრო წარმოგიდგენიათ?

— თუ არა პოლიტიკა, ჩემი თავი ქართულ სპორტში ან ქართულ არმიაში წარმომიდგენია.

— არმიაზე ადრე არ გიფიქრიათ?

უშგულში, ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტში ავედით. როცა იქიდან ვბრუნდებოდით, საშინელი წვიმა წამოვიდა, გზაზე ზვავი ჩამოწვა...

— სამწუხაროდ, ჩემს დროს, როდესაც სავალდებულო სამსახური უნდა გამევლო, არმია ისეთი დისკრედიტირებული იყო, რომ არ არსებობდა არავითარი პატრიოტული გრძნობა, იმის განცდა, რომ არმიაში სამსახურით შენს ქვეყანას სიკეთეს მოუტანდი. მიმაჩნია, რომ ახლა ქართული არმია დგას ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი ქვეყნის ისტორიაში, არა მარტო ომის შემთხვევაში (ღმერთმა დაგვიფაროს!), არამედ მშვიდობიან პერიოდშიც თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის.

— ბევრს მოგზაურობთ. ადრე თუ წარმოიდგენდით, რომ ამდენ ქვეყანას მოივლიდით?

— მართლაც, ბევრი ქვეყანა ვნახე. მაგრამ წელს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საქართველოს ყველა რაიონი მოვიარე. ახლახან ვიყავი ეგვიპტეში. ნათქვამია — თუ ეგვიპტე არ გინახავს, ე.ი. მსოფლიო არ დაგითვალიერებიაო. ახლა მეძლევა იმის თქმის საშუალება, რომ საქართველოზე ლამაზი და კარგი ქვეყანა არ მინახავს. მრავალსაუკუნოვან პირამიდებს თავისი ხიბლით ბევრად აღემატება სვანური კოშკები... შენი ქვეყანა კარგად უნდა ნახო, გაიცნო და აღმოაჩინო. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უამრავი მიტოვებული ეკლესია და ძეგლია, რომელსაც უნდა მოვუაროთ. ამის გამო ვიწყებთ ახალ პროგრამას სახელწოდებით — „აღმოაჩინე შენი ქვეყანა“.

— მოგვიყევით ძეგლების დასუფთავების აქციებზე, რომლებიც გასულ ზაფხულს ჩატარდა.

— საქართველოს ტერიტორიაზე უამრავ მიტოვებულ ეკლესიასა და ციხესიმაგრეს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. პირველი აქცია ხობის რაიონში ჩავატარეთ. ტაძარი, რომელიც უნდა დაგვესუფთავებინა, თავის დროზე, ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის ნიშნად აიგო... ასევე ვიყავით მარნეულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა აზერბაიჯანელია. სოფელში უმოქმედო სალოცავი იყო. იმდენი გავაკეთეთ, რომ იქ წირვა-ლოცვის აღდგენა გახდა შესაძლებელი.

— რამდენად ხარჯიანია ეს აქცია და გაისადაც თუ გაგრძელდება?

— ეს პროექტი არ გაჩერდება. მის განხორციელებას დიდი თანხები კი არა, ენთუზიაზმი სჭირდება და აუცილებელია, ახალგაზრდებთან ერთად, კომპეტენტური, მცოდნე ადამიანის ჩაბმა, რომ გაწმენდის დროს, ფრესკები არ დაზიანდეს. მარნეულის რაიონის ეკლესიების დასუფთავება 200 ლარამდე დაგვიჯდა და ესეც, მხოლოდ სატრანსპორტო ხარჯი იყო. ადგილობრივი მოსახლეობაც დიდ დახმარებას გვიწევდა.

— იმაზე რას იტყვით, სამცხე-ჯავახეთის სომხურმა მოსახლეობამ



კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. მე და ალეკოს იმდენი ხამანწკა გვქონდა მირთმეული, იმ დღეს...

ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს წინააღმდეგობა რომ გაუწია და ძეგლის დასუფთავების უფლება არ მისცა?

— მინდა დაგარწმუნოთ, რომ სომხური მოსახლეობა არ გამოსულა დასუფთავების წინააღმდეგი. ისინი სწორად არ იყვნენ ინფორმირებული. ჩვენამდე იქ. ჩასული იყო ჯგუფი, რომლის გეგმა ჩვენი ჩანაფიქრისგან ცოტათი განსხვავდებოდა, თუმცა ბევრ საინტერესო საქმეს აკეთებდნენ... არც ახალქალაქში, არც ნინოწმინდასა და არც მარნეულის რაიონში არავითარი ექსცესი არ მოხდება, თუ ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იქნება ინფორმირებული, პირიქით — იქაურები დაეხმარებიან ჩასულებს.

— თქვენი აქცია უფათერაკოდ ჩატარდა?

— ლენტეხის რაიონი რომ მოვიარეთ, უშგულში, ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტში ავედით. როცა იქიდან ვბრუნდებოდით, საშინელი წვიმა წამოვიდა, გზაზე ზავი ჩამოწვა. ტრაქტორით ძლივს გამოვიყვანეთ ჩვენი მანქანა. მეორე დღეს, როცა ის ადგილი ვნახეთ, სადაც ჩარჩენილები ვიყავით, გავოცდით: დიდი შანსი გვქონდა იმისა, რომ გადავჩეხილიყავით, მაგრამ ღვთის მადლით გადავრჩით. ამას ხელი არ შეუშლია იმაში, რომ მეორედ ავსულიყავით უშგულში და უფრო ნაყოფიერადაც გვეშრომა.

— საზღვარგარეთ მოგზაურობისას რომელმა ქვეყანამ დატოვა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?

— უკრაინამ. ხერსონი, დონეცკი, ოდესა და თითქმის მთელი უკრაინა მოვიარე. საოცრად ლამაზი ქვეყანაა და ხალხიც ქართველებისადმი ძალზე თბილადაა განწყობილი.

— რომელმა ქვეყანამ გაგიცრუათ იმედი და რა არ მოგეწონათ?

— ეგვიპტემ. იქ საშინელი უწესრიგობა და ქაოსია. თან, ჩვენი იქ ყოფნის დროს, საშინელი სიცხეები იყო. შეიძლება, არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ხალხია ისეთი, სულ შენს მოტყუებას ცდილობს... უძველესი ტრადიციებისა და კულტურის ქვეყანაში, მეტ წესრიგს ველოდი. ქვეყანა, რომელიც ტურიზმით ცხოვრობს, ტურისტებისადმი უფრო მეტი პატივისცემით უნდა იყოს განწყობილი. ყველაფერს კი ისიც დაემატა, რომ ეგვიპტეში გამართულ შეჯიბრებაში ჩვენმა მოჭიდავეებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს და მთლიანობაში ძალიან უკმაყოფილო ჩამოვედი.

— საზღვარგარეთ მეგობრები თუ გაიჩინეთ?

— აქტიური და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან, იური პავლენკოსთან. ამერიკაში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიწვევით ვიყავი ჩასული. ძალზე დავუახლოვდი ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალს და რამდენიმე ოფიცერს. მათთან მუდმივი მიმოწერა მაქვს.

— უცხოეთში ქართველ სტუდენტებს თუ შეხვდით?

— ჰარვარდში შევხვდი ქართველ სტუდენტებს. სამწუხაროდ, იქ სულ 3 ქართველი სწავლობს. საოცრად ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდები არიან და ძალიან კარგი იქნება, თუ სწავლის დამთავრების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდებიან.

— სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნისას, იქაურ კერძებს როგორ ეგუებით? საერთოდ, გურმანი ხართ?

— პრეტენზიული არ ვარ და ამიტომ, პრობლემა არსად შემქმნია.

— ყველაზე მეტად რომელი კერძი მოგეწონათ?

— ხამანწკები. ბრიუსელში, ნატოში ოფიციალური ვიზიტით მე და ალეკო შალამბერიძე ვიყავით წასული. ჩვენი სასტუმროს წინ მდებარე რესტორანში პირველად რომ შევედით, ხამანწკები გავსინჯეთ და ისე მოგვეწონა, რომ მერე, სულ ამ კერძს ვუკვეთდით. ერთხელ, რესტორანში დავპატიჟეთ ორი ნორვეგიელი პარლამენტარი მანდილოსანი და

როცა გადავწყვეტ, რომ ჩემი ადგილი პოლიტიკაში აღარ არის, იმდენს ნამდვილად აღარ მოვითმენ, რასაც დღეს ვითმენ

შვეიცარიის პარლამენტის წევრი. სუფრას რომ მივუსხედით, ნაცნობი ოფიციანტი ჩვენკენ გამოქანდა და შეწუხებულმა გვითხრა — დღეს ხამანწკები არ გვაქვსო. კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. მე და ალეკოს იმდენი ხამანწკა გვქონდა მირთმეული, იმ დღეს მათ შეკვეთას არც ვაპირებდით...

— მოგზაურობამ პატარ-პატარა სუვენირების კოლექციონერობა ხომ არ დაგაწყებინათ?

— ნივთების — არა, მაგრამ ფოტოსურათების გადაღება კი დამაწყებინა. ბრიუსელში მე და ალეკოს ერთი საინტერესო ამბავი გადაგვხდა თავს. ორივეს გვქონდა ფოტოაპარატი წაღებული და ერთმანეთის გადაღებით ვერთობოდით. თბილისში ჩამოსულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ერთად გადაღებული არც ერთი ფოტო არ გვქონია... ■

დამღუპველი აზარტი ანუ სისხლი და თავანი



აზარტი ადამიანისთვის რომ დამღუპველია, ეს ალბათ, ყველამ იცის, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი ცდუნებას ვერ უძლებს და მიუხედავად იმისა, რომ იცის, მას ეს სადამდე მიიყვანს, მაინც თამაშობს კაზინოსა თუ ტოტალიზატორში და ხშირად, სახლკარსა და ცოლზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საკუთარ სიცოცხლესაც აგებს... ერთი მეგობარი მყავს, ბოლო დროს, რამდენჯერაც დავურეკე, სულ ცუდ ხასიათზე იყო, მაგრამ ამის მიზეზს, ჩემი პროფესიის გამო, არ მიმხელდა. ბოლოს და ბოლოს, გამოვტეხე, გულახდილად მითხრა — ვიცი, შენი ნდობა არ შეიძლება და ამ ამბავზე რაღაცას დაწერ, მაგრამ მაინც გეტყვი: ტოტალიზატორში 700 დოლარი წავაგე და ახლა ფულის საშოვნელად დავრბივარ, 400 უკვე მაქვს, ზეგ თავანის ჩაბარების ბოლო დღეა და 300 დოლარს ვერ ვშოულობო... რა თქმა უნდა, ამ ამბით დავინტერესდი და ლადოს კითხვები დავაყარე. ჩვენს სატელეფონო საუბარს უცვლელად გაგაცნობთ.

ნათია ქივიძე

— ლადო, როდის და როგორ დაიწყე ტოტალიზატორში თამაში?

— ის დრო არ გამახსენო. ეგ ყველაზე დიდი სისულელეა, რაც კი ცხოვრებაში ჩამიდენია...

— მერე, ვინ გაიძულა მაგ სისულელის ჩადენა?

— არავინ. მაშინ 17 წლის ვიყავი. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ის წელი იყო, როცა ტოტალიზატორი პირველად გაიხსნა თბილისში. მამაჩემის მეგობარი მუშაობდა იქ. ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა, როცა იმ მეგობარმა მამაჩემს ურჩია, რომ ერთ-ერთ გუნდზე 10 ლარი დაედო. მამაც ასე მოიქცა და დიდძალი თანხა მოიგო. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე გამიხარდა და გადავწყვიტე, ტოტალიზატორში თამაში მეც დამეწყო...

— გამოდის, რომ შენთვის ამ სისულელის, როგორც შენ უწოდებ, მაგალითი მამაშენმა გიჩვენა?

— არა, მამა რა შუაშია. მას უბრალოდ, მეგობარმა ურჩია და მიუხედავად იმისა, რომ დიდი თანხა მოიგო, მას შემდეგ აღარც უთამაშია. უბრალოდ, მე მივიჩნიე, რომ იქ თამაში ფულის შოვნის ძალიან ადვილი გზა იყო, ხელის გატოკებაც არ დამჭირდებოდა და ბევრ ფულს ვიშოვიდი. დავიწყე თამაში. ჯერ 60 ლარი მოვიგე, მერე — 100. ამ შუალედებში, რა თქმა უნდა, ვაგებდი კიდეც, მაგრამ იმის იმედით, რომ მომავალში აუცილებლად ბევრ ფულს მოვიგებდი, ის წაგებული თანხა არაფრად მიმაჩნდა და უფრო და უფრო მეტ ფულს ვდებდი. მერე ჩემი ძმაკაცებიც დავაინტერესე ამ საქმით და თამაშში ყველა ჩავითრიე. იმის მაგივრად, რომ ლექციებზე ვმსხდარიყავით, დილა გათენდებოდა თუ არა, მაშინვე ტოტალიზატორის კართან ვიდექით და მის გახსნას ველოდით. საღამოს კი იქიდან ყველაზე ბოლოები ჩვენ გამოვდიოდით. ამასობაში, ტოტალიზატორის ყველა მუდმივი კლიენტი გავიცანი. ტოტალიზატორშივე არიან ე.წ. „მაზავშჩიკები“. ისინი უცხო ადამიანებს მაზიანს არ უდებდნენ. ჯერ გარკვეული უნდა ყოფილიყვნენ, რამდენად სანდო ადამიანი იყავი და მერე გენიძლავებოდნენ. როცა ნახეს, რომ ამ ტოტალიზატორის მუდმივი კლიენტი გავხდი, შემომთავაზეს, რომ მაზიანი დაგვედო. ისინი უკვე გაწაფული იყვნენ ამ საქმეში, ზუსტად იცოდნენ, ვინ მოიგებდა. მე კი დამწყები მოთამაშე ვიყავი და მაინცდამაინც კარგად ვერ ვერკვეოდი. მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ თამაშობდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ „ბარსელონა“ მოიგებდა, მაგრამ ეშმაკობა იხმარეს და მითხრეს, დარწმუნებული ვარ, რომ „რეალი“ მოიგებს და მე „რეალზე“ გირტყამ ხელსო. მოსაფიქრებლად ცოტა დრო მომცეს. ამ დროს მე „ვმოზგავდი“, ეს ამ საქმეში ჩახედული იქნება, რადგან ის „რეალის“ მხარეს არის, ე.ი. კარგად იცის, რომ ის მოიგებს და მოდი, მეც „რეალს“ ვიტყვი-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, მიპასუხა, კი ბატონო, თუ „რეალი“ მოიგებს, 600 დოლარს გადაგიხდი, თუ „ბარსელონა“ — მაშინ, შენ მომეცი 500 დოლარი, ამაზე უკეთესი რა გითხრა ძმაოო. მაზიანი შედგა და რა თქმა უნდა, „ბარსელონამ“ მოიგო. მე წაგებული დავრჩი. იმ ტიპებმა ფულის მისატანად ერთი კვირის ვადა მომცეს. ოჯახში დაბრუნებულმა რა აღარ მოვიგონე, უნივერსიტეტში ამის ფული მინდა, იმის ფული მინდა-მეთქი. რა თქმა უნდა, დამიჯერეს, რადგან ასეთი შემთხვევები ჩვენთან ხშირად იყო ხოლმე. ზოგი ბიძაჩემს ვესესხე, ზოგი მეგობრის მშობლებს და როგორც იქნა, 500 დოლარი შევაგროვე. თავანი რომ ჩავაბარე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დიდი ტვირთი ჩამომეხსნა მხრებიდან, მაგრამ ერთ კვირაში ისევ წავაგე 300 დოლარი. ერთკვირიან ვადაში ვერ ჩავეტიე და ამის გამო „მაზავშიკებთან“ „რაზბორკა მოეწყო“. დიდი ჩხუბი მოგვიხდა. სულ დალურჯებულები ვიყავით მეც და ის მხარეც. დამემუქრნენ, ხვალ, საღამოს 7 საათზე იმ ფულს ტოტალიზატორში თუ არ ჩამოიტან, არ გაცოცხლებთო. მთელი ღამე ფულის საშოვნელად დავრბოდი და როგორც იქნა, ისევ ვიშოვე. მესამედ უკვე 700 დოლარი წავაგე. ჯერ ძველი ვალებიც არ მქონდა გასტუმრებული, სად ვიშოვიდი ფულს. სხვა გზა არ მქონდა, თავანის ჩაბარების წინადღეს, როცა არც ერთი კაპიკი ხელში არ მეჭირა და ვიცოდი, რომ მეორე დღეს უეჭველი მომკლავდნენ, ოჯახის წევრებს სიმართლე ვუთხარი. ალბათ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდა დედაჩემი. არც მამაჩემი იყო ნაკლებ მდგომარეობაში. ის ფული კი გადამიხადეს, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ოჯახში ჩხუბი არ შემწყდარა. დედაჩემი მთელი დღის განმავლობაში ხან მეჩხუბებოდა, ხან მთხოვდა, ოღონდ აღარ ითამაშოო. მეც დავპირდი, აღარ ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ პირობა ვერ შევასრულე. ერთი კვირის მერე, სულმა მაინც წამძლია და ისევ ვესტუმრე ტოტალიზატორს, მაგრამ მაშინ უკვე კარგად ვიყავი ამ საქმეში ჩახედული და ახლა მე დავიწყე ხალხის „დაგორომება“, ისევე, როგორც მე „მაგორომებდნენ“ თავიდან. შევარჩევდი ვინმეს, ვისაც ეტყობოდა, რომ ტოტალიზატორის თამაში ახალი დაწყებული ჰქონდა და ჯერ ვერაფერში ერკვეოდა და მაზიანებს ვუდებდი. მაშინ მართლა კარგად ვიყავი. ვიგებდი და ვიგებდი. თან 500 დოლარზე ნაკლები არ მომიგია. თუ ვინმე თავანის ჩაბარებას დააგვიანებდა, მოკვლით არავის ვემუქრებოდი, მაგრამ ცემით კი

მაგრად ვცემდი.

— იმ მოგებულ ფულს რას უშვრებოდი?

— ის მოგებული ფული ერთი ღამე მყოფნიდა კაზინოში შესასვლელად.

— ეი. ქარის მოტანილს ქარსვე ატანდი?

— ნუ მიკითხავ რა ნოტაციებს. ძალიან აზარტული ვარ. მიყვარს ასეთი თამაშები და რა ვქნა. ტოტალიზატორი ღამის 12 საათზე იხურება, ამის შემდეგ კაზინოში გადავინაცვლებდი და თამაშს იქ ვაგრძელებდი. აბა, შენ რა გგონია? მე ტოტალიზატორით ვცხოვრობ. ამ ზაფხულს ბათუმში დასასვენებლადაც ტოტალიზატორში მოგებული ფულით წავედი. მართალია, იქ ჩასულს ეს ფული ორ დღეში აღარ მქონდა, მაგრამ...

— იქაც ტოტალიზატორს მიაკითხე?

— არა. იქ ბარებში, რესტორნებსა და ნაშებში დავხარჯე. მოგებული ფულით ჩემთვის ტანსაცმლის შეძენასაც ვახერხებ. მობილური ტელეფონიც იქ მოგებული ფულით ვიყიდე. მართალია, ახლა ისევ ტოტალიზატორში წაგებული თანხის გამო ის მობილური ლომბარდში დევს, მაგრამ ხომ ვიყიდე?

— ახლაც ისევე აქტიურად თამაშობ?

— არა, ახლა ვეღარ. ჩემს წაგებებს სისტემატური ხასიათი რომ მიეცა და დედაჩემმაც ჩემთან ვერც თხოვნით გააწყო ვერაფერი და ვერც ჩხუბით, ერთ დღეს მთხოვა, ეკლესიაში წამომყევიო. კი გამიკვირდა, ასეთი რამ ჩემთვის არასოდეს უთხოვია, მაგრამ მაინც წავყევი. იქ იესო ქრისტეს ხატთან მიმიყვანა, ხატზე ხელი დამადებინა და მითხრა, აი აქ, ღმერთის წინაშე დაიფიცე, რომ აღარასოდეს ითამაშებო. მეც დავიფიცე, ხელზე აღარასოდეს გავმაზავ-მეთქი. სხვა გზა აღარ მქონდა. ახლა დაახლოებით ერთი თვეა პირობას ვასრულებ.

— აბა, ეს 700 დოლარი სად წააგე, ახლა რომ ფულის საშოვნელად დარბიხარ?

— ვისესხე და ტოტალიზატორის ქვითარი შევავსე. ე.ი. იქ ჩავდე, ხელზე ნაღდად არ გამიმაზავს.

— მერე ამაში რაიმე განსხვავება არის? ისეც დიდ ფულს აგებ და ასეც და საერთოდ, მეტი საქმე არა გაქვს?

— ახლა უკვე ნერვებს მიშლი. რა ჩემი ოჯახის წევრივით მელაპარაკები. შენც იმათთან ხომ არ ხარ შეკრული. თუ შენც ასეთივე დარიგებები უნდა დამიწყო, საერთოდ გაგითიშავ ტელეფონს. შენ გგონია, განსხვავება არ არის? ასე მოსაკლავად მაინც არავინ დამდევს. შენ იცი, რამდენი ჩემი ძმაკაცია „პაბეგში“? მათ სიკვდილის ეშინიათ, მატერიალურად მყარად ვერ დგას ფეხზე მათი ოჯახები, წაგებულ თანხას ვერასოდეს გადაიხდიან და ამიტომ იძულებულები იყვნენ, გაქცეულიყვნენ. შენ ვერც წარმოგიდგენია, იქ რა ხდებოდა. რამდენჯერ ტოტალიზატორის დაცვას შენობიდან გამოვუყრივართ, რადგან „მაზაობა“ იმდენად მოდაში იყო, რომ ქვითრებს აღარავინ ავსებდა და ამით ტოტალიზატორი მოგებას ვეღარ ნახულობდა. ამის გამო, მათ დაცვასთანაც ხშირად მოგვსვლია კონფლიქტი. ახლა ისე გადავარდნილი მართლა აღარ ვარ. კვირაში ერთხელღა თუ ჩავალ იქ.

— უკვე 24 წლის ხარ, სამსახური არ გაქვს?

— არა. მე ვერსად ვიმუშავებ. სად შემიძლია, მთელი დღის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას ვიჯდე და თან უფროსი მყავდეს...

— აბა, ისევ ტოტალიზატორით აპირებ ცხოვრების გაგრძელებას?

— რატომ მხოლოდ ტოტალიზატორით? საკუთარი ბიზნესიც მექნება და ამით ვიცხოვრებ.

— რომელში მოგებულ თანხასაც ისევ ტოტალიზატორში „დააბანდებ“, ან „მაზავშჩიკებს“ ჩაუდებ ჯიბეში, არა?

— გითხარი, ნერვებს ნუ მიშლი-მეთქი.

— მაშინ მეტს აღარ შეგაწუხებ, კარგად ბრძანდებოდე.

ლადოსთან არცთუ ისე მეგობრული საუბრის შემდეგ, რა თქმა უნდა, მეორე მხარითაც დავინტერესდი და თბილისში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტოტალიზატორს ვესტუმრე. იქ ჩასული მივხვდი, რომ ლადოს ჩემთვის ერთი სიტყვაც არ მოუტყუებია. ე.წ. „მაზავშიკები“ მორიგ მაზიანს დებდნენ და ერთმანეთს თანხაში ვერ უთანხმდებოდნენ, საბოლოოდ, თავანად 300 დოლარი დაასახელეს, ერთმანეთს ხელი დაურტყეს, შეთანხმდნენ, რომ წაგებული ფულს 5 დღეში ჩააბარებდა მოგებულს და „მაზიანიც“ შედგა. ამ ამბავმა უფრო გამიტაცა და შიდასამზარეულოს გასარკვევად ერთ-ერთ კომპიუტერთან მჯდომ ახალგაზრდა, ლამაზ გოგონასთან მივედი, რომელიც **თამუნა ნოზაძე** *გამეცნო.*

— დღეს საქართველოში ტოტალიზატორში ბევრი ახალგაზრდა თამაშობს, თუმცა არა მხოლოდ ახალგაზრდა. ორი საკმაოდ ხანში შესული ქალბატონი ჩვენი მუდმივი კლიენტია. ტინეიჯერი გოგონებიც ძალიან ხშირად გვსტუმრობენ. მართალია, მათ აქ მყოფი ბიჭები უფრო აინტერესებთ, მაგრამ ფეხბურთშიც უკვე კარგად ერკვევიან და ხშირად იგებენ კიდეც. ზრდასრულ მამაკაცებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პირადად მე, სულ მიკვირს, ოჯახი მაინც არ ჰყავთ, მთელი დღე აქ რომ არიან-მეთქი?! მაგრამ ჩვენს კლიენტებში, ძირითადად მაინც ახალგაზრდა ბიჭები ჭარბობენ.

— როგორც ვხედავ, თქვენთან ე.წ. „მაზავშიკებიც“ ხშირად დადიან.

— რა თქმა უნდა. დადიან კი არა, ტოტალიზატორი რომ იხსნება, ისინი პირველები შემოდიან. თანაც ჩვენი ტოტალიზატორი თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია და ამის გამო ე.წ. „მაზავშიკები“ ჩვენთან ყველაზე მეტია.

— როგორც შევიტყვე, თქვენს დაცვას ხშირად გაუყრია ისინი შენობიდან, რადგან ყველა „მაზაობით“ დინტერესდა და ტოტალიზატორს მოგება აღარ ჰქონდა.

— რა სისულელეა. ტოტალიზატორს თავისი კლიენტი მუდმივად ჰყავს. შეიძლება, რომელიმე მათგანი „მაზაობით“ დაინტერესდეს, მაგრამ ჩვენთან ფულს მაინც დებენ. დაცვა კი „მაზავშიკებს“ შენობიდან ხშირად ყრის, მაგრამ არა იმის გამო, რომ ჩვენ მოგება აღარ გვაქვს, უბრალოდ, ისინი თავანის გამო ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, გარშემო მყოფი ხალხი არ აინტერესებთ და აქვე იწყებენ ჩხუბს. თან ისეთი დაუნდობელნი არიან, ასისხლიანებენ ერთმანეთს. ხშირად ისეთი ფაქტიც მომხდარა, რომ ვიღაცას ვიღაცაც დაუჭრია. ამის გამო ჩვენი დაცვა პოლიციას გამოიძახებს ხოლმე და მათ საქმეს მერე ისინი აგვარებენ. ცოტა ხანი „მაზავშიკები“ აღარ გვსტუმრობენ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ თავიდან იწყება ეს ყველაფერი. საშინელი ამბები ხდება. აქ, ჩვენ თვალწინ არ მომხდარა, მაგრამ არაერთხელ გამიგია, რომ თავანის ჩაუბარებლობის გამო ადამიანიც მოუკლავთ. უმრავი მათგანი კი საერთოდ გაქცეულია და იმალება, რადაგან არა აქვს საშუალება, რომ წაგებული ფული ჩააბაროს.

— „მაზიანს“ ალბათ ძირითადად, ახალგაზრდა ბიჭები დებენ, არა?

— დიახ, ძირითადად ასეა. მართალია, ტინეიჯერი გოგონებიც დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ამ ყველაფერს, მაგრამ ჯერ არ გამიგია, რომ მათ „მაზიანი“ დაედოთ, თუმცა მომავალში გამორიცხული არაფერია. ხანში შესული ადამიანები, ძირითად 1 ლარიდან 5 ლარამდე დებენ ფულს, ქვითრებს ავსებენ და მოიგებენ, თუ წაგებენ, თავისთვის მშვიდად არიან. „მაზავშიკი“ ადამიანი კი არასოდეს გამოსწორდება. „მაზავშიკი“ და ნარკომანი ერთი და იმავე კატეგორიის არის. არც ერთი მათგანის გამოსწორება არ შეიძლება, რაც არ უნდა მოხდეს. ალბათ „მაზავშიკობაც“ გარკვეული ავადმყოფობაა. ერთი თაყვანისმცემელი მყავდა, რომელიც აქ, ტოტალიზატორში გავიცანი. ჩემი მუდმივი კლიენტი იყო. ეს ბიჭი მეც ძალიან მომწონდა, მაგრამ მისი თამაშისადმი ასეთი სიყვარულის გამო თავს ვიკავებდი და ჩემს გრძნობებს არ ვუმხელდი. „მაზიანის“ გამო უამრავჯერ მოსულა ჩემთან ნაცემი და დალურჯებული. ერთხელაც ვუთხარი, ძალიან მომწონხარ და შენ მიმართ გულგრილი არ ვარ, მაგრამ თამაშს თუ თავს არ დაანებებ, ჩვენ შორის არაფერი მოხდება-მეთქი. დაიფიცა, ყველა ამოიწყვიტა, რომ მეორედ აღარ ითამაშებდა. ერთი კვირის განმავლობაში მართლაც ჩვენთან ჩამოსული აღარ მინახავს. როცა

ჩემი სამუშაო საათები არ იყო, თანამშრომელ გოგონებს ვაფრთხილებდი, ყურადღება მიაქციეთ, თუ აქ დაინახავთ, აუცილებლად მითხარით-მეთქი. დაიწყო ჩვენი ინტენსიური შეხვედრები. მივხვდი, რომ თანდათან მიყვარდებოდა. უკვე სერიოზულად ვფიქრობდი ოჯახის შექმნაზე, მაგრამ მოულოდნელად, აბსოლუტურად შემთხვევით სხვა ტოტალიზატორში ჩემი მეგობრის მოსანახულებლად ჩავედი და ჩემი ძვირფასი შეყვარებული იქ დამხვდა „მაზავშიკების“ გარემოცვაში. მაშინვე შევწყვიტე მასთან ურთიერთობა. თვითონაც მითხრა, რა ვქნა, თავს ვერ ვერევი, არ შემიძლია თამაშისთვის თავის დანებება, ტოტალიზატორში რომ არ ჩავდივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ლომკაში ვარო. ასე რომ, ჩემო კარგო, გასათხოვარი გოგონა როგორც ნარკომანს უნდა ერიდოს და ცოლად არ უნდა გაჰყვეს, ასევე უნდა ერიდოს „მაზავშიკს“, თორემ როდის სად სცემენ მის ქმარს და როდის სად მოკლავენ, ვერც გაიგებს...

თამუნას მეშვეობით კიდევ ერთ ტოტალიზატორით დაღუპულ ოჯახს მივაკვლიე. მართალია, გარდაცვლილის მშობლებმა ჩემთან საუბარი არ მოინდომეს, მაგრამ მისმა ძმამ მაინც მიამბო მათი ოჯახის ტრაგედია, თუმცა იმის გამო, რომ მათ არ უნდოდათ თავიანთი ვინაობა გაუმხილათ, ჩვენი საუბარიც ტელეფონით შედგა და ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია.

— დათო, როგორც ვიცით, შენი უმცროსი ძმა ბესო, ძალიან იყო გატაცებული ტოტალიზატორში თამაშით.

— ტოტალიზატორით მხოლოდ ჩემი ძმა კი არა, მე და მამაჩემიც გატაცებულები ვიყავით. სამივე ერთად დავდებდით „კუშს“, მერე ერთად ვისხედით სახლში და ფეხბურთს დიდი ემოციებით ვადევნებდით თვალყურს, მაგრამ ეს მხოლოდ დიდ ჩემპიონატებზე ხდებოდა და ამას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. რამდენჯერმე მოვიგეთ კიდეც, მაგრამ ერთხელ ჩემმა ძმამ ყველა „კუში“ დაამთხვია და 1.000 ლარი მოიგო. ის ფული, რა თქმა უნდა, ისევ ტოტალიზატორში დატოვა. ბესო როდის მიეჩვია ტოტალიზატორში სიარულს, ვერ გავიგეთ. მე და მამა ვმუშაობდით და ძირითადად, ოჯახიდან სულ გასულები ვიყავით, ბესო კი ჯერ სტუდენტი იყო, 18 წლის, უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა. როგორც მერე შევიტყვეთ, ლექციებს აცდენდა და სულ ტოტალიზატორში იჯდა. ერთხელ, შინ დაღვრემილი სახით დაბრუნდა. კი ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი? — მაგრამ მისი პასუხისთვის, — პრობლემები მაქვსო, ყურადღება აღარ მიმიქცევია... იმ პერიოდში ცოლის შერთვა გადავწყვიტე და მეორე დღეს ნიშნობა მქონდა დანიშნული, შესაბამისად, ჩემი პირადი ცხოვრებით ვიყავი დაინტერესებული და ძმას სათანადო ყურადღება ვერ მივაქციე. ნიშნობაში ჩემს ძმას არც კი გაუღიმია. მგონი, მე და ჩემს მეუღლეს წესიერად არც კი მოგვილოცა გაბედნიერება, რის გამოც ჩემი მომავალი ცოლი ეჭვებში ჩავარდა, ვაითუ შენს ძმას არ მოვწონვარო. მე დავამშვიდე, თუმცა ძმის საქციელში თავადაც ეჭვი შემეპარა, მაგრამ იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ ამის გარკვევაც დამავიწყდა. მით უფრო, რომ ჩემი ყოველთვის წყნარი და სერიოზული ძმა იმ დღეს ძალიან დათვრა და ათას სისულელეს სჩადიოდა. ცეკვავდა, მღეროდა, იცინოდა და ტიროდა კიდეც. რამდენიმე დღის შემდეგ ბესო დაიკარგა. ორი დღე შინ არ მოსულა. საწყალი დედაჩემი ლამის გაგიჟდა, სად აღარ ვეძებეთ. ბოლოს მისი ბავშვობის მეგობრის ოჯახში აღმოვაჩინეთ, სულ დალურჯებული და სახეზე ნაიარევით. ოჯახის წევრები ლამის გავგიჟდით. მშობლებს უთხრა, მეგობრისგან ნასვამი მოვდიოდი და ქუჩაში ვიღაც უცხოებთან ჩხუბი მომივიდაო. მე კი ცალკე გამიყვანე და მუდარით აღსავსე ხმით მითხრა, ძალიან გთხოვ, არაფერი მკითხო, უბრალოდ, თუ გინდა, რომ ცოცხალი ვიყო, სასწრაფოდ 500 დოლარი უნდა მიშოვოო, თან პირობა მომცა, რომ ეს პირველი და უკანასკნელი იქნებოდა და ფულს აღარასოდეს მთხოვდა. მივხვდი, საქმე კარგად რომ ვერ იყო, მაგრამ რადგან ასე მთხოვა, თანაც ჩემს ძმას კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, რომ ძალზე პატიოსანი იყო, ჩემი ქორწილის ფულს 500 დოლარი მოვაკელი და ჯიბეში ჩავუდე, თან მხარზე ხელი დავარტყი, ხომ იცი, შენი ძმა ვარ, თუ რამეში დაგჭირდე, ყოველთვის შენ გვერდით მიგულე-მეთქი. თურმე, როგორ ვცდებოდი და რამხელა შეცდომას ვუშვებდი. ჩემი ძმა უკვე „წუმპეში“ ყოფილა ჩაფლული, მე კი საკუთარი ბედნიერებით თავბრუდახვეულმა არაფერი ვიკითხე და ძმა დავღუპე. ჩემს ქორწილში ბესო ისევ მოწყენილი იყო. მალ-მალე სადღაც დაიკარგებოდა ხოლმე, მერე ისევ გამოჩნდებოდა. არც ამისთვის მიგვიქცევია ყურადღება. მე და ჩემი მეუღლე თაფლობის თვის გასატარებლად ურეკში წავედით. 5 დღის შემდეგ კი, ჩემი ძმის გარდაცვალების ამბავი შემატყობინეს. თავზარი დამეცა. მაშინვე თბილისში წამოვედით. აქ ჩამოსულმა კი მისი მეგობრებისგან გავარკვიე, რომ თურმე ბესო ტოტალიზატორში მაზავდა ხოლმე. ამის გამო მას მეგობრები საყვედურობდნენ, ეჩხუბებოდნენ კიდეც. ის თამაშს მაინც ვერ შეელია და იძულებული გახდა, მეგობრები დაეკარგა, რათა მისთვის საყვედური აღარ ეთქვათ. რა თქმა უნდა, ისიც გავარკვიეთ, თუ ვისთან ჰქონდა ბესოს ფული წაგებული და ვინ გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ მის კვალსაც კი ვერსად მივაგენით, დამალვა მოასწრო.

— განა რამდენი ჰქონდა წაგებული, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეს?

— 600 დოლარი, მაგრამ თურმე მათთან თანხის რაოდენობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ წააგე და აუცილებლად უნდა გადაიხადო. ამ 600 დოლარის გამო ბესო ორჯერ უცემიათ. ეხვეწებოდა თურმე, ცოტაც მაცალეთო. მათ „დიდსულოვნება“ გამოუჩენიათ და ორჯერვე რამდენიმე დღით გადაუწევიათ თავანის ჩაბარების დრო, მაგრამ ბესომ 450 დოლარზე მეტის შოვნა ვერ შეძლო. მათი კანონების მიხედვით კი, ფულს ნაწილ-ნაწილ არავინ იხდის, თავანი სრული სახით, დათქმულ დროს უნდა ჩაბარდეს, თუ არა და ყველა „მაზავშჩიკმა“ იცის, რომ ეს ამბავი ცუდად დამთავრდება. ზოგს უმართლებს და ვიდრე მოკლავენ, თავს გაქცევით შველის. ბესოს მეგობარი და ჯგუფელი ნიკაც უკვე ერთი წელია, მაგის გამოა გაქცეული, მაგრამ ჩემი ძმა იმდენად პატიოსანი და თავმოყვარე იყო, ვერ გაბედა ჩვენთვის თავისი დარდი გაეზიარებინა და, ჩვენც ვერ მოვიცალეთ მისთვის. ძალიან მიკვირს, ბესოს ხასიათის მქონე ადამიანს როგორ შეეშალა და თამაში როგორ დაიწყო, მაგრამ ალბათ შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული და აზარტმა თუ ჩაგითრია, ვეღარაფერი გადაგარჩენს.

რა არის აზარტი, შესაძლებელია თუ არა მისგან გათავისუფლება და როგორ უნდა დაეხმარონ ასეთ ადამიანებს ოჯახის წევრები — ამ კითხვებზე კვალიფიციური პასუხების მისაღებად ფსიქოლოგ **მარინა რეხვიაშვილს** *მივმართეთ:*

— აზარტი არის დამოკიდებულებითი ქცევა: როგორც წამალზე ან სასმელზეა დამოკიდებული ადამიანი, ასევე შეიძლება, თამაშზეც იყოს დამოკიდებული. დამოკიდებულებითი ქცევა 4 ჯგუფად იყოფა, ესენია: სულიერი, ფიზიკური, მემკვიდრეობითი და სოციალური. აზარტული თამაშები ერთგვარ ნარკომანიად არის აღიარებული, რადგან ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს. კონკრეტულად თქვენს რესპონდენტზე, ლადოზე რომ ვილაპარაკოთ — ის უკვე წლებია, ერთსა და იმავე სიტუაციაში, ერთსა და იმავე გარემოში ტრიალებს, ამიტომ გაუჩნდა დამოკიდებულებითი ქცევა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ინტერვიუდან ჩანს, ის ღვთისმოშიშია, მაინც აზარტულ ადამიანად დარჩება. შესაძლოა, ერთი კვირა ან ერთი თვეც აღარ შევიდეს ტოტალიზატორში, მაგრამ მერე, მაინც მივა, რადგან ის უკვე დაავადებულია აზარტით. რადგან ხატზე დაიფიცა, შესაძლოა, ხელზე აღარ „გამაზოს“, მაგრამ ისევ კაზინოში შევა ან სხვა რამეს ითამაშებს.

— ეი. მისი განკურნების შანსი არ არსებობს?

— როგორ არა?! მთავარია, ადამიანმა მოინდომოს და ყველაფერს მიაღწევს. საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ ის გარემოს შეიცვლის, მაშინ კიდევ შესაძლებელი იქნება რაღაც შედეგზე ლაპარაკი. უნდა შეიცვალოს მეგობრების წრე, ინტერესები. კარგი იქნება, თუ მუშაობას დაიწყებს — მაშინ შეიძლება, მას თავისი შრომით მოპოვებული ფულის ასე გაფლანგვა დაეანოს. მოკლედ, ასეთ ადამიანებს თამაშის რაღაცით ჩანაცვლება სჭირდებათ. ისიც კარგი ვარიანტი იქნება, თუ მას ვინმე შეუყვარდება. ამ შემთხვევაში, შეყვარებულზე გაცილებით მეტს იფიქრებს და იქნებ, თამაშის ინტერესი გაუნელდეს. ისიც საუკეთესო გამოსავალია, თუ აზარტული ადამიანი ფსიქოთერაპევტთან ივლის, რათა განიკურნოს, ოღონდ ამის სურვილი თავად უნდა გაუჩნდეს. რაც არ უნდა ბევრი ელაპარაკონ და ურჩიონ, სანამ თვითონ არ მივა იმ კონდიციამდე, რომ ეს ქცევა მის პიროვნებას ვნებს, მისი გამოსწორება შეუძლებელია. ლადო უკვე ჩამოყალიბებული, ფორმირებული ხასიათის ადამიანია და საკმაოდ ძნელია მასზე ზემოქმედება, ამიტომ თავად უნდა მიხვდეს ამის საჭიროებას. ისე კი, როგორც წესი, აზარტით დაავადებული ადამიანი იშვიათად მიმართავს ფსიქოთერაპევტს. ასეთი პაციენტი მხოლოდ ერთი მყავს. დანარჩენები კონსულტაციაზე კი მოსულან, მაგრამ მკურნალობის კურსი აღარ გაუგრძელებიათ...

— როცა ადამიანი აზარტულია, როგორ უნდა მოიქცნენ მისი ოჯახის წევრები?

— მშობლებმა ასეთ ადამიანს უნდა გაუგონ და მხარში ამოუდგნენ. ასეთ დროს, ჩხუბი არ შეიძლება. ყველა უნდა ეცადოს მის გამოსწორებას და ის აზრიც ჩააგონოს, რომ დასახმარებლად ფსიქოლოგს მიმართოს. მის ადგილზე უნდა წარმოვიდგინოთ თავი და უფრო ლმობიერად მოვექცეთ... ■

ქალებისთვის მწვავე პრობლემა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მენსტრუაციისწინა სინდრომი ქალთა უმრავლესობისათვის ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მენსტრუაციამდე რამდენიმე (1-10) დღით ადრე, თავს იჩენს სიმპტომები, რომლებიც სისხლდენის დაწყებისთანავე ან მის პირველსავე დღეებში გაივლის. ეს სიმპტომებია:

- მქაჩავი ტკივილი მუცლის ქვემო ნაწილში;
- სიმკვრივე და მტკივნეულობა სარძევე ჯირკველის არეში;
- შეშუპება და მუდმივი წყურვილის შეგრძნება;
- ტკივილები გულის არეში და გულის რიტმის დარღვევა;
- თავბრუსხვევა, გულისრევის შეგრძნება;
- სხეულის ტემპერატურის მომატება, შემცივნება.

ამ პერიოდში ქალს შეიძლება ჰქონდეს არა მარტო ფიზიკური დისკომფორტი, არამედ გაღიზიანებადობა, აგრესიულობა, დეპრესიული განწყობილება, ტირილის სურვილი, მეხსიერების გაუარესება, ძილის დარღვევა, სექსუალურობის მკვეთრი დაქვეითება ან პირიქით, მომატება.

სწორედ ამ მდგომარეობას უწოდებენ მენსტრუაციისწინა სინდრომს.

სხვადასხვა მონაცემით, მენსტრუაციისწინა სინდრომი უმთავრესად 26-45 წლის ქალებში გვხვდება, თანაც, ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება მიდრეკილება ამ სინდრომის რთული გამოვლენისაკენ. ეს სინდრომი განსაკუთრებით ხშირად აქვთ ქალებს, რომელთაც გონებრივად დაძაბული ან მავნე სამუშაო აქვთ, ანდა აწუხებთ ამა თუ იმ ორგანოს ქრონიკული დაავადება.

მიზეზები

მიჩნეულია, რომ მენსტრუაციისწინა სინდრომი ჰორმონული დარღვევების, კერძოდ, ქალური სასქესო ჰორმონების სიჭარბის შედეგია. ამავდროულად, იცვლება ვეგეტატიური ნერვული სისტემის მდგომარეობაც. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მქაჩავი ტკივილები მუცლის ქვედა ნაწილში იმიტომ ჩნდება, რომ მენსტრუაცია უკვე დაიწყო, საშვილოსნოს ყელი კი ჯერ არ არის გახსნილი. გამონადენი საშვილოსნოს ღრუში გროვდება და ჭიმავს

მას, ეს კი ტკივილს იწვევს.

რა თქმა უნდა, ჰორმონული ფონის ყოველთვიურ ცვლილებებს ვერსად გავექცევით, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნებების შემცირება ნამდვილად შესაძლებელია.

აღნიშნული სინდრომის თავიდან ასაცილებლად ეწვიეთ სპეციალისტებს:

- გინეკოლოგს — რადგან მენსტრუაციისწინა სინდრომი ქალური სასქესო ჰორმონების დონის დარღვევას უკავშირდება;
- ფსიქონევროლოგს — მასთან ვიზიტი ემოციური დარღვევების დროს არის რეკომენდებული;
- ენდოკრინოლოგს — ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა მენსტრუაციისწინა სინდრომის გამოვლინებებს აძლიერებს.

მენსტრუაციისწინა სინდრომის ჩვეულებრივ გამოვლინებათა და მათი ხანგრძლივობის კვალობაზე, ქალს შეუძლია შეარჩიოს პრეპარატები და დაიწყოს მათი მიღება სინდრომის გამოვლენამდე 2-3 დღით ადრე. ძლიერი ტკივილების დროს დაგეხმარებათ: ნოშპა, ბარალგინი, ანალგინი.

სინდრომს თავიდან აგაცილებთ ორალური კონტრაცეპტივებიც. ბელოიდი და ბელატამინალი ვეგეტატიური ნერვული სისტემის მუშაობის ნორმალიზებისთვისაა განკუთვნილი და ამ პერიოდში გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელ და საშარდე სისტემებში წარმოქმნილ დარღვევებს აღუდგება წინ.

ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობა შეიძლება მოაწესრიგოთ მარტივი დამამშვიდებელი საშუალებებით (კატაბალახათი, შავბალახათი).

დიდი მნიშვნელობა აქვს კვების ზოგიერთი პრინციპს დაცვას:

- ნაკლები მიირთვით ყავა და მაგარი ჩაი, შეზღუდეთ სითხის მიღება (მაგრამ — არანაკლებ 1,5 ლ-ისა დღეში);
- გამოიყენეთ ნაკლები მარილი;
- რაციონში შეზღუდეთ პროდუქტები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმს: ქიშმიში, გარგარისა და ჭერმის ჩირი, კარტოფილი;
- ნუ მიირთმევთ ბევრ შოკოლადს — ის გულისცემას ახშირებს;
- ერიდეთ ცხიმიან პროდუქტებს, ტკბილეულს;
- არ გაეკაროთ ალკოჰოლს, ცხარე სანელებლებს;
- ეცადეთ, ნაკლებად მიირთვათ რძის პროდუქტები და წითელი ღვინო.

გირჩევთ

მენსტრუაციის დაწყებამდე სულ მცირე, ერთი კვირით ადრე და თვით სისხლდენის პერიოდში, თქვენი რაციონი მდიდარი უნდა იყოს კალციუმით. ამ ელემენტს შეიცავს ახალი მწვანე სალათა, კომბოსტო, ოხრახუში, ისპანახი, ბოლოკი;

საჭიროა მაგნიუმის მარილებიც, რომლებიც შედის ზღვის პროდუქტებში, მარცვლეულსა და ნიგოზში. მაგნიუმი ხსნის გაღიზიანებადობასა და დაღლილობას, ხელს უშლის დეპრესიის განვითარებას.

მიიღეთ ვიტამინები, განსაკუთრებით — A, E და B ჯგუფების;

შავბალახას, კატაბალახასა და პიტნის ნაყენი მენსტრუაციისწინა სინდრომის დროს შესანიშნავი დამამშვიდებელი საშუალება გახლავთ; პიტნას აქვს მსუბუქი ტკივილგამაყუჩებელი და სპაზმის საწინააღმდეგო მოქმედება;

- ჭარბი გამონადენის დროს ეფექტურია ჟოლოს ფოთლების ნახარში.
- მნიშვნელოვანია სრულფასოვანი ძილი და დასვენება. მოიწესრიგეთ დღის რეჟიმი. იძინეთ კარგად განიავებულ, გრილ ოთახში;
- მეტი ისეირნეთ სუფთა ჰაერზე;
- თუ სიგარეტს ეწევით, ეცადეთ, მაქსიმალურად შეამციროთ თამბაქოს რაოდენობა;
- დილა-საღამოს მიიღეთ კონტრასტული შხაპი; პროცედურა გრილი წყლით დასრულეთ;
- მოერიდეთ სტრესებს.

მენსტრუაციის პერიოდში, არ შეიძლება აბაზანის მიღება — მაღალ ტემპერატურას ძლიერი ტკივილების პროვოცირება შეუძლია, მენსტრუაცია კი გახანგრძლივდება.

სასარგებლოა სისტემატური ფიზიკური ვარჯიში ნერვული სისტემების გაძლიერებისა და კუნთების დაჭიმულობის მოსახსნელად. ■

6. დუმბაძე „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი	საქართველოს ერთ-ერთი კუთხე	მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ჯემალ ...	შიში	საბჭოთა ილუზიონისტი	რამდენიმე ქალაქის დიდი ტერიტორიული გაერთიანება		
ბაბალა	ქუჩა	ამონაკვეთი		ბი	ო		ილი
ღვთაების მხატვრული გამოსახულება	სამშენებლო მასალა	ძვ. ეგვიპტელთა ღვთაება	მტაცებელი ცხოველი	გულამოჭრილი სერთუკი	ბერძნ. ანბანის ბოლო ასო	... ნიუმენი	მ/ფ „... ჩ იდნენ მთ

სიახლეები ბავშვებზე

ნუ გააღვიძებთ „ჭოტს"

სკოლაში გაკვეთილები ძალიან ადრე იწყება — მიაჩნიათ შვეიცარიელ ნეირობიოლოგებს. თუ ბავშვები კარგად გამოიძინებენ, ისინი გაკვეთილებზე უფრო ყურადღებიანები იქნებიან და მეხსიერების უკეთ დემონსტრირებასაც მოახდენენ.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, ძილის საშუალო ხანგრძლივობა 8,3-დან 7 საათამდე შემცირდა. გამოძინებას ვერ ვახერხებთ, სწავლისა და სამსახურის ადრიანად დაწყების გამო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ადამიანთა უმრავლესობა „ჭოტია" და სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ძილის დეფიციტი — ისინი ვერ ახერხებენ დროულად დაძინებას.

კომპიუტერი სწავლას უშლის ხელს

რაც უფრო ხშირად იყენებენ ბავშვები კომპიუტერს სკოლასა თუ სახლში, მით უარესი ხდება მათი მიღწევები ენებისა და მათემატიკის შესწავლაში, ოჯახში დიდი ბიბლიოთეკა კი, დადებით გავლენას ახდენს მათ მოსწრებაზე, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები, რომლებმაც შეისწავლეს 15 წლის ასი ათასამდე მოზარდის ცხოვრება 32 ევროპულ ქვეყანაში.

კომპიუტერი ხელს უშლის ბავშვს ყურადღების კონცენტრირებაში, საშინაო დავალების შესრულებისას; სკოლაში კი კომპიუტერი ცვლის სწავლების სხვა, უფრო ეფექტურ პროგრამებს. ამ გამოკვლევის შედეგებმა, რომლებიც ბრიტანეთის სამეფო ეკონომიკური საზოგადოების სხდომაზე გამოამზეურეს, აიძულა ქვეყნის მთავრობა, დაფიქრებულიყო — ღირს კი დიდძალი სახსრების გამოყოფა სკოლების კომპიუტერიზაციაზე?!

საუზმეზე უარს ნუ იტყვით

ბავშვები, რომლებიც ყოველდღე კარგად საუზმობენ, უკეთ სწავლობენ და უფრო იშვიათად აწუხებთ ჭარბი წონა, ვიდრე მათი ის თანატოლები, რომლებიც საუზმობას ვერ ასწრებენ, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები. ბავშვები, რომლებიც დილით სკოლაში მშივრები მიდიან, დიდი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვისას, ენერგიის ისეთ დეფიციტს განიცდიან, რომ უზომოდ ჭამენ სადილობისა და ვახშმობის დროს, კი ეს სხეულში ცხიმის „ჩალაგებას" იწვევს. დილით მოსაუზმეებს ნორმაში აქვს წონა, ამასთანავე, აქვთ უკეთესი მეხსიერება, ინტელექტის მაჩვენებლები, უფრო იშვიათად აცდენენ სკოლას.

განსაკუთრებულად სასარგებლოა საუზმე, რომელიც შეიცავს ხილს, რძის პროდუქტებსა და მარცვლეულს.

ძნელია, იყო პატარა!

რუსეთის ბავშვის ინსტიტუტის სპეციალისტებმა საოცარი სახლი ააშენეს. ვინც მასში შედის... „ბავშვობაში ხვდება"!

სახლი შიგნიდან ჩვეულებრივ საცხოვრებელ ბინას ჰგავს, მაგრამ იგი გაყოფილია ორ ზონად — ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. მეორეში ყველა ნივთი ჩვეულებრივი ზომისაა, პირველში კი — საკმაოდ გადიდებულია, რათა ჩვენ, უფროსებმა, ისინი ბავშვის თვალით დავინახოთ: უშველებელი საწოლი, „მამის ხელის" მსგავსი რაღაც ორიგინალური კონსტრუქცია, ვეებერთელა სასადილო მაგიდა სკამით და ასევე ძალზე დიდი სახატავი დაფა ფანქრით.

აღმოჩნდა, რომ დიდი კოვზის ხელში დაჭერა ანდა დიდი ფანქრით რაიმის დახატვა მეტისმეტად რთული ყოფილა.

„ბავშვობის სახლს", რომელიც „ერმიტაჟის" ბაღში მდებარეობს, უკვე უამრავი ადამიანი სტუმრობს.

მოულოდ

ბავშვები, რომელთა მშობლებსაც დეპრესია აწუხებთ, სხვებზე ხშირად ხდებიან ავად ბრონქული ასთმით. ასთმასა და დეპრესიაზე ერთი და იგივე გენია პასუხისმგებელი.

ინგლისელი მეცნიერები აცხადებენ, რომ წონა, რომელიც ბავშვს დაბადებისას ჰქონდა, გავლენას ახდენს მის მათემატიკური აზროვნების უნარზე: 2,5 კგ-ზე ნაკლები წონის მქონე ბავშვები ამ დისციპლინას ცუდად ითვისებენ.

ძილი მეხსიერებას აუმჯობესებს

ხარისხიანი ძილი მეხსიერებას აუმჯობესებს — იტყობინებიან ჰარვარდის მედიცინის ცენტრის მეცნიერები.

რამდენიმე წლის წინ მათ ჩაატარეს გამოკვლევა და აღმოაჩინეს, რომ სრულფასოვანი ძილი გვეხმარება დიდი მოცულობის ინფორმაციის უკეთ დახსომებაში. ახლა კი მეცნიერებმა შეძლეს, დაენახათ, როგორ ხდება ეს. მაგნიტურ-რეზონანსული სკანირების მეშვეობით, ძილის დროს დაფიქსირდა ტვინის იმ უბნების მაქსიმალური აქტიურობა, რომლებიც პასუხს აგებს ახალი ინფორმაციის გადატანაზე ხანგრძლივ მეხსიერებაში. „ახლა გასაგებია, რატომ არის ძილი მეტისმეტად მნიშვნელოვანი პატარა ბავშვებისთვის — მათ ხომ უამრავი რამის დახსომება უწევთ", — ხუმრობენ მეცნიერები.



მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი

საქართველოში არსებულ ქრისტიანულ სიწმინდეთაგან ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე — ანჩისხატის მაცხოვრის ხელთუქმნელი სასწაულმოქმედი ხატი — ამჟამად, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება. ვიდრე ხატი იქ მოხვდებოდა, რაც კომუნისტური მმართველობის დასაწყისში მოხდა, XII საუკუნიდან მოყოლებული, ანჩისხატის, ყოფილი ზარის ეკლესიაში ესვენა. ხელთუქმნელი ხატის მიერ არაერთი სასწაული აღსრულებულა, რის შესახებაც გვამცნობენ, როგორც საეკლესიო, ისე ისტორიული წყაროები...

შორენა მერკვილაძე

როგორ შეიქმნა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი

გადმოცემის თანახმად, იმ დროს, როდესაც მაცხოვარი სირიაში ქადაგებდა, ქალაქ ედესის მმართველი, ავგაროზი კეთრით იყო დაავადებული. ექიმებს დავრდომილის გადარჩენის იმედი დაკარგული ჰქონდათ. ავგაროზმა შეიტყო, რომ იერუსალიმში იმყოფებოდა იესო ქრისტე, რომელიც ყოველგვარი წამლის გარეშე კურნავდა სნეულთ და სხვა სასწაულებსაც აღასრულებდა. მან ირწმუნა ქრისტესი, როგორც მესიის და წერილი მისწერა, რომელშიც ატყობინებდა, რომ იცოდა მისი სასწაულებრივი მკურნალობის შესახებ, აღიარებდა მას ღმერთად და სთხოვდა — ჩასულიყო მასთან და დაეხსნა სნეულებისგან. ამასთანავე, იუდეველთაგან დევნილ და შევიწროებულ მაცხოვარს თავის ქალაქს — ედესს სთავაზობდა საცხოვრებლად.

ედესის მთავარმა, ეპისტოლე მხატვარ ანანიას გაატანა იუდეაში და თან დაავალა, რომ თუკი ქრისტე არ ინებებდა წამოსვლას, მისი ღვთაებრივი სახე დაეხატა და წამოეღო, რათა მისი სურათი მაინც ჰქონოდა. იუდეაში ჩასულმა მხატვარმა, ხალხის სიმრავლის გამო, მაცხოვართან მიახლოება ვერ მოახერხა, ამიტომ შემაღლებულ ადგილზე შედგა და შეეცადა ქრისტეს სახე ქარტაზე, ტილოზე გადაეტანა. მისი ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან უფლის არაამქვეყნიური მადლით გაბრწყინებული სახის დახატვა ვერ ხერხდებოდა. იესომ თავისთან იხმო ანანია. როდესაც მან ავგაროზის ეპისტოლე წაიკითხა და მისი თხოვნის შესახებ შეიტყო, წყალი და ტილო მოატანინა, პირი დაიბანა და ტილოთი შეიმშრალა, რომელზეც სასწაულებრივად გამოისახა მაცხოვრის სახე. ასე შეიქმნა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც იესომ ანანიას ხელით ედესში გაუგზავნა ავგაროზს. ხატთან ერთად ქრისტემ ავგაროზს წერილი მისწერა, რომელშიც სწერდა: „ნეტარ ხარ შენ, ავგაროზ, რამეთუ არა გიხილავ და გრწმენა ჩემდა... შენთან მოსვლას მთხოვ, მაგრამ მე იმ საქმის აღსრულება მმართებს, რომლისთვისაც მოვლენილი ვარ, შემდეგ კი ჩემს წარმომგზავნელ მამასთან უნდა დავბრუნდე, მასთან ამაღლების შემდეგ, გამოგიგზავნი ჩემს ერთ-ერთ მოწაფეთაგანს, რომელიც სრულიად განგკურნავს და სიცოცხლეს მოგანიჭებს შენ და სხვებსაც შენთან ერთად“. იესო აგრეთვე ატყობინებდა ავგაროზს, რომ ვისაც მისი ხელით დაწერილი ექნებოდა, თუ ცოდვებისგან განიწმინდებოდა, მას არავითარი საფრთხე აღარ დაემუქრებოდა. აქედან დამკვიდრდა „ავგაროზის“ ტარების ტრადიცია ქრისტიანობაში, რომელიც იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბეჭდითაა დაბეჭდილი...

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისგან აღსრულებული პირველი სასწაული

როდესაც ავგაროზისგან მაცხოვართან გაგზავნილი მხატვარი ანანია უფლის ხელთუქმნელი ხატით ედესისკენ გაემართა, გზაში შემოაღამდა და იერაპოლში, ერთ-ერთ მექოთნესთან გაათია ღამე. ხელთუქმნელი ხატი კი, იმის შიშით, რომ არ დაზიანებულიყო, ორ გამომწვარ კეცს შორის ჩაასვენა. შუაღამისას ზეციდან ცეხლის სვეტი გადმოეშვა და ხატს დაადგა, რამაც მთელი სოფელი გააღვიძა და როდესაც ხელთუქმნელი ხატი კეცებიდან ამოაბრძანეს, აღმოჩნდა, რომ იმ კეცზე, რომლისკენაც ხატს პირი ჰქონდა მიქცეული, სასწაულებრივად აღბეჭდილიყო უფლის სახე. ასეთნაირად შეიქმნა მეორე ხელთუქმნელი ხატი უფლისა, რომელსაც ეწოდა — კეცზე ამოტვიფრული პირი უფლის ხელთუქმნელი ხატისა. ეს ხატი მასპინძელ მექოთნესთან დარჩა. VI საუკუნეში, კეცი, რომელზეც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი აღიბეჭდა, მონოფიზიტ მწვალებელთა ტაძარში მოხვდა, სადაც იგი ღირსმა ანტონ მარტყოფელმა ნახა (ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა). ეს უდიდესი სიწმინდე მწვალებელთა ხელში რომ არ დარჩენილიყო, ფარულად წამოიღო და საქართველოში ჩამოასვენა. მამა ანტონმა, ზემო მარტყოფში ამ ხატს ტაძარი აუგო და იქ დააბრძანა. ხატი დიდ თურქობამდე იქ ინახებოდა. საქართველოს მეფის, გიორგი მეშვიდის (1393-1407) ხანაში, თემურ ლენგის შემოსევისას, გიორგი მარტყოფელმა ეს უდიდესი სიწმინდე იმის შიშით, რომ უსჯულოებს არ გაენადგურებინათ, ყველასათვის უცნობ ადგილას გადამალა. მოგვიანებით, გიორგი მარტყოფელი მოწამებრივად აღესრულა და თან წაიღო კეცზე აღბეჭდილი ხატის ადგილსამყოფლის საიდუმლო, რომელიც დღემდე გამოუცნობი რჩება.

რა ბედი ეწია მაცხოვრის ტილოზე აღბეჭდილ ხელთუქმნელ ხატს?

ავგაროზმა, რომელიც 6 წელი საწოლს იყო მიჯაჭვული, სიხარულით მიიღო მაცხოვრის წერილი და ხელთუქმნელი ხატი და იმავე წამს ტკივილისგან გათავისუფლდა, მაგრამ სახეზე კეთრის კვალი მაინც დარჩა, უფლისგან აღთქმული მოწაფის, სამოცდაათ მოციქულთაგან ერთ-ერთის — თადეოზის ჩასვლამდე, რომელმაც „სახარება“ უქადაგა და ქრისტიანულად მონათლა ავგაროზიც და სხვა მრავალი ედესის მკვიდრიც. ავგაროზმა ხელთუქმნელი ხატი ფიცარზე დააკვრევინა და ზედ წააწერა: „ქრისტე ღმერთო, ყოველთა, რომელთა ჰრწმნეს შენი, არასადა რცხუენეს“, შეამკო იგი და ქალაქის კარიბჭესთან — ნიშში დააბრძანა — იქ, სადაც უწინ კერპი იდგა...

ავგაროზის შვილი და შვილიშვილი, ავგაროზის მსგავსად, თაყვანს სცემდნენ ქალაქის კარიბჭესთან დაკიდებულ ხელთუქმნელ ხატს, მაგრამ შემდგომ, ავგაროზის შვილთაშვილი კერპთმსახურებაში ჩავარდა და ხატების დევნა დაიწყო. იმ ადგილას, სადაც უფლის ხელთუქმნელი ხატი იყო დაკიდებული, კერპის დადგმა გადაწყვიტა. ამ უსჯულო განზრახვის შესახებ უფალმა წინასწარ აუწყა ედესის ეპისკოპოსს და მიანიშნა ადგილი, სადაც უნდა დაემალა ხატი. ეპისკოპოსი, მღვდელმსახურებთან ერთად, ღამით მივიდა ქალაქის კარიბჭესთან, ხატის წინ კანდელი დაანთო და ნიში თიხის ფირფიტითა და აგურებით ამოაშენა.

გავიდა მრავალი წელი, ქალაქის მცხოვრებლებმა სრულიად დაკარგეს ღვთის შიში, ისიც გადაავიწყდათ, თუ რაოდენ დიდი სიწმინდის მფლობელები იყვნენ. 539

წელს, სპარსთა მეფე ხოსრო თავის მრავალრიცხოვანი ლაშქრით მიადგა ედესს. ქალაქის მდგომარეობა უიმედო ჩანდა. ედესის მაშინდელ ეპისკოპოსს — ევლავიოსს უფალი გამოეცხადა, აცნობა ის ადგილი, სადაც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი იყო დამალული, თან უბრძანა, სიწმინდე ამოქოლილი ნიშიდან გამოესვენებინათ და სამჯერ შემოეტარებინათ ქალაქის გარშემო — ამით მტერს უკუაგდებდნენ. როდესაც მღვდელმთავარმა ამოქოლილი ნიში გახსნა, ხატის წინ კვლავ ენთო კანდელი...

უფლის ბრძანებისამებრ, ხელთუქმნელი ხატი სამჯერ შემოატარა ქალაქს. ლოცვისა და ლიტანიობის შემდეგ, მტრის ბანაკი აირია, ხოსრო იძულებული გახდა, რომ მეომრებისთვის უკან დახევა ებრძანებინა...

630 წელს, ედესი არაბებმა დაიპყრეს. ისინი ხელს არ უშლიდნენ ხელთუქმნელი ხატის თაყვანისცემას, რომლის დიდებაც უკვე მთელ აღმოსავლეთს მოედო. 944 წელს, იმპერატორმა კონსტანტინე მეშვიდემ (პორფიროგენეტმა 912-954) გადაწყვიტა, სიწმინდე მართლმადიდებლური სამყაროს მაშინდელ ცენტრში — კონსტანტინოპოლში გადაესვენებინა. ედესის ამირა დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს, 200 სარკინოზი ტყვის გათავისუფლების, 12 ათასი ვერცხლის მონეტისა და ედესზე თავდაუსხმელობის პირობის საზღაურად დათანხმდა ხელთუქმნელი ხატისა და ავგაროზისადმი მიწერილი წერილის კონსტანტინოპოლში გადაბრძანებას. 944 წლის 16 აგვისტოს ხატი დიდი პატივით გადაასვენეს კონსტანტინოპოლში.

IX საუკუნეში ბიზანტიაში დიდი ხატმბრძოლობა დაიწყო. დაიძაბა პოლიტიკური ვითარებაც. იმის შიშით, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი არ დაკარგულიყო და მართლმადიდებლურ სამყაროს როგორმე შეენარჩუნებინა, კონსტანტინოპოლიდან იგი საქართველოში, კერძოდ, მთიან კლარჯეთში გადაასვენეს და ანჩის საეპისკოპოსოში მიუჩინეს ადგილი. ამის შემდეგ, მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ანჩისა ეწოდა. საქართველოში მას პირი ღვთის ხატსაც უწოდებდნენ. XI საუკუნეში სიწმინდე თამარ მეფის ბრძანებით, ბექა ოპიზარმა მოჭედა.

1453 წელს სამხრეთ საქართველო თურქთა ხელში აღმოჩნდა. საქართველო მაშინდელმა კათალიკოს-პატრიარქმა დომენტიმ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი სამხრეთ საქართველოს გამოარიდა, ანჩიდან თბილისში ჩამოაბრძანა და ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში დააბრძანა.

იმ დღიდან, რაც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში დააბრძანეს, მისი ძალით არაერთი სასწაული აღესრულა. იმის გამო, რომ ანჩიდან გადმოსვენებული ხატი ამ ტაძარში იმყოფებოდა, აღნიშნულ ტაძარს ანჩისხატისა ეწოდა (მანამდე, საკათალიკოსო ტაძარს, ზარის ეკლესიასაც უწოდებდნენ, რადგან მუსლიმანთა 400-წლიანი ბატონობის ჟამს, ამ ტაძარში ზარის რეკვა არ შეწყვეტილა).

■

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ხმალსა და ხანჯალს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: გარდა იმისა, რომ ქართველი კაცი მას ბრძოლაში იყენებდა, იარაღს სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა. დღეს ამის შესახებ ბევრმა ქართველმა არც იცის... თბილისში არსებობს სახელოსნო, სადაც ქართული ჭედური ხელოვნების ძირითად მეთოდებს იყენებენ. ამ სახელოსნოს მხატვარი კახაბერ ზარნაძე განაგებს. ის და მისი შეგირდები წინაპართა ყველა წესს იცავენ და სხვებისგანაც ამასვე მოითხოვენ. ამ სახელოსნოში ქალის შესვლა აკრძალულია და შეგირდებიც მხოლოდ ბიჭები არიან.

იარაღის ჭედვის სიმღერა ყოველდა

მარეხ ჭონიშვილი

— რატომ დაინტერესდით ქართული ჭედვის ხელოვნების შესწავლით?

— ასე ვთქვათ, მე მემკვიდრეობით მჭედელი ვარ: ერთი ბაბუა ფერმწერი მყავდა, საქართველოს დამსახურებული მხატვარი იყო. მეორე — მჭედელი. სწორედ მათგან მივიღე პირველი გაკვეთილი. შემდეგ, ეს ხელობა რომ მესწავლა, სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, რამდენიმე ფაკულტეტი გამოვიცვალე, მათ შორის — ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება. მერე მოხდა ისე, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევით დავინტერესდი და უკვე 18 წელია, რაც ამ საქმეს ვიკვლევ. ამ პერიოდში აღმოჩნდა, რომ საბრძოლო ილეთების შესრულებას ვერ მოვახერხებდით, თუ შესაბამისი ხარისხის იარაღი არ გვექნებოდა. ამიტომ გაჩნდა საქართველოში ცივი იარაღის ჭედვის ტექნოლოგიის აღორძინების იდეა. მუშაობა დავიწყეთ და უამრავი მასალა მოვიძიეთ.

— თქვენი შემოქმედებით კმაყოფილი ხართ?

— ჩვენი ნამუშევარი ხუთბალიანი სისტემით შეიძლება, სამზე შეფასდეს. ეს სახელოსნო უკვე 7 წელია, რაც არსებობს. როდესაც უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ შეიტყო ჩვენი საქმიანობის შესახებ, აუდიენციაზე მიმიწვია და ლოცვა-კურთხევა მომცა, რომ ცივი იარაღის ჭედვის ტექნოლოგიები აღმედგინა. იყო ორი პირობა: უნდა დამემზადებინა საჩუქრები, თუ ეს საჭირო იქნებოდა და აღმეზარდა მოსწავლეები. ორივეს ვასრულებ.

— კონკურენტები თუ გყავთ?

— მე ამაზე არ ვფიქრობ, ხომ ხედავთ — აბრაც კი არ მაქვს. მაგრამ ვიცი, რომ ჩემი მოსწავლეები მუშაობენ და არცთუ ისე ურიგოდ.

— იარაღზე ძირითადად, რა ორნამენტებია გამოსახული?

— გადავწყვიტეთ, რომ ყველასგან მივიწყებული, ბრინჯაოს ხანის ორნამენტები გაგვეცოცხლებინა და გავაკეთეთ სიმბიოზი XVII-XVIII საუკუნეების ჭედვის ტექნოლოგიებისა და ბრინჯაოს პერიოდის ორნამენტების. მგონი, კარგი გამოვიდა.

— რამდენად შრომატევადია და რამდენი ხანი უნდებით ერთი იარაღის დამზადებას?

— ძალიან შრომატევადი საქმეა, ხომ ხედავთ, ხელები რა დღეშიც მაქვს... სამიანი რომ დაიწეროს და ნორმალური ხმალი გამოვიდეს, 6-9 თვეა საჭირო, ხოლო ხანჯალს 3-4 თვე სჭირდება. თუ დამკვეთს ხმლის კარგად შემკობა უნდა, ხანჯალს შეიძლება, თვეც დასჭირდეს. ჩვენთან არც ერთი ნამუშევარი არ მეორდება. — ისევე, როგორც ქართული სიმღერა. ეს შტამპი არ გახლავთ, ყველაფერი ხელით იხატება და გამეორება სხვას კი არა, მეც არ შემიძლია.

— ძვირი ღირს თქვენი ნამუშევარი?

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. რამდენი წლის იყო ყველაზე ხანდაზმული კოსმონავტი ჯონ გლენი, როდესაც იგი კოსმოსში გაფრინდა?

ა) 50-ის;
ბ) 66-ის;
გ) 77-ის.

2. სად დაკრძალეს ზურაბ ჟვანია?

ა) დიდუბის პანთეონში;
ბ) მთაწმინდის პანთეონში;
გ) საბურთალოს პანთეონში.

3. რას ეძახდნენ მსუბუქი ყოფაძცევის ძალებს ძველად საქართველოში?



ა) აშაღლარას;
ბ) პეპელას;
გ) ქისას.

4. რისგან იშვა სიყვარულის ძალღმერთი აფროდიტე?

ა) ღრუბლისგან;
ბ) ზღვის ქაფისგან;
გ) ბუმბულისგან.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

საგანძური



უნდა დამემზადებინა საჩუქრები, თუ ეს საჭირო იქნებოდა და აღმეზარდა მოსწავლეები. ორიეეს ვასრულებ

— ფულზე არასდროს ვფიქრობ, მაგრამ თქვენი შეკითხვაც მესმის: XX საუკუნის შვილები ვართ... სამჭედლოში ფულზე არ ლაპარაკობენ, მჭედელი რომ იტყვის — ამაში ამდენი მინდაო, — არ ვაჭრობს, უნდა მისცე; თუ არ მისცემ, არ გააკეთებს. თანაც, სახელოსნოში შეიძლება, თვეში ორი კაცი შემოვიდეს და რაღაც იყიდოს — ესეც კარგ შემთხვევაში. ჩვენ იმ რაოდენობას მაინც ვერ ვაკეთებთ, რომ მაღაზიებში გაიყიდოს. ამ სახელოსნოში დამთავალიერებლები შემოდიან. საქართველოსთვის სასახელოა, რომ აქ კიდევ აკეთებენ ნივთებს ძველი ტექნოლოგიებით და უფრთხილდებიან ტრადიციებს. ამ სამჭედლოს კომერციული დატვირთვა არა აქვს და არც ექნება. მე რომ ინგლისში ან ამერიკაში ვიმყოფებოდე, ნამუშევარში 20 ათას დოლარს მივიღებდი, აქ კი ამის მეათედს თუ აიღებ, ისიც — იშვიათად.

— როგორ მუშაობთ — ძველ ხელსაწყოებს იყენებ თუ ახალს?

— ერთადერთი სიახლე ის გახლავთ, რომ ელექტროგანათებაა ჭრაქის მაგივრად და საბერველს ხელით არ ვბერავთ — ჩვეულებრივი გამწოვის ძრავა მიყენია.

— თქვენი განწყობილება თუ აისახება იარაღზე?

— რა თქმა უნდა. როცა იარაღზე მუშაობ, მარხვა უნდა შეინახო: არ შეიძლება, დღისით ჩაქუჩი ურტყა, ღამით კი რესტორანში იქეიფო. იარაღი ცოცხალია, როცა იბადება, ხმას იღებს და ხვდები, ვარგისია თუ არა. ხმით ფასდება, რამდენად სუფთად და თანაბრად არის შეერთებული მესერი. იარაღი ცოცხალია, ის კარგად გრძნობს, რა გულით გამოჭედეს. ცუდ გუნებაზე ჭედვა არ შეიძლება: თუ იარაღში ცუდი ემოცია ჩადე, შეიძლება, მან მფლობელის ხელში ცუდი საქმე „ჩაიდინოს“.

— იარაღს ადრე, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა, დღეს კი დაკარგა, რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— სამწუხაროდ, დღეს ეგ ძალიან ცოტამ თუ იცის. გარდა იმისა, რომ ქართველი კაცი იარაღს ბრძოლაში იყენებდა, ხმალი იყო ავი თვალის ამრიდებელი; ჭრილობაზე რომ მიგედო ხანჯალი და შეგელოცა, იარა უფრო სწრაფად ხორცდებოდა; ფიცვერცხლის რიტუალი ხანჯლის გარეშე არ ტარდებოდა... დღეს იარაღს უფრო მხატვრული და ეგზოტიკური დატვირთვა აქვს.

— თქვენ ნამუშევარი თუ აქვს ვინმეს ცნობილ პიროვნებათაგან?

— უწმინდესსა და უნეტარესს სხვადასხვა ქვეყანაში მიაქვს ხოლმე საჩუქრად. პუტინს წაუღო, ირანის ექსპრეზიდენტს, ხათა მის, ირანის პარლამენტის თავმჯდომარეს... მოდიან ქართველი პარლამენტარებიც. ზურაბ ჟვანიას ჰქონდა ჩემი ნამუშევარი.

— პრეზიდენტს თუ აქვს თქვენ მიერ დამზადებული ნივთი?

— პრეზიდენტს მიართვეს ჩემი ნამუშევარი, მაგრამ მან ჩათვალა საჭიროდ, რომ გიორგი ბარამიძისათვის ეჩუქებინა და ახლა მას აქვს.

— გარდა ცივი იარაღისა, კიდევ რას აკეთებთ და რა მასალით?

— გარდა იარაღისა, ვაკეთებთ ქამრებს, სამაჯურებს, საყურეებს. მასალად ვიყენებთ ბრინჯაოს, ვერცხლს, ოქროსთან შეხება ნაკლებად გვაქვს.

— ჭედვას სიმღერაც უხდება, თქვენ თუ მღერით?

— რა თქმა უნდა, ვმღერი. ეს აუცილებელია. მჭედელი მღერის, ცეკვავს, არც მუშტი-კრივშია აბდალი. მაგრამ მჭედლისთვის ძნელია ინსტრუმენტზე დაკვრა — ხელები გაუხეშებული გვაქვს. ფანდური — კი, მაგრამ გიტარა, ფორტეპიანო, ვიოლინო — ეს საკრავები ჭედვასთან ახლოს არ არის... ■





ვლადიმერ უგრეხელიძე

ქართველი, რომელიც მაიკლ ჯორდანს შეადარეს

ოლიმპიადაზე სიჟვდილს გადარჩენილი „პტიცა“

კალათბურთის ლეგენდასთან, მაიკლ ჯორდანთან შედარება, სპორტის ამ სახეობის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის უდიდესი პატივია და შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ იგი თბილისის „დინამოს“ ყოფილ მოთამაშეს, ვლადიმერ უგრეხელიძეს ხვდა წილად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველ კალათბურთელსა და „ჩიკაგო ბულლის“ ყოფილ ვარსკვლავს შორის პარალელი კალათბურთში არა შემთხვევითმა პიროვნებამ, არამედ სპორტის ამ სახეობის დიდმა სპეციალისტმა, აწ გარდაცვლილმა ალექსანდრ გომელსკიმ გაავლო. ფენომენალური ნახტომით სახელგანთქმული „პტიცა“ ამჟამად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრას უძღვება და საკუთარ წარსულსაც სიამოვნებით იხსენებს.

გიორგი ლანჩავა

ჭადრაკში პირველთანრიგოსანი ყალათბუთელი

— ბავშვობაში არტოს ბაღში ჭადრაკის წრეზე ნონა გაფრინდაშვილთან ერთად, ვასილ შიშოვთან დავდიოდი და პირველი თანრიგიც მაქვს მიღებული. ამის შემდეგ, მძლეოსნობას მივდევდი, სადაც 100 მეტრზე თარჯრბენსა და სიმაღლეზე ხტომაში გამოვდიოდი. მძლეოსნობას ფრენბურთი მოჰყვა და სპორტის ამ სახეობაში მოსწავლეთა შორის საქართველოს ნაკრების წევრიც გახლდით. ჩემი მეგობარი კობა ჯიჯიხია, მიხეილ კეკელიძესთან ვარჯიშობდა და კალათბურთში ძალის მოსინჯვა სწორედ მან შემომთავაზა. კეკელიძემ პირველად რომ დამინახა, სახე მოეღრიცა, რადგან ძალიან გამხდარი ვიყავი და ალბათ იფიქრა — ამისგან არაფერი გამოვაო. მაგრამ ჯიჯიხიამ მთხოვა — ახტიო და როდესაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ნახტომში კალათის რგოლს ხელი მოვკიდე, ბატონმა მიშამ მაშინვე თქვა: დატოვეთ, დატოვეთო!.. თავიდან „ტონოში“ ვთამაშობდი, შემდეგ კი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში გამოვდიოდი. 1958 წელს, სახლში ჩემი მეგობარი გურამ აბაშიძე მესტუმრა, რომელიც იმხანად თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა და თავის გუნდში გადასვლა შემომთავაზა, რასაც უყოყმანოდ დავთანხმდი.

ჰაერში ჯორდანზე ადრე გაჩერებული

— მეტსახელი „პტიცა“ სკოლის ასაკიდან მომყვება. იმ პერიოდში, პიონერებს შორის მძლეოსნობაში ქალაქის ჩემპიონატი ტარდებოდა და სიმაღლეზე ხტომაში ვიცავდი საკუთარი სკოლის ღირსებას. აქვე გეტყვით, რომ რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული და ჩემს კლასში სწავლობდა ბიჭი, გვარად მურჟინსკი, რომელიც სხვებზე 5-6 წლით უფროსი იყო. საერთოდ, ომის შემდგომ წლებში, ხშირად ხდებოდა, რომ სხვადასხვა ასაკის ბავშვი ერთ კლასში იჯდა. მაშინ ხტომის ტექნიკა არ გამაჩნდა და თამასას ორი ფეხით ვევლებოდი. შეჯიბრებაზე, როდესაც 180-სანტიმეტრიანი სიმაღლე დავძლიე, ამ მურჟინსკიმ წამოიძახა: Смотри на него, как птица прыгает! იქიდან მოყოლებული, მეტსახელად „პტიცა“ შემარქვეს. ნახტომი მართლაც, კარგი მქონდა და შემეძლო, თავით კალათის რგოლს შევხებოდი. ასევე, ამხტარი, ჰაერში ყოვნისაც ვაკეთებდი, რაც ფიზიკის კანონებსაც ეწინააღმდეგება და იმ დროს მსგავს რამეს ვერავინ იმეორებდა. მართალია, შემდეგ იგივე ილეთი „ჩიკაგო ბულლის“ ლეგენდარულმა კალათბურთელმა მაიკლ ჯორდანმა შეასრულა, მაგრამ მაინც მიხარია, რომ პირველი ვიყავი, ვინც ასეთი რამ გააკეთა. მახსოვს, კალათბურთის გამოჩენილი მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი ტელესტუდიაში მიიწვიეს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი მატჩის კომენტირებისთვის, რომელშიც „ჩიკაგო ბულზი“ მონაწილეობდა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში დიქტორმა ჯორდანის ნახტომით აღფრთოვანება ვერ დაფარა და თქვა: წარმოუდგენელია, მაიკლის გარდა, რომელიმე სხვა მოთამაშე ჰაერში ამდენ ხანს შეყოვნდესო! მას პირდაპირ ეთერში გომელსკიმ უპასუხა: 60-იან წლებში საბჭოთა კავშირშიც გვყავდა კალათბურთელი — ვლადიმერ უგრეხელიძე, რომელიც ჯორდანის მსგავსად „ფრენდაო“. ბუნებრივია, გომელსკის ასეთი შედარება ძალიან მესიამოვნა.

5 ლატვიელის დამმარცხებელი 3 ქართველი

— 1962 წელს, ევროპის ჩემპიონთა თასზე მადრიდის „რეალთან“ მოგებული ფინალური შეხვედრის გარდა, ჩემთვის 1959 წელს საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზე ლატვიის ნაკრებთან ჩატარებული მატჩიც დაუვიწყარია. აღნიშნული თამაშის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა და ისე მოხდა, რომ არბიტრს დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმის დანიშვნა სამჯერ მოუხდა. მესამე დამატებითის დაწყებამდე, მოედანზე საქართველოს ნაკრებს 3 კალათბურთელი დარჩა, რადგან დანარჩენებს 5-5 პერსონალური შენიშვნა გვქონდა მიღებული. ცხადია, ჩემს თანაგუნდელებს 5 ლატვიელის წინააღმდეგ თამაში გაუჭირდათ და როცა მატჩის დასრულებას ორწუთ-ნახევარი აკლდა, 4 ქულით აგებდნენ. ამ დროს, ლევან ინწკირველი მოედანზე დაეცა და აყვირდა: ცუდად ვარ, მიშველეთო!.. ინწკირველს ისეთი ხმა ჰქონდა, რომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, გიორგი ავალიშვილმა და მატჩის მსაჯებმა იფიქრეს: ეს კაცი ხომ არ კვდებაო? — და შეხვედრა 2-3 წუთით შეაჩერეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ლევანმა თურმე, იეშმაკა და თავისი ქმედებით მატჩის ტემპი დააგდო, რითიც მოედანზე მყოფ თანაგუნდელებს დასვენების საშუალება მისცა. აღნიშნულმა

ხერხმა გაამართლა და მცირე პაუზის შემდეგ, ძალამოკრებილმა გუნდმა ლატვიელებს საბოლოოდ, ოთხი ქულით აჯობა. თუმცა, იმ შეხვედრაში იმდენად დავიღალეთ, რომ ფიზიკური კონდიციების აღდგენა ველარ მოვახერხეთ და მომდევნო თამაში მოსკოვის ნაკრებთან დავთმეთ.

მოედანზე ჩადენილმა უხეშობამ რაიკომში „ამოყო თავი"

— საბჭოთა კავშირის პირველობაზე კალათბურთში, მოსკოვის „ცეესკაში" გამოდიოდა კალათბურთელი მიხაილ სემიონოვი, რომელსაც ადამიანის წონასწორობიდან გამოყვანა კარგად ეხერხებოდა: მეტოქეს ხან იდაყვს ჩაარტყამდა, ხან უჩქმეტდა, ხან განზრახ ფეხს დააბიჯებდა და ზოგჯერ გინებასაც არ ერიდებოდა. იმ კალათბურთელებს შორის, ვისაც სემიონოვი ასე ექცეოდა, მეც გახლდით. მართალია, მოსკოველს ყოველთვის სათანადოდ ვპასუხობდი, მაგრამ ის ეშმაკი იყო და მსაჯი ჩემს საპასუხო რეაქციას აფიქსირებდა, რისთვისაც მაჯარიმებდა. 1963 წელს, „ცეესკას" თბილისში ვთამაშებოდით და მოწინააღმდეგეთაგან ამჯერად უხეშობა ზუბკოვმა დამიწყო. ერთ ეპიზოდში, როდესაც მას თამაშში ბურთი გვერდითი ხაზიდან შემოჰქონდა, მივუახლოვდი და მალულად მუშტი მუცელში დავარტყი, თან სასწრაფოდ მოედნის მეორე მხარეს გავიქეცი. მართალია, მსაჯს ჩემი საქციელი არ დაუნახავს, მაგრამ თამაშს, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ვასილ მჟავანაძესთან ერთად, სპორტისა და კულტურის კურატორი ცეკას მდივანი, დევი სტურუაც ესწრებოდა, რომელსაც ყოველივე მშვენივრად დაუფიქსირებია. იმ წელს სამოთახიანი ბინა და ავტომანქანა უნდა მიმეღო. მაგრამ აღმასკომის თავმჯდომარემ, თევდორაძემ განმიცხადა, რომ მხოლოდ ოროთახიანი ბინა მეკუთვნოდა და მას ორდერიც უკვე გამოეწერა. ვითარების გასარკვევად ყოფილი პირველი მაისის რაიკომში მისვლა გადავწყვიტე. მაშინ რაიკომის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. როდესაც მისაღებში ველოდებოდი, რაიკომში დევი სტურუა მოვიდა. შევარდნაძის კაბინეტში შესვლიდან ცოტა ხანში, კარი გააღო და დამიძახა — შემოდიო. მან რაიკომის მდივნის თანდასწრებით მოულოდნელად მკითხა: მოედანზე უხეშობა როდის აქეთ დაიწყეო? ამას არ ველოდი და გავიფიქრე: ეს რა ფეხზე მოვსულვარ-მეთქი?! — თუმცა თავის გასამართლებლად რაღაც მივკიბ-მოვკიბე. საუბარი რომ დავასრულე, სტურუა ჩემი მოსვლის მიზეზით დაინტერესდა. როდესაც სიტუაცია ავუხსენი, მან შევარდნაძეს თევდორაძე გამოაძახებინა. ბატონმა ედუარდმა აღმასკომის თავმჯდომარეს დაავალა: ამ ახალგაზრდა კაცს სამოთახიანი ბინა მიეცითო.

ორსაათ-ნახევრით გაგრძელებული 58 წამი

— 1960 წელს, რომის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის ნაკრები პუერტო-რიკოს გუნდს 24 ქულით უგებდა და მატჩის დასრულებამდე 58 წამით ადრე, მეტოქის ფართან ასხლეტილი ბურთის დასაუფლებლად ავხტი. ამ ეპიზოდში ერთ-ერთმა პუერტო-რიკელმა ფეხში მხარი გამკრა, რის გამოც ამოვყირავდი და იატაკზე თავით ვეცემოდი, მაგრამ მოვასწარი კალათის რგოლისთვის ხელი მომეკიდა და ფარქვეშ შევვარდი. ამასობაში, აღმოჩნდა, რომ ფარი მოტყდა და ტონანახევრიანი სიმძიმე თავზე მეცემოდა, რასაც ვერ ვხედავდი. ამის შემყურე, ჩემი თანაგუნდელი ვალტინი ფარს მივარდა, მაგრამ ცხადია, ვერ დაიჭირა და იძულებული გახდა, უკან დაეხია. კიდევ კარგი, ჩაკუზული ვიყავი — სიკვდილს ამან გადამარჩინა, ხოლო ფარის დაცემის შემდეგ, შუშის ნამსხვრევებმა ვალტინს ტანი დაუსერა და რამდენიმე მაყურებელიც დაიჭრა. არსებული წესის მიხედვით, თუ ფარის კონსტრუქცია 15 წუთში არ აღდგებოდა, თამაში მეორე დღისთვის გადაიდებოდა. საერთაშორისო საკალათბურთო ფედერაციის პრეზიდენტმა ჯონსმა, რომელიც მატჩს ესწრებოდა, განაცხდა, რომ დარჩენილი 58 წამი იმავე დღეს უნდა გვეთამაშა, რადგან აშკარა უპირატესობა გვქონდა. ახალი ფარის დამონტაჟებას ორსაათ-ნახევარი დასჭირდა, მაგრამ დარბაზიდან არც ერთი მაყურებელი არ წასულა, ვინაიდან აინტერესებდა, ბოლოს რა მოხდებოდა. თამაშის შემდეგ, ფეხები მეკეცებოდა, რადგან იმ წელს ნაკრებში პირველად ამიყვანეს და ასეთი რამ დამემართა. თუმცა ამ შემთხვევას ჩემს სანაკრებო კარიერაზე ცუდად არ უმოქმედია და გუნდში კიდევ 6 წელი ვითამაშე.

ორგზის კომკავშირელი

— იტალიაში ოლიმპიადაზე გამგზავრებამდე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ნოვოგორსკში ვემზადებოდი, როდესაც შემატყობინეს — რომში ვერ წახვალო, ვიფიქრე — ალბათ, ვინმე რუსის წაყვანა უნდათ და უარს იმიტომ მეუბნებიან-მეთქი. მაგრამ ამავე დროს, იგივე, რუს კალათბურთელ ვოლნოვს განუცხადეს, რამაც ცოტა არ იყოს, დამაწყნარა და დამარწმუნა, რომ ქართველობა ამ შემთხვევაში, არაფერ შუაში იყო. ამის შემდეგ, ორივე დაგვიბარეს და გვაუწყეს: ოლიმპიადაზე ვერ წახვალთ, რადგან კომკავშირელები არ ხართო. ნაკრების მწვრთნელებს, როგორც მე, ასევე ვოლნოვი გუნდში ვჭირდებოდით, ამიტომ მოსკოვის ერთ-ერთ რაიკომში სასწრაფოდ მოიწვიეს კომკავშირის ბიურო და რაიკომის მდივანმა, რომელიც საერთოდ არ გვიცნობდა, მშვენიერი დახასიათება მოგვცა. მეორე დღეს, ორივეს კომკავშირის ბილეთები მოგვცეს. ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ, ბიურო უკვე თბილისში მოიწვიეს და კომკავშირში აქ მიმიღეს. ისე გამოვიდა, რომ ორი კომკავშირის ბილეთი მქონდა, რომელსაც დღემდე ვინახავ.

ციხის თავზე მოფრიალე დროშა

— თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი პირველად პარიზში 1960 წელს ჩავედით. გამომდინარე იქიდან,

რომ სასტუმროში ცხოვრებისა და კვების თანხას საკუთარი ჯიბიდან არ ვიხდიდით, დელეგაციის ხელმძღვანელები გვეუბნებოდნენ — ფული რაში გჭირდებათო?! — და ფაქტობრივად, კაპიკებს გვაძლევდნენ, რომლითაც ქუჩაში წყალს თუ დავლევდით. როდესაც ქალაქში ვსეირნობდით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან კაცი გვყავდა მოჩენილი, რომელიც სულ თან დაგვყვებოდა და გვეუბნებოდა, აქეთ-იქით ნუ იყურებითო. თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვცვივდებოდით, როდესაც პარიზში ვიყავით და ეს ადამიანი ეიფელის კოშკის, მონმარტრისა და ელისეს მინდვრების ნახვას გვიშლიდა. პარიზის შემდეგ, ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჟენევამ. ჩემპიონთა თასის აღების მეორე დღეს, წვიმიან ამინდში სასტუმროს წინ ვიდექით და ავტობუსს ველოდებოდით, რომელსაც ქალაქის დასათვალიერებლად უნდა წავეყვანეთ. ჩვენ წინ ჩამწკრივებული იყო ნაირნაირი მარკის ავტომობილი, რომელთა კარი დაკეტილი არ იყო და გასაღებიც თან ახლდა. ამ დროს, ერთ-ერთი გამვლელი ჩვენთან ახლოს მდგარ „მერსედესს“ მიუახლოვდა და კარი გააღო. ცხადია, ველოდით, რომ ეს ადამიანი ავტომანქანის გატაცებას შეეცდებოდა, მაგრამ მან გვერდითი მინა ასწია, რომ სალონში წვიმის წვეთები არ ჩასულიყო და გზა გააგრძელა... ჟენევის დათვალიერებისას, ლამაზი შენობა შევნიშნე, რომლის თავზეც დროშა ფრიალებდა. ჩემს კითხვაზე, ნაკრების გიდმა მიპასუხა, რომ ეს ციხე გახლდათ. ცხადია, გამიკვირდა, რომ ციხის თავზე სახელმწიფო დროშა ფრიალებდა. გიდმა ამიხსნა: 50 წელი შესრულდა, რაც ციხეში პატიმარი არ ყოფილა და დროშაც ამ თარიღის აღსანიშნავად არის აღმართულიო.

გაუბედავი ჯალნიში

— 1962 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრე. ამხანაგური მატჩები 4 ქალაქში ჩავატარეთ და ბოლოს, დენვერში ჩავედით. მაშინ ჩვენს გუნდში ლატვიელი კალათბურთელი კალნიშიც გამოდიოდა. მოგეხსენებათ, შტატებში საკმაოდ ბევრი ლატვიელი ცხოვრობს და დიასპორის რამდენიმე წარმომადგენელმა კალნიშს წერილი გამოუგზავნა, რომელ-



როგორც კი სუფრას მივუსხედით, ჯერ ერთმანეთს დაუწყეს შაყირი, შემდეგ, უამრავი სახალისო ამბავი გაიხსენეს და ჭამისთვის სადღა მეცალა...

შიც ამერიკაში დარჩენას სთავაზობდნენ. ისინი კალათბურთელს ატყობინებდნენ, რომ თუ ასეთი ნაბიჯის გადადგმას გადაწყვეტდა, მაშინ დილის 6 საათზე სასტუმროსთან, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ავტომობილი დაელოდებოდა. ლატვიელმა რისკზე წასვლა ვერ გაბედა და ყველაფერი გუნდის მთავარ მწვრთნელს უთხრა. მართლაც, როცა მეორე დილით, კალნიშმა სასტუმროს ოთახის ფარდა გადასწია, დაპირებისამებრ, იქ მდგომი ავტომობილი დაინახა, მაგრამ იქ მსხდომებმა, დაინახეს თუ არა ფარდის გარხევა, აღარ დაუყოვნებიათ და წავიდნენ.

წვეთი სპირტით უგონოდ დამთვრალი

— როდესაც აქტიური სპორტსმენი ვიყავი, ალკოჰოლს ყოველთვის ვერიდებოდი და იშვიათად ერთ-ორ ჭიქა ნატურალურ ღვინოს თუ დავლევდი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩემი თანაგუნდელი იყო მოსკოვის „ცეესკას“ კალათბურთელი არმენაკ ალაჩაჩიანი, რომელიც სპირტიან სასმელს თურმე, საერთოდ ვერ იტანდა. ევროპის ჩემპიონატზე ძალზე პრინციპული შეხვედრა გვქონდა იუგოსლავიის ნაკრებთან და თამაშის დღეს ალაჩაჩიანს ყელი ასტკივდა. გუნდის ექიმმა მას, პროფილაქტიკის მიზნით, ყელში სპირტიანი ბამბა ამოუსვა და კალათბურთელს რამდენიმე წვეთი სპირტი გადაეყლაპა. მოულოდნელად, არმენაკი ისე დათვრა, რომ რამდენიმე საათი გათიშულს ეძინა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ეს ამბავი რომ გაიგო, ექიმს სასწრაფოდ კალათბურთელის გონზე მოყვანა დაავალა. ბოლოს და ბოლოს, ალაჩაჩიანი მატჩამდე ძლივს გამოაფხიზლეს, მაგრამ იუგოსლავიელების წინააღმდეგ თამაშისას იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

მესხთან მშიერი დარჩენილი

— თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებს დიღომში საწვრთნელი ბაზა გვერდიგვერდ გვქონდა, ამიტომ ბუნებრივია, ერთმანეთს ყველანი კარგად ვიცნობდით და ვმეგობრობდით კიდეც. ერთხელ საკუთარი ავტომანქანით მიმავალმა, ქუჩაში მიხეილ მესხი შევნიშნე, რომელიც ტაქსის აჩერებდა. ცხადია, მიშა ჩავისვი და ვუთხარი, რომ ცოლისთვის წამლის მიტანის შემდეგ, მას სოფელ დიღომში, მის სახლში წავიყვანდი. მესხმა ავტომანქანა სოფლის შესასვლელთან მდებარე თონესთან გამაჩერებინა, საიდანაც შემწვარი ციკანი გამოიტანა. თურმე, მიშას ოჯახში პურმარილი ჰქონდა და სტუმრად იპოლიტე ხვიჩია, ეროსი მანჯგალაძე და ტაშკენტელი მეგობარი ჯალილა ჰყავდა ცოლთან ერთად დაპატიჟებული. სხვათა შორის, ამ ჯალილამ შემდეგ, მესხს ტაშკენტიდან 1000 ძირი ვარდი გამოუგზავნა სახლის ეზოში ბაღის მოსაწყობად. მიუხედავად, იმისა, რომ მშვენიერი სუფრა იყო გაშლილი, იმ საღამოს ფაქტობრივად, მშიერი დავრჩი, რაშიც წვლილი ხვიჩიასა და მანჯგალაძეს მიუძღვით: როგორც კი სუფრას მივუსხედით, ჯერ ერთმანეთს დაუწყეს შაყირი, შემდეგ, უამრავი სახალისო ამბავი გაიხსენეს და ჭამისთვის სადღა მეცალა, როდესაც სიცილისგან მუცელი ხელით მეჭირა...

■

„თვისტომი“ ნიუ-იორკში,

დიმიტრი ტვილდიანი მეუღლესთან — სათუნა ჩხეიძესთან და შვილებთან ერთად

„ემიგრაცია, დროებითი თუ მუდმივი, საკმაოდ რთული და მტკივნეული რამაა...“ — ამ სიტყვებით იწყება ჩემი რესპონდენტის წერილი ამერიკიდან... ნიკა ჩხეიძე უკვე 5 წელია, ნიუ-იორკში ცხოვრობს. განათლებით ექიმი, საკუთარი პროფესიით, ქართველი კაცის მიერ დაფუძნებულ კლინიკაში მუშაობს და ასოციაცია „თვისტომსაც“ უდგას სათავეში. მართალია, ამერიკაში ნიკა მარტო არ არის — დაახლოებით 10 ათას ემიგრირებულ ქართველს თუ არ ჩავთვლით, გვერდით მისი დის ოჯახი იმყოფება. მაგრამ ნიკას პასუხებში მაინც ნოსტალგიის მძაფრი განცდა იგრძნობა.

ქართველი სიუჩვალისტის გამოფენები მანჰეტენზე და ექიმები გაღარბენილ თანამემამულეთა ჯანმრთელობის საღარაჯოზე

ემა ტუხიაშვილი

— ნიკა, როგორ დაიმკვიდრეს ქართველებმა საკუთარი ადგილი ამერიკაში?

— ემიგრაცია, დროებითი თუ მუდმივი, საკმაოდ რთული და მტკივნეულია. მთავარი სირთულე კი ის არის, რომ პიროვნება, რომელიც სამშობლოში დაიბადა და გაიზარდა, ემიგრაციაში სრულიად ახალ, უცნობ, ძნელად შესაგუებელ გარემოში ხვდება, სადაც მისი აზროვნება და ყოფითი ჩვევები ხშირად მიუღებელია. ამ სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ახალ და სრულიად უცნობ გარემოში, ემიგრანტი უმცირესობაშია, ხოლო ადგილობრივი საზოგადოება, როგორც წესი, ეჭვის თვალით უყურებს თავის ახალ წევრს და მის მიმართ განსაკუთრებული ტოლერანტობით არ გამოირჩევა. ერთადერთი გზა გაუცხოების დასაძლევად, გარემო პირობებთან მაქსიმალური ადაპტაციაა. ჩვენ ვართ ქართული ემიგრაციის მესამე თაობა, გაცილებით მრავალრიცხოვანი და ძლიერი, ვიდრე წინამორბედი, გაფანტული მთელ ამერიკაში. თუმცა, „ძლიერი“ ხმამაღლა ნათქვამი უფროა, ვიდრე რეალობა. მინდა გითხრათ, რომ მიგრაციის პროცესი არ მიმდინარეობს ადვილად... დღეს აქ სხვადასხვა თაობის, პროფესიისა და ინტერესების მქონე ხალხმა მოიყარა თავი. ვინც ამერიკაში დროებით, სასწავლებლად ან სამუშაოდ ჩამოვიდა, მისი აზრი და ინტერესი სხვაა, ხოლო ვინც ოჯახს ქმნის ამერიკაში, მუდმივად ან დიდი ხნით აპირებს დარჩენას, სხვა მოტივაცია ამოძრავებს. თუმცა, ქართველთა უმრავლესობა, მაინც დროებით სამუშაოდ არის აქ ჩამოსული.

სულით და გულით ნამღვილი ქართველი — მისეილ (მიკანო) ტვილდიანი შეეძინათ

— თუ არის ცნობილი, რამდენი ქართველი ცხოვრობს დღეს ამერიკაში და ძირითადად, რას საქმიანობენ ჩვენი თანამემამულეები?

— ქართველი ემიგრანტების ზუსტი რიცხვი არავისთვის არის ცნობილი. თუმცა, არსებობს არაოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც აშშ-ში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა 10 ათასს უნდა აჭარბებდეს. მათ შორის არიან, სტუდენტები, ოჯახებში დასაქმებული ადამიანები და, რა თქმა უნდა, უფრო კარგად ადაპტირებული ქართველები, რომლებიც ამერიკულ კორპორაციებსა და ინსტიტუტებში მუშაობენ. არიან ისეთები, ვინც აქ შექმნეს ოჯახები და საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, ამერიკის მოქალაქეობაც მიიღეს. რა თქმა უნდა, ქართველთა უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნება სურს, მაგრამ ურჩევნიათ, საქართველოში მატერიალურად მომძლავრებულნი დაბრუნდნენ და უფრო ძლიერი და წელში გამართული ქვეყანა დახვდეთ. თავის მხრივ, ეს ხალხი აქ არ იშურებს არც ენერგიას და არც ჯანმრთელობას იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაეხმაროს საქართველოში მყოფ თავის ახლობლებს. ხოლო ოჯახის წევრების, ახლობლებისა და მეგობრების მონატრება, საქართველოს ნოსტალგია იმდენად ძლიერია, რომ აქ მყოფი ქართველების უმრავლესობა მძიმე დეპრესიაში ვარდება და სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე დგება.

— თქვენთვის რამდენად რთული იყო ამერიკაში სამუშაოს დაწყება?

— ამ თვალსაზრისით, ქართული ემიგრაციის სიმბოლოდ ალბათ, ვერ გამოვდგები, რადგან ამერიკაში ჩამოსვლისთანავე დავიწყე მუშაობა სამედიცინო ოფისში — რადიოლოგიურ ცენტრში, რომელიც ჩემმა სიძემ, დიმიტრი ტვილდიანმა დააარსა ამერიკაში. სწორედ მან შემიქმნა ყველა პირობა, ამიტომ ის მძიმე და მტკივნეული გზა, რომელიც სხვა ქართველებმა გაიარეს, ნამდვილად არ გამივლია. თუმცა, ყველა საქმეს თავისი სირთულე მაინც ახლავს. მაგალითად, ჩემი სამუშაო რეჟიმი იმდენად მძიმე და დაძაბულია, რომ მთელი 5 წლის განმავლობაში, შვებულებაც კი არ მქონია და შესაბამისად, არც სამშობლოში ჩავსულვარ.

— როგორც ვიცი, თქვენი სიძის კლინიკა დიდი პოპულარობით სარგებლობს, ხოლო თავად დიმიტრი ტვილდიანს ხშირად მაღალი რანგის შეხვედრაზე იწვევენ...

— ეს კლინიკა მართლაც, პოპულარულია ნიუ-იორკში და გამორჩეულია იმითაც, რომ მთლიანად ქართული სამედიცინო პერსონალითაა დაკომპლექტებული. ის მაღალ დონეზეა აღჭურვილი და აქ ტარდება მაგნიტორეზონანსული კვლევები, კომპიუტერული ტომოგრაფია, სტრესტ-

ესტები გულზე ბირთვული კამერის მეშვეობით და ა.შ. კლინიკის პაციენტებს შორის, სხვადასხვა ეროვნებისა და რჯულის ადამიანები არიან, ხშირად გვაკითხავენ ქართველებიც. მათთვის კვლევებს მხოლოდ მეხუთედ ფასად ვატარებთ. რაც შეეხება დიმიტრის შეხვედრებს ამერიკის მთავრობის წარჩინებულ პირებთან, შემიძლია გითხრათ, რომ სპეციალურად გამართულ სადილზე ჰქონდა შესაძლებლობა, პრეზიდენტ ბუშს შეხვედროდა. ასევე ჰქონდა საუბრები სენატის უმრავლესობის ლიდერებთან და სხვა თანამდებობის პირებთან. სხვათა შორის, დიმას ხშირად იწვევენ რესპუბლიკელთა შეხვედრასა და თათბირზე...

— თქვენი და — დიმიტრი ტვილდიანის მეუღლე, ხათუნა რა საქმიანობას ეწევა?

— დიმა და ხათუნა ამერიკაში 1999 წლის აგვისტოში ჩამოვიდნენ. ერთ თვეში კი, მართალია, ამერიკის მოქალაქე,



თამარ, გეგი და მიხეილ ტვილდიანები

მაგრამ სულით და გულით ნამდვილი ქართველი — მიხეილ (მიკანო) ტვილდიანი შეეძინათ. დიმას და ხათუნასთვის მიკანო მესამე და ყველაზე უმცროსი შვილია. უფროსს, თამარი ანუ ბატატო, შუათანას კი — გეგი ჰქვია. ხათუნა მხატვარი გახლავთ და ამერიკაში ჩამოსვლისთანავე დაიწყო აქტიური პროფესიული საქმიანობა. ჩაატარა 7 გამოფენა მანჰეტენის ცნობილ გალერეებში და გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში, სადაც 10 ათასი სიურრეალისტური ნაწარმოები იყო წარმოდგენილი. ამ გამარჯვების შემდეგ, ის მიიწვიეს „არტექსპოზე“ — ანუ ცნობილ არტჩვენებაზე „ჯეიკობ ჯეივიტსის“ საგამოფენო კომპლექსში ნიუ-იორკში. ამჟამად მუშაობს, როგორც ფერწერაზე, ასევე დიზაინისა და მოდელირების სფეროში და საკმაოდ კარგად უთავსებს ერთმანეთს მრავალშვილიანი დედისა და წარმატებული ხელოვნის სტატუსს.

— როგორც ვიცი, ქართულ ემიგრაციას ასოციაცია „თვისტომი“ აერთიანებს, ვის ეკუთვნის ამ ასოციაციის ჩამოყალიბების იდეა და რის გაკეთებას ახერხებს ეს ორგანიზაცია ამერიკაში მცხოვრები ქართველებისთვის?

— ასოციაციის ჩამოყალიბების იდეა იმთავითვე გამიჩნდა, როდესაც გავარკვიე, რომ აქაურ ქართველებს ორგანიზაცია არ ჰქონდათ. ვგულისხმობ სერიოზულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც ალბათ, ყველა ადგილობრივ ეთნიკურ სათვისტომოს უნდა ჰქონდეს. მანამდე არ არსებობდა ქართველისთვის ორგანიზაცია ან თუნდაც ტელეფონის ნომერი, სადაც შეეძლო, დაერეკა და ვინმეს ქართულად თავის პრობლემებზე დალაპარაკებოდა; ვერავის სთხოვდა, დაეკვალიანებინა სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილი. სწორედ ამგვარმა ვითარებამ გადამაწყვეტინა, რომ ქართული ორგანიზაცია დამეარსებინა ამერიკაში, ხოლო რასაც ახლა „თვისტომის“ სამედიცინო და იურიდიული ჯგუფები აკეთებენ, აქაური ქართველებისთვის ძალზე საჭირო და დროულია. დაცულობა არის პირველი, რაც ადამიანს ახალ გარემოში სჭირდება. „თვისტომის“ სამედიცინო ჯგუფი, ფაქტობრივად, მეათედ ფასში უკეთებს ქართველებს აუცილებელ გამოკვლევებს და შემდეგ აგზავნის მათ სპეციალისტებთან, რომლებიც ასევე „თვისტომის“ სამედიცინო ჯგუფის წევრები არიან. ჩვენ უკვე ჩავუტარეთ ასამდე ქართველ ქალს მკერდის უფასო გამოკვლევა-მამოგრაფია. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ სახარბიელო სიტუაცია არ გვაქვს, ვინაიდან გამოკვლეულთა უმრავლესობას სხვადასხვა ხარისხის გართულებები აღმოაჩნდა, მათ შორის საკმაოდ სერიოზულიც. გვაქვს შემთხვევები, როდესაც, რომ იტყვიან, ბეწვზე მივუსწარით: ცოტაც რომ დაგვეგვიანა, პროცესი შეუქცევადი გახდებოდა... რომ არა „თვისტომის“ უფასო სამედიცინო პროგრამა, აქ მცხოვრები ბევრი ქართველი ქალბატონი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მით უმეტეს, რომ ამერიკაში მკურნალობა საკმაოდ ძვირი ღირს.

— თუ აწყობთ ქართველები ამერიკაში რაიმე სახის შეხვედრებს?

— „თვისტომი“ ამ მიმართულებითაც საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობს. ვაწყობთ ე.წ. „ჯორჯიან ნაითებს“ — ანუ ქართულ საღამოებს, სადაც მრავალი ქართველი ხვდება ერთმანეთს და ერთად ატარებს დროს. 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, ქართული ეკლესიის 2 წლის იუბილე აღვნიშნეთ, რომელსაც 500-მდე ჩვენი თანმემამულე დაესწრო. გავმართეთ ქართული ცეკვისა და სიმღერის კონცერტი, ყველაფერი კი, აქაურებისთვის უკვე კარგად ნაცნობი, „თვისტომის“ დისკოთეკით დაგვირგვინდა. საახალწლოდაც ვგეგმავთ კონცერტებსა და საღამოებს.

— როგორც ვიცი, „თვისტომი“ ამერიკაში საკუთარი მასმედიის ორგანოს შექმნასაც აპირებს. როგორ გესახებათ ამ ჩანაფიქრის განხორციელება?

— „თვისტომი მედიაცენტრი“ — ასეთი გახლავთ ჩვენი საერთო საგრანტო პროექტის ერთი ნაწილი და გულისხმობს აშშ-ის ტერიტორიაზე ქართული მედიაცენტრის შექმნას. გვინდა, საკუთარი აუდიო-ვიდეოსტუდია გავხსნათ. აი, გაზეთი კი, სახელწოდებით „თვისტომი“, უკვე ნოემბრიდან გამოვა. ამასთანავე, ჩვენს გეგმებში შედის საკუთარი ვიდეოპროდუქციის წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს, საქართველოში ჩვენს თანამემამულეებს სხვადასხვა სატელევიზიო არხით აქაური ქართველების ყოფასა და ცხოვრებაზე ვუამბოთ. ასევე გვსურს, აქ მოქმედი რუსული და სხვა რადიოარხების მეშვეობით მოვამზადოთ ქართული რადიოგადაცემა. გვაქვს კიდევ ერთი საინტერესო პროექტი: მოკლე ხანში, აქაურ ქართველებს შევთავაზებთ ქართულ პრესას, რომელსაც საქართველოდან გამოვიწერთ. მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ გამომცემლობასთან უკვე შედგა და შეთანხმებაც მიღწეულია. ■

გვაქვს კიდევ ერთი საინტერესო პროექტი: მოკლე ხანში, აქაურ ქართველებს შევთავაზებთ ქართულ პრესას (ნიკა ჩხეიძე დისშვილთან ერთად)

ავიატორის სევდიანი ამბავი



ჰოვარდ ჰიუზი თვითმფრინავის — Spruce Goose კაბინაში, რომლის მოდელი თავად შექმნა და ააგო კიდეც (ლოს-ანჯელესი, 1947)

ცხოვრება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ უნიკალური ნიჭი დიდ ხარკს მოითხოვს. რაც უფრო გენიალურია ადამიანი, მით უფრო მეტი გიჟური აზრი უტრიალებს მას გონებაში. გულთამპყრობელ ლეგენდარულ პიროვნებებს, რომლებიც მილიონობით ადამიანის ბედს განსაზღვრავენ, ხშირად საკუთარ სისუსტესთან გამკლავება უჭირთ. ახირებულ ადამიანთა შორის პირველობა ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ჰოვარდ ჰიუზს — კაცს, რომლის შესახებაც შარშანდელი კინოსეზონის ჰიტი, მარტინ სკორსეზეს გახმაურებული სურათი „ავიატორი“ მოგვითხრობს.

ზეცა, ფული და ჯინი

ჰოვარდ ჰიუზი ჯერ კიდევ ბავშვობაში აცხადებდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო პილოტი, საუკეთესო კინოპროდიუსერი და უმდიდრესი ადამიანი გახდებოდა. ჰიუზი XX საუკუნის დასაწყისში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში დაიბადა. მამამისი — ჰოვარდ ჰიუზი თავდაპირველად, ძვირფასი ქვებისა და ფერადი ლითონის უბრალო მომპოვებელი იყო, შემდგომ კი ნავთობის მოპოვებას მიჰყო ხელი. როდესაც ჰოვარდმა „ქვისმჭამელი“ ალმასისპირიანი ბურღი გამოიგონა, მისი ოჯახი უცებ გამდიდრდა. ჰოვარდ ჰიუზ-უმცროსი მაშინ 3 წლის იყო. ბავშვი ფუფუნებაში იზრდებოდა. პატარა ჰოვარდის ისედაც ნაზი ფსიქიკის შერყევას დედის უცნაური ხასიათიც უწყობდა ხელს. ელინ ჰიუზს ყველაზე მეტად მიკრობების ეშინოდა. დედა ზღვარგადასული პედანტურობით უმოწმებდა პატარა ჰოვარდს ყურებს, კბილებს, ხელებსა და ფეხებს. „მიკრობების გამოსადევნად“ ბავშვს საფაღარათო ზეთით ჭყეპდა და ხშირად დაატარებდა ექიმთან, ავადმყოფურად მორცხვი, ფობიებით შეპყრობილი, აუტიზმის ზღვარზე მყოფი ბავშვი ფსიქიატრებს უფრო ხშირად ხვდებოდა, ვიდრე თანატოლებს. ჰოვარდს საკუთარ შინაგან ორგანოებზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა: არის თუ არა წესრიგში მისი თირკმლები და კუჭი? გული ნორმალურად მუშაობს?.. ახლობლები მას „პატარა ჰოვარდს“ ეძახდნენ, მაგრამ სინამდვილეში ბიჭი არანორმალურად მაღალი იზრდებოდა და 16 წლის ასაკში უკვე 2 მეტრის სიმაღლის იყო.

ერთადერთი სასკოლო საგანი, რომელსაც ჰოვარდი კარგად ითვისებდა, მათემატიკა იყო. სხვა სასკოლო დისციპლინებში კი საგრძნობლად მოიკოჭლებდა, რის გამოც მშობლებს შვილი სკოლიდან სკოლაში გადაჰყავდათ. ჰოვარდმა 7 სკოლა გამოიცვალა, მაგრამ ვერც ერთი მათგანის დამთავრება ვერ შეძლო. მას მხოლოდ ტექნიკური საგნები იტაცებდა. ჰოვარდ-უფროსმა 6 წლის ვაჟს სახელოსნო მოუწყო, სადაც ბიჭი საათობით იკეტებოდა და თავს ბედნიერად გრძნობდა. 11 წლის ჰოვარდმა რადიო ააწყო, 13 წლისამ მშობლების საჩუქარს, საკუთარი ხელით გაკეთებული მოპედი არჩია.

ჰოვარდი უფროსებისათვის შესაშური შრომისუნარიანობითა და ნებისყოფით გამოირჩეოდა. ერთხელ, როდესაც ჯაზმენობა გადაწყვიტა, აბსოლუტურად არამუსიკალურმა საქსოფონზე დაკვრაში იმდენი ივარჯიშა, რომ თითებიდან და ტუჩებიდან სისხლის დენა დაეწყო. ხოლო როდესაც თვითმფრინავით ფრენის შესწავლა გადაწყვიტა, მთელი ზაფხულის განმავლობაში მფრინავინსტრუქტორთან დადიოდა და გაკვეთილებს იღებდა. კალიფორნიაში ოჯახის გადასვლის შემდეგ კი, ჰოვარდი შოუბიზნესმა და კინოინდუსტრიამ გაიტაცა.

ახდენილი ოცნებები

ჰოვარდ ჰიუზი 12 წლის იყო, როდესაც მშობლები დაეღუპა და მამის მილიონიანი ქონება მემკვიდრეობით მიიღო. სხვა მდიდარი ყმაწვილებისაგან განსხვავებით, რომელთაც მხოლოდ ფულის ხარჯვა თუ შეეძლოთ, ჰოვარდმა მამის ქონების მომატებაზე ზრუნვას მიჰყო ხელი. სასამართლო წესით სრულწლოვნებამდე ქონების განკარგვის უფლება მოიპოვა და მალე, მდიდარი ოჯახის შვილზე, ელენ რაისზე იქორწინა. ეს ანგარებიანი კავშირი იყო. ჰოვარდი მხოლოდ გონებით ხელმძღვანელობდა, პატარძალი კი იძულებული იყო, მშობლების ნებას დამორჩილებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ცოლ-ქმარი ერთმანეთს მშვიდობიანად გაშორდა და ჰოვარდი ჰოლივუდის დასაპყრობად გაეშურა. „უნდა ითქვას, რომ ჰიუზს ქალთა სქესი ყოველთვის იზიდავდა, მაგრამ თავს ვერ ერეოდა და მათ წინაშე მოკრძალებას ვერაფრით სძლევდა. ამის მიზეზი შესაძლოა, პირველი იმედგაცრუებაც იყო — როდესაც საქვეყნოდ ცნობილმა მზეთუნახავმა, ელეონორა ბორდმანმა 17 წლის ჰოვარდის სიყვარული უარყო. ეს მარცხი ჰიუზმა მტკივნეულად განიცადა, მამაკაცური თავმოყვარეობა შეელახა და ამის გამო, კიდევ ერთი კომპლექსი გაუჩნდა. რა იცოდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, მის გარშემო ულამაზეს ქალთა გუნდი შეიკრიბებოდა და ჰოლივუდის ვარსკვლავთა შორის არჩევანის გაკეთე-



მფრინავი ნავის – Hercules – პირველი და ერთადერთი გაფრენა, რომელიც ჰიუზის ყველაზე ცნობილ პროექტად იქცა (1947)

ბის შესაძლებლობა ექნებოდა!..

ჰოვარდ ჰიუზი კინოსტუდია RKO Studios-ის მფლობელი და იღბლიანი პროდიუსერი გახდა. მისი ფილმებიდან ყველაზე დიდი წარმატება კინოფილმს — „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ ხვდა წილად, რომელიც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე მფრინავების შესახებ მოუთხრობდა მაყურებელს. ამ სურათის რეჟისორი თავად ჰიუზი იყო და მასში რამდენიმე მილიონი დოლარი დააბანდა.

ჯინჯერ როჯერსი, ტერი მური, ავა გარდნერი, კეტრინ ჰეპბერნი, მერილინ მონრო — აი, იმ ლეგენდად ქცეულ ვარსკვლავთა სია, რომლებთანაც ჰოვარდს

მარგინ სკორსეზეს „ავიატორი“. ლეონარდო დი კაპრიო (ჰოვარდ ჰიუზი) და კეიტ ბეკინსეილი (ავა გარდნერი)

რომანტიკული ურთიერთობები აკავშირებდა. მაგრამ ახირებული მილიონერი საკუთარ თავს ამ საკითხშიც არ ღალატობდა. ჰიუზი ქალს ეარშიყებოდა, უხვად ასაჩუქრებდა, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში აჩრდილივით ქრებოდა და ქალთან ურთიერთობას წყვეტდა. მერილინ მონრო იხსენებდა, რომ ჰიუზი მას გამოგონილი სახელით ურეკავდა, ტელეფონში ხმას იცვლიდა, ვარდების დიდ თაიგულებს უგზავნიდა და პაემანს უნიშნავდა, მაგრამ უკანასკნელ წუთს, სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობდა შეხვედრაზე. ერთხელ, გაბედა და მერილინი საკუთარ მამულში რომანტიკულ ვახშამზე მიიპატიჟა. შეხვედრა მართლაც რომანტიკულად დაიწყო. ოქროსთმიანი მზეთუნახავი ფიქრობდა, რომ ჰოლივუდის ყველაზე პოპულარული და ახირებული მამაკაცი უკვე გამოჭერილი ჰყავდა. მაგრამ ჰოვარდმა მონრო მოულოდნელად მიატოვა, აეროდრომს მიაშურა, თვითმფრინავში ჩაჯდა... და გაუჩინარდა. ეს ადამიანი თავს ბედნიერად მხოლოდ ზეცაში გრძნობდა.

ის თავზე ხელაღებული მფრინავი-გამომცდელი და რეკორდსმენი იყო. საკუთარ სიცოცხლეს არად აგდებდა და რისკზე უკანმოუხედავად მიდიოდა. 1932 წელს ჰოვარდმა თვითმფრინავების დამპროექტებელი და სამშენებლო კომპანია — Hughes Aircraft დააარსა და ახალ საფრენ აპარატებს ხშირად თავადვე ცდიდა. 1947 წელს, ერთ-ერთი გამოცდის დროს, კატასტროფაში მოყვა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. მიღებული ტრავმებისაგან გამოწვეული მტანჯველი ტკივილებისგან თავის დაღწევას მხოლოდ მორფის საშუალებით ახერხებდა. იმ დროიდან მოყოლებული, ნარკოტიკებს ყოველდღე იღებდა. მორფი კოდეინმა შეცვალა, წამლის დოზა კი დღითი დღე იზრდებოდა.

ჰოვარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაგვიანებულ სტადიაში გამომჟღავნებულმა სიფილისმაც დაამძიმა, რომელიც იმ მეძავებისგან შეიძინა, რომლებთანაც თავს უფრო კომფორტულად გრძნობდა, ვიდრე ჰოლივუდის ბრწყინვალე ვარსკვლავებთან. ამის გამო მისი ფობიები და ფსიქიკური გადახრები სულ უფრო მძაფრდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ბავშვობის დროინდელი

ჰიუზის საიდუმლო მეუღლეს, ტერი მურს მილიონერი-ავიატორის უცნაურობათა შესახებ დღესაც ბევრი რამის მოყოლა შეუძლია (2003)

პეგი კამინსთან ერთად ჰოვარდი თავს ლაღად გრძნობდა. იქნებ იმიტომ, რომ პეგი უბრალოდ მსახიობი იყო და არა ვარსკვლავი?! (1945)

ავა გარდნერის გვერდით კი საკმაოდ შებოჭილი ჩანს (1946)



სიცოცხლის ბოლო წლებში ჰიუზი ფოტოსურათის გადაღებაზე უარს ამბობდა, მაგრამ ვიღაცამ ნაგურიდან ამ ჩანახატის შესრულება შეძლო

ყველა ოცნების ასრულება შეძლო — ის დაფრინავდა, იღებდა კინოფილმებს და უზომოდ მდიდრდებოდა. ნებისმიერ საქმეში დაბანდებულ ფულს „პატარა ჰოვარდისათვის“ უდიდესი მოგება მოჰქონდა. კინოკომპანიის, საკონსტრუქტორო ავიაკომპანიისა და სარემონტო ქარხნების გარდა მან იარაღის, რადარებისა და ელექტროელსაწყოების მწარმოებელი ფაბრიკებიც შეიძინა.

XX საუკუნის 60-იან წლებში, ჰიუზმა ათეულობით სასტუმრო, კაზინო ლას-ვეგასში, აეროდრომები, ოქროსა და ვერცხლის საბადოები, ტელესტუდიები, გუბერნატორები და პროკურორები იყიდა... რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა, რიჩარდ ნიქსონმა ჰიუზის მიერ მისთვის გაღებული ნახევარი მილიონი დოლარის წყალობით, არჩევნებში გაიმარჯვა და იქიდან მოყოლებული, ჰიუზის ძალაუფლება მართლაც რომ უსაზღვრო გახდა. „მე ნებისმიერი ადამიანის ყიდვა შემიძლია“, — განაცხადა ერთხელ ჰიუზმა და ეს სიტყვები არცთუ ისე უსაფუძვლო გახლდათ.

საწყალი მილიონერი

52 წლის იყო, როდესაც მეორედ იქორწინა. ამჯერად მისი რჩეული, მსახიობი ჯინ პეტერსი გახდა. ქორწინების პირველ თვეებში ჰიუზი ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მეუღლე კინოთეატრში დაჰყავდა, სადაც სეანსებს ცარიელ დარბაზში მხოლოდ მათთვის აწყობდნენ. ამავე დროს, ჰოვარდის მანიები უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა. მაგალითად: როდესაც შეიტყო, რომ ქალი, რომელთანაც ოდესღაც ინტიმური კავშირი ჰქონდა, ვენერიული სენით დაავადდა, მან მთელი თავისი ტანსაცმელი და საოჯახო ნივთები შეაგროვა და დაწვა. როდესაც ცოლის მეგობარმა დაიჩივლა, რომ ღვიძლი აწუხებდა, ჰოვარდმა მეუღლეს კარანტინი გამოუცხადა და ოთახში გამოკეტა... საერთოდ, ჰიუზი ჯინს სახლში ხშირად ამწყვდევდა და აიძულებდა ხელსაქმით გაერთო თავი. როდესაც მეუღლე მეგობრებთან ერთად კაფეში მიდიოდა, მას პოლიციელს აყოლებდა, რომელსაც ჯინის ყველა მოძრაობის გაკონტროლება ევალებოდა.

დროთა განმავლობაში ჰიუზი საოცრად ფეთხუმი გახდა, ტანსაცმელს კვირაობით არ იცვლიდა, სახლში შიშველი დაიარებოდა, თანამშრომლებს ოფისის ტუალეტით სარგებლობას უკრძალავდა და „ამ საქმისთვის“ სპეციალური პაკეტების გამოყენებას ურჩევდა...

ერთ მშვენიერ დღეს, ჰოვარდ ჰიუზი უკვალოდ გაქრა. ის ლას-ვეგასის ერთ-ერთ სასტუმროში განმარტოვდა. ნომრიდან არ გამოდიოდა და თავის მმართველებთან კონტაქტს მხოლოდ ბარათების მეშვეობით ამყარებდა. ჰოვარდი განუწყვეტლივ ზრდიდა კაპიტალს. მილიონებს მილიონები ემატებოდა. მან მომვლელად რამდენიმე მორმონი დაიქირავა და მათ ზედმიწევნით დეტალური ინსტრუქცია გადასცა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოემზადებინათ საკვები, დაელაგებინათ სასტუმროს ნომერი და სხვა. ინსტრუქციაში ისიც კი დაწვრილებით იყო აღწერილი, თუ როგორ უნდა მოემზადებინათ ტუალეტი იმ მომენტისათვის, როდესაც ჰიუზი იქ შესვლას ინებებდა...

ჰოვარდის სხეული ჭუჭყის სქელმა ფენამ დაფარა, წვერსა და თმას პრაქტიკულად აღარ იკრეჭდა. სტერილურ ხელთათმანებში გამოწყობილი მორმონები ტანსაცმელს წელიწადში მხოლოდ სამჯერ უცვლიდნენ, წლის მანძილზე მხოლოდ ხუთჯერ ბანდნენ და თეთრეულს წელიწადში ორჯერ უცვლიდნენ. ჰიუზი მსახურებისგან მკაცრად მოითხოვდა, რომ ოთახის კარის გაღებისას, ბუზები არ შემოფრენილიყვნენ, საუბრისას ტუჩები არ ემოძრავებინათ; ოთახში სინათლე არ შემოეშვათ, ფანჯრები არ გაეღოთ, ჩარჩოები კი მჭიდროდ ამოექოლათ. როდესაც ჰიუზი სასტუმროს იცვლიდა, სამგზავროდ „სასწრაფო დახმარების“ მანქანას ამჯობინებდა. თანაც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ საკაცეზე დაეწვინათ და ქამრებით მჭიდროდ მიებათ. როდესაც თავს შეუძლოდ გრძნობდა, სისხლის გადასხმას მოითხოვდა. ჰოვარდი მხოლოდ ქათმის ბულიონით იკვებებოდა, მაგრამ ქათმის ხორცი აუცილებლად გაყინული უნდა ყოფილიყო, — რის გამოც ჰიუზი საოცრად გახდა...

მაგნატის გარდაცვალებას ერთგვარი რომანტიკული შარავანდედი ახლდა: საწყალი მილიონერი 1976 წელს საკუთარ თვითმფრინავში, ზეცაში გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ის ჰიუსტონის საავადმყოფოში გადაჰყავდათ. მის 2-მილიარდიან მემკვიდრეობაზე 400 ადამიანი აცხადებდა პრეტენზიას. საბოლოოდ, ეს უზარმაზარი ქონება თორმეტმა ნათესავმა გაინაწილა ისე, რომ ამ დიადი, უცნაური და უბედური ადამიანის გამო არც ერთ მათგანს ერთი ცრემლიც კი არ ჩამოვარდნია...

■



ჰიუზის შესახებ დაწერილი წიგნის ავტორი ჰოვარდის უახლოეს მეგობართან, ვერტმფრენების კომპანიის პრეზიდენტთან ჯეკ რიელთან ერთად

„ოქროს გლობუსი“ და „ოსკარი“ პირველი ჯილდოს ნომინაციაზე მერიელი 14 წლის ასაკში წარადგინეს, „ოსკარზე“ კი — 17 წლისა; დღესდღეობით, მსახიობი რამდენიმე ოგას სკოლის მეპატრონეა

მსახიობი, რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნის, სრულიად გამორჩეული ბედის ადამიანია. მისი უნიკალურობის დასამტკიცებლად, მხოლოდ ერთი ფაქტიც საკმარისია — მერიელი ხომ უდიდესი მწერლის შვილიშვილია.

მერიელ ჰემინგუეი:

მე ჩვენი ოჯახის ბოროტი ბედისწერა დავამარცხე!..

ისინი, ვინც 20 წლის წინანდელ მერიელს იცნობდნენ, დღეს გაოგნებული დარჩებოდნენ და ძნელად თუ დაიჯერებდნენ, რომ მსგავსი რამ შესაძლებელია. მერიელი იმდენად შეიცვალა, რომ ზოგჯერ თავადაც უკვირს, ეს როგორ შეძლო! სამაგიეროდ, ზუსტად იცის, თუ რის გამო თქვა უარი ღამეულ ღრეობებსა და მსახიობთა წრეში მხიარულ თავყრილობებზე: მან ბედისწერასთან შებრძოლება განიზრახა და თვითმკვლელობის საფრთხეს აღუდგა წინ, რადგან მისმა სახელოვანმა ბაბუამ და ოჯახის წევრთა ნახევარზე მეტმა სიცოცხლე სწორედ თვითმკვლელობით დაასრულა. შეიძლება ითქვას, რომ მერიელის დამ, მარგომაც თავად მოისწრაფა სიცოცხლე, რადგან პორნოვარსკვლავის დონემდე დაეშვა და ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიეძალა. ერთ მშვენიერ დღეს, მერიელმა ნათლად გააცნობიერა, რომ ეს უფსკრულისკენ მიმავალი გზა იყო...



მერიელი საკუთარ თავთან და სამყაროსთან პარმონიაშია და მიჩნევს, რომ სასიკეთო ცვლილებები ოგამ მოუტანა

მოდელის გარეგნობა და სილიკონი — წარმატების საწინდარია?

უკვე დიდი ხანია, რაც ერნესტ ჰემინგუეი ამერიკელთა მარადიულ კერპად იქცა, ამიტომ ყველგან — ელიტურ სკოლაში, შოუბიზნესის ვარსკვლავთა მისაღებში თუ მაღალ საზოგადოებაში მერიელი უპრობლემოდ ხვდებოდა. გოგონა ჯერ მხოლოდ 13 წლის იყო, როდესაც პირველად გადაიღეს კინოში და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სიმპათიურ ქერა ქალიშვილს ამ ყოველივემ თავბრუ დაახვია. მერიელს სამოდელო სააგენტოები უხმობდნენ და ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ. 1982 წელს, გოგონა ერთ-ერთი მათგანის შეთავაზებას გამოეხმაურა. სტუდიაში მისულმა, სამოსი გაიხადა, ოქროსფერ ტრუსში გამოწყობილი, შპაგატში ჩაჯდა და ფოტოგრაფს კეკლუცად გაუღიმა. ასე გაჩნდა ჰემინგუეის შვილიშვილის საყოველთაოდ ცნობილი ეროტიკული ფოტოსურათი.

მერიელი წარმატების მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებდა და ცდილობდა, არაფერში ჩამორჩენოდა დას, რომელიც 20 წლის ასაკში, უკვე ამერიკის ყველაზე ძვირად ღირებული მოდელი იყო! გოგონას ნაკლებად აღელვებდა ის, რომ გადასაღებ მოედანზე გაშიშვლება სულ უფრო და უფრო ხშირად უხდებოდა. მერიელმა პრესის მეშვეობით შეიტყო, რომ ამერიკის სექსსიმბოლოს, მერილინ მონროს მკერდში იმპლანტანტები ჰქონდა ჩადგმული და ნორჩმა მოდელმაც ოპერაციის გაკეთება განიზრახა. ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სილიკონის ჩასმა მისთვის იგივე იყო, რაც კბილების გახეხვა და მიზანს მიაღწია: ქუჩაში მის დანახვაზე მამაკაცებს კისრები ეღრიცებოდათ, რეჟისორები კი, დაჟინებით სთავაზობდნენ სცენარებს. მერიელს ცხოვრება მშვენიერი ეჩვენებოდა და მხიარულ წვეულებებზე შესმული ალკოჰოლის რაოდენობას სულ უფრო ნაკლებად აკონტროლებდა... ასე განვლო რამდენიმე წელიწადმა და უეცრად, ტკბილი სიზმრიდან საშინელმა ცნობამ გამოარკვია: მისი და, მარგო საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში დაანვინეს. დიაგნოზი — ალკოჰოლის ჭარბი დოზა.

იმ დროს, მარგო 3 დღეში ერთხელ გონების დაკარგვამდე თვრებოდა: ერთ-ერთი „მეგობრის“ წყალობით, ნარკოტიკებსაც შეეჩვია. თავზარდაცემული მერიელი საავადმყოფოში გაქანდა, დას მუხლებში ჩავარდნილი ევედრებოდა, გონს მოსულიყო და ნორმალური ცხოვრება დაეწყო. მაგრამ მათ შორის საუბარი ვერ აეწყო. „შემომხედე! მე ჩემი სილამაზე და მომავალი დავღუპე! აღარავის აღარაფერში ვჭირდები!“ — ქვითინებდა სასოწარკვეთილი მარგო. ეს გატანჯული, კონვულსიებისგან მოცახცახე ქალი უმშვენიერეს მოდელს აღარაფრით ჰგავდა.

1996 წლის 2 ივლისს, საინფორმაციო საშუალებებმა ჰემინგუეიების ოჯახში დატრიალებული კიდევ ერთი უბედურების შესახებ აუწყეს მსოფლიოს: მარგო სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა, რომელ დღესაც, მისმა სახელოვანმა ბაბუამ მოიკლა თავი.

პრესამ მარგოს სიკვდილი თვითმკვლელობად შერაცხა

ვინ-ვინ და მერიელმა კი კარგად იცოდა, რომ მის დას თავი არ მოუკლავს. „მარგო იმ ძლიერმოქმედმა წამლებმა მოკლა, რომლებიც ექიმებმა დაუნიშნეს. დასუსტებულმა ორგანიზმმა დატვირთვას ვეღარ გაუძლო. მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ავადმყოფი სიცოცხლისთვის აღარ იბრძოდა. პრესამ კი მარგოს გარდაცვალება ჩვენს ოჯახში მომხდარ მორიგ თვითმკვლელობად წარმოადგინა“, — განაცხადა მერიელმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

...დის გარდაცვალების შემდგომ, გოგონა დიდხანს ვერ მოეგო გონს. ხშირად მიდიოდა მარგოს ბინაში, მის ფოტოსურათებს ათვალიერებდა და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ამ ულამაზესი ქალის სიკვდილი საშინელი უსამართლობა იყო, რომლის თავიდან აშორებაც შესა-



დები: მერიელზე 6 წლით უფროსი მარგო 30 წლის ასაკში გარდაიცვალა

„მანჰეტენი“. ამ სურათში მსახიობმა ვუდი ალენის გმირის ნორჩი საყვარელი განასახიერა

ცოლ-ქმარმა ჰოლივუდი დატოვა და საცხოვრებლად აიდაჰოს შტატის მიყრუებულ ქალაქში გადავიდა, სადაც მკერდის ზომებზე ფიქრმა აზრი დაკარგა. ახალგაზრდა ქალი სულ უფრო იშვიათად თამაშობდა კინოში და მთელ თავისუფალ დროს იოგას ვარჯიშებსა და მედიტაციას უთმობდა. ბოლო 15 წელია, რაც მერიელ ჰემინგუეი ასე ძლებელი იყო... მერიელი საკუთარ ბედზე შიშით ფიქრობდა: „რა მოხდება, თუ შემდეგი მე აღმოვჩნდები?!. ეს არ უნდა მოხდეს, თორემ, დიდი გვარი გადაშენდება: მე ხომ ახლა ერნესტის ერთადერთი შვილიშვილი ვარ! ამ საშინელი, მოჯადოებული წრის გარღვევა ჩემი ვალია“. მერიელს ბედისწერა აღარასოდეს გამოუცდია.

„ბეგმენი“ 1996 წელს ეკრანებზე სუპერპოპულარული ფილმი გამოვიდა, სადაც მერიელს კრისტოფერ რიეი უწევდა პარტნიორობას

„ჟამი ცვლილებისა“ – ასე ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც მერიელი ალექსანდრე ნეველთან ერთად წამყვან როლს თამაშობს

ცხოვრობს. იოგათი პირველ გატაცებას მუდამ სიხარულითა და ღიმილით იხსენებს და ჟურნალისტთა შეკითხვას ხალისით პასუხობს: „თავდაპირველად, უბრალოდ, სტრესისგან გათავისუფლება მსურდა. შემდეგ კი მივხვდი, რომ იოგამ სულიერ განწმენდაში შემიწყო ხელი. ახლა სრულიად დარწმუნებული ვარ: თვითმკვლელობის წყევლა ჩემზე აღარ გაჭრის!“ მსახიობმა სრულიად დააღწია თავი შიშს და ბოლოს და ბოლოს შეძლო, დიადი წინაპრის ყველა რომანი კიდევ ერთხელ გადაეკითხა. მისი შემოქმედება ძირფესვიანად შეისწავლა, დიდ ჰემთან სულიერი და ფიზიკური ნათესაობა შეიგრძნო და ოჯახის ბოროტი ბედისწერა საბოლოოდ დაამარცხა.

როდესაც რომელიმე როლის თამაშზე თანხმობას აცხადებდა, რეჟისორს მუდამ ერთ აუცილებელ პირობას უყენებდა — მის გმირს ხელში ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა სჭეროდა.

...შემდეგ, მის ცხოვრებაში სტივი გამოჩნდა. ამ მამაკაცის გვერდით ბოლოს და ბოლოს, სულიერი სიმშვიდე პოვა.

აიდაჰოს შტატის მიყრუებული კუთხე: ქალიშვილებიც კი არ ნანობენ, რომ ოდესღაც მშობლებმა ჰოლივუდი პროვინციაზე გაცვალეს

შესაძლოა, სტივ უანდერმა მზის სხივი ისილოს!

ლეგენდარული მომღერალი სტივ უანდერი დაბადებისთანავე დაბრმავდა. ბავშვი დღენაკლული დაიბადა, ამიტომ საინკუბაციო კამერაში მოათავსეს. სიბრმავის მიზეზი, კამერაში ჟანგბადის დიდი დოზით მიწოდება აღმოჩნდა. როგორც ცნობილი გახდა, 55 წლის მომღერალი ოფთალმოლოგიის წამყვან ქირურგთან, დოქტორ მარკ ჰიუმაიუნთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რათა მიკროჩიპის ჩანერგვის ოპერაცია გაიკეთოს და მხედველობა აღიდგინოს. როგორც გაზეთი — The Daily Telegraph იტყობინება, წარმატებული ოპერაციის შემთხვევაშიც კი, მომღერალს თვალისჩინი სრულად არ აღუდგება. სტივი ოჯახის წევრების სახის ნაკვთების გარჩევას ვერ შეძლებს, მაგრამ სხვადასხვა ნივთის სილუეტს დაინახავს.

მარკ ჰიუმაიუნი იმ პროექტის ხელმძღვანელია, რომლის მეშვეობითაც, მოხალისე პაციენტებს სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში შექმნილი „ბადურას პროთეზი“ ჩაუნერგეს. პაციენტები მინიატიურული ტელეკამერებით აღჭურვილ სათვალეს იყენებდნენ, რომელიც სიგნალს 16 ელექტროდისაგან შემდგარ ბადურას იმპლანტს გადასცემს. ხელოვნური ბადურას ოპტიკური ნერვის მეშვეობით კი, სიგნალი ტვინს მიეწოდება.

პაციენტები კი ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც სხვადასხვა დაავადების მიზეზით დაკარგეს მხედველობა. ოპერაციის შემდგომ, ავადმყოფებმა სინათლის ლაქების დანახვა შეძლეს. მათი თვალის ბადურას უჯრედები სინათლესა და ფერზე არ რეაგირებდა. ჰიუმაიუნმა მოქმედ ნერვულ უჯრედებზე ელექტრონული სტიმულაცია განახორციელა. 25 ელექტროდისაგან შემდგარი მატრიცის ზემოქმედების შედეგად, პაციენტებმა საგნების, ციფრების, ასოების ფორმის დანახვა და სხვა მარტივი ფორმების გარჩევაც შეძლეს.

ახლა ჰიუმაიუნი ახალი მოწყობილობის შექმნაზე მუშაობს. სათვალეში ჩამონტაჟებული ვიდეოკამერა გამოსახულებას თვალის ბადურას გარსში ჩანერგილ მიკროჩიპს გადასცემს, დამცავი გარსით დაფარული ჩიპი სიგნალს მიიღებს და ბადურას ნეირონებს გააღიზიანებს. ■

მიზნესმენი ჯასტინი

იცით თუ არა, რომ თურმე ჯასტინ ტიმბერლეიკი, მუსიკისა და კინოს გარდა, ბიზნესისთვისაც პოულობს დროს?.. ზაფხულში მომღერალმა საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდია ჩამოაყალიბა და ახლა მის გაფართოებაზე მუშაობს. ჯასტინი ინვესტორთა კონსორციუმის ხელმძღვანელია, რომელიც ელვის პრესლის ხმის ჩამწერი სტუდიისა და საფირმო ნიშნის შეძენას აპირებს. კონსორციუმის გეგმებში, otis redingis სტუდია Stax-ის შესყიდვა და მისი Jay Tee-სთან გაერთიანებაა. „ჯასტინი ძალიან მოგვწონს, მოხარული ვართ, რომ მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებაში ესოდენ სახელოვანი ადამიანი მონაწილეობს“, — განაცხადა კომპანია Memphis Music-ის წარმომადგენელმა, რეი ფლემინგმა.

■

ჯონ ტრავოლტა და კელი პრესტონი „ჩუმი“ მშობიარობის პროპაგანდისტები



საიენტოლოგიის მიმდევრებმა, ჯონ ტრავოლტამ და კელი პრესტონმა ამავე მოძღვრების მიმდევარ მეორე სახელგანთქმულ წყვილს — ტომ კრუზსა და კეტი ჰოლმსს ურჩიეს, მკაცრად დაიცვან საიენტოლოგიური ეკლესიის დოქტრინა. როგორც ცნობილი გახდა, კეტი ჰოლმსი ორსულადაა. ტრავოლტა და პრესტონი ახალგაზრდა წყვილს ურჩევენ, მუსიკის, საუბრისა და მშობიარის ყვირილის გარეშე, „ჩუმი“ მშობიარობისთვის მოემზადონ, რადგან, როგორც კელი პრესტონმა განაცხადა, მშობიარობის პროცესში გარეშე ხმები ბავშვის მომავალ ცხოვრებას განსაზღვრავს, ამიტომ სიფრთხილე აუცილებელია.

■

ჯუდ ლომ, სტივენ ფრაის საუკეთესო კოცნა აჩუქა

მსახიობმა და რეჟისორმა სტივენ ფრაიმ (ტელესერიალი „ჯივსი და ვუსტერი“) აღიარა, რომ ეკრანული კოცნისათვის საუკეთესო პარტნიორად ჯუდ ლოს მიიჩნევს. ეს განცხადება ერთგვარი „საპასუხო ქათინაურია“, რადგან თავის მხრივ, ჯუდ ლოც მიიჩნევს, რომ კინოკამერების წინ კოცნაში ფრაის ბადალი არ მოეძებნება. „კბილები საგულდაგულოდ გამოვიხეხე, წვერი გავიპარსე და შევეცადე, რომ ჯუდისთვის უხერხულობა მაქსიმალურად ამერიდებინა. ის შესანიშნავი ადამიანია, საუკეთესოა მათ შორის, ვისაც კი ოდესმე შეეხვედრივარ“, — ამბობს სტივენ ფრაი. როგორც ჩანს, ეს კოცნა მართლაც შთამბეჭდავი იყო, რადგან მსახიობს მისი „გემო“ დიდი ხანია — 1997 წლიდან ახსოვს. სწორედ მაშინ შეიქმნა ფილმი „უაილდი“, სადაც ფრაიმ ცნობილი მწერლისა და დრამატურგის, ოსკარ უაილდის სახე შექმნა, ჯუდ ლომ კი, მისი ახალგაზრდა საყვარელი განასახიერა.

■

ნაომი კემპბელი: ბოლივუდი გვიყვარს?

ფილმის — Karma, Confessions and Holi — პროდიუსერები, ამერიკული კომპანია Rapture Productions Inc და ინდური Saregama Films — არიან. „სურათის რეჟისორი, ნიუ-იორკის კინოაკადემიის კურსდამთავრებული მანიშ გუპტა იქნება. ერთ სურათში ჰოლივუდისა და ბოლივუდის გაერთიანების იდეა სწორედ ამ ახალგაზრდა რეჟისორს ეკუთვნის“, — განაცხადა ინდური სტუდიის ვიცე-პრეზიდენტმა, სანჯივ გოენკამ. ახალ ფილმში, ნაომი კემპბელის გარდა, ინდური კინოს მრავალი ვარსკვლავი ითამაშებს. გადამღები ჯგუფი ამერიკელ მსახიობებთან, კრისტოფერ უოკენთან, მაიკლ ბუშემისა და დები მეიზორთანაც აწარმოებს მოლაპარაკებას.

■

მილიონი კერძო კონცერტში მონაწილეობისთვის

დიდი ბრიტანეთის უმდიდრეს ადამიანთა სიაში 138-ე ადგილზე მყოფმა ბიზნესმენმა, მაიკლ სპენსერმა მომღერალ რობი უილიამსს 1 მლნ გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. სპენსერისთვის ეს არცთუ ისე დიდი თანხაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან მან საკუთარ თავს, წლიური ხელფასის სახით, 10 მლნ გირვანქა სტერლინგი დაუნიშნა. რაც შეეხება რობი უილიამსის ჰონორარს — ესტრადის ვარსკვლავმა ის სენტროპეში გამართულ ზეიმზე გამოსვლის საფასურად მიიღო, სადაც 15 კომპოზიცია შეასრულა. ინფორმაციის წყაროს ცნობით, „ეს თავისი მასშტაბით უპრეცედენტო წვეულება გახლდათ: თუ რობის ჰონორარს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით ზეიმი სულ ცოტა 1,5 მლნ გირვანქა სტერლინგი დაჯდა. წვეულებაზე საკოლექციო ღვინისა და შამპანურის მდინარეები შეიძლებოდა გენახათ!..“

თავად მომღერლის თქმით, ამ გამოსვლისთვის აღებულ მთელ ჰონორარს ის საქველმოქმედო მიზნებს მოახმარს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლევალი
უბის წიგნაკიდან:

1. ბოსელა სოფელია თერჯოლის რაიონში.
2. ვიქტორ იუშჩენკოს ცოლი ამერიკელია.
3. ჯონ კენედი წარმოშობით ირლანდიელი იყო.
4. „მილიცია“ ლათინური სიტყვაა და ჯარს ნიშნავს.
5. 1943 წლამდე, ბოლნისს დაბა ლუქსემბურგი ერქვა.
6. თევზს ესპანურად პესკა ჰქვია, მეთევზეს — პესკადორი.
7. პოლიფიზიოგრაფს მეორენაირად, სიცრუის დეტექტორი ჰქვია.

8. ამერიკელი მწერლის, სტივენ კინგის მამა მტვერსასრუტებით ვაჭრობდა.
9. მიხაილ კალაშნიკოვი დიდი სამამულო ომის დროს, ტანკის მეთაური იყო.
10. „კაგდა მუდრეც პალცამ უკაზივაეტ ნა ნებო, დურაკ სმოტრეტ ნა პალეც!“ — ამბობენ რუსები.
11. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი სამოქალაქო პირია და არა სამხედრო.
12. „შტობი ვიშივატ კრესტიკამ, ნე ნადო მნოგო უმა, ნადო მნოგო კრესტიკოვ“, — ირწმუნება მიხაილ ზადორნოვი.
13. „წარმატება სამი კომპონენტისგან შედგება: იღბლის, თამაშისა და ენაზე კბილის დაჭერის უნარისგან“, — ამბობდა ალბერტ აინშტაინი.
14. „ზღვის ჭინჭარი“ მედუზის ნაირსახეობაა. იგი პლანქტონით იკვებება და სიგრძეში 3-4 მეტრს აღწევს.
15. 1964 წლის 26 აპრილს, ორი აფრიკული სახელმწიფოს — ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანების შედეგად, წარმოიშვა ახალი სახელმწიფო — ტანზანია.
16. „მე აქ სიძნელეების საძებნელად არ მოვსულვარ, მე აქ მათ გადასალახავად მოვედი“, — ამბობდა ადმირალი ნელსონი.
17. აფრიკაში ბინადრობს პატარა ჩიტი, რომელიც მტაცებლის მოახლოებას ჭყივილით ამცნობს ბალახისმჭამელებს. ამ ჩიტს პარტიზანს ეძახიან. P.S. საქართველოში მას სხვა სახელს დაარქმევდნენ.
18. აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს, სამხრეთელთა წყალქვეშა ნავმა „დავითმა“ ჩრდილოელთა ფრეგატი „ჰუსატონიკი“ ჩაძირა. ეს იყო პირველი ფაქტი კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც წყალქვეშა ნავი სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენეს.

„პროტესტანტები ჯერ კიდევ დაძაბულები“ ან „მინდა გავაჩინო ბიჭი“...

ამ ბოლო დროს, მსახიობი მარიანა ნინიაშვილი თითქოს უგზოუკვლოდ დაიკარგა. დავინტერესდი, რას საქმიანობს? აღმოჩნდა, რომ შემოქმედებითი პაუზის მიუხედავად, გადაწყვეტილი აქვს საკუთარ ეზოში ვარსკვლავის გახსნა და წითელ ხალიჩაზეც ჰოლივუდის ვარსკვლავივით გავლა... სად იყიდის ვარსკვლავს, როგორ ებრძვის დეპრესიას, გათხოვდება თუ არა ჯანიან სოფლელ ბიჭზე და აპირებს თუ არა სექსუალური კლიპის გადაღებას — ყოველივე ამის შესახებ მსახიობის ინტერვიუდან შეიტყობთ.

მარი ხაფარიძე

— მარიანა, სად დაიკარგე?

— სვანზე რომ არის ანეკდოტი — ინტერნეტში შევიდა და დაიკარგაო, — სწორედ ასე დამემართა. შემოქმედებითი პაუზა მაქვს. — საერთოდ, ასე ხდება — ან ერთბაშად იმდენი საქმე უნდა მქონდეს, რომ გადაღებიდან გადაღებაზე მისვლასაც ვერ ვასწრებდე, ან საერთოდ უსაქმოდ უნდა ვიყო. ჰოდა, ახლა სწორედ ეს, მეორე პერიოდი მაქვს. ერთი-ორი „მსუბუქი“ შემოთავაზება კი მქონდა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან მირჩევნია, ერთი სერიოზული სახე შევქმნა ეკრანსა თუ სცენაზე, ვიდრე ყოველდღე ტელეეკრანზე ვიყო გამოჭიმული. ეს სულაც არ არის სავალდებულო.

— ჰოდა, რომ მოგვენატრე, იმიტომაც დავინტერესდით, სად გაქრი ასე უცებ. თუ შემოქმედებითად დატვირთული არა ხარ, მაშ, მთელი დღე რას აკეთებ?

— ძირითადად, მეგობრებთან ვურთიერთობ. ხანდახან თვითონ ვირთობ თავს, წიგნს ვკითხულობ. გულს ვერაფერს ვუდებ და ველოდები იმ დღეს, როცა სერიოზულ საქმეს მოვკიდებ ხელს.

— ამის გამო, დეპრესიაში ხომ არ ჩავარდი?

— შინაგანად ძლიერი ადამიანი ვარ და თავს უფლებას არ ვაძლევ, რომ დეპრესიაში ჩავვარდე, მაგრამ პერიოდულად მართლა ცუდად ვგრძნობ თავს...

— მახსოვს, ამბობდი, რომ ბებუაშენს შენი პროფესია არ მოსწონდა. ახლა ის ალბათ, კმაყოფილია, ხომ?..

— მას არ მოსწონდა ჩემი გამომწვევი და ვულგარული როლი, რომელსაც სერიალში — „ძილის წინ“ ვასრულებდი. მარეხის მიმართ იყო ცუდად განწყობილი. ახლა კი, ყოველდღე მირეკავს და მეკითხება — ახალი ხომ არაფერიაო?

— ადრე იმასაც ამბობდი — იმდენად დატვირთული ვარ, პირადი ცხოვრებისთვის ვერ ვიცლიო, — მაგრამ ვატყობ, ვერც უსაქმურობამ გიშველა და ისევ გასათხოვარი ხარ...

— არავინ მიყვარდა და მოუცლელობას ვაბრალებდი, რომ არ ვთხოვდებოდი, თორემ, მართლა გადაღებები კი არ მიშლიდა ხელს. ერთი-ორჯერ კი „ამიჩქარდა“ გული, მაგრამ ეს ძალზე ხანმოკლე გატაცება აღმოჩნდა. ამ ბოლო დროს, არც ერთი ნაცნობი აღარ მეკითხება — როდის გაქვს გადაღება ან სპექტაკლიო? ყველა იმით ინტერესდება, შემიყვარდა ვინმე თუ არა.

— ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ მოგენატრა?

— ჟურნალისტებს გავურბივარ. არა იმიტომ, რომ „ვარსკვლავური“ შემეყარა — უბრალოდ, ჩემს ცხოვრებაში სიახლე არ ხდება და რაზე უნდა ველაპარაკო?

— ვატყობ, კარგად დაგისვენია, გარუჯულიც ხარ...

— ეს ნამზეური თბილისში მივიღე. რაღაც პრობლემების გამო, ზაფხულში ქალაქიდან გასვლა ვერ მოვახერხე. ისეთი მუქი კანი მქონდა, რომ ყველას ეგონა, სადღაც, შორეულ კუნძულზე ვიყავი წასული დასასვენებლად. ახლობლები მეუბნებოდნენ — ნუ ამხელ, „ზაგარი“ თბილისის ზღვაზე რომ მიიღეო. რატომ? მე ვამაყობ ჩემი ნამზეურით და მიხარია, რომ საქართველოს, კერძოდ — თბილისის მზით ვარ გარუჯული.

— რაც „მარეხი“ აღარ ხარ, თაყვანისმცემლების რიცხვი ხომ არ შეგიმცირდა?

— თავიდან რომ გამოვჩნდი ეკრანზე და მამაკაცებმა შემომიტიეს, რა თქმა უნდა, ისე აღარ ვარ, მაგრამ თაყვანისმცემლების სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივი. მეტი არც არის საჭირო. ჯობია, გყავდეს ცოტა და „ხარისხიანი“, ვიდრე მთელი არმია და „უხარისხო“.

— ალბათ, ჭორიც ნაკლებია შენ შესახებ, ხომ?

— კი, ნამდვილად ნაკლებია. თუმცა, არც ადრე მაღიზიანებდა ჭორები. ზოგი ძალზე ბოროტია და ხანდახან მართლაც, გაბრაზდები ადამიანი. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რადგან ჭორაობენ, ე.ი. პოპულარული ხარო, — რომ ამბობენ. თბილისი ჭორიკანების ქალაქია. მეზობლებიც კი ერთმანეთზე ჭორაობენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ ისინი პოპულარულები არიან.

— მაგალითად, მე გამიგონია, რომ შენზე ამბობდნენ — მარიანას მკერდის პლასტიკური ოპერაცი აქვს გაკეთებულიო...

— უკვე დავიღალე ამ თემაზე ლაპარაკით... ჯიში მაქვს ასეთი, ხალხო! ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ რაიმე საწინააღმდეგო მაქვს პლასტიკური ქირურგიის. ვისაც სურს, შეუძლია გაიკეთოს ოპერაცია, მაგრამ მე ნამდვილად არ მჭირდება. კბილის ამოღების დროსაც კი ისტერიკაში ვვარდები და ჩემი ნებით დავუწვები ქირურგს?! ჩემი მკერდი ბუნების საჩუქარია...

— „ძილის წინ“ მოგენატრა?

— კი, როგორ არა. როცა ამ სერიალში ვთამაშობდი, უამრავი კურიოზი ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში. ერთ-ერთ სერიაში ვერსაჩე თავში მირტყამდა კედლის საათს. ამ სერიის გასვლიდან მეორე დღეს, ქუჩაში მივდიოდი, საპირისპირო მხრიდან ჩანთებით დატვირთული, შუახნის ქალბატონი მოდიოდა. რომ დამინახა, უცებ, ჩანთები დაყარა, ჩემთან მოვიდა და მეუბნება — „დედიკო, იმ გათახსირებულმა ვერსაჩემ თავში რომ ჩაგარტყა, გტკივა?“ — არა, ქალბატონო, მართლა კი არ ჩაურტყამს-მეთქი, — ვუპასუხე. — როგორ არა, დედიკო, ჩემი თვალით დავინახე როგორ ჩაგარტყა... როგორ შემოიჩვიეს ცერცვაძეებმა ეგ გათახსირებული ვერსაჩეო!.. ერთი თაყვანისმცემელი მყავდა, რომელიც სერიალის გმირ ყველა მამაკაცს ემუქრებოდა: — იცი, ტოტორიკას რას ვუზამ? დაეხვდები გარეთ და მაგრად ვცემო!.. — იმუქრებოდა და მუშტებს იქნევდა. ვუხსნიდი — ეს ფილმია და სიუჟეტი მოითხოვს-მეთქი, — მაგრამ არაფრით არ უნდოდა დაჯერება...

— ამ ბოლო დროს, მოდად იქცა, რომ ყველა მსახიობი თუ შოუბიზნესის წარმომადგენელი „იმუქრება“ — ჰოლივუდში მივდივარო. შენც ხომ არ გაქვს გეზი აღებული ამერიკისკენ?

— ჰალუცინაციები ჯერ არ დამწყებია, რომ ამაზე ვილაპარაკო. ჰოლივუდში ნამდვილად არავინ მელოდება, რადგან მათ თავიანთი მსახიობებიც „ოხრად“ ჰყავთ...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

19. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ალასკა რუსებისგან იყიდა, ფლორიდა — ესპანელებისგან, ლუიზიანა — ფრანგებისგან.

20. ლეონარდო და ვინჩის ანატომიური ჩანახატები ისე ახლოსაა რეალობასთან, რომ თამამად შეიძლება, დღევანდელ რენტგენულ სურათებს შეადარო.

21. 1894 წელს, გერმანელმა შოვინისტებმა შექმნეს პანგერმანული კავშირი და წამოაყენეს ლოზუნგი: „მეფე — პრუსიის სათავეში, პრუსია — გერმანიის სათავეში, გერმანია — მსოფლიოს სათავეში!“

22. ინგლისის სამეფო გვარდიის კავალერისტები ერთ-ერთი უმამაცესი მეომრები არიან მსოფლიოში. მათ მხოლოდ ოფიციალურ ცერემონიებში მონაწილეობის მიღება როდი ევალებათ. იუგოსლავიაში კონფლიქტის დროს, ისინი პირველები შევიდნენ კოსოვოში.

23. დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ, სტუდენტმა იგორ სტეჩკინმა სადიპლომო ნამუშევრის სახით შექმნა 9-მილიმეტრიანი ავტომატური პისტოლეტი, რომლის მჭიდშიც 20 ტყვია ჩადიოდა. კომისიის ერთ-ერთმა წევრმა წაიბუზღუნა: ნახაზები ნახაზებად, მაგრამ როგორი იქნება ეს პისტოლეტი რეალურად?.. პასუხად ახალგაზრდა კონსტრუქტორმა მაგიდაზე მზა პისტოლეტი დაუდო. P.S. ეს პისტოლეტი დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო იარაღად ითვლება და საკმაოდ ძვირიც ღირს.

24. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით მიწვეულ პროფესორ უილსონს მოსამართლემ ჰკითხა, თუ ვინ მიაჩნდა მას ყველაზე დიდ ფიზიკოსად ამერიკაში. მეცნიერმა საკუთარი თავი დაასახელა და დაამატა: „იძულებული ვარ, ასეთი პასუხი გაგცეთ, რადგან თქვენ „ბიბლიაზე“ დამადებინეთ ფიცი, რომ ვილაპარაკებდი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს, სიმართლის გარდა“.

25. ერთხელ გაზეთში, რომელსაც ჰენრი ფორდი გამოსცემდა, გამოქვეყნდა სტატია, ვეებერთელა ასოებით დაბეჭდილი სათაურით: „რით შეიძლება დავეხმაროთ ტანჯულ კაცობრიობას?!“ კონკურენტებმა ფორდს წერილით უპასუხეს: „ღვთის გულისათვის, ჰენრი, თითო ზამბარა მაინც ჩაამატე შენ მიერ გამოშვებულ ავტომობილთა სავარძლებში!“

ამბიციური კი ვარ, მაგრამ არც იმდენად, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავობაზე მქონდეს პრეტენზია. თუ კონკიას ბედი მაქვს, იქნებ, გამიმართლოს კიდეც, მაგრამ ჩემი თავი „ოსკარით“ ხელში ნამდვილად ვერ წარმომიდგენია. ამას წინათ, ჩემს მეგობარს, ვეუბნებოდი — ელიავას ბაზრობაზე გამომყევი, გრძელი, წითელი ხალიჩა და კაფელის დიდი ფილა უნდა ვიყიდო-მეთქი. მერე ჩემი სახლის წინ დავაგებ ხალიჩას იმ ფილასაც და საკუთარი „ვარსკვლავის“ პრეზენტაციას მოვაწყობ. სხვაგან ვერ ვახერხებ და შინ მაინც მოვიწყობ პატარა „ვარსკვლავურ“ ზეიმს...

— სახელი — მარეხი — ისევ შემოგრჩა?

— კი. თითქმის 2 წელია, „ძილის წინ“ დამთავრდა, მაგრამ მაინც მარეხს მეძახიან. მისი გახსენება ყველას ღიმილს ჰგვრის. მიხარია, რომ ჩემი გმირი ასე შეიყვარა ხალხმა. მაგრამ ახლა ვოცნებობ იმაზე, რომ ისევ შევქმნა რაიმე სახასიათო სახე. კიდევ ვოცნებობ იმაზე, რომ დავრგო ხე, ავაშენო სახლი და გავაჩინო ბიჭი...

— ჯანიანმა სოფლელმა ბიჭმა ხელი რომ გთხოვოს, არ გაჰყვები? რა თქმა უნდა, ბიჭის „გარანტიით“...

— არ ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია. მაგრამ საქმე ის არის, რომ სოფელში ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ისე, სოფლელი გოგონები ქალაქში გათხოვებაზე ოცნებობენ და მე სოფელში გავთხოვდე?!. მე და სოფლელი ბიჭი როგორ შევეწყობით ერთმანეთს, არ ვიცი. ისე არ გამიგოთ, თითქოს ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებ. შესაძლოა, სოფელში მცხოვრები მამაკაცისთვის სულაც მიუღებელი საცოლე ვიყო. თუმცა, ცხოვრებაში რა არ ხდება, — ვინ შეგიყვარდება, ღმერთმა უწყის...

— შოუბიზნესში არ გიცდია ძალის მოსინჯვა?

— მუსიკალური სმენა მაქვს და ხმაც ხელს მიწყობს, მაგრამ ალბათ, თავხედობა არ მყოფნის საიმისოდ, რომ სცენაზე დავდგე, ვიმღერო და ვარსკვლავობაზე მქონდეს პრეტენზია. მე ისეთი ადამიანების სიმღერებზე აღვიზარდე (ვგულისხმობ ჰამლეტ გონაშვილსა და მისი დონის მომღერლებს), რომ მათი მოსმენის შემდეგ სურვილი არ მიჩნდება, ვიმღერო. ალბათ, დროა, ერთი კარგი, სექსუალური კლიპი მეც გადავიღო. დავტრიალდები და სპონსორს ვიშოვი... ისე, მგონი, ჩემი ცხოვრების გზის შეცვლას ცდილობ: სოფლელი ბიჭის ცოლობასა და შოუბიზნესში ძალების მოსინჯვაზე დამაფიქრე *(იცინის)*...

— მგონი, იმასაც ნანობ, პროფესიად მსახიობობა რომ აირჩიე...

— არა, არ ვნანობ. მაგრამ თუ მსახიობი არ გამოვიდოდი, ალბათ, მოცეკვავე ან ექიმი ვიქნებოდი, რადგან ერთფეროვან სამუშაოს ვერ ვიტან. ძალზე გამიჭირდებოდა ოფისში ან სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობა და დაუსრულებლად ერთი და იმავე საქმის კეთება.■

რონალდინიო ჰეთთრიკის შესრულებაზე ოცნებობს

„ბეტისის“ წინააღმდეგაც არ გვითამაშია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ პრიმერადივიზიონის მეორედ მოგება არ გვსურს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ევროპულ სარბიელზე საქმე ისე მიგვდის, როგორც მოსალოდნელი იყო. ჩვენ ერთპიროვნული ლიდერები ვართ, 100%-იანი ეფექტურობით ვთამაშობთ“, — დასძენს ფეხბურთელი.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში რონალდინიომ განაცხადა, რომ 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთ-



ესპანეთის პრიმერადივიზიონის მოქმედმა ჩემპიონმა, „ბარსელონამ“ მიმდინარე პირველობა არცთუ ისე დამაჯერებლად დაიწყო. მიუხედავად ამისა, კატალონიელთა ლიდერი, რონალდინიო დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი კვლავაც შეძლებს პირველი ადგილის დაკავებას. გარდა ამისა, ბრაზილიელი ვარსკვლავი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზეც ოცნებობს.

რონალდინიოს ეჭვი არ ეპარება, რომ „ბარსა“ სატურნირო ცხრილის სათავეში დაბრუნდება და ისევე, როგორც გასულ სეზონში, ამჯერადაც ყველა მეტოქეს უკან მოიტოვებს. 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის თქმით, სეზონის სტარტზე გუნდის მიერ საშუალო დონეზე თამაში, „სტრატეგიული არჩევანია“. ნორმალურია ისიც, რომ კატალონიელთა მთავარი მწვრთნელი, ფრანკ რაიკარდი როტაციას მიმართავს იმისათვის, რათა „სიტუაცია მართოს“. „გუნდში ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული ის, რომ პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ცოცხლები ვართ. მწვრთნელმა ზოგიერთი მოთამაშე რეზერვში დატოვა სწორედ მაშინ, როდესაც ჩემპიონთა ლიგის მატჩები დაიწყო. მაგალითად, მე და დეკუს

ამაშის წოდების დაუფლების შემდეგ, კარგი იქნებოდა, თუ ანალოგიურ ტიტულს მომავალ მუნდიალზეც დაეუფლებოდა: „არასოდეს მიფიქრია იმაზე, რომ მაინცდამაინც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავმხდარიყავი. არც მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის დაუფლებაზე ვიზრუნებ. მთავარი რისი გაკეთებაც მსურს, ის გახლავთ, რომ ბრაზილიის ნაკრებს პლანეტის პირველობის მეექვსედ მოგებაში დავეხმარო. ყველაფერი დანარჩენი კი, ამ წარმატებას აუცილებლად მოჰყვება“.

„ბარსას“ ვარსკვლავი არ მალავს იმას, რომ ამჟამად მისი კარიერის საუკეთესო პერიოდია. „კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რადგან კიდევ ერთ მუნდიალზე თამაშის საშუალება მომეცემა. სიმართლეა ისიც, რომ ამჟამად ბავშვური ოცნებე-



ბის ასრულების პროცესში ვიმყოფები. ამიტომ ეს მომენტი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო და საკუთარი პოტენციალი მაღალ დონეზე გამოვავლინო“, — აცხადებს რონალდინიო, რომელიც საყოველთაო პოპულარობით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას საკუთარი თავმდაბლობით აკომპენსირებს.

2 წლის რონალდინიომ ნაკრების შემადგენლობაში უკვე 64 მატჩი ჩაატარა. იგი იმედოვნებს, რომ კიდევ არაერთხელ მოირგებს ბრაზილიის ეროვნული გუნდის მაისურს: „ახალგაზრდა ვარ, ყველა პირობა მაქვს იმისათვის, რომ ნაკრებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა კიდევ გავზარდო, თუმცა ამ რეკორდის დამყარება ჩემთვის მთავარი არ გახლავთ. უბრალოდ, გუნდთან ერთად სახელოვანი ისტორიის შექმნა მსურს“. კატალონიელთა გრანდის ლიდერი ყოველთვის აღტაცებულია, როდესაც სამშობლოში ჩასვლის შესაძლებლობა ეძლევა: „თანამემამულეთა მიერ ჩემდამი გამოჩენილი დიდი სიყვარული მართლაც, აღმაფრთოვანებს. ეს ჩვენი გუნდის მიერ გაწეული შრომის დაფასებაა“.

როგორც ცნობილია, კორეასა და იაპონიაში 2002 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე რონალდინიო ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან უდიდესი წვლილი შეიტანა, მეოთხედფინალურ ეტაპზე ინგლისის ნაკრებზე ბრაზილიელთა გამარჯვებაში, როდესაც ჯერ რივალდოს გაატანინა გოლი, ხოლო შემდეგ თავადაც, შორეული საჯარიმო დარტყმით, უჩვეულო ტრაექტორით გაგზავნა ბურთი და ალბიონელთა გოლკიპერს, დევიდ სიმენს არავითარი შანსი არ დაუტოვა. მომავალ ზაფხულს კი, ბრაზილიელ ნახევარმცველს კიდევ ერთხელ მიეცემა მსოფლიო თასის აღმართვის შანსი. თუმცა მანამდე მას „ბარსასთან“ ერთად პრიმერადივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის ბრძოლა მოუწევს.

■

მუნდიალი – საზრუნავი ნუმიზმატებისა და სამართალდამცველებისთვის

მაიკლ ოუენის, დევიდ ბექჰემის, სოლ კემპბელის, ფრენკ ლამპარდის სახეები ინგლისურ 25-გირვანქიან ოქროს მონეტებზე იქნება აღბეჭდილი, რომლებიც Channel Islands-ის არქიპელაგში შემავალ ოლდერნის კუნძულზე შევა მიმოქცევაში. ასეთი გადაწყვეტილება ინგლისის მთავრობამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ქვეყნის ეროვნული ნაკრების მოხვედრის შემდეგ მიიღო. ამიტომ მონეტას სუვენირის დანიშნულება უფრო ექნება. ისე კი, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების მოხვედრამ საზრუნავი მხოლოდ ნუმიზმატებს როდი გაუჩინა. დიდი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ სკოტლენდ-იარდის თანამშრომლებსა და მათ გერმანელ კოლეგებს. ჰოლანდიელმა ექსპერტმა, ჰენკ გრუნველტმა, რომელიც საფეხბურთო ხულიგნების პრობლემის კვლევითაა დაკავებული, Channel Islads-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბრიტანული ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, ქომაგთა ზოგიერთი ჯგუფი გამოსწორებას არ აპირებს. „ინგლისელი ქომაგების ქცევას ვაკვირდებოდი უელსის ნაკრებთან შეხვედრისას და გარკვეული დასკვნებიც გამოვიტანე. ამ მატჩზე არაერთი მთვრალი ინგლისელი ფანი შევნიშნე, რომელიც წელს ზევით გაშიშვლდა და ალკოჰოლით გონებადაბინდულმა, აგრესიული სიმღერა წამოიწყო. ისინი მცირედ სურვილსაც არ იჩენდნენ იმისას, რომ უელსელ გულშემატკივრებთან მეგობრული ურთიერთობა შეენარჩუნებინათ“, — აცხადებს გრუნველტი, რომლის აზრითაც, 2006 წლის მუნდიალზე — „რისკის ჯგუფში“, ალბიონელ ქომაგთა გარდა, განსაკუთრებულად აგრესიული, გერმანელი და აღმოსავლეთევროპელი ფანებიც მოხვდებიან.

■

რომის პაპმა ჯრივს შეუტია

რომის პაპმა, ბენედიქტ მეთექვსმეტემ პროფესიონალური კრივი დაგმო. ჟურნალ „ჩივილტა კატოლიკოში“, რომელიც ვატიკანის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოა, გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „პროფესიონალური კრივის ამორალურობა“. მასში სასტიკად არის გაკრიტიკებული სპორტის ეს სახეობა. კათოლიკური ეკლესია ადრეც აცხადებდა, რომ კრივი სპორტის სახიფათო და უხეში დისციპლინაა. ხოლო პროფესიონალური კრივი, კათოლიკე მამების თქმით, კიდევ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს. „საქმოსნებისთვის, რომლებიც პროფესიონალურ კრივს მართავენ, სპორტსმენი ადამიანი კი არა, ფულის მოსაპოვებლად შექმნილი მანქანაა“, — ამბობს „ჩივილტა კატოლიკოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბენედიქტ XV. გარდა ამისა, რომის პაპი იმ ხიფათზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის წინაშეც შეიძლება ნებისმიერი მოკრივე აღმოჩნდეს: მაგალითად, ლევანდერ ჯონსონია მოყვანილი, რომელიც სექტემბერში ხესუს ჩავესთან ორთაბრძოლისას მიღებული ტრავმის შედეგად დაიღუპა.

■

რუსუდან ბერიძე



უკვე კარგად შებინდებული იყო, როცა ლანა მესხი მეტროდან გამოვიდა. „მაინც რა უცბად ღამდება ზამთარში, ეს ოხერი...“ — უკმაყოფილოდ გაიფიქრა მან და პალტოს ღილები საგულდაგულოდ შეიკრა. დეკემბრის სუსხის მიუხედავად, მეტროს წინ უამრავი ხალხი ირეოდა და თითქოს საგანგებოდაც კი ხმაურობდა. თუმცა, როგორც კი ლანამ პროსპექტი გადაჭრა და ვიწრო, სანახევროდ ჩაბნელებულ ქუჩაზე შეუხვია, ხმაურიც და ხალხის მიმოსვლაც უცბად შეწყდა. ცოტა არ იყოს შემკრთალმა ლანამ მაშინვე ფეხს აუჩქარა და რამდენჯერმე უკანაც მიიხედა, რადგან მოეჩვენა, რომ ვიღაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა... ქუჩას მხოლოდ აქეთ-იქით ჩამწკრივებული, ძველებური სახლების ფანჯრებიდან გამომავალი შუქი ანათებდა. „მთავარია, შესასვლელს არ გავცდე“, — მკრთალ შუქზე სახლების ნომრებს ძლივსღა არჩევდა ლანა. უეცრად, ერთ-ერთ რკინის ჭიშკარზე თეთრად აკიაფებული ორი სამიანი შენიშნა და მაშინვე შვებით ამოისუნთქა: „მადლობა ღმერთს!.. მოვაგენი... ეტყობა, ჩემისთანა დაბნეულებისთვის ვიღაც ღვთისნიერმა ჭიშკარზე ნომერი ცარცით წააწერა“.

ლანამ ჭიშკართან მიირბინა და ენერგიულად გადაატრიალა სახელური, მაგრამ კარს ძვრაც ვერ უყო. „ეტყობა, შიგნიდანაა ჩაკეტილი, — შეწუხდა იგი, — „იტალიური“ ეზოების შესასვლელებს ხანდახან ღამღამობით კი კეტავენ, მაგრამ ჯერ რვა საათიც არ არის და რა ეჩქარებოდათ?..“ ლანამ ჭიშკრის წინ ერთი-ორჯერ ნერვიულად გაიარ-გამოიარა, შემდეგ სახელური კიდევ ერთხელ უშედეგოდ მოსინჯა და — „ხომ არ დაგეხმარო?“ — უეცრად, ზედ ყურის ძირში ჩაესმა მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა, ხელზე კი ცივი და ოფლიანი ხელის შეხება იგრძნო. დამფრთხალი ლანა სწრაფად შებრუნდა და მაღალი, წელში უშნოდ მოხრილი მამაკაცი შერჩა ხელში.

— არა, გმადლობთ... — დაფეთებული ნადირივით განზე გახტა ლანა, მაგრამ უცნობმა ხელზე ხელი მარწუხივით შემოაჭდო, მეორეთი კი, თავისკენ ოდნავ მოსწია კარი და თითქმის უხმაუროდ შეაღო: — მიბრძანდი, ლამაზო...

— არა, მე არ... — ენა დაება საბოლოოდ გულგახეთქილ ლანას.

— შედი-მეთქი! — ახლა უხეშად ჰკრა ხელი უცნობმა, შიგნით შეაგდო, იქვე, კუთხეში მიიმწყვდია და მკერდქვეშ დანა მიაბჯინა: — აბა, სწრაფად!.. ფული და ოქროულობა, თორემ, აქვე მიგაკლავ!

— ფული?.. — ციებიანივით აცახცახდა ლანა.

— ჩანთა მოიტა! — ხელჩანთა კინაღამ მხრიანად წაჰგლიჯა ქალს უცნობმა, სწრაფად გახსნა და საფულე ამოიღო. მაგრამ როცა შიგ მხოლოდ ორად ორი ლარი და ხურდა ფული აღმოაჩინა, გაცოფებულმა, საფულესა და ჩანთასთან ერთად, დანაც გვერდზე ისროლა და ლანას გამეტებით წაუჭირა ყელში ხელი:

— დანარჩენი ფული სადღა გაქვს?.. დანარჩენი-მეთქი!

— ჩანთის შიგნითა ჯიბეში მიდევს, — თავადაც გაუკვირდა, უეცრად ისე თავდაჯერებულად იცრუა ლანამ.

— ჯიბეში? — გამომცდელად შეხედა უცნობმა, შემდეგ წამით ხელი უშვა და ჩანთის ასაღებად დაიხარა. ლანამ ამით ისარგებლა და გასაქცევად გაიწია. მაგრამ მოძალადე უმალ წელში გასწორდა, მსხვერპლს თმაში სწვდა და მთელი ძალით მიანარცხა კედელს:

— გითხარი, არ მიქარო-მეთქი?!. — ფოთოლივით მოცახცახე ლანას ყელში ორივე ხელი გამეტებით წაუჭირა მან. — ჰოდა, შენს თავს დააბრალე!..

„ღმერთო, რა ადვილი ყოფილა სიკვდილი...“ — ამის გაფიქრებაღა მოასწრო ლანამ და თვალები მორჩილად მილულა... მაგრამ მოულოდნელად, მოძალადეს ჯერ ლანას ყელზე მარწუხივით შემოჭერილი თითები მოუდუნდა, მერე ხელები საერთოდ ჩამოუცვივდა, ძირს მოწყვეტით დაეცა და რაღაც ღმუილისმაგვარი ხმა ამოუშვა, რასაც ვიღაცის უშვერი გინებაც მოჰყვა:

— ქალს მოერიე, ახვარო!.. მე შენი ნაბოზარი დედა კი...

კედელს უწინდებურად მორჩილად აკრულმა ლანამ, როგორც იქნა, თვალის გახელა გაბედა და დაინახა, რომ ვიღაც ბრგე მამაკაცს მოძალადე ფეხქვეშ გაეგდო და მუცელში წიხლებს გამეტებით აზელდა. ამ სურათის შემხედვარე, ლანამ ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ ტკივილისგან ოთხად მოკეცილი ადამიანის ყურება არათუ აშფოთებდა, მგონი, კიდეც სიამოვნებდა. მაგრამ როცა მისმა მხსნელმა წაქცეულს ფეხი თავში ჩასარტყმელად დაუმიზნა, გონს მოეგო და გამყინავი ხმით უკივლა:

— თავში არ ჩაარტყა! მოკვდება!..

მამაკაცს მოქნეული ფეხი ჰაერში გაუშეშდა, ლანას ისე გაოცებულმა შეხედა, თითქოს მოჩვენება დაინახაო. იმავე წუთს, ეზოს სიღრმიდან ვიღაც დაფეთებული გამოვარდა:

— ლევან, ძმაო, შენ ხარ? — შორიდანვე იკითხა მან.

— ჰო, გიო, მე ვარ... — ფეხი ნელა დაუშვა ლევანმა.

— რა დაგემართა?

— მე — არაფერი. მგონი, ამას დაემართა რაღაც და იქნებ, მიეხმარო... — ლანას ზურგი დემონსტრაციულად აქცია ლევანმა. — მე კი სახლში მელოდებიან...

ლანამ ეზოში დინჯი ნაბიჯით შემავალ თავის გადამრჩენს ბრაზიანად გააყოლა თვალი, მერე მიწაზე გართხმული მოძალადის გვერდით ერთგვარი შიშით ჩაიმუხლა, თავი ფრთხილად წამოუწია და რომ დარწმუნდა, ცოცხალი იყო, თავისთვის ჩაიბურდღუნა:

— ასე ხომ კაცის მოკვლაც სულ თავისუფლად შეიძლება...

— მერედა, ვინ არის კაცი?.. ეს ახვარი?! — ლანას გვერდით ჩაიმუხლა გიომაც.

— აბა, ვინ არის? — გულუბრყვილოდ იკითხა ლანამ.

— ვინ არის და ჩამპალი ნარკომანი. მეზობელ ეზოში ცხოვრობს... ამას რომ „ლომკა“ ეწყება, წამლის ფული თუ არ მისცა, მშობელ დედასაც კი აღარ ინდობს. ეი, მორფიკ, — წაქცეულს ხელი უხეშად წაჰკრა გიომ, — ცოცხალი ხარ?..

— ვსუნთქავ... — ამოიკვნესა მორფიკამ და წამოდგომა სცადა.

— იწექი, იწექი! შენისთანისთვის დგომას, ჯდომას და წოლას ერთი ფასი აქვს... — „დაამშვიდა“ გიომ.

— მოიცათ! — შეაჩერა გიო ლანამ. — მე ექიმი ვარ და იქნებ, რამით დავეხმარო...

— ამას თქვენ კი არა, მამაზეციერიც ვეღარ დაეხმარება, — ხელი ჩაიქნია გიომ და ფეხზე წამოდგა.

— ნაღდად ექიმი ხარ? — ამოიკვნესა უცბად მორფიკამ და ლანას უაზრო თვალები შეანათა.

— დიახ.

— მერე აქამდე ვერ მითხარი?! პირდაპირ წამალს მოგთხოვდი და ეგ იქნებოდა, რა...

— აბა, ახლავე გაქრი აქედან! — ფეხზე უხეშად წამოაგდო მორფიკა გიომ, — თორემ ექიმს და წამალს სამუდამოდ მოგანატრებ, იცოდე!

— მივდივარ, რა... ცოტა მაცალე... — ამოჩეჩილი ტანსაცმელი კვნესით გაისწორა მორფიკამ. — მაგრამ ისე იცოდე, რომ ლევანა ბოლომდე „პრავი“ მაინც არ იყო, ძმაო... აი, ჩემს დას კი ბოდიშს ვუხდი...

— შენი ძმები და დები შენისთანებშივე მოიკითხე! — დაადევნა გიომ ჭიშკართან ლასლასით მისულ მორფიკას და ლანას მიუბრუნდა: — ახლა მთლიანად თქვენს სამსახურში მიგულეთ, ქალბატონო, რით შემიძლია თქვენი დახმარება?

— ამ ეზოში ცხოვრობთ? — დაინტერესდა ლანა.

— კი. უკვე ოცი წელია.

— მაშინ მიხო მღებრიშვილი აუცილებლად გეცოდინებათ.

— მიხო ძია? რა თქმა უნდა! მაგის ხელში ვარ გაზრდილი... სანახავად ხომ არ მოხვედით?

— პრინციპში — კი. მისი მკურნალი

ექიმი ვარ, — კედელთან მიყრილი საკუთარი ჩანთა და ცარიელი საფულე წამოკრიფა ლანამ.

— ფული წაგართვათ? — შეწუხდა გიო.

— ბევრი არაფერი...— ჩანთა მხარზე გადაიკიდა ლანამ. — საფულეში „კაპიკები“ მეყარა...

— სამკაულები?.. ეს ახვარი ხანდახან საყურეს პირდაპირ ყურიდან აგლეჯს ქალს...

— საყურეს იშვიათად ვატარებ. ეს კი, ეტყობა, ვერ შენიშნა, — საკმაოდ ლამაზი ბეჭედი ხელიდან ნერვიულად წაიძრო და ისევ გაიკეთა ლანამ. — თუმცა, რომც წაელო, დიდად არც ვიდარდებდი: ბიჟუტერიაა...

***

აღელვებული მიხო მღებრიშვილი ლანას ლოგინში წამომჯდარი დახვდა. თუმცა, მისი მიმტკნარებული სახე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა იმაზე მიანიშნებდა, რომ თავს ძალას ატანდა, თორემ, ჯერაც ძალზე სუსტად იყო. მიხოს მეუღლე ანიკო, შეწუხებული ურბენდა ლანას გარშემო:

— ეს რა ესმის ჩემს ყურებს!.. იმ ოხერმა შენ მეტი დასაყჩაღებელი ვერავინ ნახა?!. ისე, ჩემი ბრალია ყველაფერი. მეტროსთან უნდა დაგხვედროდი, მაგრამ რომ შეგაგვიანდა, ვიფიქრე, დღეს ჩვენთვის ვერ მოიცალა-მეთქი... დარეკვისაც მომერიდა... ნეტავ, დამერეკა, მე დასამიწებელს... უიმე, შვილო, — უეცრად შედგა ანიკო და ლანას ლოყაზე დააკვირდა: — ეს როგორ ჩამოუპოტნიხარ იმ არგასახარებელს!

— არა უშავს, ანიკო დეიდა, უბრალო განაკაწრია, — ლოყაზე ხელი მოისვა ლანამ და თვალები თავისით აუწყლიანდა.

— მოგიკვდეს ანიკო დეიდა! — ორივე ხელი შემოხვია და თმაზე ნაზად აკოცა ანიკომ. — ძალიან შეგეშინდა?

— არც უმაგისობა იყო. მაგრამ ახლა, საქმეს მივხედოთ, — ანიკოს ხელი გააშვებინა და მიხოსკენ გადაინაცვლა ლანამ. — ვნახოთ, რასა იქმს ჩვენი ყოფილი პაციენტი...

მიხოს ნაოპერაციევი გაღიზიანებოდა და დაჩირქებაც დასწყებოდა. ლანამ მას ნაჭრილობევი საგულდაგულოდ დაუმუშავა და საჭირო წამლებიც დაუნიშნა.

— საშიში ხომ არაფერია, შვილო? — ჰკითხა ლანას ანიკომ. — ერთი გიჟი მეზობელი გვყავს ეზოში და მეორე დღეა, ყვავივით დაგვჩხავის — ჩემი მამამთილიც ზუსტად ეგრე იყო და მეორედ გაჭრა დასჭირდაო...

— მიხო ძიას მეორედ გაჭრა ნამდვილად არ ემუქრება, — დაამშვიდა ლანამ ანიკო. — თუმცა, შეიძლება, საავადმყოფოში ცოტა ხნით მაინც მივაბრუნოთ და წავუმკურნალოთ...

— მეტი არაა შენი მტერი, მე იქ არ მიგბრუნდე! — ხელები გაასავსავა მიხომ.

— ერთი ამას დამიხედეთ! — დოინჯი შემოიყარა ანიკომ. — შენ ვინ რას გეკითხება?.. როგორც ლანა იტყვის, ყველაფერი ისე იქნება!

— კუჭი ჩემია და მინდა, ვუმკურნალებ, მინდა — არა! — პატარა ბიჭივით გაჯიუტდა მიხო.

— ნეტავ, ტყუილად არ იმუქრებოდე! — მაინც არ დაუთმო ანიკომ. — შვილიშვილებს პირში ბოლო ლუკმა იმიტომ გამოაცალე, რომ ახლა ყველაფერი წყალში ჩაყარო?

— რა ბოლო ლუკმა, ქალო, რას მიედმოედები?! — გაცოფდა მიხო.

— რა და გაიხსენე, ჩვენს ბიჭს შენი ოპერაცია რა დაუჯდა! ის ფული თავის შვილებს არ მოაკლო?.. ახლა დანარჩენ ხარჯს აღარ იკითხავ?!. ერთი ლანა აღმოჩნდა ღვთისნიერი და ფული არ გამოგვართვა, თორემ, დანარჩენებმა — მთავარი ექიმით დაწყებული და სანიტრით დამთავრებული — პირწმინდად გაგვფცქვნეს... ისე, ყველაზე უფრო მაინც ლამარა ექთანი მაცოფებდა: ერთი დღე რომ გამოგეტოვებინა და ფული არ მიგეცა, პალატაში ხომ საერთოდ არ შემოიხედავდა და თუ შემთხვევით დერეფანში შეეჩეხებოდი, გვერდს ისე აგივლიდა, თითქოს პირველად გხედავსო...

— კარგი, ქალო, ნუ დაიქოქე! — ქოთქოთი გააწყვეტინა ანიკოს ქმარმა. — ხომ არ გავიწყდება, რომ ის ქალი ლანას თანამშრომელია?

— თანამშრომელი კი არა, ჭირი! მაგისთანები თანამშრომლებშიც უნდა გაწყდნენ და სოფელ-ქვეყანაშიც!.. ხომ მართალი ვარ, შვილო? — მიუბრუნდა ანიკო ლანას.

— რა მითხარით? — დაიბნა ლანა. — ფიქრი სხვაგან გამექცა და კარგად ვერ გავიგონე...

— კიდევ კარგი, რომ ვერ გაიგონე, — ამოიოხრა მიხომ და თან, ცოლს თვალები გადაუბრიალა: — წადი, ქალო, სტუმარს ყავა მაინც მოუდუღე!

— ყავასაც მოვუდუღებ და გემრიელადაც ვავახშმებ! — უმალ დაფაცურდა ანიკო.

— ანიკო დეიდა, ნუ წუხდებით, რა!.. — სამზარეულოში გაჰყვა დიასახლისს ლანა. — უნდა წავიდე!

— რას ამბობ, შვილო?.. — შეიცხადა ანიკომ. — ამ შუაღამისას სადღა გაგიშვებ?!. არა. ისე, თუ არ დაიშლი, მეზობლის ბიჭებს ვთხოვ და სახლამდე მიგაცილებენ, — უკან დაიხია მან შემდეგ.

— ძალიან დამავალებთ, ანიკო დეიდა, — დაეთანხმა ლანა. — ოღონდ, იმას არ სთხოვოთ, რა, მე რომ გადამარჩინა.

— ვის, ლევანიკოს?.. რატომ, შვილო? — გაუკვირდა ანიკოს. — იცი, რა ბიჭია?!.

— შეიძლება, კარგი ბიჭია, მაგრამ ცოტა გიჟიც უნდა იყოს... — თავისთვის ჩაილაპარაკა ლანამ. — კივილი რომ არ ამეტეხა, ალბათ, იმ უბედურს ცემით სულსაც ამოხდიდა...

— იმ დასამიწებელს ლევანი კი არა, იქ რომ ვყოფილიყავი, მეც არაფერს დავაკლებდი, — ცეცხლზე ნავთი დაასხა ანიკომ. — ისე კი, ლევანს ნერვები მთლად წესრიგში ნამდვილად არ აქვს, შვილო... ან კი როგორ ექნება, იმხელა უბედურება აქვს საწყალ ბიჭს გადატანილი...

— რა უბედურება? — გულგრილად იკითხა ლანამ. მაგრამ პასუხის გაცემა ანიკოს, კარზე კაკუნმა აღარ აცალა. კაკუნს მამაკაცის ნაცნობი ხმაც მოჰყვა:

— ანიკო დეიდა, დაუპატიჟებელ სტუმარს მიიღებთ?

— ხსენებაზე — მგონი, ლევანია... — შემოსასვლელში სწრაფად გავიდა ანიკო და მალე, სტუმარს სამზარეულოში შემოუძღვა.

— როგორ ხართ, ანიკო დეიდა? მიხო ძია რას შვრება? ხომ უძლებს ცხოვრებას?!. — სამზარეულოს სკამზე შინაურულად მოკალათდა ლევანი.

— ჯერ ჩემი სტუმარი გაიცანი და მიხოს ამბავს მერე მოგიყვები, — ლანაზე ანიშნა ლევანს ანიკომ.

— უკვე გავიცანი და კინაღამ შემოველახე კიდეც... — მობუზულ ლანას ქვეშქვეშ გახედა ლევანმა.

— ამ ანგელოზივით გოგოს, ასეთი მაინც რა დაუშავე? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ანიკომ.

— მორფიკასთან „პაემანი“ ჩავუშალე... — ღიმილი ვეღარ შეიკავა ლევანმა.

— თქვენ ხუმრობთ და ის უბედური კინაღამ მართლა შემოგაკვდათ... — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ლანამ.

— მოიცა, მოიცა, ეს რაღაა?.. — ლანას გაკაწრული ლოყა ახლაღა შენიშნა ლევანმა და სახის კუნთები ნერვიულად აუთამაშდა.

— იმ დასამიწებელმა ატკინა! — სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენა ანიკომ.

— მისი ბედი, რომ სიბნელეში ვერაფერი შეგნიშნეთ, თორემ, იმ ახვარს ცხვირ-პირით მართლა მიწას მოვახვნევინებდი!.. — კიდევ ერთხელ დანანებით შეავლო თვალი ლანას ლოყაზე ლევანმა და მოულოდნელად ჰკითხა: — ამაღამ აქ რჩებით?

— არა... — დაიბნა ლანა. — მივდივარ...

— სახლამდე მე მიგაცილებთ.

— ასე ნამდვილად ვერ შეგაწუხებთ...

— მე უფრო შევწუხდები, შინ მარტოს თუ გაგიშვებთ. ვინ იცის, გზაში კიდევ რომელი ახვარი დაგხვდებათ და ამდენი გარჯა სულ წყალში ჩამეყრება...

— დაუჯერე, შვილო, — შეუძახა ლანას ანიკომ და შემდეგ, ლევანს მიუბრუნდა: — მანქანა ხომ წესრიგში გყავს, ბიჭო?

— აბა, ამისთანა სტუმარს ფეხით სიარულს ვაკადრებ?!. — ეშმაკურად ჩაუკრა ანიკოს თვალი ლევანმა...

***

— სად ცხოვრობ? — ცენტრალურ ქუჩაზე გასვლისთანავე ჰკითხა ლევანმა მის გვერდით მჯდომ, გასუსულ ლანას.

— უკვე „შენობით“ ლაპარაკზე გადავედით?.. — სიტყვა ბანზე აუგდო ლანამ.

— მე — კი... — მშვიდად მიუგო ლევანმა. — რა მითხარი, სად ვცხოვრობო?

ლანამ თავისი მისამართი დაუსახელა.

— ვიცნობ მაგ უბანს... კორპუსში ცხოვრობ თუ კერძო ბინაში?

— ასმესამე კორპუსში...

— ვიცი, რომელიცაა... ასმეოთხეში ჩემი თანაკურსელი ცხოვრობს... შეიძლება, შენც იცნობ, ალეკო ჰქვია, გვარად ალექსიშვილია...

— ალეკო ალექსიშვილი?.. — დაფიქრდა ლანა. — რამდენი წლისაა?

— ჩემხელაა, ოცდათორმეტის.

— გვარ-სახელის მიხედვით ვერ ვიხსენებ... თუმცა, სახეზე თითქმის ყველას ვიცნობ... თხუთმეტი წელია, რაც იმ უბანში ვცხოვრობ.

— მართლა? — ეშმაკურად გახედა ლევანმა ლანას. — მეც თითქმის თხუთმეტი წელია, რაც თქვენს უბანში დავიარები და შენისთანა ლამაზი გოგო ერთხელ მაინც ვერ შევნიშნე?

— აბა, აბა, მეც ეგ არ მიკვირს?! — ღიმილი ვეღარ შეიკავა ლანამ.

— იცი, ღიმილი როგორ გიხდება?

— ვიცი.

— მერე, ხშირად რატომ არ იღიმები?

— იმიტომ, რომ არ მეღიმება: ძალიან მძიმე ხასიათი მაქვს...

— კარგი ერთი!..

— მართლა, მართლა... ერთმა ისიც კი მითხრა, ქალი კი არა, ყინულის ლოდი ხარო...

— ნამეტანი მოსვლია... ისე, ყინულის ლოდს არა, მაგრამ ყინულის დედოფალს ხანდახან მართლა ჰგავხარ...

— შენ კი — მწუხარე სახის რაინდს... — ისევ გაეღიმა ლანას.

— რამდენი წლის ხარ? — ქალისთვის ერთ-ერთ ყველაზე დელიკატურ საკითხს ჯიქურ მიადგა ლევანი.

— ოცდაშვიდის, — არაფერი შეიმჩნია ლანამ.

— გათხოვილი ხარ?

— არა.

— ჰმ... არც ყოფილხარ?..

— არა.

— კარგია.

— რა არის კარგი?

— არა, არაფერი... — ჩაფიქრდა ლევანი. — მე კი ექვსი წლის გოგონა მყავს...

— ესე იგი, ცოლიანი ხარ...

— ვიყავი...

— გაიყარეთ?

— არა, განგებამ გაგვყარა...

— ეგ როგორ?

— მოდი, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ... — სახის კუნთები ნერვიულად აუთამაშდა ლევანს.

— როგორც გენებოს, — სავარძელზე მოწყვეტით გადაწვა ლანა.

ამის შემდეგ, მის სახლამდე ისე იარეს, რომ ხმა არც ერთს აღარ ამოუღია. ლევანმა ლიფტამდე მიაცილა ლანა.

— ლიფტშიც ხომ არ შემომყვებოდი? — გაეღიმა ლანას.

— რატომაც არა?!. — მაშინვე კაბინაში შეაბოტა ლევანმა.

— იცოდე, შინ ვერ შეგიპატიჟებ, — სასწრაფოდ დაიზღვია თავი ლანამ.

— მაგის იმედი ნამდვილად არ მქონია... ისე, მარტო ცხოვრობ თუ?.. — მაინც დაინტერესდა ლევანი.

— არა. დედასთან, ძმასთან, რძალთან და პატარა ძმისშვილთან ერთად... — მეათე სართულის ღილაკს ხელი სწრაფად მიაჭირა ლანამ, შემდეგ ჩანთიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო და ერთ-ერთი საგანგებოდ მოიმარჯვა.

— რა ამბავია? — გაეღიმა ლევანს. — საომრად ხომ არ ემზადები?

— არა, — ხელი მაშინვე დაბლა დაუშვა ლანამ. — უბრალოდ, შეიძლება, საფარბაზოში შუქი არ იყოს და გასაღები წინასწარ იმიტომ მოვძებნე.

— აბა, მაჩვენე ერთი, როგორი გასაღებები გაქვს.

— რაში გაინტერესებს? უნდა გაგვქურდო?.. — ხელი ნელ-ნელა გაშალა ლანამ.

ლევანმა ასხმულა ფრთხილად აიღო, დაიხარა და ლანას ხელისგულზე ნაზად ეამბორა:

— ხომ კიდევ შევხვდებით?

— არ ვიცი... — ხელი ბავშვივით ზურგს უკან დამალა ლანამ. — ცხოვრება გვიჩვენებს...

— აუცილებლად გვიჩვენებს... — სახეზე ორივე ხელი ნერვიულად ჩამოისვა ლევანმა და წელში გასწორდა.

— ძალიან გთხოვ, სადარბაზოში არ გამომყვე.

— როგორც მიბრძანებთ, ქალბატონო, — ლიფტის კუთხისკენ მორჩილად გადაინაცვლა ლევანმა.

ლანამ საკუთარი ბინის კარს გასაღები სწრაფად მოარგო, მაგრამ საკეტი ვერაფრით დაიმორჩილა. „დღეს ეს რა უბედურება მჭირს?! — ბოღმიანად გაიფიქრა მან. — მგონი, უკვე საკუთარი სახლის კარსაც ვეღარ ვაღებ... ალბათ, ისევ ურდულით გადაკეტეს“, — გაახსენდა შემდეგ და ნერვიული ბრაგაბრუგი აუტეხა კარს.

— ჰო, რა იყო?.. მოვდივარ, ნუ ჩამოიღე კარი! — მოისმა შიგნიდან ლანას ძმის — რეზოს გაღიზიანებული ხმა, რასაც ურდულის ხმაურიც მოჰყვა და კარი გაიღო: — ზარს ვერ დარეკავ?

— რომელ ზარს? მთელი თვე რომ არ მუშაობს?! — ლანამ კარში გახიდული ძმა უხეშად გვერდზე გასწია და ჰოლში შევიდა.

— მოხვედი, შვილო? — სწრაფად გამოეგება მას სანდომიანი, ჭაღარა ქალი.

— დედა! რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, ჩემს მოსვლამდე კარი ურდულით არ გადაკეტო-მეთქი?! — მაშინვე ეცა ქალს გაცოფებული ლანა. — ხომ იცი, რომ...

— მაგას არ გადაუკეტია, მე დავკეტე! — გააწყვეტინა ლანას რეზომ. — და თუ ღამღამობით ხეტიალს არ მოეშვები, ერთხელაც იქნება, კარს საერთოდ აღარ გაგიღებ!..

— როცა საკუთარი სახლი გექნება, კარი მაშინ გადარაზე!.. — შეუღრინა ძმას ლანამ.

— აბა, ეს ვისი სახლია? — იტკიცა რეზომ.

— ვისი და ჩვენი, ყველასი! — საძინებელში შევიდა და კარი ხმაურით მიაჯახუნა ლანამ.

— ხედავ, როგორ წაიგდო ენა?! — ახლა დედას ეცა რეზო. — როგორ? უფროს ძმას იმის გაგების უფლებაც აღარ აქვს, გაუთხოვარი და შუაღამემდე სად დაეხეტება?!

— კარგი, კარგი... — ვაჟიშვილის დაშოშმინება სცადა დედამ. — ძალიან კარგად იცი, სადაც „დაეხეტება“. მაგისმა პროფესიამ დღე, ღამე და გათხოვილ-გაუთხოვარი არ იცის...

— გაუთხოვარი კი არა — გასათხოვარი, ქალბატონო თამარ, გა-სა-თხო-ვა-რი!.. — მოესმა ლანას რეზოს ცოლის, მაკას დამცინავი ხმა...

ლანა საწოლზე ჩამოჯდა, იქვე ტუმბოზე მდგარი ღამის ნათურა აანთო და ტანსაცმლის გახდა დაიწყო. როცა თამარი მის ოთახში შემოვიდა, ლანა უკვე იწვა.

— ვახშამი არ გინდოდა? — საწოლზე ნელ-ნელა ჩამოჯდა და შვილს აბურდულ თმაზე ხელი გადაუსვა თამარმა.

— არა, უკვე ვივახშმე, — მაშინვე გვერდზე გადაბრუნდა ლანა.

— სად?

— სადაც ვიყავი.

— მე მაინც არ მეტყვი, სად იყავი? — ისევ დაუყვავა შვილს თამარმა.

— სად უნდა ვყოფილიყავი?.. —

როგორც იქნა, კვლავ დედისკენ გადმობრუნდა ლანა. — დღეს დილით, ერთმა ყოფილმა პაციენტმა დამირეკა, ნაოპერაციევი გამიღიზიანდაო და სახლში მივაკითხე.

— თვითონ საავადმყოფომდე ვერაფრით მოაღწია?

— ვერ მოაღწია და რა ვქნა?.. ასაკშია, სიარული ძალიან უჭირს. იმდენად მძიმე ოპერაცია გადაიტანა, რომ ჯერაც საავადმყოფოში უნდა იწვეს...

— მერე? რა გეჩქარებოდა მისი გაწერა?

— კარგი, რა, დედა!.. ვითომ არ იცი, რომ ავადმყოფის გაწერას მე არავინ მეკითხება. ყველაფერს ერთი კაცი წყვეტს...

— თქვენი მთავარი ექიმი?

— ჰო. თანაც — ერთადერთი საზომით: ავადმყოფი რამდენი დღე-ღამის ფულსაც გადაიხდის, საავადმყოფოში ზუსტად იმდენ ხანს დატოვებს — მერე თუნდაც სული ამოხდომია... ამას წინათ, იცი, რა ჩაიდინა?..

— რა?

— ახალგაზრდა ქალს მკერდი ისე მოჰკვეთა, რომ არც ოპერაციამდე და არც შემდეგ, ზუსტი დიაგნოზი არ დაუსვამს...

— იქნებ, ვერ დასვა... — მაინც სცადა მთავარი ექიმის გამოსარჩლება თამარმა.

— სწორედ ეგ არის მთელი უბედურება! — სათქმელის დასრულება აღარ აცალა ლანამ. — აბსოლუტურად უვიცი, უნიჭო და არამზადაა!

— კარგი, შვილო, კარგი, — შეწუხდა თამარი. — ნამეტანი ნუ მოგდის... მართლა, ვერაფრით დავიმახსოვრე, რა გვარია თქვენი მთავარი ექიმი?

— ჩხიკვიშვილი.

— ჰო, ჩხიკვიშვილი... — განაგრძო თამარმა. — რაც არ უნდა იყოს, ის კაცი დღეს შენი უფროსია, თანაც, ამ ქვეყანას შენ მარტო ხომ ვერ გაასწორებ. ეჰ, მამაშენს რომ ცოტა კიდევ დასცლოდა...

— მეც სწორედ ეგ მიკლავს, დედა, გულს, მამაჩემის ადგილზე ახლა ის ყაჩაღი რომ ზის და წლობით ნაშენებ და ნალოლიავებ მის საქმეს ერთი ხელის მოსმით უპირებს დანგრევას...

— ასე ადვილად ვერ დაანგრევს... — თვალები აუწყლიანდა თამარს.

— გეგონოს!.. იცი, უკვე რამდენი პროფესიონალი გაუშვა საავადმყოფოდან?! მარტო მამა-შვილი ალხაზიშვილები რად ღირდა?!

— არჩვაძის გაშვებასაც ხომ არ აპირებს? — შეწუხდა თამარი.

— არა, არჩვაძის წასვლა ჯერ, ეტყობა, არ აწყობს: ყველაზე რთულ ოპერაციებს ხომ სწორედ ის აკეთებს და საავადმყოფოში კარგი ფულიც შემოაქვს. ჩხიკვიშვილი კი ფულის გიჟია...

— მოიცა! — გააწყვეტინა უცბად შვილს თამარმა. — რა დროს ჩხიკვიშვილია?!. ეს რა გაქვს? — ლანას ლოყაზე ნაკაწრი ახლაღა შენიშნა მან.

— ისეთი არაფერი... — სახეზე სასწრაფოდ საბანი წაიფარა ლანამ.

— ასეთი?.. — საბანი ძალით ჩამოაწევინა თამარმა. — ლანა, შვილო, რა დაგემართა? ხომ არაფერს მიმალავ?

— კარგი, რა, დედა, რას უნდა გიმალავდე?!. — თავი ისევ საბანში ჩარგო ლანამ. — ის ჩემი ყოფილი ავადმყოფი იტალიურ ეზოში ცხოვრობს... სიბნელეში ვიწრო კიბეზე ავდიოდი, ფეხი დამიცდა და კედელს მივენარცხე.

— კარგი, დაიძინე... — ამოიოხრა თამარმა. — დანარჩენზე ხვალ ვილაპარაკოთ.

***

მეორე დილით, ლანას, ძმისა და რძლის ყვირილი ჩაესმა ძილში.

— არ მაინტერესებს! — უკიოდა მაკა ქმარს. — როგორც გინდა, ისე უთხარი, რომ ბავშვის საჭმელს ხელს ნუ ახლებს, თორემ, არ ვიცი, რას ვიზამ!

— რა ხდება? რა აკივლებს შენს რძალს? — ჰკითხა უცბად გამოფხიზლებულმა ლანამ ოთახში დატუქსული ბავშვივით შემოძურწულ დედას.

— რა და ჭირი მაგას და მაგის გამზრდელს! — ხმა აუკანკალდა თამარს. — დილიდან ეჩხუბება რეზიკოს — მაცივარში ბავშვისთვის ნატურალური კარაქი მქონდა შენახული, ეტყობა, დედაშენმა შეჭამა და უთხარი, ამის გაკეთება მეორედ აღარ გაბედოსო... გესმის, შვილო, რა სისულელეს მაბრალებს?! ბავშვს კარაქს როგორ შევუჭამდი?!.

— რაოო?!. — ფეხზე გიჟივით წამოხტა ლანა. — მე მაგას ვუჩვენებ კარაქის შეჭმას!

— შენ მაინც ნუღარ გამაგიჟებ! — კარში ჩადგა თამარი. — გინდა, მაგაზე უარესი გამოჩნდე?

— კარგი, — დაეთანხმა ლანა, — მაკას ხმას არ გავცემ, უბრალოდ, ჩემს დონდლო ძმას მინდა, თვალებში ჩავხედო...

— არც იფიქრო! — კარი გადაკეტა თამარმა და გასაღები ხალათის ჯიბეში ჩაიდო. — გინდათ, საბოლოოდ მომჭრათ თავი?!

— მაშინ გაჩუმდი და შენი წუწუნი აღარ გავიგონო! — ლოგინზე მოწყვეტით დაჯდა ლანა. — ისე, ახია შენზე! კიდევ ეფერე და ფეხქვეშ გაეგე და დღეს რომ კარაქის ქურდი გაგხადა, ხვალ პურის ლუკმებსაც დაგითვლის, ზეგ კი კარზე მიგითითებს...

— ჯერ მაგის მისათითებელი არაფერი მჭირს!.. — აკანკალებული ხელით მოიწმინდა თამარმა ცრემლი. — ჩემმა ქმარმა საკმაო ქონება დამიტოვა საიმისოდ, რომ სხვის დასამადლებლად არ გამიხდეს საქმე... ისე, წასვლით მართლა წავიდოდი სოფელში, დედაჩემთან. მაგრამ მეზობლები რას იტყვიან?..

— დედა! — გააწყვეტინა ლანამ. — აღარ მოგბეზრდა სხვების ჭკუაზე სიარული?! ეს რას იტყვის, ის რას იფიქრებს?!. ვეღარ გაიგე, რომ არავის ვედარდებით და მხოლოდ სეირის ყურება უნდათ?!

— მერე?.. სეირს სეირი დავუმატოთ?..

— მორჩა! აღარ მინდა შენი მოსმენა! რაც გინდა, ის გააკეთე!

— ნეტავ, მე რაღა მაქვს გასაკეთებელი?!. — ამოიოხრა თამარმა. — მე ჩემი დრო უკვე მოვჭამე. ცოტაც და კუკიაზე, მამაშენის გვერდით დავიდებ სამუდამო ბინას. მაგრამ შენი დარდი იქაც არ მომასვენებს. შეიძლება, ოცდაშვიდი წლის ქალს არც ქმარი ჰყავდეს და არც შვილი?!.

— ისევ დაიწყე?! — თავი ხელებში ჩარგო ლანამ. — იმის მაინც არ გეშინია, სიძეც რძალივითი უაზრო და უხეირო რომ შეგხვდეს?

— მე იმის უფრო მეშინია, რომ საერთოდ არავინ შემხვდება და შინ გამომიბერდები...

— შეიძლება, ასეც მოხდეს! — „დაამშვიდა“ ლანამ თამარი. — აბა, ძალად ხომ ვერავის ჩამოვეკიდები კისერზე?..

ის იყო, თამარმა შვილის საპასუხოდ კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, რომ ტუმბოზე ლანას მობილური აწკრიალდა.

— მიდი, მიდი, აიღე! — გაგულისდა თამარი. — ეტყობა, კიდევ რომელიღაც შენს ყოფილ პაციენტს გაეხსნა ჭრილობა და გაიქეცი, შეუხვიე!..

— დღეს არსად მეჩქარება, — ტელეფონი დინჯად აიღო ლანამ, — ცოტა კიდევ უნდა წავუძინო — თუ, რა თქმა უნდა, შენი შვილი და რძალი დამრთავენ ნებას...

— იმათი ნებართვის გარეშე ნაბიჯს არ დგამ, ხომ იცი.. — მაინც გამოესარჩლა ვაჟიშვილსა და რძალს თამარი.

— მოიცა, დედა! — ხელის აწევით გააჩუმა თამარი ლანამ და შემდეგ, ყურმილში ჩასძახა: — დიახ, გისმენთ, ბატონო დავით!.. უკვე ჩამოხვედით?.. დიახ... როდის?.. ძალიან კარგი... ზუსტად ათზე საავადმყოფოში ვიქნები.

— წეღან არ თქვი, არსად მეჩქარებაო?! — როგორც კი მობილური გათიშა, მაშინვე ეცა ლანას თამარი.

— ეგ წეღან იყო, დედიკო! — თამარს წელზე ხელები შემოხვია და ძალით დააატრიალა ლანამ. — ახლა კი, ძალიან მეჩქარება. არჩვაძე დაბრუნდა მივლინებიდან და ოპერაციაზე დასწრება შემომთავაზა!..

— შენ და შენი არჩვაძე... — ამოიოხრა თამარმა. — ცოტა ახალგაზრდა და უცოლო მაინც იყოს, ყველა პრობლემას ერთად მოგიგვარებდა.

— დედა, ნუ მკრეხელობ! — სარკის წინ თმის გულმოდგინედ ვარცხნას მოჰყვა ლანა. — ბატონი დავითი მხოლოდ ჩემი უფროსი მეგობარი და მასწავლებელია.

— მეც სწორედ ეგ მაწუხებს, შვილო, რომ მეგობრებსა და მასწავლებლებს ვერაფრით გასცდი... — ხელი ჩაიქნია თამარმა და ოთახიდან უკანმოუხედავად გავიდა...

***

საავადმყოფოს კიბეზე სირბილით ამავალ ლანას, კიბის თავში საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ამირან ჩხიკვიშვილი დახვდა.

— გამარჯობათ, ბატონო ამირან, — მიესალმა ლანა და გზა განაგრძო.

— ერთი წუთით! — შეაჩერა ის ამირანმა.

— დიახ, გისმენთ.

— ლოყაზე რა დაგემართათ?

— რომელ ლოყაზე? — უცბად ვერ მიუხვდა ლანა.

— აი, ამაზე, — არაბუნებრივად გრძელი საჩვენებელი თითი კინაღამ ნატკენ ლოყაზე ატაკა ამირანმა ქალს.

— აჰ, ამაზე მეკითხებით?.. — ინსტინქტურად განზე გაიწია ლანამ. — არაფერი განსაკუთრებული... სადარბაზოს კიბეზე შემთხვევით ფეხი ამიცდა...

— კარგად გადარჩენილხართ...

— დიახ, ნამდვილად...

— ეს ცხოვრება საერთოდ, ერთი გრძელი კიბეა, ქალბატონო ლანა... — თვალები ბოროტად მოწკურა ამირანმა. — ზოგი ადის, ზოგი ჩადის, ზოგიც ერთ ადგილზე იყინება. ასე არ არის?

— ძნელია, არ დაგეთანხმოთ, ბატონო ამირან, — თვალი თვალში გაუყარა ლანამ მამაკაცს.

— ოპერაციაზე მიგეჩქარებათ? — ქალს თვალი მოაცილა და სადღაც უმისამართოდ გაიხედა ამირანმა.

— დიახ. ბატონმა დავითმა დამიბარა.

— მაშინ ორივეს წარმატებას გისურვებთ... — ქედმაღლურად დაუკრა ლანას თავი მთავარმა ექიმმა და ფრთხილი, მოზომილი ნაბიჯებით დაუყვა კიბეს...

გაგრძელება იქნება

მათი სახლის კედლები ნაცრისფერია — ჭერიც, იატაკიც და კედლებიც ბეტონისაა. ოთახში, რომელიც მისაღებსაც წარმოადგენს, საძინებელსაც და სამზარეულოსაც, რამდენიმე სკამი, სიძველისგან მორყეული კარადა, ორი რკინის და ორიც — ხის საწოლი დგას. ფიცრებისგან შეკრული მაგიდა, რომელიც ტელევიზორის მაგიდის ფუნქციასაც ასრულებს, შუაში დაუდგამთ. ოთახის ერთ კუთხეში გაზის პატარა ქურისთვის მიუჩენიათ ადგილი. მაცივარი არ აქვთ, არც სამზარეულოს კარადა პროდუქტის შესანახად — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახლში კერძს იშვიათად ამზადებენ... ოთახში რამდენიმე ვედრო და ტაშტი დგას: მობინადრეებს თავზე აწვიმთ და ათოვთ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით... ოთახიდან გახვალთ თუ არა, ხელმარჯვნივ, ერთ კუთხეში, ცელოფანი ჩამოუფარებიათ — მის იქით საპირფარეშოა, რომელსაც არც ფანჯრები აქვს და არც კარი... არ გეგონოთ, რაიმე „შავი“ ზღაპრის გმირების საცხოვრებელს აღვწერ — ეს ყოველივე თბილისში, ვაშლივჯვრის დასახლებაში, ყოფილი გეოფიზიკის ლაბორატორიის შენობაში ვიხილე...

ჩემი რესპონდენტები, სოლომონ დოდაშვილის შთამომავლები — თამარ და მარინე დოდაშვილები არიან. საუბრისას, ორივეს ეტირებოდა, მაგრამ ცდილობდნენ, უცხო ადამიანს მათ თვალებზე ცრემლები არ შეენიშნა.

„ჩვენი ცხოვრება ერსებოზისთვის ბრძოლა“...

ნინო ჯავახიშვილი

ძ-ნი თამარი:

— ადრე, როდესაც კარგად ვიყავი, ვიტყოდი ხოლმე — ხომ თავი უნდა მომეკლა, ქართველად რომ არ დავბადებულიყავიმეთქი. ახლა კი, აღარ ვიცი, ჩემი დარდითა და ვარამით როგორ ვიცხოვრო, ვის რა შევჩივლო, ჩემი წარმომავლობის გამო სიამაყის გრძნობაც კი აღარ მაქვს... დღეს ყველა გაჭირვებულია, ქალბატონო, — მეუბნებიან ხოლმე. მე უკვე მკვდარი ვარ, გაჭირვებული კი არა. გაჭირვებული ჯერ კიდევ 70-იან წლებში ვიყავი, როდესაც სოფლელმა გოგომ, ციმბირში წასვლა გადავწყვიტე. ზოგი კი სიამაყით იხსენებს — რას ამბობ, ჩვენ მაგ წლებში ლუდის დასალევად რუსეთში დავდიოდითო!.. ჩვენი ოჯახი მამაჩემის 120-მანეთიან ხელფასზე ცხოვრობდა: მამაჩემი მექანიზატორი გახლდათ, დედა — დიასახლისი იყო. სწავლაზე ვოცნებობდი, მაგრამ რადგან ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ბინის ქირის გადახდას ვერ შევძლებდი. ამიტომ ბამზე (ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე) წასვლა გადავწყვიტე. 1978 წელს გავემგზავრე. ტინდის ოლქში მატარებლის შპალებს ვაგებდი... ვინც ბამზე სამუშაოდ მიდიოდა, იმათ ბინებს აძლევდნენ, მაგრამ მე ამაშიც არ გამიმართლა — ბინა დღემდე არ მაქვს და ჩემს სახლში სიკვდილსაც ალბათ, ვერ ველირსები... როდესაც იქიდან ჩამოვედი, ბინა იმ მიზეზით არ მომცეს, რომ თბილისში ჩაწერილი არ ვიყავი. თბილისში ჩაწერილი თუ ვიქნებოდი და ბინაც მექნებოდა, ციმბირში რატომღა წავიდოდი, სიცოცხლეს რისთვისღა გავწირავდი?!. იქ ასთმით დავვაადდი. თავიდან, არ ვუმკურნალებდი ოჯახის წევრებს, მანამდე, ვიდრე ლოგინს არ მივეჯაჭვე... სანამ დედაჩემს შეეძლო, მზესუმზირას ყიდდა და იმით ვსულდგმულობდით. ასეთმა გამირთულდა ე.წ. „იცენკო კუშინგის“ სინდრომით, რაც იშვიათი დაავადებაა. ხომ ხედავთ, ხელები და ფეხები რა პატარა მაქვს; ტანზე კი უზომოდ გავსივდი, სხეულის ფორმა შემეცვალა... მთელი ეს წლები საავადმყოფოებში ვცხოვრობდი — ხან ავადმყოფობის და ხანაც — უბინაობის გამო. ბოლოს ამ გაუბედურებულ, გადამწვარ შენობას შევაფარე თავი დასთან, სიძესა და ორ დისშვილთან ერთად. თვითონაც ხედავთ, აქ ცხოვრების როგორი პირობებია — არაადამიანური. მაგრამ 9 წელია, გეოფიზიკის ლაბორატორიის ყოფილი დირექტორი ამ შენობაზე დაობს და სასამართლოში დაგვარბენინებს. არადა, მის მიერვეა გაძარცული და გაუბედურებული ეს შენობა. აქ აფხ-

ჩვენი ცხოვრება, არსებობისთვის ბრძოლაა. იობი 7 წელი ეწამა და ამას დასასრული ჰქონდა, ჩვენს ტანჯვას დასასრულიც არ უჩანს...

აზეთიდან ლტოლვილი ორი ოჯახი ცხოვრობს, დანარჩენები — გაჭირვებული ხალხია, ისეთი, ვისაც წასავლელი არსად აქვს. ადრე, 2 ოთახი გვქონდა, მაგრამ ერთ-ერთში სხვა ოჯახი შესახლდა: — რა უფლებაც თქვენ გაქვთ, იგივე გვაქვს ჩვენცო, — გვითხრეს. ოთახებს შორის კარიც კი არ არის — პირდაპირ გამონგრეულია კედელი. რადგან ამ შენობაზე დავა არ გადაწყვეტილა და ჯერჯერობით არავის ეკუთვნის, ამიტომ ელექტროენერგიას ვიპარავთ — ასე გამოდის. აბა, რა ვქნათ, ხომ არ დავიხოცებით?! ზაფხულში კიდევ გასაძლებია, მაგრამ ზამთარში აქ ყოფნა საშინელებაა. ვის არ ვთხოვეთ, ვინ არ შევაწუხეთ, ვინ არ ნახა ეს შენობა — თბილისის ძველმა მერმა, გივი თარგამაძემ (მაშინ, როდესაც დეპუტატობის კანდიდატი იყო), მაგრამ არაფერი შეცვლილა...

ქ-ნი მარინე:

— საუბედურო, მეც ასთმიანი ვარ. ორივეს ძვირად ღირებული წამლები გვჭირდება. კიდევ კარგი, წამლებით 2 ცნობილი ფირმა გვამარაგებს, რისთვისაც მათი მადლიერები ვართ... მთაწმინდაზე მე და ჩემს მეუღლეს პატარა სახლი გვქონდა, უფრო სარდაფი ეთქმოდა. იქ დავსნეულდი ასთმით. მეუბნებოდნენ, ბავშვები გაარიდე აქაურობას, ჰაერი და მზე არსაიდან შემოდისო. თამარიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა. შემეშინდა, ბავშვებიც არ დაავადებულიყვნენ და ქირით გადავედით. სწორედ მაშინ გადაწყვიტა თამარმა ბამზე წასვლა. ყოველთვის თქვენთან ხომ ვერ ვიცხოვრებ, ჩემი კუთხე ხომ უნდა მქონდესო! — ამბობდა... ორი ქალიშვილი მყავს და ორი შვილიშვილი. ჩემი შვილები კარგად სწავლობდნენ, მაგრამ მხოლოდ ორი კურსის დახურვა მოახერხეს, მერე მუშაობა დაიწყეს — იქნებ, რამით დაგეხმაროთო. თანაც, დედაჩვენი ასაკოვანია, ლოგინად არის ჩავარდნილი და რადგან მე ორივეს (დედას და დას) ვერ მოვუვლიდი, მათთან არის. პროფესიით პოლიტეკონომისტი ვარ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კათედრაზე დამტოვეს, მაგრამ არც სწავლა-განათლება წამადგა რამეში და არც ჩემი წარმომავლობა. ჩემი ქმარი 60 წლისაა, თვალისჩინი დააკლდა, მაგრამ რა ქნას — წვრილმანებით ვაჭრობს, რომ ცოტა ფული მაინც იშოვოს. კიდევ კარგი, რომ შეგვიძლია, უფასო სასადილოდან ყოველდღე სადილი მოვიტანოთ. მაგრამ ზოგჯერ, იქ წასვლას ვერც ვახერხებ, ისე ცუდად ვარ. თანაც, რასაც მოვიტანთ, მაშინვე თუ არ შევჭამთ, მერე მჟავდება — მაცივარი არ გვაქვს. იცით, ყოველდღიური არსებობისთვის ვიბრძვით, რაც სიტყვებით ძნელი აღსაწერია. მეცოდებიან ჩემი შვილები: ისინი ფსიქოლოგიურად დათრგუნვილები არიან — როგორია, 3 ავადმყოფი ადამიანის ყურება!..

— თქვენი შვილები ამჟამად სად ცხოვრობენ?

— ადრე ერთად ვცხოვრობდით ყველანი ამ ოთახებში. მიწისძვრის დროს, მთაწმინდაზე ჩვენი საცხოვრებელი დაინგრა და ახლა, როგორც მიწისძვრით დაზარალებულები, დროებით თავშესაფარში არიან. ჩემი სიძე დუშეთის რაიონიდან არის და ზოგჯერ ისიც გვეხმარება პროდუქტებით.

— ქალბატონო თამარ, სოლომონ დოდაშვილის შთამომავლებში, მერამდენე თაობას ეკუთვნით და მამაპაპისეული სახლი სად გაქვთ? თავად დოდაშვილი ხომ წარმოშობით სიღნაღის მაზრიდან იყო...

— სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი სიღნაღის რაიონში, სოფელ მაღაროში დაიბადა. წარმომავლობით გლეხთა წოდებას ეკუთვნოდა. მისი მამა — ივანე იოსების ძე, მღვდელი ყოფილა. მამაჩემს იოსები ერქვა, ივანეს ძე გახლდათ. ეს ორი სახელი ჩვენს შტოში მეორდება. ჩვენ მეექვსე თაობა ვართ. მთელი ბავშვობა სოფელში გავატარეთ. ახლა უკვე აღარ ვიცი, რა მდგომარეობაშია ჩვენი ძველი სახლი. ადრე მითხრეს, კიბე შენობას მოსწყდაო. რამდენჯერ შევთავაზე რაიონის გამგეობას, სახლში მუზეუმი მოვაწყოთ-მეთქი, მაგრამ სიღნაღი არ უსმენს სოლომონ დოდაშვილის შთამომავლობას... სხვათა შორის, ბევრჯერ უთქვამთ ჩვენზე — დოდაშვილის შთამომავლობას იბრალებენ, სინამდვილეში, ისე გარდაიცვალა, შვილებიც არ დარჩენიაო... ვერ გამიგია, რატომ უნდა დავიბრალო, რა მომიტანა ჩემმა წარმომავლობამ? არაფერი... ვისაც აინტერესებს, შეუძლია, მისი ბიოგრაფია წაიკითხოს და გაიგებს — როდესაც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის სოლომონი ვიატკაში გადაასახლეს, მას თან გაჰყვა მეუღლე — ელენე კობიაშვილი, ორ ვაჟთან ერთად. მესამე შვილი — ანა გადასახლებაში შეეძინათ და მალევე გარდაიცვალა. სოლომონი ტუბერკულოზით დაავადდა და 31 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიკვდილიდან ერთ წელიწადში, მოვიდა მეფის განკარგულება ხერსონის გუბერნიაში დოდაშვილის გადაყვანის შესახებ: ვიატკაში ცხოვრების მძიმე და რთულ პირობებს ვერ უძლებდა და სხვაგან გადაყვანას ითხოვდა. ასეა — ალბათ, მეც სიკვდილის შემდეგ გამომიყოფენ ბინას...

— რაიმე საგვარეულო ნივთები თუ გაქვთ შემორჩენილი?

— მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, ხშირად ჩამოდიოდნენ მუზეუმის თანამშრომლები და რაღაც ნივთები მიჰქონდათ. ბებიაჩემის დროს, 3 ნივთი — ხალიჩა, ლამპა და ქვევრის თავსახური, რომელზეც სოლომონის ხელით იყო დაწერილი მისი ძმის სახელი იესე, — წაუღიათ. თურმე, ბებიაჩემის მეზობელ ქალს სოლომონის ხელნაწერებით გაუხურებია თონე — უკითხავად აუღია ფურცლები, ვერ მიხვდა, რა იყო... პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა, რომელიც იკვლევდა დოდაშვილის შემოქმედებას, წლების წინ გადმომცა მასალები მისი მოღვაწეობის შესახებ. მაგრამ ზოგი ჭერიდან ჩამოსულმა წყალმა დაალპო, ზოგი კი, სახლში შემოვარდნილმა და შემოხიზნულმა ხალხმა დახია...

— საუბრისას მითხარით, რომ სოფელში თქვენი ბიძაშვილები ახლაც ცხოვრობენ. ნათესავები არ გეხმარებიან?

ქ-ნი მარინე:

— ჩვენ დახმარებას ვერავის ვთხოვთ, თვითონ თუ გამოთქვამს ვინმე ამის სურვილს და დაგეხმარება, ამისთვის ყველას უდიდეს მადლობას შევწირავთ. სხვა არაფერი შეგვიძლია, უმწეონი ვართ...

ქ-ნი თამარი:

— ჩვენი ცხოვრება, არსებობისთვის ბრძოლაა. იობი 7 წელი ეწამა და ამას დასასრული ჰქონდა, ჩვენს ტანჯვას დასასრულიც არ უჩანს... 22 წლისას შემერყა ჯანმრთელობა და ბუნებრივია, ოჯახი ვერ შევქმენი. ზოგჯერ ძველი მეგობრებიც ველარ მცნობენ. ერთხელ, მეგობარი ქალი მოვიდა და მითხრა — თამრიკოს ნახვა მინდაო, — თან პირდაპირ თვალებში მიყურებდა. — მე ვარ-მეთქი, — რომ ვუთხარი, არ დამიჯერა... ყოველთვის იმაზე ვფიქრობდი, როგორ მიმეღწია მიზნისთვის — მქონოდა ბინა და იმის პირობები, რომ მესწავლა. ვფიქრობდი, რა მეღონა, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი მისცემოდა. მიუხედავად ჩემი უდიდესი მონდომებისა, მაინც არაფერი გამომივიდა... მთელი სიცოცხლე ვებრძოდი ჩემს თავს, წარმომავლობას, ქალურ სისუსტეებს და საკუთარ თავზე ყოველთვის ვიმარჯვებდი. ზოგჯერ კი, წამომცდება ხოლმე განგებისა და ღმერთს საყვედური ჩემი ბედისწერის გამო... ■

ოთახის ერთ კუთხეში გაზის პაგარა ქურისთვის მიუჩენიათ ადგილი. მაცივარი არ აქვთ, არც სამზარეულოს კარადა პროდუქტის შესანახად – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახლში კერძს იშვიათად ამზადებენ...

Fiat ჯანონებს ახლევს...

მალე იტალიური კონცერნი კომპაქტური მოდელის — Grande Punto-ს წარმოებას დაიწყებს. ეს მოდელიც ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე იქნა წარმოდგენილი და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, კომპაქტურ კლასში „ბომბის აფეთქების“ ეფექტს მოახდენს. სიგრძით (4,03 მ) ის თავის კონკურენტებზე — Volkswagen Polo, Opel Corsa, Ford Fiesta — გაცილებით დიდია. ამჟამინდელ Punto-სთან შედარებით, ის 19 სმ-ით გრძელია, საბორბლე ბაზა კი — 5 სმ-ით დიდი აქვს და 2,51 მ-ს აღწევს. რაც შეეხება სიგანესა (1,68 მ) და სიმაღლეს (1,49 მ) — ამ მხრივ ცვლილებები უმნიშვნელოა.

ახალი მანქანის დიზაინი იტალიურ ატელიეში — Italdesign-შია შემუშავებული. ცხვირი Maserati-ს სტილშია გადაწყვეტილი, ვერტიკალური უკანა მაშუქები, რომლებიც დგარებშია მოთავსებული, Ford Focus-ს მოგვაგონებს. ტექნიკური პლატფორმა „ფიატისა“ და „ჯენერალ მოტორსის“ სპეციალისტთა ერთობლივი შრომის ნაყოფს წარმოადგენს. 2006 წელს, ამავე ბაზაზე აიწყობა Opel Corsa. რაც შეეხება Grande Punto-ს რეალიზაციას — ის ევროპაში უკვე მიმდინარე თვის დამლევს აიღებს სტარტს. მანქანა სულ 6 ტიპის ძრავათი იქნება აღჭურვილი. მათგან ორი — ბენზინისაა, ოთხი კი — დიზელის. სიმძლავრე 65-სა და 130 ცხ.ძ-ს შორის მერყეობს. გარკვეულ ხანში, ახალ მოდელს, Punto-ს წინამორბედ ვერსიასთან ერთდროულად გამოუშვებენ. ■

ავსტრიული ჩაჯეტა

მოტოციკლეტი — KTM Superduke — მოწინავე ორბორბლიანი მანქანების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი. მოტოციკლეტი, რომელსაც ავსტრიაში აწარმოებენ, 2-ცილინდრიანი, 120 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი წონა სულ 199 კგ-ია, იოლად მივხვდებით, რომ ეს მანქანა ძალზე „ფეთქებადსაშიშია“.

KTM Superduke-ის მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ს შეადგენს, ყოველ 100 კმ გარბენზე ის 7-8 ლ საწვავს ხარჯავს. ავზის მოცულობა 15 ლ-ია, ამიტომ შორ მანძილზე მგზავრობისას, მის მფლობელს ხშირად მოუწევს ავტოგასამართ სადგურთან გაჩერება. დაბოლოს — ახალი მოტოციკლეტის ფასი: ორბორბლიან მანქანაზე ქროლის მოყვარულს ის მცირე კლასის ავტომობილის ოდენი თანხა — 11.790 ევრო დაუჯდება. ■

Black Magic მსოფლიო ბაზარზე გახლევას აპირებს

Voxan — მოტოციკლების მწარმოებელი ერთადერთია ფრანგული ფირმაა. წლების წინ, ორთვლიან მანქანებს ამ ქვეყანაში რამდენიმე ათეული კომპანია აწარმოებდა, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე მკაცრი კონკურენციისა და მოტოციკლებზე მოთხოვნის შემცირების გამო, ფრანგებმა პრაქტიკულად, განზე გადგომა ამჯობინეს. ერთხანს, Voxan-იც გაკოტრების ზღვარზე იმყოფებოდა, მაგრამ ის პატივმოყვარე მეწარმემ, დიდიე კაზომ შეიძინა და საქმეც აეწყო. დღეს ფირმა დიდი შემართებით იბრძვის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად და ამ მიზნის მიღწევაში მას ახალმა მოდელმაც — Black Magic უნდა შეუწყოს ხელი.

ახალი მოტოციკლეტის დიზაინი კლასიკურ სტილშია შესრულებული, რომელსაც სახელგანთქმული ამერიკული მარკა — Harley-Davidson მისდევს. მისი ფრანგული „თანამოძმე“ 95 ცხ.ძ. სიმძლავრის 2-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი. ის კომპანია „რენოს“ ინჟინრებმა 90-იან წლებში შეიმუშავეს და მოგვიანებით სრულყვეს. აღსანიშნავია, რომ აგრეგატს ხელით აწყობენ. Black Magic 14.999 ევრო ღირს. ■

Peugeot-ის ახალი ჯუპე

ფრანგული კომპანია ახალი კუპეს — Peugeot 407 Coupe-ს გამოსაშვებად ემზადება. მისი წინამორბედის — 406-ისგან განსხვავებით, რომელიც იტალიურ ფირმა „პინინფარინასთან“ ერთად შეიქმნა, 407-ე ფრანგულ კომპანიაში იშვა. ამ მანქანის პარამეტრები ასეთია: სიგრძე — 4,82, სიგანე — 1,87, სიმაღლე — 1,40, საბორბლე ბაზა — 2,72 მ. კუპეს ცხვირი იმავე სტილშია შესრულებული, რომლითაც სედანი და უნივერსალი გამოირჩევა — რადიატორის ცხაური მას აგრესიულ იერს ანიჭებს და მნახველს ზვიგენის ხახას მოაგონებს. მანქანის საბარგულის მოცულობა 400 ლ-ს შეადგენს. უკანა სავარძელი ორადაა გაყოფილი და იკეცება, რაც სალონში გრძელი საგნების — მაგალითად, თხილამურების მოთავსების საშუალებას იძლევა. ხელსაწყოთა პანელი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება 407-ე სედანის პანელისაგან, ხოლო სავარძლები სპორტულია.

თავდაპირველად, Peugeot 407 Coupe სამნაირი ძრავათი იქნება აღჭურვილი, ესენია: 2,3 ლ მოცულობის (163 ცხ.ძ. სიმძლავრის) ოთხცილინდრიანი, 3 ლ მოცულობის (211 ცხ.ძ.) ექვსცილინდრიანი ბენზინის და 2,7 ლ მოცულობის (204 ცხ.ძ.) დიზელის აგრეგატები. 2,3-ლიტრიანი ძრავათი აღჭურვილი ახალი „პეჟოს“ მაქსიმალური სიჩქარე 222 კმ/სთ-ია, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი 9,2 წმ-ში განავითარებს. 6-ცილინდრიან აგრეგატს გაცილებით უკეთესი მონაცემები აქვს: 243 კმ/სთ და 8,4 წმ. რაც შეეხება დიზელს — მაქსიმალური სიჩქარე 230 კმ/სთ აქვს, 100 კმ/სთ-ს კი 8,5 წმ-ში განავითარებს. საბაზო კომპლექტაციაში Peugeot 407-ს უსაფრთხოების 7 ბალიში, ბორტ-კომპიუტერი, კლიმატ-კონტროლი და აუდიოსისტემა ექნება. მისი ოფიციალური პრემიერა ამასწინანდელ ფრანკფურტის ავტოსალონზე გაიმართა. ■



„ფეთი" ლია ცის ქვეშ, ფასდაკლებით „ძეძერილი" პოიზეზი და ფეიერვერკი

ეკა მინდაძე

ისევე, როგორც ადრე, ყველა ლამის ვალდებულად მიიჩნევდა თავს, ქართული შოუბიზნესი გაექოლიკებინა, ბოლო დროს სულ იმას ლაპარაკობენ — შოუბიზნესი ჩაკვდა, აღარაფერი ხდებაო... ჩამკვდარი ცხოვრება ამ რამდენიმე დღის წინ, პრომოუტერ **ვანიკო თარხნიშვილის** ინიციატივით გამოცოცხლდა. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ცნობილი სახეები ჯერ ერეკლე მეორის მოედანზე მიიწვიეს, სადაც კიდევ ერთი რესტორანი გაიხსნა. მის პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს ხვდებოდნენ კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრის მსახიობები, რომლებსაც ორიგინალური ნიღბები აეფარებინათ სახეებზე. „ფართის" წამყვანმა, ვანიკო თარხნიშვილმა, რომელსაც ჩანაფიქრი ნაწილობრივ წვიმამ შეაცვლევინა, ძალღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ ხალხს ერთი წამითაც არ მოეწყინა. მან სახელდახელო ვიქტორინაც მოაწყო, რამდენიმე პრიზიც (40%-იანი ფასდაკლებით, ბარათის სახით) გადასცა სტუმრებს სწორი პასუხის გაცემისთვის. ერთ-ერთი ჯილდოს მფლობელი კახა მამულაშვილი (მამულიჩა) გახდა... მშვენიერი საღამო ულამაზესი ფეიერვერკით დაგვირგვინდა.

ვანიკო თარხნიშვილი მოგვევლინა წამყვან ფიგურად „ფეშენ ბარში" გამართულ კოლექციის პრეზენტაციაზეც, რომელიც მაღაზია „დავითმა" წარმოადგინა.

— ვანიკო, თავს როგორ გრძნობ?

— მშვენივრად.

— ხომ არ დაიღალე?

— არა, რას ამბობ?! პირიქით — სასიამოვნო ემოციებით ვარ სავსე. მიხარია, რომ პირველად ამ ბარში მოხდა „დავითის" კოლექციების ჩვენება. საქართველოში ბოლო პერიოდში, მართლაც გაიჭედა მოდის ბიზნესი, მაგრამ მე, როგორც ბუნებით ოპტიმისტ ადამიანს, მჯერა, რომ „ფეშენ ბარი" გამოაცოცხლებს მოდის ბიზნესს. მართლაც საოცარი კოლექცია იყო წარმოდგენილი. ეს მაღაზია ადრე, ძირითადად, მამაკაცის ტანსაცმელზე იყო ორიენტირებული. დღეიდან კი, ქალის პროდუქციაზეც გადავიდა. აქ ნაჩვენები იყო „ფეროს", „ვალენტინოს", „უნგაროს", „სონია რიკელის", „ლაგერფელდის", „პერლასა" და სხვა ცნობილი ფირმების კოლექციები. ქართველების გარდა, კოლექციები წარმოადგინეს უკრაინელმა მოდელებმა. სხვათა შორის, ჩვენებაზე გამოვიდა ბრიტანეთის ელჩის ვაჟიც.

— უახლოესი მომავლისთვის რა გეგმები გაქვს?

— ვმუშაობ უცხოურ პროექტებზე. ოქტომბრის ბოლოს, საზღვარგარეთ საქმიანი ვიზიტი მაქვს დაგეგმილი. ამ დღეებში კი, თბილისობაში ჩაბმას ვაპირებ, მაგრამ როგორ და რანაირად, ჯერ არ ვიცი.

— ხომ არ გეგმავ რომელიმე უცხოური ჯგუფის ან მომღერლის ჩამოყვანას?

— არა. გული მიგრძნობს, მე უფრო საწნახელზე ვიქნები კონცენტრირებული *(იცინის)*... ■

შოუბიზნესის ჩამკვდარი ცხოვრება ამ რამდენიმე დღის წინ გამოცოცხლდა...

ვანიკო თარხნიშვილი მოგვევლინა წამყვან ფიგურად

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(20 - 26 ოქტომბერი)

ვერძი — 21/III-20/IV

ამ პერიოდში უფროსობა თქვენდამი მაინცდამაინც კეთილგანწყობილი არ იქნება. არაკეთილმოსურნეთა მხრიდან კი შესაძლოა, გარკვეულ ინტრიგებსაც ჰქონდეს ადგილი. უსიამოვნო ამბები და მოულოდნელი გასავალი კი წონასწორობას დაგაკარგვინებთ. ასე რომ, წინდახედულად იმოქმედეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და ქალწულთან, ნეგატიური — მარჩბივსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 21, 23, 24. **ნეგატიური დღეები**: 20, 25.

კურო — 21/IV-21/V

გირჩევთ, ამ პერიოდში სერიოზული გადაწყვეტილებები არ მიიღოთ, ეს განსაკუთრებით შაბათ-კვირას ეხება, ვინაიდან ამ დროს ჩანაფიქრის განხორციელება უბრალოდ გაგიჭირდებათ (შეეცადეთ, გეგმების მატერიალიზება მომავლისათვის გადადოთ, როდესაც თქვენთვის შედარებით ნაყოფიერი პერიოდი დაიწყება). ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — მარჩბივსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 20, 21, 24. **ნეგატიური დღეები**: 22, 26.

მარჩბიები — 22/V-21/VI

საკუთარი ახალი იდეების ხორცშესხმას ყველანაირად შეეცადეთ; ამავდროულად იფიქრეთ ძველი საქმეების დასრულებაზეც. შეგიძლიათ საკუთარ ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებებიც კი განახორციელოთ. შეეცადეთ, საკუთარი შესაძლებლობების კონცენტრირებას. მთავარია, ზედმიწევნით მიზანმიმართული იყოთ და დადებითი შედეგიც არ დააყოვნებს. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — ვერძსა და კუროსთან. **პოზიტიური დღეები**: 21, 23, 24. **ნეგატიური დღეები**: 25, 26.

კირჩხიბი — 22/VI-22/VII

წინ სრულიად ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ და იმ საქმის კეთება მოგიწევთ, რომელზეც ადრე არასდროს გიფიქრიათ. თქვენი მფარველები და კეთილისმსურველები მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევენ როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად; ოღონდ ამას უფრო ფარული სახე ექნება, რაც თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — ლომსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები**: 20, 22, 23. **ნეგატიური დღეები**: 24, 25.

ლომი — 23/VII-23/VIII

თუ ამ პერიოდში ხასიათის ისეთ ნიშანშტრიხებს გამოიყენებთ, როგორიცაა ტაქტის გრძნობა და დიპლომატია, მაშინ დიდი ალბათობა იქნება იმისა, რომ დადებით შედეგს მიაღწიოთ. ადვილად მოახერხებთ ყველა იმ საკითხის გადაჭრას, რომელიც დაკავშირებული იქნება დოკუმენტაციასთან, კერძოდ კი, იურისპრუდენციასთან და კრედიტებთან. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და თევზებთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 21, 25, 26. **ნეგატიური დღეები**: 22, 24.

ქალწული — 24/VIII-23/IX

მიმდინარე პერიოდი მრავალ სიახლეს გპირდებათ. არ არის გამორიცხული, სამუშაო ადგილი ან პროფილი შეიცვალოთ, ეს კი მომავალში კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებაში დაგეხმარებათ. ცხადია, ეს ყოველივე დადებითად აისახება თქვენს სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობაზე. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მერწყულთან, ნეგატიური — ღრიანკალთან და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 21, 23, 26. **ნეგატიური დღეები**: 20, 25.

სასწორი — 24/IX-23/X

შესაძლოა, მოგიწიოთ სარისკო საქმეების კეთებამ და ურთიერთობამ ისეთ ნაცნობებთან, რომლებიც თქვენდამი მაინცდამაინც პოზიტიურად არ იქნებიან განწყობილნი. ეს კი კიდევ უფრო გაამძაფრებს თქვენს ძირითად ნეგატიურ თვისებას — მერყეობას. სტუმრად დაპატიჟების შემთხვევაში გირჩევთ, თავაზიანი უარი თქვათ მიწვევაზე(!). ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და თხის რქასთან. ნეგატიური — კირჩხიბსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 20, 21, 22. **ნეგატიური დღეები**: 23, 25.

ღრიანკალი — 24/X-22/XI

შეეცადეთ, თქვენ მიერ ბოლო პერიოდში განვლილ გზას კრიტიკული თვალით შეხედოთ და პრობლემები რეალურად აღიქვათ; ეს საკუთარი ცხოვრების გარკვეულწილად კორექტირებასა და მომავლის შეცდომების გარეშე დაგეგმარებაში დაგეხმარებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, ილუზიებში აღმოჩნდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — ქალწულსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები**: 20, 24, 26. **ნეგატიური დღეები**: 21, 23.

მშვილდოსანი — 23/XI-21/XII

მოსაწყენ ადამიანებთან ურთიერთობა და რუტინული სამუშაოს კეთება მოგიწევთ, ეს კი თქვენს თავისუფლების სიყვარულსა და მიზანსწრაფვას ერთგვარად შეასუსტებს და ნერვულ სისტემასაც დაგიძაბავთ. ამ სიტუაციას ოდნავ შეარბილებს ახლობელი ადამიანების თანადგომა და დახმარება, რომელიც ძალზე დროული იქნება. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — სასწორსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 23, 24, 25. **ნეგატიური დღეები**: 22, 26.

თხის რქა — 22/XII-20/I

მოულოდნელად შექმნილი არასასიამოვნო სიტუაცია გაბედული მოქმედებისკენ გიბიძგებთ. ამას დაემატება უსიამოვნო ინფორმაციის მიღება, რომელიც უახლოეს ადამიანებთან იქნება დაკავშირებული. ნუ ჩავარდებით პანიკაში, პირიქით, შეეცადეთ, ყველაფერი წინდაწინ კარგად გაისიგრძეგანოთ და ისე იმოქმედოთ. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და თხის რქასთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 22, 24, 25. **ნეგატიური დღეები**: 21. 26.

მერწყული — 21/I-19/II

ამ კვირაში გაიზრდება თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი, რაც პროფესიონალურ ასპარეზზე დადებით იმპულსს მოგცემთ და ურთიერთობების მოწესრიგებაში დაგეხმარებათ. დიდი ალბათობა შეიქმნება იმისა, რომ დამატებითი სამსახურის შოვნა მოახერხოთ, რაც ცხადია, თქვენი ფინანსური მდგომარეობის გამყარებას შეუწყობს ხელს. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და ქალწულთან, ნეგატიური — მშვილდოსანსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები**: 21, 23, 26. **ნეგატიური დღეები**: 20, 22.

თევზები — 20/II-20/III

არ არის გამორიცხული, რომ ვერ შეძლოთ საკუთარი შრომის ნაყოფის დანახვა და მოგეჩვენოთ, რომ ერთ ადგილს ტკეპნით. ამ შეგრძნებას კიდევ უფრო გაგიმძაფრებთ გართულებული ფინანსური მდგომარეობა და ყოფითი პრობლემები. პირველ რიგში შეეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ და კონფლიქტში არავისთან შეხვიდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და ქალწულთან, ნეგატიური — ქალწულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 22, 23, 25. **ნეგატიური დღეები**: 21, 24.

ტყის ქათამი
მარადმწვანე წიწვოვანი ხე
დედალი ჯიხვი
ვისმე გადაჭარბებული ქება-დიდება
სითამამე, გაბედულება
უნაკლო ბრილიანტი
სახელმწიფო აფრიკაში
ჰომეროსის პოემა
ბოსტნეული
ზევსის ფარი
ვული, მინდორი
დიდი შალაშინი
ერთგვარი კანფეტი
თამბაქოს ნაწარმი
ივივეა, რაც გაზი
ძაღლის ჯიში
ძველებური სამეჯლისო ცეკვა
ნივრის აცმა
ხამსა
მიიღო გუდმყრელთა მთავარი სალოცავი
ლრამ ნაწარმები სცენაზე წარმოსადგენად
უბედურება, ვაი-ვაგლახი
სოფი ლორენის ნამდვილი გვარი
ყველაზე უმცროსი შვილი
მძიმე შრომა
მოკლე წერილი
ხის ვარჯი
სრული მონური დამოკიდებულება
თავბრუ
ჰატარა მვალობელი ფრინველი
ქალბატონი გერმანიაში
სიმებიანი ჩუს. საკრავი
ყაიმი
უნგრული ღვინო
სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში
თხელი და რბილი ტყავი
ცხიმოვანი სიმსივნე
პანტომიმის მსახიობი



25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.
36-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა; 4-ბ.

ანეკდოტები

***

ქუთაისი. სიტუაცია ავტობუსში. კაცი:
— ვაიმე, ქალო, ფეხი!..
— რაის ფეხი?
— შენი ფეხი.
— რაის ჩემი ფეხი?
— შენი ფეხი იქინე... ჩემს სასქესო ორგანოზე გიჭერია და ეიღე, სანამ კაი ხასიათზე ვარ!
— რა უნდა მაგ დასაღუპს ძირს?
— სამამულო ომის მონაწილე ვარ და ორივე ფეხი ომში დავკარგე... დროზე ეიღე ფეხი-თქვა!

***



გურიაში გადაწყვიტეს, ედუარდ შევარდნაძეს ძეგლი დაუდგან. აიტანენ ძეგლს მაღლობზე — დაუგორდებათ, ისევ აიტანენ და ისევ დაუგორდებათ. ბოლოს, ერთ-ერთი ამბობს:
— მევიცადოთ პაწა, მაი იმისთანაა, თავისით ავა...

***

— ბიჭო, ჩვენი „რიჟაია“ ავარიაში მოყვა! — ეუბნება ჭიჭიკია ბიჭიკიას.
— ხო არ გადეირიე, სიმონ, ჩვენი „რიჟა“?
— ხო, ბიჭო... სახე ვაფშე დეეჯღანა და დუნდულებიდან გადოუნერგეს ხორცი!
— ა, აგერ მოდის, ბიჭო!
— ბარო, „რიჟა“, რავა ხარ?
„რიჟამ“ ხელი აუწია და დაიძახა: პრუწ!

***

ბიჭი შავი ტანსაცმლით ზის პარკში. მოდის მისი მეგობარი და ეკითხება:
— რა დაგემართა?
— სიდედრი მომიკვდა.
— როგორ?
— ერთი სერვიზი მქონდა, ძვირად ღირებული, გაუვარდა ხელიდან და ფეხზე დაეცა.
— მოკვდა?
— არა. მერე, სკამზე იჯდა, უკან გადაყირავდა და ძაღლს დაეცა, მომიკლა.
— მოკვდა?
— არა. მერე, ფანჯრიდან გადავარდა და ჩემს ახალ მანქანას დაეცა, დამიმტვრია.
— მოკვდა?
— არა, მერე... მე მოვკალი.

***

ქუჩაში:
— სიგარეტი ხომ არ გაქვს, ძამა?
— მარტო 1 ღერი მაქვს.
— მაი აფერი, — მეტი არც მინდა...

***

დედა ეუბნება დებილ შვილს:
— ავთო, ამოდი სახლში!
— ვიქნები, რა, დედიიი!
— ამოდი-მეთქი!
— ვიქნები, რა, დედიი!
— მეზობლები ნუ შემაყრევინე, ამოდი-მეთქი!
— ვიქნები, რა, დედიი!
— კარგი, მამა რომ მოვა, მერე ვილაპარაკოთ!
— ამოვალ, რა, დედიი!

***

ნარკომანები პანაშვიდზე მივიდნენ. ერთ-ერთმა მიცვალებულს დაატირა:
— ბიძია ლევან, თქვენი სიკვდილი პონტია, პონტიი!..

***

ჭიაყელა შვილი ეკითხება დედა ჭიაყელას:
— დედაა, მამა სადაა?
— ძმაკაცებთან ერთად სათევზაოდ წავიდა.

***

კიბეზე შემდგარი „მალიარი“ სახლს ღებავს. გამოიარა ფსიქიკურად ავადმყოფმა და ასძახა:
— ეი!.. „ჩოთკს“ ხელი მაგრად მოჰკიდე — კიბე უნდა წავიღო!

***

პატარა ბიჭს ეკითხებიან:
— რა ნიშნები გაქვს?
— ხუთიანები.
— გავიგე, ოთხიანებიც გქონია!
— ხოო, სამიანებიცა მაქვს.

***

გურული და მეგრელი ნარდს თამაშობენ. გააგორებს გურული, იტყვის — „დუ შაში!“ — დააჯენს. გააგორებს მეგრელი, იტყვის — „დუ შაში!“ — არ გაუმართლებს. გააგორებს ისევ გურული, იტყვის — „დუ შაში!“ — ისევ დააჯენს. გადაირევა მეგრელი.
— რა იყო, ძამა?! — აშოშმინებს გურული. — აი სექსი, კი არაა, ორთავემ რომ ვისიამოვნოთ.

***

დილაა, კორპუსთან დგას ნარკომანი და ბოლო ხმაზე ყვირის:
— ნიკუუშ! ნიკუუუშ!
გავიდა 3 საათი და ნარკომანი აგრძელებს ყვირილს:
— ნიკუუუუშ!!!
საღამოს 7 საათი:
— ნიკუუუუუშ.
როგორც იქნა, ნიკუშამ გამოიხედა:
— რა იყო?
— ძმაკუშ, მე ახლა გავალ და მალე მოვალ, „ხარაშო“?!.

***

ინტელიგენტის დღიურიდან:
„გუშინ ჩემს პატივცემულ სიდედრს ქუჩაში ფეხი დაუცურდა და ასფალტს დაენარცხა. ხომ წვრილმანია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა...“

***

ინფარქტგადატანილი პაციენტი:
— ექიმო, შეიძლება მოვწიო?
— თუ ეს თქვენი ბოლო სურვილია...

***

სვანის ცოლმა ტემპერატურა გაიზომა და ქმარს თერმომეტრი გაუწოდა:
— მაიზერ, ავად ვარ, შეხედე, 40 გრადუსი მაქვს სიცხე!..
— ნუ გეშინია — ახლავე დავფერთხავ!..

***

სვანმა დათვი მოკლა. ეკითხებიან:
— რამდენჯერ ესროლე?
— 10-ჯერ!
— რამდენჯერ გაარტყი?
— არც ერთხელ!
— აბა, როგორ მოკვდა?
— სიცილით!

„თხელკანიანი“ ხართ თუ „სქელკანიანი“?



ადამიანის დახასიათება უამრავი კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება. მაგალითად, არსებობენ „სქელკანიანი“ და „თხელკანიანი“ (ანუ მგრძნობიარე) ადამიანები. ფსიქოლოგებმა დაამკვიდრეს ახალი ცნება — „ფსიქიკის საზღვრები“. საზღვრები, რომლითაც ადამიანი გარე სამყაროს ემიჯნება, შესაძლოა, იყოს თხელი ან სქელი. სხვა ადამიანებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩვენ მუდმივად გადავაადგილებთ ამ საზღვრებს: პარტნიორთან რაღაც გარკვეულ დისტანციას ვინარჩუნებთ ან უფრო ახლოს ვუშვებთ მას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფსიქიკური საზღვრები ჩვენს ფსიქიკას ასევე იცავს უსულო საგნების ზემოქმედებისაგან და გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენებისაგან. ადამიანები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავ-თავიანთი დამცავი ბარიერის სისქით. ზოგიერთს ძალზე თხელი, იოლად გამტარი ბარიერი აქვს, ზოგს კი კედლივით განიერი. სხვათა შორის, ეს ეხება გრძნობათა ორგანოებიდან მომდინარე იმპულსების აღქმასაც. მაგალითად, მათ, ვისაც თხელი ფსიქოლოგიური საზღვარი აქვთ, უფრო ხშირად იტანჯებიან ხმამაღალი ბგერებისა და მკვეთრი სინათლის გამო. როგორც წესი, მამაკაცებს უფრო მყარი, დაცული ფსიქიკა აქვთ, ვიდრე ქალებს. თხელი ფსიქიკური ბარიერის მქონე ადამიანები უფრო ეჭვიანები არიან და მათ უფრო ხშირად ესიზმრებათ საინტერესო, შთამბეჭდავი და ფერადოვანი სიზმრები. სქელი ფსიქიკური საზღვრების მქონე ადამიანები კი მართალია, უფრო იოლად დგამენ ნაბიჯს ოჯახის შესაქმნელად, მაგრამ ხორციელი სიამოვნებებისაგან ტკბობის უნარს შედარებით მოკლებულნი არიან. ასაკის მატებასთან ერთად, ნებისმიერ ჩვენგანს „კანი“ სულ უფრო და უფრო „უსქელდება“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთარი უპირატესობა აქვთ „თხელკანიანებსაც“ და „სქელკანიანებსაც“, ხოლო თუკი ადამიანი ამ ასპექტში რაიმის შეცვლას მოინდომებს, მას ეს ხელეწიფება, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ამ თავისებურებებს საკმაოდ მცირე ასაკში (3-4 წლის ასაკში) ავლენს.

თქვენი პასუხები შემდეგნაირად უნდა შეაფასოთ: „მტკნარი სისულელეა“ — 1 ქულა; „უფრო არასწორია, ვიდრე სწორი“ — 2 ქულა; „ზოგჯერ ასეა“ — 3 ქულა; „უფრო სწორია, ვიდრე არასწორი“ — 4 ქულა; „ყოველივე ეს, ჩემზეა ზედგამოჭრილი“ — 5 ქულა.

1. ჩემი გრძნობები შეუმჩნევლად გადადის ერთიმეორეში.
2. ბავშვობის დროინდელი გრძნობების გახსენებას ძალზე იოლად ვახერხებ.
3. ჩემი განაწყენება ან შეურაცხყოფა ძალზე იოლია.
4. საკმაოდ დიდ დროს ვუთმობ ოცნებებსა და ფანტაზიებს.
5. ნებისმიერ შემთხვევაში, უპირატესობას ვანიჭებ მკაფიო სიუჟეტის მქონე ლიტერატურულ ნაწარმოებს, ფილმსა თუ სპექტაკლს, როდესაც მასში ნათლადაა გამოხატული დასაწყისიც, სიუჟეტის განვითარებაც და ფინალიც.
6. კარგი დაწესებულება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ ორგანიზაციას, სადაც ყველას მკაფიო წარმოდგენა აქვს საკუთარ მოვალეობებზე და ნათელია, თუ ვინ რაზე არის პასუხისმგებელი.
7. ყველაფერს თავისი მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი აქვს, ამიტომ ადამიანმა ყველაფერს თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს.
8. ზოგჯერ, სხვა ადამიანებთან მეტისმეტად სიახლოვე მაფრთხობს ხოლმე.
9. კარგი მშობლები — ყოველთვის ცოტათი ბავშვები არიან.
10. ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს საკუთარი თავის რომელიმე ცხოველად წარმოდგენა.
11. როცა ჩემს ახლობელს ან მეგობარს რაიმე შეემთხვევა ხოლმე, ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ეს ყოველივე მე შემემთხვა.
12. არ მიყვარს წინასწარ შედგენილი გეგმით თავის შეზღუდვა, როცა რაიმე საქმეს ვკიდებ ხელს, რადგან ბევრ რამეში საკუთარ ინტუიციას ვენდობი ხოლმე.
13. ჩემი სიზმრისეული პერსონაჟები ხშირად ერწყმიან ერთმანეთს და სხვა ადამიანად წარმომიდგებიან ხოლმე.
14. ხშირად მეჩვენება, რომ იდუმალი, გარეშე ძალები ჩემზე ზემოქმედებას ახდენენ.
15. შეუძლებელია მკაფიო საზღვრის გავლება ნორმალურ და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს შორის, ნევროტიკებსა და უბრალოდ შეშლილებს შორის.
16. საკმაოდ მიწიერი, პრაქტიკული და რეალისტი ადამიანი ვარ.
17. ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, იოლად შემეძლო გავმხდარიყავი პოეტი, მხატვარი, მსახიობი.
18. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ვიღაც მეძახის, მაგრამ როცა მოვიხედავ, ხელში არავინ შემრჩება ხოლმე.

დაავჯამეთ ქულები:

დაავჯამეთ ქულები: იმისთვის, რომ თქვენი ფსიქიკური საზღვრის მდგომარეობა განსაზღვროთ, მარტივი გამოანგარიშება დაგჭირდებათ. 18 მოცემული პუნქტის ქულები დაავჯამეთ ზემოთ მოცემული შეფასებების სქემის მიხედვით, გარდა 5, 6, 7 და 16 პუნქტებისა. ამ ოთხი შეკითხვის ქულები შეაფასეთ პირიქით: 1 ქულა — 5 ქულად; 2 — 4-ად, 5 — 1-ად. ამგვარი გადატრიალების დროს 3 ქულა, როგორც შეფასების სკალის შუა წერტილი, კვლავინდებურად 3 ქულად დარჩება.

ტესტის შედეგები

ჩვეულებრივ, საშუალო ადამიანი 21-49 ქულას აგროვებს, თუკი თქვენ 50 ან უფრო მეტი ქულა გაქვთ — ძალზე თხელი ფსიქიკური საზღვრის მქონე ადამიანი ბრძანდებით; ხოლო თუკი 20 ან უფრო ნაკლები ქულა მოაგროვეთ, მეტისმეტად სქელი ფსიქიკური საზღვრის მქონე ადამიანი ხართ.

შემდეგი ჯეიმს ბონდი ქერა იქნება

საინფორმაციო სააგენტოებმა და ჰოლივუდის პრესამ ცნობილი სუპერ-აგენტის — 007-ის როლის მთავარი პრეტენდენტი დაასახელეს. ის 37 წლის

ინგლისელი მსახიობი — დენიელ კრეიგი გახლავთ.

ოფიციალურ განცხადებას უახლოეს დღეებში გააკეთებენ. კრეიგის კანდიდატურაზე ბუკმეკერულ კანტორებში დიდძალ ფსონებს ჩადიან. სხვა პრეტენდენტებს შორის, დაახლოებით ათი კინოვარსკვლავი სახელდება. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ჯუდ ლოუ და ჰიუ ჯეკმანიც მოიხსენიებიან, მოსალოდნელია, როლი საზოგადოებისთვის აბსოლუტურად უცნობ, დამწყებ მსახიობს ერგოს. სხვათა შორის, ამ ხერხს პროდიუსერებმა 40 წლის წინათაც მიმართეს — როცა ჯეიმს ბონდის როლზე სრულიად უცნობი შოტლანდიელი — შონ კონერი მიიწვიეს.

„ბონდიანის“ ბოლო ფილმი, სახელწოდებით — „მოკვდი, მაგრამ ახლა არა“ — 2002 წელს გამოვიდა, რის შემდეგაც პროდიუსერებმა ახალი მსახიობის ძებნას მიჰყვეს ხელი. თუკი კრეიგი ამ მაცდურ წინადადებას დათანხმდება, ის რიგით მეექვსე ჯეიმს ბონდი იქნება. პირველი აგენტი 007 შონ კონერი იყო, მას მოჰყვებიან ჯორჯ ლეზენბი, ტიმოტი დალტონი და პირს ბროსნანი.

დენიელ კრეიგის პირველი ფილმი, ამერიკული სურათი — „ფენოვანი ტორტი“ იყო. მას შემდეგ, მან კიდევ რამდენიმე ფილმში ითამაშა. კრეიგი აგრეთვე მონაწილეობს ბოევიკში — „ლარა კროფტი — აკლდამების მძარცველი“. თუმცა მას ჯერჯერობით კინოვარსკვლავად არავინ თვლის და დიდი ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ არც არავინ იცნობს.

■

ფრანგულ ღვინოს ავტომობილებისთვის საწვავად გამოიყენებენ

საფრანგეთში, სახელგანთქმული ფრანგული ღვინის საწვავად გადამუშავება დაიწყეს. ბენზინის ფასის აქტიურად ზრდის პირობებში, იმ მეღვინეებმა — რომელთაც შიდა და გარე ბაზარზე დიდი კონკურენციის გამო, ღვინის მრავალწლიანი მარაგი დაუგროვდათ — ღვინის ეთანოლად გადამუშავებას მიჰყვეს ხელი. ეთანოლი შემდეგ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ხვდება, სადაც მას ბენზინსა და დიზელის საწვავში ურევენ. ასე რომ, დღესდღეობით საფრანგეთში იყიდება ბენზინი, რომელიც დიდი რაოდენობით წითელ ღვინოს შეიცავს.

ღვინის მოთხოვნილების კრიზისი საფრანგეთის ბაზარზე გაცილებით ადრე დაიწყო. ჯერ მარტო 2002 წელს, 10 მლნ ლ ღვინო სულ ძმრად აქციეს. მიმდინარე წელს კი ქვეყნის ხელისუფლებამ ევროკომისიისგან, ღვინის ეთანოლად გადამუშავების და მისი საწვავად გამოყენების ნებართვა მიიღო. ვარაუდობენ, რომ ამ პროცედურაზე, მარტო ქვეყნის სამხრეთი რაიონებიდან, დაახლოებით 150 მლნ ლიტრი წითელი ღვინო დაიხარჯება.

■

ჯატის გაუჩინარებაში პითონს ადანაშაულებენ

ამერიკაში, ფლორიდის შტატში მცხოვრებმა როდრიგესების ოჯახის წევრებმა, ვერაფრით გაარკვიეს, სად გაქრა მათი საყვარელი 1 წლის სიამის კატა, ვიდრე შემთხვევით, საეჭვოდ მუცელგაბერილ პითონს არ გადააწყდნენ. ამჟამად რენტგენზე გაშუქებას უპირებენ, რათა დაადგინონ, მის მუცელში ხომ არ დაიდო საბრალო ცხოველმა „სამუდამო ბინა“.

ოჯახის უფროსმა სამმეტრიანი პითონი მაიამიში, სახლთან ახლოს შეამჩნია. იმ პერიოდში მისი ოჯახის წევრები, უგზო-უკვლოდ დაკარგულ კატას გამწარებულები დაეძებდნენ და საეჭვოდ მუცელგაბერილი გველის დანახვაზე, ყველა მათგანს გულმა რეჩხი უყო. „ეჭვიც არ მეპარება, რომ ის იქაა, მის მუცელში“, — ამბობს ერთ-ერთი ვაჟი. დედამისი — ემილია კი, აპირებს, ამ გაურკვევლობას სამედიცინო გამოკვლევით მოჰფინოს ნათელი. როგორც მაიამის სამაშველო რაზმის კაპიტანი — ელა კრუზი ამბობს, პითონს შტატის ზოოპარკში გადაგზავნიან და რენტგენზე გააშუქებენ.

ერთი კვირის წინ, მსგავსი შემთხვევა მოხდა ევერგლეიდისის ნაციონალურ პარკში, ოღონდ ის რეპტილიისთვისაც ტრაგიკულად დასრულდა: გაუმაძღარი პითონი, რომელიც ალიგატორის გადაყლაპვას ცდილობდა, ორ ნაწილად გაიხლიჩა.

აღსანიშნავია, რომ დიდი გველების (რომელთა სიგრძე ხანდახან 7 მ-საც აჭარბებს) „გარემოცვაში ყოფნა“ სულაც არ აღელვებს ნაკრძალის თანამშრომლებს — იმდენად, რამდენადაც, მსხვილი რეპტილიები ადგილობრივი ეკოსისტემის უმთავრეს მტერს, ყველაზე საშიშ მტაცებელს — ალიგატორს, სერიოზულ საფრთხეს უქმნიან. ხოლო საიდან მოდის ამდენი პითონი, მათთვის სავსებით გასაგებია. საქმე ის გახლავთ, რომ ფლორიდის მცხოვრებლები, პითონებს, როგორც შინაურ ცხოველებს, ისე ზრდიან. მაგრამ უკვე გაზრდილებს, ხშირ შემთხვევაში, ქუჩაში აგდებენ. „ყოველწლიურად, რაიონში შვიდ-რვა უპატრონო პითონს ვპოულობთ“, — ამბობს კაპიტანი კრუზი.

■

ფოტოკუთხეები



21 ოქტომბრიდან!

ყველანაირი!

№19(30), 21 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2005

683/25

ფასი 80 თეთრი

ეპოქა

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
ჩვენი მშობლები

ისეთი რამ მითხრა, მივხვდი, ოდესღაც როგორ გავამწარე მშობლები...

მე ვთხოვე უფალს, რომ შენი ვაჟი ჩემთან იყოს განუშორებლად

ბრძანებ, რომ შენ გარშემო ისეთი რამ ხდება, რასაც სახელს ვერ არქმევ

მივხვდი, სად ყოფილა ჩემი ადგილი... იმ დღის შემდეგ ამ გზიდან აღარ გადამიხვევია

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ